

644  
1966/4

საგარეო ურთიერთობების მინისტრის განყოფილება

საგარეო ურთიერთობების მინისტრის განყოფილება

საგარეო ურთიერთობების მინისტრის განყოფილება



1966

3

# მისწი

3

მ ა რ ტ ი  
1 9 6 6

ლიბერატურულ-  
მხატვრული და  
საზოგადოებრივ-  
პოლიტიკური  
ჟურნალი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა  
და მწერალთა კავშირის ორგანო

თბილისი

10.336.

◆

**მთავარი რედაქტორი ხუტა ბერუღავა**

სარედაქციო კოლეგია: აკაკი ბაჩრაძე, გურამ გვირგვინიძე, მერაბ  
ელიოზიშვილი, კარლო კალაძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, როინ მეტ-  
რეველი, გურამ ფანჯიკიძე (პ/მზ. მდივანი), გიორგი ციციშვილი, ვახტანგ  
ფელიძე, სერგი ზილიაძე, თამაზ ზილიაძე, ლეო ჯანაშია.

◆



არა, უფრო დიდი საქმის მომცველი დაწესებულებაა. კლუბი ახალგაზრდობის მებრძოლი შტაბი და მისი სულიერი მოთხოვნების დაკმაყოფილების აუცილებელი წყაროა. ვინ უნდა ნერგავდეს ჩვენს ყოფაცხოვრებაში ახალ ჩვევებს თუ არა კლუბი? ვინ უნდა გამოიმუშაოს ახალი, ჩვენი დროის შესაფერი რიტუალები თუ არა კლუბმა? ვინ უნდა მოაწყოს მშრომელთა შინაარსიანი, ნამდვილი კულტურული დასვენება თუ არა კლუბმა? ახლა ლექციები მსოფლიო კულტურის საკითხებზე, დისკუსიები ხელოვნების შესანიშნავ ნაწარმოებებზე, ახალი ლიტერატურის პოპულარიზაცია, სახალხო უნივერსიტეტი, მოწინავეთა გამოცდილებისა და მეცნიერების მიღწევათა გავრცელება და, ვინ მოთვლის, კიდევ რამდენ საქმეს უნდა აკეთებდეს და აკეთებს კიდევაც სასოფლო კლუბი.

მალაროსკარს ამასწინათაც ვეწვიეთ, დავათვალიერეთ მისი კლუბი, გავეცანით ფშაველი მსახიობების, მომღერლების, მოცეკვავეების საქმიანობას, ვესაუბრეთ ნინო ქისტაურს, რომელიც უკვე ათიოდე წელია მალაროსკარის კლუბის გამგედ მუშაობს.

თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ სოფლის კლუბს თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ადამიანთა კომუნისტური აღზრდის კეთილშობილურ საქმეში, სოფლის კულტურის ამაღლებაში.

პარტიამ გულახდილად აღნიშნა, რომ უკანასკნელ წლებში ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა სოფლის მშრომელთა კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. ესეც იყო კოლმეურნეობებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან ახალგაზრდობის წასვლის ერთ-ერთი მიზეზი.

ასეთ არასახარბიელო ფონზე მით უფრო სასიხარულოა მალაროსკარის, მთის ამ პატარა სოფლის, კლუბის წარმატება.

ორიოდე სიტყვა კლუბის შენობაზე. იგი ადგილობრივ კოლმეურნეობას ეკუთვნის. აგებულია ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ, არტელის მაშინდელი თავ-

მჯდომარის ალექსი ხუცურაულის თაოსნობითა და მონაწილეობით. ალექსი ოცდაათ წელიწადზე მეტ ხანს ედგა ფელს სათავეში, ენერგიულად უძღვებოდა მას.

კოლმეურნეობას მაშინ კლუბის ასაგები საჭირო სახსრები არ გააჩნდა, მაგრამ ალექსიმ, სოფლის აქტივთან ერთად, მაინც გაბედულად გადაწყვიტა შედგომოდა საქმეს. ერთ დღეს მალაროსკარში, ძველისძველი ეკლესიის პირისპირ, გაიჭრა კლუბის საძირკველი. სოფლის თავკაცებმა დალოცეს ახალი შენობის ფუძე. მთიელებმა მხარი დაუჭირეს ხუცურაულის წამოწყებას, თვითონ ალექსი ყველაფერში მაგალითის მაჩვენებელი იყო ის იყო კალატოზი და მურგალი, მანვე საკუთარი ხელით მოხატა კლუბის კედლები და სცენის ფარდა, ის გახლდათ მხატვრული თვითშემოქმედების ყველაზე აქტიური მონაწილე, მშვენივრად უჭრა ვდა, თვითონვე ცეკვა ვდა, წერდა ლექსებს, მხატვრულად აფორმებდა კედლის გაზეთის ნომრებს.

ალექსი ხუცურაული ახლა პენსიონებშია, მაგრამ კლუბს მაინც არ ივიწყებს.

ნინო ქისტაურმა გვიამბო: — ჩვენთან ამჟამად არსებობს სიმღერისა და ცეკვის პატარა ანსამბლი, დრამატული და ლიტერატურული წრეები. ჭადრაკის წრეც ნაყოფიერად მუშაობს. ანსამბლს უნარიანად ხელმძღვანელობს მასწავლებელი ნინო ბილიხოძე. შესანიშნავად მღერიათ და ცეკვავენ ფოსტის გამგე მზია მგელიაშვილი, გამყიდველი ლუბა ლაზარევა, მოსწავლე ელენე ვაჩიშვილი, ზოოტექნიკოსი ირაკლი ლაშქარაშვილი, კოლმეურნე ვალიკო ცქიფაშვილი. დრამატული წრე, რომელსაც მზია მგელიაშვილი ხელმძღვანელობს, ხშირად გამოდის მაყურებელთა წინაშე. უკანასკნელ ხანს მოვაწყვეთ რამდენიმე საღამო-კონცერტი, დიდძალი ხალხი დაგვესწრო...

ჭადრაკის მოყვარულნი სწავლობენ ჭადრაკის თეორიას და პრაქტიკას, ხშირად ტარდება შეჯიბრება სოფლის პირველობაზე. ამასწინათ ამ თავისებურ ტურნირში პირველი ადგილი დაიკავა სა-

ტყეო უბნის უფროსმა, ახალგაზრდა მეტყევე-ინჟინერმა რომან ტატიშვილმა. წრეს ხალისით ხელმძღვანელობს მასწავლებელი ქსენია ხორავა.

ფშავი ხალხური პოეზიის კლასიკური კუთხეა. ჩვენს სასოფლო საბჭოში ბევრი სახალხო მთქმელია, რომელთა ლექსები ხშირად იბეჭდება რესპუბლიკურ და რაიონულ გაზეთებში. სახალხო მთქმელები და ახალგაზრდა პოეტები გაერთიანებული არიან ლიტერატურულ წრეში, რომელსაც ხელმძღვანელობს მასწავლებელი თამარ ხეთაველი. წრის წევრები განიხილავენ თავიანთ ნაწერებს, ისმენენ ლექციებს ლიტერატურის სხვადასხვა საკითხებზე. იმართება ლიტერატურული საღამოები. წრეს დიდი ამაგი დასდო მასწავლებელმა ივანე ქართველიშვილმა, რომელიც ახლა სხვაგან მუშაობს.

ვაწყობთ თემატურ საღამოებს სოფლის მეურნეობის საკითხებზე. საინტერესო იყო ვეტექიმ ვანო პეტრიაშვილის, ზოოტექნიკოსების ნიკო არაბულისა და ირაკლი ლაშქარაშვილის გამოსვლები. თავიანთი გამოცდილების შესახებ ილაპარაკეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, მწველავმა მარიამ ალუდაურმა, მისმა მეგობრებმა მარიამ წელაშვილმა და ეთერ ბუთხაშვილმა...

კლუბის აქტივისტები სათუთად ინახავენ სამამულო ომში დაღუპულთა ხსოვნას. მკითხველთა დარბაზში მოწყობილია შინამოუსვლელთა სტენდი. გმირთა ფოტოსურათებს ზემოთ ლამაზი ასოებით წერია: „ჩვენ ოცი წელი ვიკმართ მხოლოდ, დანარჩენი კი სამშობლოსთვის შეგვიწირია...“ სამამულო ომის ოცი წლისთავთან დაკავშირებით კლუბში მოეწყო თემატური საღამო.

მკითხველთა დარბაზში სტენდებია, რომლებიც ასახავენ ქიმიის განვითარებას ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, არის სტენდი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის მასალებით, ცალკე კუთხე აქვს დათმობილი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისა და ცხოვრების ამსახველ ფოტოსურათებსა და დოკუმენტებს.

...ამ საუბარში კარი გაიღო და დარბაზში ალექსი ხუცურაული შემოვიდა. მხოლოდ ის მოხუცი ალექსი როდერის ვინც კლუბი ააშენა, არა. ვაჟას სოფლის — ჩარგლის სასოფლო ბიბლიოთეკის გამგე გახლდათ. ეს ახალგაზრდა, ჯანღონით სავსე კაცი კულტურის საქმის ჭეშმარიტი ერთუზიანსტია. გამახსენდა ბაჩანას სტრიქონები, რომელიც ბარისახოში მასწავლებლობის დროს დაუწყებია: „რაც შეეხება ჩემს სულიერ მდგომარეობას, ბევრს სანუგეგმოს ვერას ვეტყვი, რაც დრო გადის, რაც უფრო მართოკა ვარ, იმდენი უფრო შავი სევდისათვის ვეღარ დამიღწევია თავი. ვარ მართოკა, ვესაუბრები მხოლოდ ჩემს თავს, მოპასუხე და ხვაშიადის მოზიარე ჩემთვის არავინ — გარდა არაგვისა, მთებისა და ბეჩავი ჩემი ცოლისა... ნეტა, საზოგადოება რომ არა ვთქვათ, წიგნები მაინც მქონდეს ბევრი, ბევრი რაც საჭიროა, მაშინ კიდევ აღარას ვიტყოდი...“

ახლა მარტო ჩარგლის ბიბლიოთეკაში ორიათას ხუთასზე მეტი წიგნია. ალექსი ხუცურაულს თვითონ მიაქვს წიგნები კოლმეურნეობის შორეულ ფერმებში. შარშან ალექსიმ ახუნის მთებამდეც კი მიაღწია, მწყემსებმა სიხარულით მიიღეს სასურველი სტუმარი.

ქნელია მთებში გზის გაკვლევა ზამთარში, მაგრამ ხუცურაული არც ახლა ისვენებს. ამასწინათ მან შემოიარა ბოჭახის, ჩარგლის და ახუნის ფერმები. თითოეულ ფერმაში ორი-სამი კაცია და ყველას როდი აქვს ბიბლიოთეკაში მისვლის საშუალება. სწორედ ახლა საჭირო ალექსისს გარჯა! აფხუშოში მას მხოლოდ ორნი — გამახარე ბუკუიშვილი და ვალიკო ურჯუკაშვილი დახვდნენ. ორივეს ზღაპრები უყვარს და ალექსიმაც მათ ქართული ხალხური ზღაპრების კრებულთა მიუტანა.

ბიბლიოთეკას მრავალი მკითხველი ჰყავს, ყველაზე აქტიური კი მაინც ბაჩანას შვილი — პავლე რაზიკაშვილია. პავლე თვეში ორჯერ დინჯი ნაბიჯებით დაადგება ხოლმე ბიბლიოთეკის გზას, მთელ ტომარა წიგნებს აირჩევს და დატვირთული ბრუნდება შინ.

ბიბლიოთეკა, რომელშიც ათასობით წიგნია, უღრან ტყეს ჰგავს, ძნელია მასში გზის გაკვლევა. აქ უნდა გყავდეს კარგი მეგზური. ასეთი მეგზური თანასოფელთათვის ალექსი ხუცუბაძეა.

ჩარგლის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი კვლავ გაიზარდა, მაგრამ... აქედან იწყება სამწუხარო საუბარი:

— წიგნებს, რა თქმა უნდა, მივიღებ, მაგრამ ის კი არ ვიცი, სად დავაწყო.

— რატომ, ალექსი, ხომ შეგიძლიათ თაროები შეიძინოთ.

— საქმეც ეგ არის, რომ არ შემიძლია. ფული გვაქვს, მაგრამ ნაღდი ანგარიშით ვერ დავხარჯავ, აკრძალულია. ვადარბი-ხვით კი ვერავის მივცემ. შარშან ამის გამო სამასი მანეთი დავკარგეთ.

— აგრეა, — დაუმატა ნინომ, — კლუბში ინვენტარი არ გყოფნის, შექმნას კი ვერ ვახერხებთ.

საუბარში დუშეთის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შალვა მწითური ჩაერია: — მართალია. სამწუხაროდ, რაიონის ბევრ კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებას ინვენტარი არ ჰყოფნის, ზოგს საამისო თანხა არ გააჩნია. კიდევ რომ ჰქონდეს, სულ ერთია ინვენტარს ვერ შეიძენს: არ არსებობს ისეთი მალა-ზია, სადაც ვადარბიხვით შეიძლებოდეს ინვენტარის ყიდვა, ნაღდი ფულის დახარჯვის უფლება კი ჩვენ არა გვაქვს.

საოცარია, ფერმისათვის საჭირო ინვენტარის შექმნა უფრო ადვილია, ვიდრე კულტურის დაწესებულებისათვის. ეს მაშინ, როცა ყველამ იცის, რომ მატერიალური ბაზის გარეშე შეუძლებელია სოფლად კულტურული მუშაობის გაუმჯობესება.

...მთისა და ბარის გასაყართან მდებარეობს სოფელი ჟინვალი. მისი კლუბი სასოფლო საბჭოს მდივნის ოთახშია მოთავსებული. პაწაწინა ოთახში ორი თანამშრომელი ზის, სამი საწერი მაგიდა და ამდენივე კარადა დგას.

„კლუბში“ თავი კუდს ვერ მოიქნევს. ათასზე მეტი წიგნი ყოველთვის კარადებშია გამოკეტილი. ასეთ პირობებში,

აბა, რა კულტურულ მომსახურებაზე შეიძლება ლაპარაკი.

ხუთი წლის წინათ ჟინვალის სოფლო კლუბის შენობის აგება გადაწყვიტეს, საამისო თანხაც გამოიძებნა. დიწყო სამუშაო, ზენუბანში მეტრანახევარზე აიყვანეს კედლები და საქმე ამით მოათავეს.

ამას, რა თქმა უნდა, არავინ მოუწონებს სასოფლო საბჭოსა და კოლმეურნობის მესვეურებს.

დუშეთის ვრცელ რაიონში ამჟამად მოქმედებს კულტურის სამოცამდე დაწესებულება. მათ შორის თვრამეტი სასოფლო ბიბლიოთეკაა, ოცდორი სასოფლო კლუბი, თორმეტი სოფლის სამკითხველო, სარაიონო კულტურის სახლი, მუზეუმები, საბავშვო ბიბლიოთეკები... ამ დაწესებულებათა წიგნადი ფონდი 200 ათას ტომს აღწევს. ეს დიდი სიმდიდრეა. თვალისჩინივით უნდა ვუფროსილდებოდეთ, გონივრულად ვიყენებდეთ მას.

ზოგი ბიბლიოთეკა და სასოფლო კლუბი თავის მოვალეობას კარგად როდი ასრულებს. კულტურის დაწესებულებათა ნაწილი მოთავსებულია დაქირავებულ ბინებში. გული დაგწყდებათ, როცა გრემისხევის, ხეობის, ბულაჩაურის და სხვა სოფლების კლუბებს ნახავთ. მათი შენობები ნასახლარებს უფრო ჰგავს, ვიდრე კულტურის დაწესებულებას.

ფასანაურში ზაფხულობით თავს იყრის მრავალი ათასი ტურისტი, ექსკურსანტი და დამსვენებელი. მით უფრო სამარცხვინოა, რომ სოფელს არა აქვს კულტურის სახლი, კლუბის შენობა ჩამონგრეულია და მესამე წელიწადია დაკეტილია.

რაიონის შორეულ სოფლებში იშვიათად უჩვენებენ კინოსურათებს, კოლმეურნეობის ზოგი თავმჯდომარე, პარტიული ორგანიზაციის მდივანი, ადგილობრივი საბჭოს ხელმძღვანელი ჯეროვნად არ აფასებს კულტურის მუშაკთა შრომას, არ ეხმარებიან კლუბებსა და სამკითხველოებს.

მადაროსკარის კლუბის მაგალითზე შეიძლება დავასკვნათ, რომ კულტსაგან-

მანათლებლო მუშაობა წარმოუდგენელია ამ საქმეზე შეყვარებული და ნიჭიერი კადრების გარეშე.

ასეთი კადრები კი მცირეა.

დუშეთის რაიონის კულტურის დაწესებულებათა 90 მუშაკიდან სპეციალური განათლება აქვს მხოლოდ 31 კაცს. ეს გარემოება გვიკარნახებს, რომ აუცილებელია რესპუბლიკაში მეტი ყურადღება დავუთმოთ კლუბის მუშაკთა მომზადებას. დუშეთის რაიონი ამაში გამონაკლისი არ არის. დაე, ყველა კლუბსა და სამკითხველოში იყვნენ ნინო ქისტაურისა და ალექსი ხუცურაულისთან ერთგული, საქმის მცოდნე ადამიანები!

უკეთესი მდგომარეობა არც რაიონულ ცენტრშია. დუშეთის კულტურის სახლს მშვენიერი შენობა აქვს, მაყურებელთა დარბაზში ოთხასამდე კაცი ეტევა, არის საწრეო მუშაობისათვის საჭირო პირო-

ბები, მაგრამ პატარაა სცენა, დედაქალაქის თეატრებს უჭირთ გამსვლელი სპექტაკლების ჩვენება. სცენის გაფართოვება ტექნიკურად ძნელი არ არის, საჭიროა მხოლოდ რაიონის ხელმძღვანელთა მონაღმება. საწყენია, რომ დუშეთში სახალხო თეატრი სულს დაფავს, არც წრეების მუშაობა დვას სათანადო ღონეზე. ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა დახმარება და მზრუნველობა არ უნდა მოაკლონ სოფლის კულტურის კერებს.

კულტურის სახლი, კლუბი და ბიბლიოთეკა სოფლად კულტურული ცხოვრების ერთ-ერთი მთავარი უბანია. ისინი უნდა იყვნენ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ნამდვილი ცენტრი, მშრომელთა კულტურული დასვენების საყვარელი ადგილი.

## 306 არ არის კ ა ხ ა ბ ე რ ი

### რეკავა ჯაფარიძე

ტრიბუნაზე ასული ყოველი ორატორი დიდი პასუხისმგებლობის წინაშე დგება. მე განსაკუთრებით საბასუხისმგებლოდ მიმაჩნია ამ ტრიბუნაზე ამოსვლა, რადგან აქ ნათქვამი სიტყვა უმაღლეს მთელ ქვეყნიერებას მოეფინება ხოლმე და, ვინ იცის, რამდენი ჭირვეული აზრის სასწორზე რამდენნაირად აიწონება. და განა მარტო დღეს და ხვალ? კიდევ კარგი, რომ ეს ასეა, თორემ არც გამოსვლას ექნებოდა რაიმე ფასი, ორატორს თქმის გუნება გაუფუჭდებოდა და მსმენელს კიდევ მოსმენისა. ტრიბუნა იმისათვის გვიდვას, რომ ზედ თქმული ყოველი სასარგებლო სიტყვა მსწრაფლ მთელ საქართველოს მოეფინოთ და ქვეყნის კეთილდღეობის სამსახურში ჩავაყენოთ.

ძალიან დიდი შესავალი რომ არ გამოვიდეს, აქვე პირდაპირ მოვჭრი: სიტყვა ამჯერად ჩვენი ახალი თაობის მამულიშვილური სულისკვეთებით აღზრდას შეეხება. წერილის თემას თუ საგანს სხვანაირად შეიძლება თვით გრძნობის, მამულიშვილური, პატრიოტული გრძნობის აღზრდა ვუწოდოთ, ვინაიდან გრძნობა, რომელიც ეს არის დაიბადა, ჩვილ ბავშვსა ჰგავს. ის სწორედ ბავშვივით უნდა გაზარდო და დავაყვაცო, რათა შემდეგ ფრთები შეისხას, სამზეოზე გამოვიდეს და თავისთავს თვითვე მოუაროს. ამას გარდა, აღზრდა, შემდგომი სრულყოფა და გაფაჩივება. თვით ყველაზე უფრო სრულყოფილ ქმნილებასაც კი სჭირდება და ამიტომ

წერავინ გვიძრახავს, თუ ამ ძველ და მარად ახალ ამბავზე ერთხელ კიდევ გავაბით საუბარი.

მოგვხსენებთ, სიტყვა „პატრიოტი“, რომელიც ქართველებმა გასულ საუკუნეში ვისესხეთ და რომელსაც თითქმის კიდევაც გავადვენინეთ ზეპირი და ლიტერატურული მეტყველებიდან მეტად აზრიანი და მშვენიერი სიტყვა „მამულიშვილი“, ძალიან ფართო და ბევრის დამტევი ცნებაა. იგი თითქმის მთლიანად მოიცავს ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრების შინაარსს. „პატრიოტი“ იგულისხმება ღვიძლ ერთად და ქვეყანასთან არა მარტო ბიოლოგიურად დაკავშირებული პიროვნება, არა ბიოლოგიური სიყვარულითა და თავგანწირვით აღსავსე ადამიანი (გრძნობები და ინსტიქტები ხომ ცხოველებსაც გააჩნიათ), არამედ კაცი მოაზროვნე და ყოფნა-არყოფნის საკითხებზე დაფიქრებული, ვისაც ფიზიკური გონებისა და სულის გამუდმებული წრთობის შემწეობით კარგად შეუგნია თავისი შვილობრივი მოვალეობა მშობელი ქვეყნის წინაშე; ვისაც ზედმიწევნითი სიზუსტით მიუგნია საკუთარი ადგილი საზოგადოებაში და იმ საქმეს ემსახურება, რომელი საქმიანაც უფრო მეტ სარგებლობას მოუტანს ხალხსა და საზოგადოებას; ვინც მართლა პატიოსანია და გულს მწარედ ტყენს ხალხისა თუ საზოგადოების უარყოფითი მხარეები; ვისაც შესწევს უნარი მოყვარეს პირში უძრახოს და დაურიდებლად, უშიშრად იბრძოდოს ზნეობრივი და სხვა სახის სრულყოფილობის მისაღწევად; ვისაც სწამს, რომ ყოველი თავისი საქციელით, კარგით თუ ავით, ხელს უწყობს ან ხელს უშლის სამშობლოს შემდგომ აღორძინებას, ვინაიდან თვითონ, ისევე როგორც სხვები, მშობელი ხალხის ერთი პატარა უჯრედი; ვინც გულწრფელ პატივს სცემს და ჯეროვანს მიუზღავს სხვა ხალხების მიღწევებს სულიერი თუ სამეურნეო ცხოვრების სფეროში და მხოლოდ ერთი სურვილი და მისწრაფება ამოძრავებს — გადმონერგოს უცხოებთან ნანახი სიკეთე თავის მამულში; დაბოლოს,

ვინც ცდილობს ჰგავდეს თავისთავს მხოლოდ თავისთავს, რადგანაც, სულ ერთია, კაცი თავისთავს ვერ გამოიგონებს და არსებითად სხვად ვერ იქცევა.

შესაძლოა, ძალიან შორიდან ვიწყებდე, ძალიან ზოგად მორალურ კატეგორიებს ვაქცევდე მკითხველის ყურადღებას, მაგრამ, ჩემი აზრით, შეუძლებელია რაიმე თქვა პატრიოტიზმზე, ახალგაზრდა თაობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდაზე, თუ წინასწარ არ გითვალისწინებ „პატრიოტიზმის“, „პატრიოტის“ ცნება, ანუ ის, თუ რა გვსურს, რა მოგვიწადინებია, რა მიმართულებით გვინდა წარემართოთ ჩვენი მომავალი თაობის აღზრდა.

მე, რასაკვირველია, არა მაქვს პრეტენზია, რომ აქ მეცნიერული სიზუსტით ჩამოვყალიბო ცნება „პატრიოტის“ არსებითი ნიშნები. ამას, ალბათ, სპეციალისტები უკეთ გააკეთებენ, მაგრამ ცოტუნებამ მაინც წამძლია და მიახლოებით დავისურათხატეთ, თუ თავად როგორა მაქვს წარმოდგენილი სახე ჭეშმარიტი მამულიშვილისა, პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდილი ადამიანისა და ის მორალური პროგრამა, რითაც, მგონი არ შევცდები თუ ვიტყვი, უნდა ხელმძღვანელობდეს ყოველი ადამიანი, ადამიანი ამ სიტყვის ფართო გაგებით და არა მხოლოდ ბიოლოგიური არსება, რომელიც ჭამს, სვამს, იძინებს, იღვიძებს, მერე ისევ ჭამს, სვამს, იძინებს, იღვიძებს და ასე შემდეგ მანამდე, სანამ მიქელ-გაბრიელი შინ არ მოაკითხავს და აღხანას ხალხანა სასაფლაოს გზას არ გაუყენებს, რათა იქ დაუდგას ძეგლი და ზედ უბირი ხალხის მოსატყუებლად ოქროს ასოებით წააწეროს, თითქოს ამ სამარეში ჩასვენებული გვაში მიცვალებულისა ოდესღაც მართლა ადამიანი იყო...

იმედი მაქვს ამ სიტყვებს მკითხველი ცუდად არ გამოგებს. მე ვლაპარაკობ ობივატელობისა და ინტერესთა სიციფროვის წინააღმდეგ, პირადი კეთილდღეობის მიღწევით თავბრუდახვევის წინააღმდეგ და ამ დამპალი ჭაობისადმი სა-

ზოგადობის ჯანსაღი ნაწილის დამოკიდებულების შესახებ.

საკამათო როლი იქნება თუ ვიტყვი, რომ ქვეყანაზე არ მოიძებნება ასეთი დარგი ან სასწავლო დისციპლინა — „ახალგაზრდობის პატრიოტული აღზრდა“ ან უფრო ფართოდ: „ახალგაზრდობის აღზრდა“.

ახალგაზრდობის აღზრდა ხდება საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველ სფეროში. ახალგაზრდობა წინამავალი თაობის ხელმძღვანელობით და პირადი დაკვირვებით სწავლობს იმავე წინამავალი თაობის ცხოვრების წესს, ვინაიდან წინამავალი თაობა, თაობა მშობლებისა, ხიდია, რომელიც ერის ახალ მოდემს თავისი ხალხისა და კაცობრიობის წარსულთან აკავშირებს.

მაგრამ ვიდრე ყრმა დამოუკიდებელ აზროვნებას დაიწყებდეს და ემოციების გავლენიდან გამოვიდოდეს, იგი ბრმად იმეორებს უფროსების ქცევას.

✓ მე ვიცნობდი ერთ ოჯახს, რომელიც ძალიან კარგი რეპუტაციით სარგებლობდა და დღესაც ასეთივე რეპუტაციით სარგებლობს საზოგადოებაში. გარეგნულად ამ ოჯახში ყველაფერი ისე სანამულად ვერ გამოიყურება, კაცმა უკეთესი იქნებ ვერც ინტრო. ოჯახის მამას დიდი პოსტი უჭირავს. იგი თავისი საქმის ზედმიწევნით მცოდნე და ყველასაგან პატივცემული კაცია. კინალამ დამავიწყდა მეტქვა, რომ ექვსი თუ შვიდი ოთახი, მათი საკუთარი ბინა თბილისის ერთ-ერთ უბანში, პირამდე საესეა საზღვარგარეთული ავეჯით. ოჯახს არ აკლია არც ავარაკი და არც სხვა ამისთანები. მამა დღე და დამ თავაულებლივ შრომობს. მე ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, როცა მათ ვხვდებოდი, რომ ამ კაცისათვის არ არსებობდა პირადი ცხოვრება. ის შინ მხოლოდ იმისთვის მიდიოდა, რომ დამქანცველი მუშაობის შემდეგ სული მოეთქვა, ხემსი გადაეყლაპა და მერე ხელახლა დაბრუნებოდა თითქოს წუთის წინათ შეწყვეტილ სამუშაოს.

თვითონ ხელმოკლე ოჯახიდან გახლდათ გამოსული. მშობლებს თავიანთი

გასაჭირი ადგათ და ხეირიანად ვერ გამოებოდნენ. გზა ცხოვრებაში თავისი დაუღალავი შრომითა და მონღოების მსგავსად წყალობით ვაიკვლია. დღეს მინისტრის რანგის კაცია. არ უკვირს თავისი წარმატება. თავაულებელ მუშაობაში წარმატება წარმატებას ისე თავისთავად მოჰყვა, რომ მან, როგორც ახალბედა მთამსვლელმა, ვერც კი შენიშნა, თუ ამ ნელ-ნელაობაში რამსიმალე მწვერვალზე ავიდა.

მე რამდენჯერმე შევხვდი და ვესაუბრე მის შვილს, ვაჟს, მე-9 თუ მე-10 კლასის მოსწავლეს. განვცვიფრდი, როცა საუბრის დროს ამ ბიჭმა საკუთარი შეხედულებები ვადმომოლაგა, თუ, რასაკვირველია, შეხედულებებად ჩავთვლით იმას, რაც მან ნაწყვეტ-ნაწყვეტად და ერთმანეთთან დაუკავშირებლად იბოდილა.

ფული, სმა, ქალები, გავლა-გამოვლა! — აი, ამ ჭაბუკის ნატვრა და ერთადერთი იდეალი. ყველაზე კარგი და მიმზიდველი ადამიანი ქვეყნად ის არის, ვისაც ბევრი ფული უჭყავის ჯიბეში. ფული თვით მახინჯსაც კი მომზიბლავ არსებულად აქცევს, მუწჯს ენას ამოუდგამს, ბრმას თვალებს აუხელს... არავითარი ინტერესი არაფრისადმი. მხოლოდ ოცნება ფულზე, ბევრ ფულზე!

წარმოიდგინეთ ახალგაზრდა, ათლექტური აღნაგობის ვაჟი, რომელიც ზღვაზე წასვლის წინ მამის მშობლიურ სოფელს ორი კვირით სტუმრდება. იგი მთელი დღეობით შინ ზის და იმის სურვილიც კი არ ებადება, სოფელში გაიარა-გამოიაროს, წყაროსთან გავიდეს, ტყეში გაისეირნოს, თუ არაფერს ვაკეთებს, ითამაშოს მაინც თანატოლებთან. აქ მამამისს, ახლა რომ ისე დიდი კაცი გამხდარა, ფეხშიშველს ურბენია. მას კი, იმ კაცის შვილს, არაფერი არ უნდა, არაფერი არ აინტერესებს. თითქმის მოწიფულ ვაჟკაცს დღეში შვიდჯერ თუ რვაჯერ ტენიან საჭმელით. ჭამის დროს ნამდვილი ხელჩართული ბრძოლა იმართება. ამ ბრძოლაში ოდის მეორე სართულიდან ეზოში ცვივა მამაბაპეული აივნის

რიკულეები. ვაითუ გაჯიუტდეს და არ ჰამოს ბიჭმა? რაღა ეშველება მაშინ ოფლში გახვითქულ დედას!

ამ ბუღასავით ჯანმრთელმა, აღნაგობით ნორმალურმა ახალგაზრდამ, რომელიც გონებრივადაც სავსებით ნორმალურია, არ იცის, როდის და რატომ მოხდა კრწანისის ბრძოლა ან ვინ იყო მეფე ერეკლე. არასოდეს არ გაუგონია დავით აღმაშენებლის სახელი. და როდესაც ეს არ იცის, წარმოიდგინეთ, სხვა რა ეცოდინება.

ახლობელთა წრიდან ბიჭს სამაგალითო აღმანიანდ მიაჩნია ნათესავი, მგონი ბიძა, რომელიც მედიკამენტების საწყობის გამგედ თუ რაღაც ამის მსგავს თანამდებობაზე მუშაობს ზღვისპირა ქალაქში. ნათესავი წელიწადში ორ მანქანას იცვლის. დიდ მოქეიფე და პურის მჭამელ კაცად ითვლება. მე სხვაც ბევრი მინახავს მისი ვაჟკაცობით აღტაცებულის.

ხელგაშლილობასა და დარდიმანდობას, გარდა სურვილისა და ხასიათისა, ყველამ იცის, რაცა სჭირდება. როგორ აუღის ეს კაცი ამდენ ხარჯებს? ხელფასით კმაყოფილდება თუ „ძველი ქონი“ — მამის დანატოვარი ქონება მოსდევს და ძმა-ბიჭების გულის გასახარად იმას ანიავებს? ხელფასი, მოგეხსენებათ, რამდენიც ექნება, მამის დანატოვარი კი, იმ სულგანათლებულს ბევრიც რომ დაეტოვებინა, როდემდე ეყოფოდა. ნათქვამია, ზღვა კოვზით დაილიაო...

მე, წარმოიდგინეთ, დავინტერესდი და გავიკითხ-ვაგმოვიკითხე. რა გამოირკვა? თურმე ნუ იტყვი, ამ ტოლ-ამხანაგების სათაყვანო ვაჟკაცს უზრუნველად და ხელგაშლილად ცხოვრების სახსარი აღმოუჩენია და აღარ იკითხავთ, რა სახსარი? ის თურმე სანდო ქორვაჭრების ხელით და შუამდგომლობით მამასისხლად, ხშირად ასმაგად და მეტ ფასად ჰყიდის ძალზე ძნელად საშოვნ მელიკამენტებს, რომლებზედაც მოსახლეობაში დიდი მოთხოვნილებაა. სხვები ჰყიდიან, განა ის! ავადმყოფის პატრონს, რომელსაც უბედურება ისედაც თავზე საყრელად ჰყო-

ფნის, პირდაპირ ატყავებენ. იშვიათი წამლები, იმ ვაჟკაცის წყალობით, აფთიაქში თითქმის არასოდეს იშოვებოდა. საძიებო ეროდ, დიდი ტანჯვა-წვალების შემდეგ შეიძლება მიაგნო და იყიდო ე. წ. „შავ ბაზარში“. კიდევ მადლობელი იყავი, თუ არასრული დოზა ან სავსებით სხვა ფხვნილი, ან აბი არ შემოგატყუეს.

დედას ბავშვი უკვდება. წამალს ბავშვის გადარჩენა შეუძლია, მაგრამ აფთიაქს წამალი არა აქვს. ბოლოს პოულობენ წამლის მფლობელს. გამწარებული დედა ვერ ასწრებს ფულის შეგროვებას, რითაც წამალი უნდა ეყიდა ან ასწრებს, ყიდულობს კიდევაც, მაგრამ უკვე გვიანია...

შესაძლოა, სწორედ ამ დროს ის „ვაჟკაცი“, ნათესავი თუ ბიძა ჩემი ნაცნობი ბიჭისა, მეგობრებში ზის, ქეიფობს და თანამეინახეები სტუმართმოყვარეობასა და ხელგაშლილობას უქებენ. ნუ დაგავიწყდებათ, რომ იქ უსათუროდ დაღუვენ საქართველოს საღვთმშობლისად და მოდელილ მკერდზე, ნიშნად სამშობლოს წრფელი სიყვარულისა, გაოფლილ მუშტს მიიბრაჯუნებენ. ბიჭი ხარ და რომელიმე მოქეიფის ნამდვილ პატრიოტობასა და ვაჟკაცობაში ეჭვი შეიტანე. ცოცხალი თავით ვერ გამოასწრებ.

აი, იმ ბიჭის ნათესავის სოციალური და მორალური სახე. ფულიანი ბიძა, ფულის მშოვნელი და მოქეიფე! ძმა-ბიჭებს რომ თვალში ჩაუფარდეთ, ხელს არ ამოისვამენ. მისი ცხოვრების წესი და პირუტყვეული უზრუნველობა ბავშვმა ხომ დედის ძუძუსთან ერთად შეიტკბო და შეისისხსტორცა. ის ხომ შინაც დაახლოებით ამასვე ხედავდა...

მაგრამ ზნეობრივი დაქვეითებისათვის განწირული ახალგაზრდის სულიერი დაკნინება მარტო ამით როდი შემოიფარგლა. დედაც, უბრალო პროვინციელმა ქალმა, რომელმაც გარდა ქართულისა სხვა ენა არ იცის, შვილი არაქართულ, თუ მეხსიერება არ მდლატობს, ინგლისურ საბავშვო ბაღში მიაბარა.

მშობლიურ მეტყველებაში ჯერ კიდევ ხეირიანად გაუწაფავმა ოთხი-ხუთი

წლის ბიჭუნამ ალლო ვერ აუღო უცხო ენას. ბავშვებმა პირველსავე დღეს გაინაპირეს და აბუჩად აიგდეს, ყრუ-მუნჯი ეგონათ. ბავშვი დაშინდა, გულჩახვეული და მფრთხალი გახდა. შემდეგ ორივე ენის მტკრევა დაიწყო. ასე არეულდარეულად, წალბა-უკულბა დაამთავრა მან არაქართული საშუალო სკოლა. ბავშვს ფესვებშივე მოუჭრეს მშობლიური ენის, მასთან ერთად კი სამშობლოს სიყვარული და, საერთოდ, უენოდ დატოვეს. საქართველოს არაქართულ სკოლებში ხომ ზოგჯერ უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან ქართული ენის, ლიტერატურის, საქართველოს გეოგრაფიის და ისტორიის შესწავლის საქმეს. ძნელია იმის მიხედვით, რასაც საქართველოს არაქართულ სკოლებში ბავშვებს ასწავლიან, მოსწავლეს, რა ბეჯითი და კეთილსინდისიერიც არ უნდა იყოს იგი, რაიმე თბილი გრძნობა და ინტერესი აღეძრას საქართველოსადმი.

აი, ერთ ამნაირ სკოლაში აღიზარდა ის ჩემი ნაცნობი ყმაწვილიც. მამა, ალბათ, ყოველ ღონეს იხმარს, რომ მან განათლების მისაღებად, ე. ი. უმაღლესი სასწავლებლის დიპლომის ხელში ჩასაგდებად, ამა თუ იმ ინსტიტუტში სიარული დაიწყოს. სიარული დაიწყოს-მეთქი, ვამბობ მე. აბა სხვა რა უნდა გააკეთოს ამგვარი ინტელექტუალური დონისა და მორალური იდეალების კაცმა. ერთ მშვენიერ დღეს ეჭიმად ან ინჟინრად მოგვევლინება. ფულს იზოვის ან სხვის ნაშოვნს ამოიღლიავენ და ვაჟკაცური პურმარილების გაშლას შეუდგება.

მე მოვიყვანე ცოცხალი და დამახასიათებელი მაგალითი იმისა, თუ როგორ არ უნდა იზრდებოდეს ახალგაზრდა ადამიანი. ესაა გზა არა წინ — ადამიანურობისაკენ, არამედ უკან — ცხოველური ინსტიქტებისაკენ, რისთვისაც უცხოა ყოველივე გონებისმიერი და აზრისმიერი და, მათ შორის, რასაკვირველია, სამშობლოს წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა, საიდანაც შეგნებულ პატრიოტიზმი იღებს სათავეს. ცხოველის პატრიოტიზმი აბა ვის გაუგონია!

პატრიოტიზმი ისევე, როგორც ყოვე-

ლივე ადამიანური, შრომის ჩვევების შექმნით იწყება. უშრომელი, მცონარა კაცი მეტი ბარგია ქვეყნისა და ხალხისა რადგან მას პირუტყვისაგან არაფერი განასხვავებს.

დიდი ილია ჭავჭავაძე, ერის მამა, საქართველოს უპირველესი პატრიოტი იყო და სწორედ უღრმესმა პატრიოტულმა გრძნობამ დააწერინა მას ყოველი დროის ქართული და მსოფლიო პროზის შედეგები „კაცია ადამიანი?!“

ბევრმა მისმა თანამედროვემ, ვაი-პატრიოტმა, ილიას ქართველი კაცის ეროვნული თავმოყვარობის შელახვა უკიჟინა. ეს როგორ გავგიბედე, თავი როგორ მოგვეჭირო!

მომდევნო თაობებმა უკვე დანაშაულებით ვიცით, ვინ იყო მაშინ მართალი და ვინ მტყუანი. დიდმა მამულიშვილმა თავისი მშობელი ერი, რომელზე უფრო ძვირფასი და სანუკვარი სხვა არაფერი გააჩნდა, პატიოსან სარკეში ჩაახედა და ის ლაქები დაანახა, რაც მომავალში ხალხსა და ქვეყანას უსათუოდ უნდა მოეშორებინა.

თავისი დროის უკუღმართობამ, თავად-აზნაურობის ნაწილის აღვირაწყვეტილობამ, ქარაფშუტობამ და კარიერიზმმა ათქმევინა საქართველოს მეორე სულიერ მამას — აკაკის — შემზარავი სიტყვები: ფურთხის ღირსი ხარ, შენ, საქართველო.

ეს ხომ სიმწრის ამოძახილი და სულის ტრაგიკული კვნესა იყო!

ილიამ კიდევ უფრო მეტად გაათრგბული სარკაზმით დაახასიათა თავისი თანამედროვე ქართველობის სწორედ იგივე ნაწილი:

...მტვერწყარილი,  
თავდახრილი,  
ყოვლად უჭმი, უღიერი;  
უხლდლონი,  
გზამრულონი,  
არამატანი და ცბიერი;  
მტრის არმცნობი,  
მოყვრის მგობობი,  
გარეთ მხდალი, შინ ძლიერი;  
არრის მქონე,  
არრის მცოდნე,  
უზრუნველი და მშიერი.

ერთსაც და მეორესაც, ილიასაც და აკაკისაც, სხვა თანამედროვეებზე უკეთ შეეძლოთ გუნდრუკი ეკმათ საქართველოსათვის. მათ ამის დიდი საბაბი და საფუძველი ჰქონდათ ქართველი ერის გმირული ისტორიის და აწმყოს სახით. კიდევაც დაგვიტოვეს ქართველი ადამიანის ამაღლებული სულის ამსახველი უკვდავი ნაწარმოებები, მაგრამ მათ თავიანთ პატრიოტულ მოვალეობად, ახალი თაობების მამულიშვილური აღზრდის საშუალებად დასახეს ფიზიკური შემოქმედება, ნაკლოვანებათა დაუზოგავი და შეურიგებელი მხილება, ყოყოჩობის, ფუქსავატობის, ბრეიქობის, კარიერისტული ცთუნების, ბრიყველი თვითკმაყოფილების დაგმობა და წინსვლის, განუწყვეტელი ძიების ცხოვრების წესად გადაქცევა.

ერის დიდ მამებს სხვებზე ნაკლებ როლი უყვარდათ თავიანთი მრავალტანჯული ქვეყანა, მაგრამ მათ არ შეეძლოთ იმგვარი ფსევდოპატრიოტული ლოზუნგების გადმოსროლა, როგორც შიგადაშიგ ვისმის ხოლმე ჩვენს წიგნებსა და საჯარო გამოსვლებში, უფრო ხშირად კი სუფრაზე და პირად საუბრებში: „გაუმარჯოს ყოველივე ქართულს!“ ანდა: „ქართულია — კარგია!“

განა დიდი რწმუნება არის საჭირო იმის დასამტკიცებლად, რომ ამ და მსგავს „ლოზუნგებს“ მხოლოდ გონებაშეზღუდული ადამიანები ისვრიან? მათ, შესაძლოა, გულით უყვართ თავიანთი ქვეყანა, მაგრამ საკუთარი წინდაუხედაობისა და გონებრივი არასრულფასოვნების წყალობით მხოლოდ და მხოლოდ დათვურ სამსახურს უწევენ მას. მაშ, რას ნიშნავს, „ქართულია — კარგია?“ ამგვარი, უკაცრავად პასუხია, პატრიოტები აჩლუნგებენ თანამემამულეთა, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობის საღი აზროვნების უნარს.

ამას ვამბობ და ერთი საგულისხმო მაგალითი მახსენდება.

ორი თუ სამი წლის წინათ საქართველოში სტუმრად ჩამოვიდა გამოჩენილი იტალიელი პოეტი და მოღვაწე ჩვენის მივიღეთ უცხოეთთან კულტურული

ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებაში. სტუმარი, რომლის გვარსაც ვეგანზრახ არ ვასახელებ, თავისი მშობლიური კულტურის, განსაკუთრებით კი მწერლობის ჩინებული მცოდნე და, საერთოდ, ფრიად დაკვირვებული კაცი აღმოჩნდა. ის არ ჰგავდა ზოგიერთ ქართველ მწერალს, რომელიც მხოლოდ პლუტარქეს კითხულობს და რომელიმე თანამოკალმის ნაწერს, ნიჭიერია ის თუ უნიჭო, სათოფეზე არ ეკარება.

სტუმარმა ყველაფერი დაწვრილებით იცოდა თანამედროვე ლიტერატურისა და შიგ ისე თავისუფლად დაცურავდა, როგორც თევზი წყალში. სალამოს ვახშმად მივიწვიეთ საპატიო სტუმარი.

მას სუფრაზედაც საღად და მოკრძალებულად ეჭირა თავი, როგორც საზოგადოდ უნდა ეჭიროს თავი ყოველ განათლებულ და წესიერად აღზრდილ ადამიანს.

დავლიეთ, რასაკვირველია. ალბათ დენოც მოგვეკიდა. უცებ სუფრის ერთ-ერთი წევრი, ვისაც ყველა ჩვენგანი დამეც სხვებთან ერთად უაღრესად დიდ პატივსა ცვემთ, წამოდგა და ხმამაღლა თქვა, რომ სტუმარმა, ეტყობა, ხეირიანად არც კი იცის, სად იმყოფება, რომ საქართველო უძველესი კულტურის ქვეყანაა და ა. შ.

სტუმარი გაკვირვებული მისჩერებოდა საქართველოს დამცველს. მას ეს რისხვა თუ უეცარი პატრიოტული აღტკინება არაფრით გამოუწვევია. მე მაშინ, როგორც იტყვიან ხოლმე, ღმერთს მადლობა შევწირე, რომ სტუმარმა რუსული ენა არ იცოდა. არ გადაუთარგმნეს. რასაკვირველია, სულ სხვა რაღაც მიუკბ-მოუკიბეს, თუმცა ფიცხი პატრიოტი მოითხოვდა, ახლავე ყველაფერი უთხარიოთ.

თუ მეტი არა, ამ ჩვენს პატრიოტს ერთი რამ მაინც ავიწყებოდა — ვინ იღვამის წინაშე. ეს იყო რომიდან სტუმრად მოსული კაცი, ცნობილი იტალიელი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, იმ ქვეყნის ღვიძლი შვილი, რომელსაც ფერწე-

რისა და ქანდაკების, პოეზიისა და მუსიკის მსოფლიო ოლიმპო ჰქვია.

სიამაყის გამომჟღავნებას ტაქტი და გონიერება უნდა. თავიდან ბოლომდე გაუზრებელი სიამაყე, ისიც ეროვნული, მხოლოდ გავაწითლებს და ზიანის შეტს არაფერს მოიტანს. ეროვნული ვინაობა და სიამაყე ჭეშმარიტმა მამულიშვილმა სულ სხვა მხრივ უნდა გამოამჟღავნოს.

განა ამის ცოტა მაგალითი მოგვეპოვება?

1964 წლის აგვისტოში მოსკოვში თავი მოიყარეს დედამიწის ხუთივე კონტინენტიდან მოსულმა ანთროპოლოგებმა და ეთნოგრაფებმა თავიანთ მეშვიდე საერთაშორისო კონგრესზე. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დავალებით იქ ერთ-ერთი მთავარი მოხსენება, ფრიად ორიგინალური როგორც საკითხის დაყენების, ისე ფორმის მხრივ, „ანატოლიური ენები და მცირე აზიაში ინდო-ევროპული ტომების დასახლება“, წაიკითხა ქართველ ფილოლოგთა უმცროსი თაობის წარმომადგენელმა, მეცნიერებმა. თა დოქტორმა თამაზ გამყრელიძემ. აქ მკითხველს უნდა გაეახსენოს, რომ ეს ახალგაზრდა დოქტორი ძმა გახლავთ რევაზ გამყრელიძისა, რომელსაც ახალი თვალსაჩინო გამოკვლევების გამო ვარიაციათა აღრიცხვის დარგში დიდი ლენინის სახელობის პრემია მიენიჭა.

თამაზ გამყრელიძემ იმიტაც განაცვიფრა მსოფლიო კონგრესი, რომ გარდა კლასიკური ენებისა, მოხსენების კითხვის დროს რუსულ, ფრანგულ, გერმანულ, ინგლისურ და, ასე გასინჯეთ, ესპანურ ენასაც კი თავისუფლად იყენებდა და თარჯიმანის როლსაც თვითონ ასრულებდა.

ახალგაზრდა დოქტორის შეჰბედეს და კონგრესზე ჰკითხეს, ვისი მოწაფე ბრძანდებითო. მან თავისი ქართველი მასწავლებლები, თავისი ქართული უნივერსიტეტი და მეცნიერებათა აკადემია დაასახელა.

თამაზ გამყრელიძეს იქ არ დასჭირვებია მტკიცება უძველესი კულტურის მქონე ერის შვილი ვარო. მან საქმით წა-

რომადგინა თავისი ერი და ქვეყანა. ყველა ამ ყველაფერი თვალნათლივ დაინახა და საკუთარი ყურით გაიგონა. კახაბერი კახაბეროზაზე უარს ვერავინ ეტყვის...

აი, ეს არის, მე მგონია, ნამდვილი ეროვნული სიამაყის გრძობა! დაიცავი შენი ადამიანური, მეცნიერული, მწერლური ღირსება, ღირსება მუშისა თუ კოლმეურნისა, პატივი ეცი და მთელი ძალღონე მოახმარე იმას, რასაც ემსახურები და, გწამდეს, ეს იქნება შენი ეროვნული სიამაყე საკუთარი თავისა და სხვების წინაშე!

სასიამოვნო მაგალითებს რა გამოლევს...

ერთი ჩვენი თანამემამულის ცხოვრება ისე მოეწყო, რომ ბედმა თუ უბედობამ შორეულ ტუნდრაში გადააგდო. იგი ექიმი იყო, მაშინ ახალგაზრდა კაცი. ყინულის უდაბნოში, სადაც ზაფხულობით მხოლოდ მღიერი ხარობს, შვიდი წელი გაატარა და შვიდი წლის ყოველი დღე ადგილობრივ მოსახლეობაში სიკეთის თესვას მოახმარა. ამ უანგარო ადამიანის წასაყვანად, სწორად მაშინაც კი, როდესაც ის თვითონაც ავად იყო, ხანდახან ასი კილომეტრით დამორბეული ადგილებიდან მოდიოდნენ წლისა და დღე-ღამის ყოველ დროს და მსხნელი მკურნალი ძაღლებშებმული მარხილით მიჰყავდათ. ვინ მოთვლის, გზაში რამდენი ქარბუქი წამოსწევია და მისი სიცოცხლაც ბეწვზე რამდენჯერ დაკიდებულა! ავადმყოფის შველა მისი წმიდათა-წმიდა მოვალეობა და პირადი სიამოვნება იყო. ის არ ელოდა და, რასაკვირველია, არ იღებდა არავითარ გასამრჯელოს. ჩრდილოეთის ქალაქ ვორკუტაში ლეგენდასავით დარჩა ქართველი ექიმის სახელი, სახელი დავით კვიციანიშვილისა, რომელიც ამჟამად ჩვენს შორისა და აგერ, რუსთაველის მოედნის მახლობლად, ვერაზე ცხოვრობს.

ვერ დავიმალავთ: როდესაც ამ ამბავს მომითხრობდნენ კომის ავტონომიური რესპუბლიკიდან სტუმრად ჩამოსული ადამიანები, თვალები ცრემლით მევესებოდა. ეს, ალბათ, ისევ ეროვნული სი-

ამაყე იყო. ცრემლი ხომ დიდ სიხარულსაც სჩვევია. ექიმ კვიტიანიშვილს ახლაც საქართველო ჰქვია ვორკუტელი მონადირეებისა და ტყის მჭრელების თვალში, საქართველო, სამშობლო ექიმისა, მშობელი გაჭირვებულთა მშველელისა.

თავადვე ვგრძნობ: გულის გამხარებელი მაგალითები თითქმის ერთფეროვანი გამოვიდა. თამაზ გამყრელიძეცა და დავით კვიტიანიშვილიც ინტელიგენტები არიან. განა ცოტა მსგავსი მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა ჩვენი კოლმეურნე გლეხობის ან მუშათა კლასის ცხოვრებიდან?

აი, თუნდაც ერთი, მეტად უპრეტენზიო და არცთუ ისე თვალში საცემი მაგალითი. სოფელში, სადაც მე დავიბადე და გავიზარდე, ცხოვრობდა ერთი ღარიბი გლეხი, იასონ გაბაძე. ახლა ის ცოცხალი აღარ არის, დიდი ხანია, რაც გარდაიცვალა, მაგრამ მე არასოდეს დამავიწყდება ეს შრომისმოყვარე და თავისებურად ხალისიანი ადამიანი, რომელსაც თავის ახალგაზრდობაში ბედმა არ გაუღიმა და ვერ იქნა, სიღატაკიდან ვერ გამოვიდა. იასონს დარჩა შვილი, დავითი. სოფელში მოფერებით დათიკოს უძახიან. ჩემს პატარა ბიჭობაში მან ცოლი მოიყვანა და მამა-პაპის ნაფუძარზე ახალი ცხოვრების შენებას შეუდგა. გარემოებამ, რასაკვირველია, ხელი შეუწყო, მაგრამ ამ ერთმანეთისათვის გაჩენილმა ორმა ახალგაზრდა ადამიანმა მაინც იმოღვინა შრომისმოყვარეობა და გულმოდგინება გამოიჩინა, ორივე ისე გამოადგა სოფელ-ქვეყანას, რომ სულ მალე ყველა მათი შემწე და დამხმარე გახდა.

დავითის გათოხნილ, გასხლულ თუ შეწამულ ვენახზე დიდსა და პატარას თვალი რჩებოდა. მოხუცები, მამის ტოლი ხალხი, მარჯვენას ულოცავდნენ, ახალგაზრდები კი ხელებში შეჭყურებდნენ და ცდილობდნენ საქმე მისებურად გაეკეთებინათ. ჭრილი თავსაფრით თმა-გაკრული და მცხუნვარე მზის სხივებით

სახეშეტრუსული მეუღლეც იქვე ტრიალებდა...

ამჟამად დავით გაბაძე თითქმის საჩვევო ნებელი მოსახლეა სოფელში და, როდესაც იქ სტუმრად ჩავდივარ ხოლმე, სიხარულით გულადგერებული, მართლაცაა კანონიერი სიამაყით ვავცქერი დათიკოს ოდის საკვამურიდან ამომავალ ბოლს. დავითს ბავშვები წამოეზარდა. ახლა ისინი იმავე ბილიკით დადიან სკოლაში, რომელსაც ოდესღაც ჩვენ ვთელავდით ხოლმე...

დღეს იქნება თუ ხვალ, ნატვრას ავისრულებ და მშობლიურ სოფელს უცხო სტუმრებთან ერთად ვეწვევი. მინდა ყველას ვანახო და ვავაცნო ღმილიანი კაცი დავით გაბაძე, ქართველი გლეხი, ჩუმი და საიმედო ზურგი თავისი ქვეყნისა, მინდა ვამაყო...

აბა ვინ არ იცის, რომ ყოველივე ქართული, განურჩევლად — მე ისევ იმ გულუბრყვილო ლოზუნგს ვუბრუნდები — არ არის გამარჯვების ღირსი. პირიქით, ზოგი რამ, დრომოკმული და უარსაყოფი, დაგმობის ღირსია.

ყოველ ცოცხალ ერს, ადმავალს, წარსულსა და აწმყოზე დაფუძნებულს, აქვს ხასიათის რიგიანი და ურიგო მხარეები. ერის ხასიათი, მისი ავი და კარგი, ტრადიციებში ვლინდება. ტრადიციების სრულყოფისავე სწრაფვა, რასაც ყოველი საღად მოაზროვნე ერი უნდა ეტანებოდეს, მარადიული და ამოუწურავია, როგორც ახლის წარმოშობა და სიცოცხლის მრავალფეროვნება.

ზნეობრივი სრულყოფისავე ერს უბიძგებენ მხოლოდ ღრმად განათლებული, ბევრის მნახველი და საღ აზრს ნაზიარევი უკეთესი შვილები. უფროსი თაობების ადამიანებს ვესურს სწორედ ასეთ უკეთეს შვილებად ვიგულოთ ჩვენი დღევანდელი და ხვალინდელი ახალგაზრდობა.





## ნია აბესაძე

### ბორჯომის სიმფონია

1

მხოლოდ სიმაღლე და მწუხრისფერი  
ამოხეთქილი ცისკენ ნაძვები,  
წიწვების ტვერში მზის სხივთა მტვერი  
და უსასრულოდ შორი მანძილი.  
მხოლოდ სურნელი, რითაც ივსება  
ფიჭვების მაღლა წასული ტანი  
და დაფანტული ტყეში ნისლევი —  
ზღაპრად დაკარგულ ასულისთანა...

2

ხეების ღუმლის ჰქვია შრიალი,  
მაგრამ შრიალი არ იცის ფიჭვმა...  
კევის ცრემლებით ევსება თვალი  
და ტანზე ეკლებს დააყრის იჭვი.  
როცა დღის ნათელს სიბნელე დაძლევა,  
შეჰყურებს ფიჭვი გულხელდაკრეფით,  
ქარი რომ ლეწავს ნაძვების ანძებს  
და იფლითება ღრუბლის აფრები.  
ტვერი თანდათან ნისლით ირთვება,  
სასოწარკვეთილ კაცის ფიქრივით  
და ბორჯომულას მწვანე ზვირთები  
სულმოუთქმელად მტკერისკენ მიჰქრიან.

3

ტალღამ ხომ მაინც იცის ხმაური,  
ტალღას სიჩუმეც სცოდნია დიდი...  
მდინარეების გზა უცნაური  
ვინ იცის, საით ან რატომ მიდის!

შორს სადღაც ერთუროს ხვდებიან მთები,  
შორს ორთქლმავალიც იკივლებს ობლად,  
ამ ხმაზე გული უეცრად კრთება,  
რადგანაც ორჯერ არ მოდის ტრფობა.  
რადგანაც ახლა თითქმის ერთიო,  
რატომ ცახცახებს შიშისგან ფიჭვი...  
და თუ ამქვეყნად სადმე ღმერთია,  
მასაც აწამებს არყოფნის იჭვი.

4

მაგრამ ამოდის მზე გარიჟრაჟზე,  
რომ ტყეს შეეძლოს დიდხანს გაძლება,  
დარჩეს სიმაღლე და ცის მიჯნაზე  
ამოხეთქილი მწვანე ნაძვები.  
არ შეიძლება ეს ტყე დაიწვას,  
არ შეიძლება წაიქცეს ეს მთა!  
ჩასჭიდებიან მშობლიურ მიწას  
უბერებელი თითები ფესვთა.  
ცაზე ღრუბლები ნელა ორთქლდება,  
მწვანე ნაძვები მზისაკენ ილტვის,  
თითქოს დამთავრდა ყველა მოთქმა და  
სიცოცხლის წუთებს ხელახლა ვითვლით.

გ ზ ე ბ ი

არ ახდენილა ბევრი ზმანება,  
მზეს მაინც ღიმით ვხვდები...  
მე ქვეყნად ერთი რამ მენანება —  
მიტოვებული გზები.

იმ გზებზე ახლა იქნებ ბინდია  
ან მთვარე შარას ვერცხლავს,  
ისინი იქნებ შორით მიდიან,  
იქნებ გადასცდნენ ზეცას.

მე კი დაკლაკნილ ვიწრო ბილიკებს  
შეეწირე დიდი გზები  
და ორთქმავალი როცა იკივლებს,  
ბაქანზე მარტო ვრჩები.

თავსაფარს ვაქნევ, განზე გავდგები...  
ნისლი შებურავს გორებს.  
და ხელს უწვდიან ლიანდაგები  
დაუსრულებელ შორეთს.

ზღაპრული შუქით იქ ენთებიან  
მთები, კლდეები, ზღვები...  
უსასრულობას უერთდებიან  
მიტოვებული გზები.

არაგვის პირას

ხასხასა მდელის მზე აკაშკაშებს,  
აუღესიათ ფიჭვებს წიწვები.  
მალლა გორიდან უბელო რაშებს  
მოაჭენებენ ფშავი ბიჭები.

ვერცხლის წკრიალი ისმის ჩქერებში,  
ელავს კალმახი — სახმლე ფოლადი.  
მთებია მიწის დამამშვენები,  
ქვა — მოლალატის ჩასაქოლავი.

აქ დადიოდა ვაჟა ზევსივით  
და მუხლს იდრეკდნენ მაღალი მთები.  
და ივსებოდა ლურჯი ზეფირი —  
ნატიფი ლექსის მარგალიტებით.

არაგვის პირზე ძეწნა ეხვევა  
წყალში ფეხჩადგმულ პატარა ტირიფს...  
ვაჟამ იტირა ტკივილი ყველა,  
ამიტომ ძეწნა აღარა ტირის!

მინც მანაღვლევს

მე მახსოვს შენი გამბედაობა —  
ბობოქარ ზღვასთან შებმა უტიფრად...  
ნუთუ დაბერდა ჩვენი თაობა,  
მუხა ნუთუ დროს გამოუფიტავს?

მაშ, რატომ აღარ მოდიხარ ზღვაზე,  
რატომ ვერ იცლი ზვირთთან სახუმროდ...  
შენი თვალების შავ სიხასხასეს  
რისთვის დავეძებ და ვერ ვნახულობ?

მე შენს ეზოში შევხვდი გოგონას,  
შენი თვალებით, შენი ტუჩებით.  
ვერ ვნახე ღობის ძირში ოღონდაც  
პორტენზიების ლურჯი ბუჩქები.

და შენი სახლის ცისფერ მეზონინს  
ველარ შევხვდე სხვა სახლთა შორის...  
გახსოვს, იქ სულთა რღვევას ვებრძოდით,  
დიდი ხნის წინათ, როცა დავშორდით.

10. 336.

ის სახლი გაქრა და მეზონინიც  
მალალი სახლის ქვიტიკირმა შთანთქა.  
თვალი შეეასწარ შენი მეზობლის  
ემშაკურ ღიმილს რკინის ჭიშკართან.

ის სახლი გაქრა, სხვა დგას მის ნაცვლად  
და სადღაც ჩუმად მაინც მანაღვლებს,  
რომ ხის ძელებთან უცებ დანაცრდა,  
რაც ეკუთვნოდა ჩემს გულს მანამდე.

## ნელი ბაბიჩიძე

### ოთხი ლექსი

\* \* \*

შენ გაეცანი საოცარ სიტყვებს,  
ბუნდოვან სიტყვებს „როდემდე“, „რატომ“...  
შენ ხელისგულში მდინარეს იტყე  
და ვარსკვლავების სიმაღლეს ნატრობ.

ყვითელ ფოთლებში ქალური სევდა  
გაიოცე და შეიგრძენ გვიან.  
პატარა გოგო გეძახის: — დედა!  
და ოქროსფერი ქარები ქრიან.

შენ ამბობ: გული მევსება სევდით...  
„ღლეები რბიან და მე ვბერღები“.  
ლამაზი ჩრდილი მოგყვება გვერდით  
და ქანაობენ თეთრი კედლები.

და მეორდება ისევ თავიდან  
უცხო რამ ფიქრი: „როდემდე“, „რატომ“,  
მდინარესავით იფერებ ამინდს  
და ვარსკვლავების სიმაღლეს ნატრობ.

\* \* \*

დაზამთრდეს მაინც... ეს შემოდგომა  
ისე გრძელდება, ისე გრძელდება...  
დაზამთრდეს მაინც, და სიყვარული  
უფრო ნაკლებად გამიძნელდება.

და ნუ მომაცრის სახეში ქარი  
ამ ყვითელ ფოთლებს: ტყუილს და მართალს,  
უცხო თვალებით მიყურებს მგზავრი, —  
იგი ნამდვილად არ ნატრობს ზამთარს.

ო, მამატიეთ, დაზამთრდეს მაინც,  
ან რალაც მოხდეს ძნელი და მწვავე-  
ისევ შემაკრთობს მიყვარდა რაიც...  
და ყვითელ ფოთლებს ქუჩებში წვავენ.

და შემაშფოთებს ძვირფასი კვამლი,  
და ველარ ვარჩევ ტყუილს და მართალს,  
მძიმე ფიქრებით მევსება თვალი  
და რა ვქნა, ისევ ვინატრებ ზამთარს.

\* \* \*

საით შებრუნდა ჩემი მდინარე,  
გასაოცარნი კრთიან ქვიშანი,  
საით შებრუნდა ჩემი მდინარე,  
საით წკარუნებს ჩემი ეყვანი.

ვინ გამიღიმებს და ვინ მიშველის  
ან მწვანე სეტყვა საიდან უშენს,  
ან გაზაფხული რას მიიკიჟინებს,  
რა მოეჩვენათ მთაწმინდის ნუშებს

საიდან მოაქვთ პატარა ჩიტებს  
უცხო ნაყოფთა თესლი წითელი.  
ამ მზის ამოსვლა რას ნიშნავს ისეთს,  
რომ მაგიწყდება დღე გუშინდელი.

და აუხდენელს რატომ ვლამობდი,  
გარიყულ თევზზე სდუმან ზღაპრები,  
მზე კი ამოდის, მართლა ამოდის  
ნარინჯისფერი დიდი ფარფლებით...

\* \* \*

როგორც ნაწყვეტი წითელი ძაფის,  
როგორც ბუძბული პაწია ჩიტის,  
სივრცეში რჩება სულ უმნიშვნელო  
ყოველი სიტყვა, რომელსაც იტყვი.

შენ ვერ შეიგრძენ სინათლის ფასი  
და თეთრ სიმაღლეს მიტომ შორდები,  
შენ განა მადლი დაღვევი ქვაზე, —  
ქვაზე დააწყვე შენი ცოდვები.

შემდეგ კი, თუმცა მოჭიდა სეტყვა,  
იგივე დარჩა ლოდი სოველი,  
მას კარგად ახსოვს ყოველი სიტყვა  
და მოძრაობა შენი ყოველი...

**ქალის ხმა კოსმოსიდან**

ჩამოდიოდა ცა ღამით ახლოს,  
ზეცა მეხატა ღია თვალეზში.  
მე ვიცი კაცი, ავიდა მალლა  
და... გვირილების ტევრზე დაეშვა.

მაინც მიხმობდა რაში თავნება,  
რაში, რომელიც ლაქვარდს მიარღვევს,  
არ მასვენებდა ზეცის ზმანება  
და მიზიდავდა ყველა სიმაღლე.

\*

ჩემია გზები აღმოსავლეთის  
და დასავალი არა მაქვს არსად.  
შვიდი მნათობის მადგას გვირგვინი  
და ვარსკვლავები ნათლობას მთხოვენ.

ვარ იუნონა  
და ჩემი ეტლი მიაქვთ ფრინველებს...

თვლები მაინც შენ დაგეძებენ  
და მეჩვენები მიუწვდომელი,  
ვით გუშინ ზეცა.

ხელები მხოლოდ შენ დაგეძებენ  
და მიკრთის ცაში აჭრილი სული,  
რომ ვერ გეხები.

ხარ დედამიწა  
და უშენობა ვერ ავიტანე...

\*

ღიადი იყავ შენ უჩემოდაც,  
თვით საოცრება შენს გზებს მოელტვის,  
მზე რომ ოცნებად არ დამრჩენოდა,  
ჩემთან იყავი ყველგან, ყოველთვის.

ჩემი სურვილი მწვერვალზე შედგა,  
შენი დიდების საჭე მომანდე,  
ყვავილის ტოტი წავიღე შენგან  
და გაზაფხული ენთო ხომალდზე.

**წ ნ ო რ ე ბ ი**

ისვენებს ქარი, ისვენებს ქარი,  
წვიმა ცრემლივით ქრება, ილევა...  
ცხელი შუადღე სავსეა მწვანით  
და ღღეს ფოთლები არ იტირებენ.

რად დაშვებულან ასე ირიბად,  
ასე უმწეოდ მათი რტოები,  
მიწისკენ დახრა რატომ ინებეს,  
და ზეცას ასე რატომ სტოვებენ.

აღბათ ზეცაში ნაპოვნი სწორი  
აქ დაეკარგათ სადღაც, მიწაზე.  
ჭიამაია, უშველე წნორებს,  
თორემ ელევათ თვალში სიმწვანე.

---

ღიღი ნუსუბიძე

**შენ შეგიძლია**

შენთვის რამდენი ცრემლი მდენია  
და რა ხანია შენს თავს ვიჩემებ,  
თუმცა არც ერთხელ არ დაგცდენია, —  
რომ არ გიყვარდე, ვერ დაგიჯერებ.

შენი ღიმილის შუქში ვილაღებ,  
გამიცისკროვნე მთელი სამყარო, —  
შენ შეგიძლია ყველა სიმაღლე  
ფეხდაუდგმელად გადამატარო.

ჩემი თვალეზი როცა გნახვენ,  
საოცარ შუქით გაიცინებენ...  
შენ შეგიძლია მომკლა ახლავე  
და გამაცოცხლო, როცა ინებებ.

**ა ნ ა ნ უ რ ი**

ტყეში სიო დარბეული,  
მდელო ცვარით დანამული,  
რძისფერ ნისლში გახვეული  
არავგი და ანანური.

ვხედავ, თითქოს კვამლი ასდით  
მკერდშეზოლილ სათოფურებს,  
საქართველოს ძუძუს მადლი  
რა სიამით გადმომყურებს!

ცხელი სისხლით გაპოხილა  
ფართო ეზო-გალავანი,  
წელში მაინც არ მოხრილა  
ციხეა თუ ფალავანი.

ტყეში სიო დარხეული,  
მდელო ცკარით დანამული,  
რძისფერ ნისლში გახვეული  
მხრებგაშლილი ანანური.

## იზა ორჯონიკიძე

### გ ზ ა ზ ე

აქ სად მოსულა ამდენი შვინდი,  
ეს კლდე რა ხელმა გადმოაქანა,  
ისე ახლოა ახლა ცის კიდე  
და ისე მიჰქრის გზაზე მანქანა,  
ისე ამიტანს სურვილი ლტოლვის,  
ისე მომყვება მზის ცხელი ბირთვი, —  
ასე მგონია, სადმე გიპოვი  
და ისევ მთებში დაგკარგავ სხვისთვის.

### წ ვ ი მ ს

სახურავეებზე უდარდელი  
წვიმა ხარხარებს  
და მერე მირბის,  
ქუჩებში მირბის,  
მივრბივართ ერთად  
და ვგრძნობ: მელის რაღაც ახალი  
და მზე და წვიმა  
ათასფერად იღვრება ირგვლივ.  
პატარა ბიჭი  
სველ უბეში იტენის ვაშლებს;  
ახარებს წვიმა,  
ასკინკილით ჩაირბენს ბექობს, —  
ეკალიბტები თმაგაშლილი მოდიან ქარში  
და სახლებს ავებს  
აბორგებულ ტალღათა ექო.

ს უ რ ა თ ი

მთვარემ გაფანტა ნისლი თეთნულდის  
და ჩამოჰხედა თამამად ქვესკნელს,  
და ვარსკვლავებით განათებული  
ოქროს გემივით მოცურავს ჩემკენ.

მოცურავს მთვარე, როგორც იმედი.  
ხევში ჩაკარგულ ბილიკებს ეძებს...  
და მისი თეთრი, თბილი სხივები  
სატრფოს ხელივით მაწყვია მხრებზე.


იკინა უზუკიძე


ს ა ლ ა მ ო

ფოთლების ნელი შრიალით  
თვალი მილულეს ვარდებმა.  
ცაზე ვარსკვლავი აენთო,  
ღღე მიიწურა, ღამღება...  
გლეხი ყანიდან ბრუნდება,  
შეხედავ, გაგიხარდება.

მხოლოდ ყაყაჩო

ო, იმ ლოდისქვეშ... არავის ახსოვს,  
რომ განისვენებს სული დაღლილი.  
არავინ მიდის, ვერხვის ხეებიც  
არ ააქტიონებს ტოტებდახრილი.  
ყოველ გაზაფხულს, როცა დათბება  
და აყვავდება გულმკერდი მიწის...  
უცნობ საფლავეზე მხოლოდ ყაყაჩო  
ამოდის, იწვის,  
ამოდის, იწვის.





ԲԱՅՅԱՆՅԱՆ

ԷՈՅՈՒՆ

ՊՈՒՆԻՄԱՆ



პაპაჩემი ძველი ყაიდის კაცი იყო. ახლა ისეთებს იშვიათადღა შეხვდებით! წერა-კითხვა ხარის ბეჭზე ესწავლებინათ, ორი დღეაქნის კი ჰქონდა: ერთი ზემოთ, სოფლის შუაგულში, „მილის წყარო“ რომ არის, იმის უკან; მეორე კი დღე ქვემოთ — მარტყოფ-ნორიოსკენ მიმავალი გზის პირას, წისქვილის გადასწვრივ.

ვენახებიც ჰქონდა: „ყარაბულახი“ — დიდი, გრძელი ვენახი, და „თოკები“ — პატარა, მაგრამ მოვლილი, თავმოსაწონებელი. „ეს დრო რომ დადგა“ (როგორც ადრე იტყოდნენ ხოლმე), დუქნები დააკეთინეს და კინალამ გააკულაკეს, მაგრამ ღმერთმა აცხონოსო, — ვილაც დიდ კაცზე ამბობდა, — იმან გადამარჩინაო. დარჩა ვენახების ანაბარა. ჯანი არ აკლდა, პირიქით, ჭიდაობდა კიდევ; თოხსა და ბარზე ხომ ზედ იყო შეზრდილი. კოლმეურნეობაში შევიდა. ბრალი უთაურისა და უქნარასი, თორემ მე ცივ ქვაზედაც ვიცხოვრებო. მართლაც კარგად ცხოვრობდა. გაზაფხულსა და ზაფხულში შრომობდა, ხშირბინდამდე შინ არ შევიდოდა. გვიანშემოდგომასა და ზამთარში კი — იჯდა მაგიდასთან, წინ შავი ხელადა და თიხის პატარა ჯამი ედგა, სვამდა საფერავის სურნელოვან წვეს და სადღეგრძელოებითა და მეგობართან საუბრით სოფლისა და კაცის ურთიერთობის საკითხის გარკვევას ცდილობდა.

სახლი დიდი ჰქონდა — ორსართულიანი, შუშაბანდითა და რიკულებიანი აივნით გამართული, მაგრამ ყველა ოთახს მარნის მომიჯნავე ძველებური დარბაზი ერჩია. დარბაზში ავურის ფილაქანი ეგო და მუხის სქელი დედაბოძი იდგა. ის დედაბოძი ოჯახის მატთანის მაგივრობას ეწეოდა. ზედ ეწერა: ვინ როდის დაიბადა, ვინ როდის გარდაიცვალა, ვინ როდის მონათლეს...

აქეთ, მარნის მხარეს, ერთი კედლიდან მეორემდე, ფარდაგადაფარებული ტახტი იყო გაგრძელებული. ის ტახტი ჩვენ გვეკუთვნოდა. ჩვენ გადავდიოდით

ყირა-ყირას, ბავშვები. თუ ცა ჩამოვარდნილა და ვერავის დაძახებდა ვერ მოახერხებდა, თანამოსუფრეებად პაპა ჩვენ დავგისხამდა. მკრელი სასხლავა დანა ჰქონდა. ცივად მოხარშულ ხორცს გრძელ-გრძელ ნაჭრებად დაგვითლიდა. აიღებდა დანის წვერით, ვაათიმთიმებდა, გაიკვირებდა — ოხ-ო-ხო, რა ნაჭერია, ვინც ამას შეჭამს, ნამდვილად მოჭიდავე გახდებაო. მოჭიდავეობა ყველას გვინდოდა. თანაც ძალიან მოგვწონდა მისი დანით დაჭრილი ხორცი და მე და ჩემი ბიძაშვილები ერთმანეთს ვეჯიბრებოდით, ვინ უფრო მეტს შეჭამდა. პაპას ეს ძალიან ახარებდა და დავგიძახებდა:

— ეგრე, გენაცვალეთ, აი, ეგრე თქვენი ჭირიმე, გაიზარდეთ და გაუმრავლდით პაპასაო.

ობლობაში იყო ვაზრდილი, მაგრამ ჩაცმა-დახურვის პეწს, გლეხკაცის კვალობაზე, საკმაო დალას უხდიდა. კარგ ვაჟკაცს ტანისამოსიც კარგი უნდა ეცვას, შესაფერისიო. სოფელში ისე არ გავიდოდა, დარიჩინისფერი ქულაჯა და შავადგაპრიალებული ჩექმები არ ჩაეცვა, სარკესთან არ მისულოყო და მოკლედ შეკრეჭილი თეთრი წვერი პატარა მაკრატლით არ შემოეკვერცხა.

თუშური ქუდი ეხურა, ალავერდობას ნაყიდი. მხრებზე თეთრ ყაბალახსაც გადაივდებდა. წელში გამართული მიდიოდა, ულვაშებში და თვალებში სინათლე უციმციმებდა. ო, ეს სინათლე მაშინ უნდა გენახათ, როცა ის „ზამთარს“ დაიწყებდა. „ზამთარი“ გაგიყვებით უყვარდა. „ზამთარი“ კარგ მოქმედებს ქართლიდან მოიპატეიებდა. ღმერთი აგრობივად არ ახსენდებოდა, მაგრამ ყველაზე მეტად ჩვენი სოფლის მღვდელს მეგობრობდა. ეს იმიტომ, რომ მღვდელს შესანიშნავი გუნდი ჰყავდა და თვითონაც გასაოცარი მობანე იყო; გასაოცარი მობანე და კაკლების მბერტყავი. სოფლის ყველაზე დიდ კაკლებს იმას აბერტყინებდნენ.

გარდა „ზამთრისა“ პაპას კიდევ უყ-

ვარდა: „მრავალყამიერ“, „შაშვი-კაკა-ბი“, „ჩაქრულო“, „ბერიკაცი ვარ“, „გუშინ შვილნი გურჯანელნი“, „ჩენი მასპინძლის სასახლეს“ და ორიორდე ასეთი. სხვა დანარჩენს საღლაბუცოს და საბიჭუჭო სიმღერებს ეძახდა.

ეს ყველაფერი, რაც აქამდე ვთქვი, ზოგი დედაჩემისა და ბიძაჩემის ნამაზობებიდან ვიცი, ზოგი რამ მე თვითონ მიწახავს, მაგრამ ნანახიდანაც კი ვერცერთს ვერ გამოგიჩვენებ, რომელი როდის მოხდა, რა დღეს. მხოლოდ ერთი საღამო მახსოვს ძალიან კარგად, შობის წინა საღამო.

ეჭექე, ხვალ შობა უნდა გათენდეს. სერები ნისლში შეკარგულან. ნისლი ხეხილის ტოტებზეც იქნებება, ხორბოშელასავით მკერივ თოვლის ფიჭვებს უშენს, სადაცაა თოვლი მიწაზეც მოიკიდებს ფეხს, გომურის ბანი გადათებულა კიდევ. ბინდდება. სიბნელე და ნისლი ერთმანეთში ირევა.

ყველანი შინა ვართ, დაბლა, ძველებურ დარბაზში. პაპაც შინ არის. თავისი მჭრელი სასახლავა დანით იმ დღისით დაკლული ღორის ხორცს აბასტურმებს. ბებიც, დედაჩემი და ჩემი ძალუბებიც დიდ სამზადისში არიან. ღემელთან ტრიალუბენ, სწვავენ, ხარშენ. ღუმელს გვერდები გასწითლებია და ისე ცხელა, კარი ღია გვაქვს. კარში ჩენი დიდი, ბანჯგვლიანი სამურა ჩაწოლილა და დროგამოშვებით ნერწყვს ყლაპავს, ტუჩებს ილოკავს. ჩვენ, ბავშვები, ტახტზე ვართ ახორბოცებულნი. ვიცით, რომ ალილოზე უნდა ჩამოიარონ, და თვალი გარეთ გაგვირბის.

მართლაც, ის-ის იყო შებინდდა და წამოვიდა მეზობლების მხრიდან ტურების წკავწკავივით: „ჰე! ჰე! ჰე!“ მერე ჩვენს ეზოშიც შემოჩოქოლდნენ სულ პატარა ბიჭები, ხელში დიდ-დიდი კომბლები ეჭირათ, მამებისა თუ ძმების ფარაჯები ეცვით, ბოხბოხი ქუდები ეხურათ, ავაშენოთ, ავაშენოთო. სულმოუთქმელად ჩააჩიხრიხეს:

აქა ღორი დაკლულაო,  
ნაყელარი ჩვენიაო...

ბებიამ ხორცი, პურები და ხილი გაუტანა. ფათიფუთით ჩაყარეს მთელი მებარგულე ბიჭის ხურჯინში და წავიყვინდნენ სხვა ეზოსკენ, თითქოს ეშინიათ, სხვებმა არ მიგვასწრონო. შეიძლება მართლაც ასე იყო, რადგან ცოტა ხნის მერე ახლა სხვები მოვიდნენ, უფრო დიდები. იმათაც იმღერეს — თავიანთებურად, ვითომ უფრო ღინჯად. იმათაც გაუტანეს ხორცი, პურები და ხილი, დამატებით — ღვინოც. ისინიც წავიდნენ — ეზო-ეზო, სიმღერ-სიმღერით. თანდათან მიწყდა იმათი ხმებიც. დაღამდა კარგად. დაწყნარდა ყველაფერი, თითქოს დაიძინა სოფელმა; თოვლის ფიჭვებილა თამაშობენ ფანჯრიდან გასულ შუქზე. მიწა მთლიანად თეთრად არის დაფარული.

ჩვენ ძილი მოგვერია, გაგვიშალეს კიდევც, — იქვე, ტახტზე, ოთხივე ბიჭს ერთმანეთის გვერდი-გვერდ. ვიცელებით ლოგინში, დავეშოშინდით, ძილისწინა ოცნებებშიდა ვართ და... ეზოს ბოლოში, ალაყაფის კარზე რაღაც რაკარუკი ატყდა, მერე — ავაშენოთ, ავაშენოთო, — დაიძახეს ვილაყეებმა წყნარად. პაპამ ბეზიას უთხრა: — ისინი მოვიდნენო? ბებიც კართან მივიდა, გაიხედა, მობრუნდა და ჩუმად თქვა: — ჰო, ისინი არიანო. ჩვენ ლოგინიდან წამოვცვივდით და ფანჯარას ვეცით. არავინ არ გაგვეყრომია. პირველად ვერაფერი დავინახეთ, მერე თანდათან გავარჩიეთ: ათამდე შავი ლანდი შექუჩებულყო და რაღაცას ბჭობდნენ. მერე გამოცალკეებულნი, ხელაწყოლი მღვდელი ვიციანით — მაღალი, გრძელი-ანაფორიანი, მხრებზე დალალიბჩამოშლილი. მღვდელი გაშეშებულივით იდგა. სხვებიც გაშეშდნენ. მღვდილმა ხელი თითქოს რბილად ჩამოუკსვა ჰაერს და ვილაყამ სუფთა, მშვენიერი ხმით დაიწყო:

ოცდახუთსა ამა თვესა  
ქრისტე იშვა ბეთლემსაო...

პირველს მეორე აპყვა, უფრო სწორად — მეორე ხმამ დაიწყო და ახლა პირველ ხმას მიჰქონდა ლექსი. ეს ხმები ისე განსხვავდებოდა ჩვენს მეორე აქამდე მოსმენილი სიმღერებისაგან, რომ გავკვირვებისა და აღტაცებისაგან თვალებდა-

დიდებულებმა პაპას მივხედეთ. პაპა დედაბოძს მიჰყრდნობოდა, თავი დაეხარა, ულვაშებში და თვალებში ნაცნობი სინათლე ჩასდგომოდა. ბებია, დედაჩემი და ძალუაჩემებიც გააშეშებულეზებით იდგნენ და იმათაც თვალები უბრწყინავდათ. სიმღერა რომ ჩათავდა, ბებიამ და ძალებმა აფუსფუსება განიზრახეს. მაგრამ პაპამ ხელით ანიშნა — ჩუმადო და ისევ ადგილზე გაქვავდნენ. ჩვენ აქამდე ვჩურჩულებდით მაინც და, ეს რომ ვნახეთ, სუნთქვაც კი შევიკარით — ნეტავი რა უნდა მოხდესო. გარეთაც ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, თითქოს იქ მყოფნი მოჩვენებები ყოფილიყვნენ და გამქრალიყვნენ. და აი, ამ სიჩუმეში, რომელსაც, ალბათ, თოვლის ფიფქების შარი-შური თუ არღვევდა გარეთ, ნელ-ნელა გაიბა კვლავ ის სუფთა, მშვენიერი ხმა, რომელმაც ალილო დაიწყო. მაგრამ ახლა „ზამთარს“ იწყებდა:

ზამთარიო, ჰე, ჰარულალო...  
ზამთარი ვარდსა დააქნობს,  
ფურცელნი ჩამოცვივო...

მას შემდეგ ბარე ოცდაათი წელიწადია გასული. რა თქმა უნდა, ამ ხნის განმავლობაში კიდევ ბევრჯერ მომისმენია ეს სიმღერა და უთუოდ უკეთესად თქმულიც, მაგრამ, როგორც არ უნდა ასრულებდნენ და სადაც არ უნდა ვიყო — სუფრასთან იქნება თუ გაჩირაღდებულ თეატრში — მე მაინც ის „ზამთარი“ მესმის, იმ ზამთრის ღამეში ჩამდგარი ლანდები მიდგანან თვალწინ.

ისე ჩაათავეს მთელი სიმღერა, თითქოს არ უნდოდათ ბზარი რამ დაეჩინათ იმ კეთილი საღამოს ყოვლისმომცველი სიმშვიდისათვის. ეს სიმშვიდე რაღაც დიდი, დიდი იმედებით გვივსებდა ბავშვურ პატარა გულებს და გახარებულნი შეგვუბრებდით ხან ერთმანეთს, ხან ჩვენებს. პაპა ისევ დედაბოძზე იყო მიყუდებული. ისევ უბრწყინავდა ულვაშები და თვალები, მაგრამ ახლა თვალებში ცრემლებიც ედგა; კიდევ მტკი-

ეტყობოდა, ცრემლის რამდენიმე ცუტაცხალს ყავისფერი ლოყები ჩამოეხვეწებოდა და ქვემოთ, ულვაშებში ჩამშრალეზვნი! მერე დაინახა, რომ დერეფანში მღვდელი და ერთი კონტა ახალგაზრდა ბიჭი ამოვიდნენ; ბაღდადი ამოიღო და სახეზე მიისვ-მოსვა. მოველოდით, რომ მღვდელი ლოცვას და ასეთ რაღაცეებს მოჰყვებოდა, მაგრამ მან ფართოდ, სიხარულით გაიღიმა, ახალგაზრდა ბიჭს ბეჭებზე ხელი მოხვია, წინ წამოაყენა და გუგუნა ხმით დაიძახა:

— როგორია, პა! როგორია!

პაპამ ბაღდადი აღელვებული ხელით ჩაიკმუჭუნა ქამარში, ბიჭთან მივიდა, მხრებზე ხელები დააწყო, თვალებში ჩაშტერდა და ჯვარედინად გადაკოცნა. ესეც არ იკმარა, მიბრუნდა, ჩხიდან ახალთახალი თეთრი ყაბალახი ჩამოიღო. იმ ახალგაზრდა ბიჭს შემოახვია ყელზე, ტოტები უკან გადაუყარა და მაშინდა თქვა:

— ეს საჩუქარი არ გეგონოს, შვილო. შენ რომ მასიამოვნე, მეც მინდა ცოტა რამით გადაგიხადო. ღორები ხომ არა ვართ! ადამიანებს, სალაფავს გარდა, ხან ტყბილი სიტყვა გვჭირდება, ხან ტყბილი ხმა.

ამასობაში კი დერეფანში მთელი გუნდი ამოლაგებულიყო და კარიდან გასულ სინათლეზე აელვარებდნენ თვალებსა და კბილებს.

აი, ასე დამაძახსოვრდა ის შობისწინა საღამო, ბევრჯერაც მიაშხნია ხან ვისთვის. ხან ვისთვის. პაპაჩემის სიტყვები, რომელსაც მე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვაძლევ, ზოგს პატიების გამომხატველ ღიმოლს ჰგვრის ხოლმე და ღამის თავზედაც კი მომითათუნონ ხელი. მაგრამ მე მაინც, როცა ახლა ჩემს ნაწერებში რამეს მიხიდან, თუ ის საღამო და ის სიტყვები გამახსენდა, ისე მწარედ აღარ მეჩვენება იმ ფულით შექენილი ლუკმა.



რამდენიმე დღე განუწყვეტლივ ჟინყ-  
დღავდა. დადგა კვირა. მამა კოლმეურ-  
ნობაში არ წასულა. დილით გომური  
დახვეტა. მეც იქ ვიყავი, ჩვენი მურაც.  
ჭუჭნია ხომ სულ იქ იყო!

ჭუჭნიას ბოჩოლას ვეძახდით. ეს იმი-  
ტომ, რომ ჭუჭყიანს ჰგავდა. მხოლოდ  
ჩლიქები, თვალები და დრუნჩი ჰქონდა  
ლაპლაპა შავი. მე პურს ვაჭმევდი ხოლ-  
მე და ძალიან ვუყვარდი. მივედი და წინ  
დავუცუცქდი, დაბაბზე ხელი გამოვუს-  
ვი, მივეალერსე:

— ფუჩინა, ჩემო ფუჩინა!

ის ჯერ თავს მაღლა სწევდა და თავ-  
ლებს ლულავდა, მერე გამოყო სველი,  
ხაოიანი ენა და რბილად მომისვა ლო-  
ყაზე.

— შეხედე, მამა, მკოცნის-მეთქი.

მამამ გამოგვხედა, გაეღიმა და თქვა:

— ორივე მაიმუნები ხართ, შენცა და  
შენი ჭუჭნიაცო.

გომურის დახვეტას რომ მოვრჩით,  
ბულულიდან თივის გამოგლეჯვა დავიწყ-  
ეთ. მამამ შუბივით წამახული საგლე-  
ჯი მე მომცა, თვითონ კი ხელით გლეჯდა.  
ის თივა დასუფთაებულ ბაგაში ჩავყა-  
რეთ. ფუდედოსთვის ბევრი, ჭუჭნიასთ-  
ვის ცოტა. ჭუჭნიას მე კიდევ დავუმა-  
ტე — ცოდვაა-მეთქი. მაგრამ მამამ ისევ  
ფუდედოს მიჰკერძა.

— ჭუჭნიასთვის, შვილო, ვეცე მეტია,  
ფეხით გააფუჭებს, მაგას რძეო.

გომური გადავარზეთ, მამამ ხელში  
ამიყვანა, — ფეხები გაშალე, შარვალზე  
ტალახი არ წამისვაო, — გადააჭყაპუნა  
თავისი დიდი ჩექმებით აწუნწუნებული  
ეზო და მარნის დერეფანში დამსვა. დე-  
რეფანში აფუყული ქათმები შეგროვი-  
ლიყვნენ. მე გავქანდი, შევევარი შიგ  
შუაში და დავაწიოკე. ეტყობოდათ, ძა-  
ლიან ეზარებოდათ წვიმაში გასვლა, მა-  
გრამ მაინც გაცვივდნენ დიდის კაკანითა  
და წყრომით. იქ მურა დაუხვდათ, აფუო  
და ატყდა ერთი ვაი-ვიშო.

მამამ ჯერ მურას დაჰყვირა, მერე მე  
მომიბრუნდა.

— მეტი ჰქუა არა გაქვს მაგისტრის  
ბიქს, ჰა?

— აბაო, აბაო! — კვერს უკრავდა ბო-  
ხი ხმით წითელი მამალი.

მივხვდით, რომ კარგი რამ არ ჩავიდი-  
ნეთ, და იქით მურა აიძურწა, აქეთ მე-  
მურა კიბეეს ამოეფარა, მე ხელები ჯიბე-  
ებში ჩავიწყე, კედელს მივეყუდე და  
თავჩაღუნული გავჩერდი.

მამამ ცული აიღო და შემის ჩეხვას  
შეუღდა. თან ბუზღუნებდა.

— გამოუვიდა ქომაგი! რალა ქნას, ქა-  
თმებმა რომ დაუჩაგრონ ძმაცაცი!

ამას მურაზე ამბობდა და მე მსიამოვ-  
ნებდა. ჩუმ-ჩუმად მელიმებოდა კიდევ.

მერე ვენახების მხრიდან ფრთების  
წყვეტილ-წყვეტილი ქნევით სკვინჩა ჩი-  
ტები წამოვიდნენ და ბებერი კაკლის კე-  
წწეროზე დასხდნენ. კაკლის კეწწეროები  
ნისლში ძლივს ჩანდა, ჩიტები და ჭიანი  
კაკლები თითქოს ჰაერში იყვნენ გაჩე-  
რებული. — უუხ, რატო შურდული არა  
მაქვს-მეთქი. მამამ გაიგონა და მითხრა:  
თოვლი რომ მოვა, შურდულს მაშინ გა-  
ვიკეთებო. როდის მოვა-მეთქი თოვლი!  
მოვაო, რა გეჩქარებაო. დაჩეხილი შეშა  
მკლავებზე დაიწყო, მეც ვუშველე, რამ-  
დენიმე ნაჭერი მეც ავიღე, მაღლა ავე-  
დით და აივანზე დავყარეთ. მამა პირისა-  
ბნისკენ მიბრუნდა, მე კი ფეხსაცმელები  
დავიხადე, კარი ზათქანით გავადე და  
ლუმელის გვერდით დაფენილ ხალიჩაზე  
გადავკოტრიალდი.

დღეა სუფრას აწყობდა, შეკრთა. მერე  
აიღო ხის დიდი კოვზი, სიტყვა არ უთ-  
ქვამს, მწვდა და რაკვ! — შიგ თავში. რა-  
სა მცემ-მეთქი! ლუმელს რომ სცემოდი  
და ეგ ქაფქაფა რძე გადმოგსნმოდოა?!  
ჯერ მეც შეგფიქრიანდი, მერე გამეღიმა.  
ხომ არ გადმომსხმია-მეთქი და... კიდევ  
ერთხელ გადავკოტრიალდი ხალიჩაზე.

— დიდება შენთვის, უფალოო, — და  
იმ კოვზს ისევ უნდა მოელო რაკვანი  
ჩემს თავზე, მაგრამ მამამ შემოგვისწრო.

— რა იყო, რა ომი გაქვთო!

დღემ ერთითად გააპირიდა ჩემი  
საქციელი.

— ბიჭო, — თქვა მამამ, — აბა, მომხედე, რა ამბავი გაქვს შენაო! თან ისეთი ნაპერწკლები აუციმციმდა თვალეში, ველარ მოვითმინე, გაქვანდი და კისერზე ჩამოვეკიდე. კისერი მსხვილი და ცივი ჰქონდა. აბა, დაგზრი-მეთქი?! ძვრაც ვერ ვუქენი. მაშინ დედამ ხელი ჩააქნია და თქვა:

— შეჩვენდით თქვენ, მამაცა და შვილიც, კარგი ხალხი თქვენა ხართ. მოდით, პური ჭამეთ, რომ ახლა სხვა საქმე გაქვს გასაკეთებელიო.

მამამ თვალთ მანიშნა, ახლა კი დროა თავს ვუშველოთო. ხელეში დამაბანინა, თვითონვე გამიწმინდა, სკამი გამისწორა და მაგიდას მივუსხედით. მე პურჩაყრილი რძე დამიდგეს, მამას — ლობიო და ღვინო. დედამაც ლობიო დაისხა. მამა ხელით ჭამდა. წააგლეჯდა მოზრდილ ნატებს თონის რბილ პურს, წამოუსვამდა ლობიოს და გააქანებდა პირისკენ. ღონივრად ლეჭავდა და თან სულ ამას იძახდა:

— ოჰ, ოჰ-ო, ყველაფერი კარგია, მაგრამ ლობიოს არაფერი სჯობს, ლობიოს არაფერი სჯობსო.

ხანგამოშვებით ჭიქასაც ასწევდა, გაგვიმარჯოსო, ერთს ამას იტყოდა, დასცლიდა და დადგამდა მაგიდაზე. თვითონვე გაივსებდა, ცოტა ხნის მერე ისევ ასწევდა, გაგვიმარჯოსო, დასცლიდა და დადგამდა მაგიდაზე.

საუზმეს რომ მოვრჩით, დედამ საქმე გამოგვიჩინა—ლექტროტო რომ არის გადამწვარი, ის გამოიკეთეთო. გამოიტანა მამამ უთო და თავისი სახრახნისიანი დანა, დაჯდა ლუმელთან, გამოშალა გრძელი, გრძელი ფეხები და დავიწყეთ ჩხირკედლობა. მამა მიჯავრდებოდა, ხელი არაფერს ახლოო, მაგრამ მე მაინც ვიღებდი პაწაწინა ჭანჭიკებს და ქანჩებს — ერთმანეთს ვარგებდი, ერთმანეთის გვერდით ვაწყობდი. მერე მამამ შნურს ცოტა წააჭრა და ის მომცა. უთოს რალაცები გაუკეთა, ააწყო, ჩართო და გაბადრულმა გასძახა დედას:

— ნახე, რა ბიჭები ვართ, როგორ მუშაობსო.

— უფრო კარგი ბიჭები იქნებით, —

თქვა ღიმილით დედამ, — კარადის ხავეტსაც თუ გამოიკეთებთო.

— გავაკეთოთო? — მკითხა მამამ. გავაკეთოთ-მეთქი. მაშინ მივუსხედით კარადას, კარგა ხანს ვუჩხიკინეთ და ისიც გავაკეთეთ.

— როგორი ბიჭები ვართო?! — ისევ ჭკითხა მამამ დედას.

— ძალიან კარგი ბიჭები ხართ, — ღიმილით გვითხრა დედამ, — მაგრამ უფრო კარგი ბიჭები იქნებით, სხვენიდან ერთი ვედრო სიმინდი რომ ჩამოიტანოთ და დაფხვნათო.

— ოხ-ო-ხო! რა ქალი ხარო! — თქვა მამამ, მაგრამ ვედრო მაინც მოქებნა. შენ ძირს იდექიო, — მითხრა მე, — მე კი მაღლა ავალ და კავით ჩამოგაწვდიო. მე არ ვქენი, მეც მაღლა მინდა-მეთქი. ჯერ უარზე იყო, მერე ამიყვანა.

სხვენში — აქეთ კაკალი იყო გაფენილი, იქით — წითელი ვაშლები. აქ სიმინდი იდგა გორად, იქ — გოგრები. ხარიხებზე კიდევ — ხახვის გალები, ნივრის გალები, ნუშის პარკები, თხილის პარკები. მაგრამ მე ყველაზე მეტად ძირს ვადახედვო მაინტერესებდა. ლისზე ავბობლდი, ფეხის წვერებზე ავიწიე და ვადავიხედე. ოო, მიდიან შორს სახლების სახურავები და ნისლში იკარგებიან. ნისლში იკარგებიან კაკლისა და ალვისხეების კენწეროებიც. მთები არ ჩანს, მაგრამ ვიცი, რომ იქ ახლა სველ, გამხმარ ბალახებში გახუნხლული მელიები და ტურები დაყუნტებულან და თვალბდაჭყეტილი იყურებიან ჩვენკენ. წვიმა კი მოდის და მოდის.

მამამ ვედრო გაავსო და დამიძახა, ჩავიდეთო. მამა, შენ გენაცვალე, ბოტელა სიმინდი წამოიღე-მეთქი. მამას გაეცინა. მერე სიმინდებში ორი ეკალა ტარო ამოარჩია, ჯერ მე ჩამიყვანა კიბეზე, შემდეგ — ვედროს კავი მოსდო და ძირს ჩამომაწოდა. მე კავი მოგხსენი და ვედრო თრევა-თრევით წავიღე შინისკენ. მაგრამ რამდენიმე ტარო გადმომივარდა. სანამ იმით მოვკრეფავდი, მამაც წამომეწია. ვედრო ჩამომართვა და იმან შეიტანა შინ.

— ახლო? — ჰკითხა დონიჯშემოდ-გმულმა დედამ.

დედამ გაგვიღიმა და გვითხრა:

— ახლა ლუმელთან დასხედით თბილად და დაფხვენითო.

— ენო, — ამოიხრა ღიმილით მამამ. მე ავტი და დავტი: ჯერ სიმინდი დავაბოტოთ-მეთქი. თან ის და თან ისო. მამამ ქვაბი ჩამოიღო, ძირზე ცოტა ქონი მოსცხო, ლუმელზე დადგა, გააფიცა და შიგ-ეკალა ტაროები ჩაფხვნა.

— აბა, სანამ დაბოტდება, მანამ ვეცეთ და ჩვენი დასაფხვენელი დავფხვანათო.

ვეცით და დავიწყეთ. ვფხვნივთ და თან მალ-მალე ქვაბს ჩავყურებთ. მამა ყურებში ხელს მოჰკიდებს შეაჭანჭყარებს, წრიულად მოუქცევს. დატრიალდა შემწვარი სიმინდის სუნს.

— ქეჩეჩები, ქეჩეჩები მივაშველოთო! მივაშველეთ ლუმელს ხმელი ქეჩეჩები, აბრიალდა ცეცხლი და ტყაც! — ამოხტა პირველი თეთრადგადაკუჭუტებული ბოტი.

— სახურავიო! — დაიძახა მამამ. დავხურეთ სახურავი და ატყდა ბათბუთთქი, ფხაკუნი, წკაპაწყუბი. მე სიხარულით აღარ ვიყავი. მამასაც უხაროდა, მარჯვედ ატრიალებდა ცეცხლის ალზე ქვაბს. დედამაც ეციენებოდა—შეჩვენდით თქვენოთ. და როცა ქვაბში ხმაური შეწყდა, მამამ გამომხედა ეშმაკურად. ფრთხილად, ფრთხილად ასწია სახურავი, მანიშნა, ჩაიხედო, ჩავიხედე და არას ვხედავ — ქვაბი სავსეა ბატიბუტით. ვაშამეთქი და ყირას ვადავედი ხალიჩაზე. მოვარტყი ფეხი ვედროს, წაიქცა, ტაროები აქეთ-იქით ეცნენ. გამომენთო დედა.

— ცეტებო, გადარეულდებო!

მაგრამ მამა გადაუდგა წინ, სიცილით ეხვეწებოდა, ეს ერთიც გვაპატიე, ეს ერთიც გვაპატიე და ბატიბუტს გაჰმევეთო.

— მომშორდით თქვენი ბატიბუტთანად, — ბრაზობდა დედა, მაგრამ მამა არ ეშვებოდა, ბატიბუტს აჩვენებდა — ნახე, როგორიაო. და სწორედ მაშინ იფეთქა რომელიღაც მარცვალმა ძირში, ათი-ოდი სხვა ამოიტანა მალა და იატაკზე მიმოფანტა. მამა და მე იმათ მივეტანეთ.

დედამ კი — თქვენა გვათ თქვენი ბატიბუტიცაო, — გაიცინა და იმანაც ჩაი-მუხლა ხალიჩაზე. მივედი და მამამ ვეგვლასუნე კატასავით, ვაკოცე კიდევ მომშორდიო. მაგრამ უკვე შეირგებული ვიყავით. მე და მამა მუჭა-მუჭა ვჭამდით, დედასაც ვეუბნებოდი, — მუჭით, დედა, მუჭით. მაგრამ დედა თითო-თითოს იღებდა და თან სულ ამას იძახდა.

— ამისთვის მცალია ახლა?!

— დღეს კვირაა, დაისვენეო, — ეუბნებოდა მამა.

— თქვენს ხელში ჩემთვის არც კვირაა, არც ორშაბათიო.

ცოტა შეჭამა, წამოდგა და საკერავს მიუჯდა. მე და მამამ კი სულ გავათავეთ ბატიბუტი. კუჭუჭიცი მივაყოლეთ. მერე მოლონიერებულებმა, დავფხვნივთ სიმინდი, ქეჩეჩები ლუმელის ქვეშ შევყარეთ, ვედრო გარეთ გავიტანეთ.

დედამ უთხრა მამას:

— რაი ეგეთი კარგი ბიჭი ხარ, ბარემ წყალიც გადმოგვიტანე წყაროდანო.

მეც წამოვალ-მეთქი. სადა, ბიჭო, ამ ტალახშიო! — გაიკვირვა მამამ. დედამ კიდევ სილა მაჩვენა — აი, შენაო. ჩაიცვა ჩექმები და ქურთუკი მამამ, აიღო კოკები და წავიდა.

ველოდებთ. სად არის! დაიწყო დედამ ბუზღუნნი: თქვენ არაფერზე გაიფხვნივითო. მეც მამას მიმავოლა. მეც ისე ვგრძნობდი თავს, თითქოს მართლა დამანაშავე ვყოფილიყავი. ბოლოს, როგორც იყო, მამა გამოჩნდა. კოკები გარეთ დადგა, ჩექმები და ქურთუკიც იქვე გაიხანდა, ღიმილით შემოვიდა და დედას თვალს ჩაუკრა.

— დღეს ხომ არა ჰქონდა დაჭერილი წყარო, — ჰკითხა დედამ.

— არა, შალიკო ღვინოს იღებდა და იმან დამიძახაო.

— ჩაიცვით მაიმუნის პერანგები?

— არა. ორ-ორი ჭიქა დავლიეთო.

დაჯდა მამა და დაიწყო ქება:

— მაგ დარდაეს თუ ეგეთი ღვინო ექნებოდა, არ მეგონა. რა ღვინო აქვს, ცეცხლს რომ მიასხა, მოეკიდება.

მერე უცებ გაახსენდა:

— მართლა, წუხელ ვანო მეხვეწებოდა, გადმოდიოთ. ისეთი კიტრის მწნილი დავხარჯეთ, ქართლ-კახეთში ბადალს ვერ მოუძებნითო. ხომ არ ვწვეოდით, პა?

— საწვეულებოდ მცალია მე? — იკითხა დედამ უკმაყოფილო ხმით.

მე ერთი ამბავი დავიწიე — წავიდეთ-მეთქი. დედა მომიბრუნდა: — შენ ის გირჩევნია, წახვიდე და დაიძინო. მაგრამ მამა წამოდგა, შემოიყარა დონიჯი და ღმილით უთხრა დედას:

— რათა ხარ გვეთი დედაკაცი? რად გეჯავრება სტუჟმარი?

დედამ გაიკვირვა:

— მე მეჯავრება?

— შენა, შენ. — მიადგა მამა, — სხვა-სთან რომ გეზარება მისვლა, ეგ იმისაა, ნურც ჩემთან მოხვალთო.

დედა გაბრაზდა: — მე რომ ჩემი თავის ქეიფზე ვიარო, საქმეს ვინ გამიკეთებსო. მამა მივიდა, მხრებზე ხელი მოხვია.

— საქმეც ვაკეთდება. ერთი კვირა დღე, მთელი დღეც არა, მარტო საღამო, კაცმა თავისთვის როგორ ვერ უნდა გამოიმეტოს! დავბერდებით, დავიხოცებით. აიღე, ჩაიცივ, წავიდეთო.

დედა მაინც უარზე იყო. ხან ეს მოიმიზეშო, ხან ის. ხან რას მიუბრუნდა, ხან რას. მაგრამ მამა არ მოეშვა და იმანაც გაიღიმა ბოლოს. ერთი პატარა ვედრო წითელი ვაშლებით გაგვავსებინა — პეპელა ძალოს უყვარსო, ჩავიცვით პალტოები, მამამ კისერზე შემისვა, გავიკეტეთ ალაყაღის კარი და წავედით.

მიაჭყაპუნებდა მამა ტალახს თავისი დიდი ჩექმებით. წვიმდა წვრილი წვიმით. ვინც შეგვხვდებოდა, ყველა გვეკითხებოდა: — საით, საით ამგზავრებულხართო. — მივდივართ, ცოტა ან პური დავეზოგოს შინ, ან შეშაო. — მიუგებდა მამა. — ძველი ხარ, ძველიო. — დაგვადევნებდნენ უკან. მოკლეებზე, ეზო-ეზო და ქვემო მხრიდან მივედით ვანო ძიანთა. ვანო ძია ეზოში დაგვხვდა. წიფლის ვეება მორში სოლი ჩაესვა, ახლა უროს ტარს უმაგრებდა. ის იყო, ურო უნდა მოექნია და ჩვენც დავგინახა.

— ოო, გამოგრეკესო? — გვეკითხა სიცილით.

დედამ და მამამაც გაიცინეს. უთხრა:

— თქვენს იმედზელა ვართ, თუ მიგვიღებთო.

— დედაკაცს თუ არა ვკითხე, ისე ვერაფერს გეტყვით. დედაკაცო! — შეუძახა მალლა.

ყველამ იქით დავიწყეთ ყურება. გაიღო კარი და პეპელა ძალომ გამოიხედა. გამოანათა შავი დიდი თვლები და თეთრი კბილები. — ეს ვინ მწვევია, ქაო, ვენაცვალეო, და დაიწყო ბოტების ჩაცმა. მაგრამ დედამ დაუძახა. იყავ, იყავ, მანდ არ ამოვალთო! მამაჩემმაც კიბისკენ გააღაჯა.

ვანო ძიამ დამიყვია:

— ჩამოხე, შე მამაძაღლო, კიბეზეც ხომ ცხენიანად არ ახვალო!

მე გამეცინა და მამას ჩამოვუსხლტი. მწვდა პეპელა ძალო და დამიწყო კოცნა. თან მეუბნებოდა: რა მაქვს შენთვის, რა მაქვს, რომ იცოდეთო. ამარბენინა კიბეზე, გამიყვანა იქით ოთახში და ფირფიცრის კოხტა „ზისი“ მომცა — ქალაქიდან მოგიტანეო. მე გახარებული გამოგვარდი გარეთ და მამას დავუძახე, — შეხედე, რა მაქვს-მეთქი. მამამ გაიკვირვა. ვანო ძიას კი ვითომ ძალიან ეწყინა, — ეგ ჩემია, შენ რად აიღე, მე ვთამაშობ ხოლმეო. ყველამ გავიცინეთ. მერე ისინი ისევ მორს მიუბრუნდნენ.

მამა რაღაცას ირწმუნებოდა და უროს ეწვდებოდა. მაგრამ ვანო ძია არ ანებებდა. ურო დერეფანში მიაგდო და მამა მალლა ამოიყვანა.

— ქალო, ცივაო! — დაიძახა ვანო ძიამ.

პეპელა ძალომ შეშა შეუყვითა ღუმელს. მამა შეწუხდა.

— რას სჩადით. ნუ დააქვევთ ოჯახს ახლა ჩვენი გულისათვის. ცოტა გაუფრთხილდით ემაგ შეშას. სხვა დროსაც გამოდგება. ჯერ ზამთარი წინ არისო.

პეპელა ძალომ ღმილით უთხრა:

— თქვენ რა, უკვე შეშის წყვა და წონაც დიწყეთო.

— ჩვენ რათა. — თქვა ისევ მამამ. —

შენი ქმრის სიტყვაზე ვამბობ. ამოდენა კაცი ცარიელ მწნილზე დამპატიყაო.

— კეთილი გულით მიტანილი მწნილი დასაყვედრებელ ზაქს არა სჯობიაო?!

— თანაც მწნილი და რა მწნილი! — ჩაუტოო ვანო ძიამაც. — აქ რომ ჩაკბეჩ, მოსკოვში ნერწყვი მოუვათო.

— რეები ხართ ეს უშვილოები, ყველაფერი თქვენნი როგორ არის კარგი!

— ეგრეა და რა ვქნათო.

მე ტახტზე მოვივალათე. მანქანას დავატარებდი და ხან აქეთ გვერდიდან ვუყურებდი, ხან იქიდან. მამამ და ვანო ძიამ ნარდი გააჩაღეს. პეპელა ძალო და დედაჩემი კი დატრიალდნენ და ხელდახელ გააწყვეს სუფრა: მრგვალად მოხარშული ქათამი, ლამაზ ნაჭრებად დათლილი ხორცი, ყველი, მწვანილი, საწებლები... მამა თან კამათლებს აქანჭყარებდა და თან ვითომც ძალიან უკვირდა:

— ბიჭოს, ამათ დახეთ, რეები შეძლებიათო.

სულ ბოლოს ის განთქმული მწნილიც შემოდგეს მაგიდაზე. მამა გადასწვდა ერთ თითისტოლა კიტრს, ვაკბიჩა, დაიგემოვნა და მე მომიბრუნდა:

— აბა, ბიჭო, ფანჯრიდან გაიხედე, ყლაპავენ ნერწყვს მოსკოველები?

მე ფანჯარას ვეცი, გავიხედე და ვუთხარი:

— უუ, სულ თევზებივით ალამუნებენ ტუჩებს!

ვანო ძიას გაეცინა და თქვა:

— ერთი ამ ვირისთავს დახეთ, ახლაც მამის გზას არ დასდგომიაო.

მამას კი გაუხარდა.

— მაშა, ჩვენც ვიცით რაღაცებო.

ნარდი დახურეს და სუფრას მიუსხდნენ. მე შუაში ჩამისევს. — კაცი ხარ, შენც ჩვენთან უნდა იჯდეო. დედაც დაჯდა. მხოლოდ პეპელა ძალო ტრიალებდა კიდეც ცოტა ხანს, მერე ისიც მოვიდა. დავიწყეთ ქეიფი. მამა ახლა ყველაფერს აქებდა. — ეს რეები შეგძლებიათო. ღვინოც კი შეუქო ვანო ძიას. ვანო ძია ამით ძალიან კმაყოფილი დარჩა. ხელადა მალა ასწია და დაიძახა:

— წვეთი, წვეთი რომ არა აქვს, იმიტომო!

რა თქმა უნდა, წყალს გულისხმობდა, მამა და ვანო ძია ბევრს სევადნენ პეპელა ძალო და დედა — ცოტა-ცოტას, წრუბ-წრუბით. მე კი ერთი ჭიქა დავცალე. მერე ისევ ტახტზე გადავედი და მანქანას დაეუწყე ფერება.

მამამ და ვანო ძიამ პეპელა ძალოს დაუწყეს ხვეწნა, — ერთი რამე დაგვიწყე რა, ერთი პატარა რამე დაგვიწყეო. პეპელა ძალო უარობდა. მერე თავი მალა ასწია და მშვენიერი ხმით დაიწყო:

გაფრინდი, შავო მერცხალო,  
გაპყვე ალაზნის პირისაო...

პეპელა ძალოს დედა აპყვა, დედას — ვანო ძია და მამა. მე მუთაქაზე მივწეკი და ისე ვუგდებდი ყურს. ბევრი სიმღერა იმღერეს. სულ ბოლოს — „რაც უნდა ბევრი მაწამოთ, მაინც ვიქნები ქართველიო“. და ამ სიმღერაზე ჩამიძინებოდა.

როცა გამეღვიძა, სუფრიდან აშლილიყვენ. ყველანი მე მეხვეოდნენ, მიფერებოდნენ. ძია ვანო მუცელში მიღიტიუნებდა: — გაიღვიძე, ე, დედალოო. პალტო ხომ ჩამაცვეს, ზემოდან შალიც მომაცხვიეს, შემფუთეს, ხელში ამიყვანეს. მამამ ამიყვანა.

— აგაშენოთო, დიდი მადლობაო, დამე მშვიდობისაო, — და გამოვედით აივანზე.

— ი, გავიხედეთ, გავიხედეთ! — დაიძახა ვანო ძიამ.

— უიმე, ქალო!

— ეჭაა!

უცებ გამოვფხიზლდი. შალი გადავიძრე და რასა ვხედავ: თოვლი მოდის. — ვაშა! თოვლი მოდის. კარ-ფანჯრიდან გამოსულ შუქზე ერთმანეთს მოსდევენ, ეწევიან, უსწრებენ მილიონობით ბრტყელი, ფაფუკი ფიფქები. სახლების სახურავები გადათეთრებულია, ლობის-ძირებიც, მოაჯირიც.

— ღმერთო, დაგვასწარი მრავალ ამ დროს. — სახეგაბრწყინებული იძახდნენ დედა და პეპელა ძალო.

— მაგდენი ძროხა, მაგდენი ცხვარი, მაგდენი გოგო-ბიჭი! — დაიძახა მამამ.

ვანო ძიამ კი მოაჯირზე დადებულ თოვლს ხელი წამოუსვა, ზედ გადმოგვაცარა და დაგვლოცა:

— ეგრე თეთრად დამიბერდით ყვე-  
ლანიო.

მოაჯრის მეც წავეწვდი. პატარა გუნდა  
გავაკეთე, მაგრამ, სანამ ძირს ჩავიდო-  
დით, გამიღნა. ვცდილობდი, ფიფქები  
მაინც დამეჭირა, — ხელებს მაღლა ვწე-  
ვდი, აქეთ-იქით ვებოტინებოდი, მაგრამ  
რას დაიჭერ! შეხებისთანავე დნებოდ-  
ნენ.

მაინც კმაყოფილი ვიყავი. კმაყოფილ-  
ნი იყვნენ დედაცა და მამაც. მამა ღონი-

ვრად მიბიჯებდა, თან ღიღინებდა, და  
რომ უფრო ღონივრად გაებიჯებინა, კი-  
სერზე შემისევა. დედაც ცდილობდა, რომ  
ჩამოგვჩინებოდა. მარცხენა მკლავზე ვხუ-  
ტებოდა მამას, დაბლიდან შემოგვხარო-  
და და მისი კარგი, კეთილი თვალები ახ-  
ლა უკვე თმაში გაბნეულ ფიფქებშორის  
ბრწყინავდა.

ძმებო, რა იყო ესოდენ მტკიცე მა-  
შინ — მამაჩემის მხრები თუ თვითონ  
დედამიწა?!

### წინსწავილში რომ წავედი

ჩემი დათუნა ახლა ხუთი წლისაა. სა-  
მი წლისაც არ იქნებოდა, ერთხელ ეს ამ-  
ბავი მოუუყევი და მას შემდეგ ალბათ  
ასჯერ მაინც მექნება ნაამბობი. როგორც  
კი დავსვამ, აბა, დაწყნარდი, დაშოშმინ-  
დი-მეთქი, იმ წამსვე ამას მეკითხება:

— წისქვილში რომ წახვედი, იმისას  
მომიყვები?

მე, რომ იტყვიან, ყელში მაქვს ამოსუ-  
ლი ეს „წისქვილში რომ წავედი“, მაგრამ  
თუ მინდა, რომ ცოტა სული მოითქვას,  
თუ მინდა, რომ ოდნავ მაინც განიმუხ-  
ტოს მისი განუწყვეტელი ფართხალ-  
ტრიალით დაძაბული ჰაერი, იძულებუ-  
ლი ვარ, ას მეერთედაც დავიწყო. და და-  
ვიწყო მხოლოდ და მხოლოდ ასე, ამ კი-  
ლოზე:

— მაშინ, გენაცვალე, ომი იყო. ჩვენა  
და გერმანელები ვომობდით. თქვენ რომ  
ახლა დიდ არჩევანში ხართ ხოლმე, არა  
ეს არ გვინდა, არა ის არ გვინდაო, ჩვენ  
ხშირად ცარიელი მჭადიც კი მოგვანატ-  
რებია. აბა!

ჯერ ხომ სიმინდის შოვნა იყო ცეცხ-  
ლი, დაფქვა პირდაპირ ცეცხლზე ნავთი  
ხდებოდა. კარგი მეწისქვილეები ფრონ-  
ტზე იყვნენ, ბებრებსა და ბიჭბუჭობას კი  
დღეში თხუთმეტჯერ ეშლებოდათ თითო  
თვალი. ვერ მოასწრებდნენ ორი-სამი  
ნაკრაულის ჩამოფქვას და — აბა, გაი-  
ლესაო, გადმოაგდებდნენ ქვას. გვეჭირა  
ათი-თორმეტი წლის ბიჭებს საკოდლები

და — კაკ-კუქ! კაკ-კუქ! ვურაკუნებდით  
ალთა-ბალთას. საფქვავს კი საფქვავი  
ემატებოდა. ზოგჯერ კვირაზე მეტ ხანს  
ველოდით ხოლმე ჯერს. ერთ წისქვილში  
რომ ვერას გავხდებოდით, მეორეში მივ-  
დიოდით, თუ იქაც არაფერი გამოგვი-  
ვილოდა, მესამისკენ მივძღუდებოდით.  
ალმა-დაღმა გვეჭონდა დაქსელილი მთელი  
ივრის პირები.

ერთხელ, — ნოემბერი იყო, ბოლო  
რიცხვები, — დაფხვევით ასე, ფუთნა-  
ხევრამდე შეიღკვირია. დამთ დაფხვე-  
ვით, გახურებულ ღუმელთან, კუჭუჭის  
დახლით გახალისებულეზმა. ორ დღე და  
ლამეს ღუმელქვეშ გვეჭონდა გაფენილი,  
მესამე დილას კი, ჯერ არ გათენებული-  
ყო, ჩავყარეთ ტომარაში, ორად გადავყა-  
ვით, გადავგრიხეთ, გადავიკიდე ხურჯი-  
ნივით და მიდი სიბნელეში! — მივრბი-  
ვარ წისქვილისკენ და თან აქეთ-იქით  
ვიხედები, — აბა, დამინახა თუ არა ვინ-  
მემ — რა ყოჩაღი ბიჭი ვარ-მეთქი. თი-  
თქოს ჩემი ჯიბრით, კაცი არ შემხვედრია  
გზაზე, წისქვილში კი მთელი ენგიდუნია  
დამხვდა. ისეთი ყაყანი იდგა ქალებისა,  
სარეკელას ხმა აღარ ისმოდა. ერთი კი  
შევედი, თვალი მიმოვაღვე, ვერც ისევ  
წამოვიკიდე ჩემი ტომარა — მე ამ დე-  
დაკაცებს ხომ არ ვუყარებ, გაღმა წის-  
ქვილში გავალ, იქ დაფხქვავ-მეთქი, — და  
რის ნოემბრის ბოლო, რა ცივი წყალი!  
ცამეტი წლისა ვარ, შარვალი ტოტებით

ყელზე მაქვს შემოხვეული და მიღი-  
შვილი! მივიღვარ და მივაჩქაფუნებ თე-  
ძოსთავამდე შემოწვდენილ იორს. ნაპირ-  
ზე გასული, ცოტა ხანს ბლდადურს ვუ-  
ვლი გასახურებლად, მერე ვიცვამ და  
თითქმის მივრბივარ. მაგრამ გაიქეცი, არ  
გაიქეცი! გალმა წისქვილშიც ბლომად  
დამხვდნენ. ერთი ეგ იყო, აქ კაცები სჭა-  
რბობდნენ. ისხდნენ ის კაცები, რა თქმა  
უნდა, მოხუცები, ჩასტყროდნენ მიწას  
და ხანდახან თუ გადაუგდებდნენ ერთმა-  
ნეთს თითო სიტყვას.

მეტი რა გზა მქონდა! ამოვუღდი ჩემი  
საფქავი სხვა საფქავებს უკან, დაეჯე-  
ქი და მეც იმ კაცებზევით ჩავაჩერდი მი-  
წას.

როდემდე ვიჯდებოდი ასე? წავედი,  
სახევებელი და ბელღარები მოვინახუ-  
ლე. წისქვილს ბალები აკრავს. ის ბალები  
ც ჩამოვიარე, გავჩხრიკე, გამოვჩხრი-  
კე. ერთვან წვრილ-წვრილი სტაფილოე-  
ბი ვნახე, მეორეგან — ტოტზე შემხმარი  
ატმები. რამდენსამე დაჩამიჩებულ მტე-  
ვანსაც მივაგენი. საყვავედ დატოვებუ-  
ლი კაკლები ხომ იყო და იყო! წამოვალ,  
ვნახავ, აბა, რა ამბავია რიგში-მეთქი.  
ცოტა ხანს ჩემს ტომარასთან ვიტრია-  
ლებ. დააყრის ვინმე ცოტა ბლომად და  
ისევ ბალებში მივიღვარ, — ხან კაკლებს  
ვესერი კეტს, ხანაც ვაშლებზე ვიბლო-  
ტები. ერთი საათი კიდევ იქნებოდა დღე,  
ჩემი ჯერიც მოვიდა. ერთ მოხუცს აქვს  
დაყრილი სამი ლიტრა, ის ჩამოცა და მე  
უნდა დაეყარო. და აი, სწორედ ამ  
დროს არ მოვარდება ერთი თეთრცხენი-  
ანი კაცი! ცხენზე ორი, თითქმის სავსე  
ტომარა აქვს გადაკიდებული. თვითონაც  
ზედა ზის. ყელზეჩაჭმულნი ჩექმები  
აცვია, გაპრიანებული, შემელოტებულ  
თავზე თუშური ქული ჰხურავს. იმ ქულ-  
ზე მეტყვევობის თითბრის ნიშანი უკე-  
თია. ხელში ძველებური, ტარმოჭედილი  
მათრახი უჭირავს. გადმოხტება, ცხენს  
წისქვილის დერეფნის ბოძზე მიაშამს და  
დაჭარხლებული, დაბიკვინებული, მათ-  
რახის ჩექმაზე ტყაპუნით შედის მეწის-  
ქვილის ოთახში. იქიდან ჯერ შეხვედრით  
ნასამოვენები ადამიანების ამოძახილები  
მოისმის, მერე კარში გამოიხედავენ, —

მეწისქვილე და ის კაცი თვალებით მე  
მომხებნიან და ისევ შიგნით შედიან.

მათს გამოხედვაში ცუდი რაღაცეა ჩემი  
ძენი, ცოცხალი თავით ჩემს ჯერს არავის  
დავუთმობ-მეთქი; დავავლე ჩემს ტომა-  
რას ხელი, ავედი ზემოთ და იმასლა ვე-  
ლი — ჩამორეკოს, რომ ხვიმირაში გადა-  
ვუშვა. მაგრამ იმ მათრახიანმა კაცმა და  
მეწისქვილემ ცხენიდან გადმოღებული  
ტომრები შემოიტანეს. მათრახიან კაცს  
მათრახი მკლავზე აქვს ჩამოკიდებული.  
მეწისქვილე შორიდანვე ხვდება, რა გუ-  
ნებაზეც ვდგავარ ხვიმირასთან და იქი-  
დანვე მიძახის:

— გადმო, გენა, გადმო, მეტყვევები-  
საა, ამ კაცს უნდა დავუფქვათ.

ცეცხლი მომედო და მუხლები ამითახ-  
თახდა. მინდა, ათასი რამე ვუთხრა, ვუთ-  
ხრა კი არა, ვუყვირო: რათა, კაცო, რა  
სამართალია ეს?! მე რომ ახლა არ დავა-  
ყარო, როდისღა წავიდე შინ! ხომ დამი-  
ლმდა! თანაც პურის გემო არ მინახავს  
დღეს! მაგრამ ვერაფერს ვამბობ. მუხ-  
ლზე შემოდებულ ტომარას მარწუხე-  
ბივით ვუჭერ ხელებს და გაბოროტებუ-  
ლი თვალებით ვიყურები ძირს. მეხივით  
ჩამოვარდება ზარი. მეწისქვილე ჭოჭო-  
ნაქისკენ წავიდა და ახლა იქიდან მიყ-  
ვირის:

— გადმო, ბიჭო, არ გესმის! ყრუა ეს  
მამაძაღლის შვილი?!

მათრახიანი კაცი ერთ ტომარას აი-  
ლებს, ხვნივით ამოვა მალლა, თან მათრა-  
ხი ისევ მაჯაზე დაჰკანკურებს. მხარუ-  
ლით მეწვევა გვერდზე, მეწვევა კი არა, მა-  
გდებს. ჰოდა, აი აქ კი ამოხეთქა ტირილ-  
მა და ყვირილმა ერთად:

— რათა, კაცო, რათა!

— რათა და თავი რომ გექცეს ქვათა,  
კი გაუგონარი შენა ჰყოფილხარ! — მი-  
ყვირის მეწისქვილე. მერე ისევ მათრა-  
ხიან კაცს მიუბრუნდება, — მიდი, და-  
ყარე, რას უყურებ მაგ ლაწირაკსა!

მე ახლაც არ ვიცი, რა მოხდა. თვითონ  
ვერ შეიკავა იმ მათრახიანმა კაცმა თავი,  
თუ მე ვყარი მხარი თუ მოუხლი. ტომარა  
დააგლო, ხელები ჰყარაში გაასავსავა,  
უკან გადავარდა და იქ, ძირს, მძიმედ გა-  
აღინა ზღართან საჯდომით...

ხომ არ დაგვიწყდათ, ამ ამბავს დათუნას რომ ვუყვები? აქ ის წამოხტება და სინარულით გადაკოტრიალდება ხალიჩაზე. მერე მოვა, ისევ ილღაში შემომიფუთფუტდება და იქ გაყურდება თვალბგაბრწყინებული.

მე განვაგრძობ:

— ჰოდა, გაადინა ზღარათანი საჯღო-მით. ვილაცეებს სიცილი წასკდათ. აქ ხალხი იცინის ჩემზეო! წამოვარდა, შემოხტა მაღლა და ის მათრახი — ერთი თუ ორი! ვადამიჭირა და ვადამიჭირა თავს ზემოდან, ბექებში. მაშინ კი ნამდვილად დავეჯახე, და დავეჯახე ისეთი გამეტებით, რომ თუნუქის რკალს გადააწყდა, იქიდან საფეკვილე ყუთზე გაადინა ბრაგვანი, ყუთი ამობრუნდა და ჩანჩქერივით წამოსული ფეკვილში გაეხვია გულაღმა გადაფეხვილი.

აქ ერთხელ კიდევ შეჰყიფინებს და გადაკოტრიალდება დათუნა.

— ისიც დავინახე, როგორ დაიფრუტუნა და გააქნია თავი, როგორ გაისვა მაჯა სახეზე... და როგორც კი ჩემსკენ წამოვიდა მთვრალივით ნაბიჯარეული, გინებით, — მოსარიდებლად გადავხტი უკან. მაგრამ აქეთ კედელს მივაწყდი, შემოვბრუნდი, აქეთაც კედელი იყო მტკრიანი თუ ფეკვილიანი. ბრმასავით მივუსვ-მოვუსვი ხელები, ალბათ ქვის მოგლეჯა მინდოდა. ვიგრძენი, რომ რაღაც მძიმე და ცივი საგანი მომხვდა ხელში. ვნახე, ურმის ღერძი იყო, თვლები ხახუნით ბოლოებჩაჭდეული რკინის ღერძი, მთელი ძალით დავეჭიდე, ავწიე მაღლა, შევბარბაციდი, მაგრამ ვავძელ... და დავინახე, როგორ გაჩერდა ფეკვილით გაგანგლული მათრახიანი კაცი და ნამდვილი შიში, შორიდანვე შესამჩნევი შიში ჩაუდგა თვალბში.

მერე ვილაცეები გვეცნენ მეცა და იმასაც. მე გარეთ გამათრიეს. იმ მძიმე ღერძის წართმევასაც მიპირებდნენ იქვე, მაგრამ, სანამ კარგა მანძილზე არ გამაცილეს წისქვილს, ხელი არ გავუშვი. იქ ცოტა დავმშვიდდი. ფიქრის საშუალება მომეცა და ტირილი დავიწყე. მარტო ჩემი თავი კი არ შემეცოდა, შემეცოდნენ: ჩემი ძმა, ჩემი და, დედაჩემი და უხმო

ტირილი დავიწყე. რომ მნახეს ტირისო, იმ სხვაგნებურებსაც შევეცოდე და დამიყვავეს: — კარგი, შვილო, რაც მოხდა მოხდა, მოითმინეო. თანაც გამომკითხეს: ვინ ვიყავი, ვისი შვილი ვიყავი. მამაჩემის ხსენებაზე თავის ქნევასა და სინანულს მოჰყენენ: — აფსუს, ვეჟაკოო, აფსუს, რა კაცი იყოო! ცოტა ხნის მერე მეწისქვილეც მოვიდა, ჩემდაგასაოცრად, ვალიმებული, ენადამტყბარი. ეს რა კრახანა ბიჭი ჰყოფილხარ, რა უქენი იმოდნა კაცსაო. წამო, რაც მოხდა მოხდაო, უნდა შეგარიგოთ, ეგა და მამაშენი ძმაცაცები ყოფილანო. ამ ლაპარაკში იყო, რომ ის მათრახიანი თვითონ მოვიდა ჩვენთან. ტანსაცმელი გაებერტყა, მაგრამ მაინც ეტყობოდა, ფეკვილში რომ იყო ნაგორაკები. იმანაც გამიღიმა და ხელი გამომიწოდა — შევრიგდეთო. მივხვდი, მამაჩემის სახელმა დაატყბო ყველანი და ისევ ცრემლები წამსკდა. აბა, ეგეთია კარგი მამა!

დათუნა ქვემოდან შემომცინის.

— ძალის-ძალით გამაწვედევინეს ხელი. წამიყვანეს მეწისქვილის ოთახში. პატარა სუფრა გაშალეს, მეც გვერდით დამისევს. პურიც მაჭამეს და ღვინოც დამალევინეს, მაგრამ ჩემი სიმინდი მაინც დასაფეჟავი დამრჩა. იმ მათრახიანი კაცისა ეყარა. ის კი, კარგა შეღამებული იყო, მაშინ ძლივს ჩამოვიდა. აპკიდა ცხენს, ჰაიტ, ვირისთავოო, წამომკრა კეფაში ახლა უკვე ხუმრობით, ხომ მცემე, არა, ხომ მცემე, შეგარჩეს, შვილო, შეგარჩესო, — და წავიდა.

მე კი დავარჩი იმ ღამეს წისქვილში. დავეჭვი, მივიკუნჭე ერთ კუთხეში ჩემი ტომრიანად და ისე ვიყავი მთელ ღამეს. დარდი მაქვს: ჩვენებმა ხომ არ იციან, აქ რომ ასე ვარ, ძალიან შეწუხდებიან-მეთქი. სხვა მესაფეჟავეებს ტომრებზე მიწოლილებს სძინავთ, მეწისქვილეც კი წაიძინებს ხამუშ-ხამუშ, მე კი ეს დარდი არ მასვენებს. ჩამთვლემს და გავახელ თვალბს. წამოვდგები, გარეთ გავდივარ, აბა, თენდება თუ არა-მეთქი. რას შეატყობ, კუნაპეტი ღამეა. წისქვილის ხმა ისმის, მეტი არაფერი. ბოლოს ძილში ჩამესმა: ვილაცა იძახდა — გათენებულა

კიდევაცო. წამოვხტი, კარი გავადე. მართლაც და, თითქოს ჯანლი რამ გათხელდაო, აეგრეა ნაცრიატები, მაშინვე გადავიკიდე ჩემი ტომარა და წამოვედი. მეწისქვილემ მითხრა, რა გეჩქარება, ბიჭო, მოიცა, ცოტა ინათოსო. მაგრამ მერაღა დამაყენებდა! მივეც თავი ბაღებს და მოვდივარ. თანდათან უფრო მკაფიოვდება ხეები, მიწა, ბალახები. როგორც გითხარი, ნოემბრის ბოლოა, ნისლი ბარში ჩამოსული და სერის, თუ ის ნისლი მეღება სველად სახეზე!

ბაღების მერე ნასიმინდარია. იმ ნასიმინდარში ხმელი შალფა დგას. მივარღვევ, მივბრავანობ. გავალ იქითა მხარეს, შევიქაქანებ და ბიჭოს, ეს რა არის?! ორმოციოდენ ნაბიჯზე სამი ლანდი ტრიალებს. ძაღლები არიან, ძაღლებს აქ რა უნდათ! მგლები და... ეე, გამახსენდა. აქ ცხენი ეგდო. არ ვიცი, თათრებს მოუკვდათ თუ იორმა დაახარო. ნაძღვილად მგლები არიან და იმ ცხენს ჭამენ-მეთქი. შიშმა ამიტანა. რა ვქნა, უკან მივბრუნდე და გავიქეე? ვაითუ უფრო გამომიდგენენ. არა და... ჩავჯექი, კბოდეა პატარა, იმას ვეფარები. თან ფრთხილად, ფრთხილად ქვებს ვილაგებ კალთაში. ისინი კი ფაციფუცობენ, ერთმანეთს ახტებიან. სამნი არიან. თანდათან უფრო იკვეთებიან ნისლიდან. და უცებ — გაშეშდნენ. სამივემ ჩემკენ მოიხედა. მე-

რე ერთმა შეიწკმუტუნა, შეხტა, ჰაერშივე შებრუნდა და მთებისაკენ წავიდა ხტუნვა-ხტუნვით. ის ორიც დამეფიქნა — უხმოდ, ძუნძულით.

კარგად რომ გათენდა და ნისლმაც ზეე-ზევით აიწია, მაშინ ძლივს გავბედე ადგილიდან დაძვრა. გადავიკიდე ტომარა, ჩავუარე იმ დაჯიჯვნილ ცხენს. ვფიქრობ: ეს რა ამბები გადამხდა ამ ერთ ლამეში-მეთქი. გავედი რიყეზე და ვხედავ — ორნი გამოდიან წყალში, ჩემი ძმა და ჩემი ბიძაშვილი.

— ეე! — ვუყვირი მე.

— ეე! — მიყვირიან ისინიც და ფეხსაცმელებს იქნევენ ჰაერში...

დათუნა კალთაში გადამიწვევა გულაღმა. უხარია, მათრახინამა კაცმა რომ არ მომკლა, მგლებმა რომ არ შემჭამეს. ჩემი მეუღლე კი მკაცრი მასწავლებელივით დაგვადგება თავზე (ის ხომ მართლა მასწავლებელია!):

— ნუთუ არ შეგიძლია, მაგოდენა არ დაიღრილო? ანდა, უბრალოდ, სწორად დასხდეთ?

მე და დათუნა წამოვჯდებით. ერთი ასეთი შემოხედვაც და დათუნა თავისი საწოლისკენ მიიჭურწება, მე ჩემი სამუშაო მაგიდისკენ მივაფრატუნებ ფლოსტებს...

## გზა შალეიდოსკოპიისკენ

შებინდებისას ისევ ნაძვების კორომთან შეხვდით. ეს კორომი სოფლის ნაპირას იყო. სააგარაკო სეზონის დროს, საღამო ხანზე, ხალხს ვერ იტევდა ხოლმე, ახლა კი, სექტემბრის უკანასკნელ რიცხვებში, ჩვენს მეტი აღარავინ დადიოდა. ჩვენც გამონაპირა ფიცრის უბრალო სკამზე ვსხდებოდით. აქედან ანწლმოდებული ფერდობი ჩადიოდა. ძირს, სამოციოდენ მეტრით დაბლა, ისევ ნაძვნარი იყო. ნაძვნარში, ლურჯად დაწინწკლულ ვეება ლოდებს შორის, ბროლი-

ვით თეთრი ნაკადული მიედინებოდა, ნაკადულს იქით მთა მოჩანდა — ისიც ნაძვნარით შემოსილი, თითქოს შევუღალ აღმართული.

სალამობით ის მთა შავი ტუშით დახატულს ჰგავდა ხოლმე, განსაკუთრებით მისი აწეულ-დაწეული და დაკბილული თხემი. ეს იმის გამო ხდებოდა, რომ მზე მის უკან ჩადიოდა, მოწმენდილ ცას დიდხანს ანათებდა ქვემოდან ოქროსფრად, მთა კი ჩრდილში რჩებოდა.

ჩემს მეგობარს თეთრ, გრძელ ფეხებ-

ზე ნატის შავი ჩუსტები ეცვა, მხრებზე მარენგოსფერი ჟაკეტი მოხურა (ახლა ის ჟაკეტიც შავად ჩანდა), ბეჭებამდე ტალღებდა ჩაშვებულ სქელ თმაზე შავი ხავერდის ბაფთი ჰქონდა გადაჭერილი, და როდესაც ამომხედავდა, მეჩვენებოდა, რომ მარტო მისი თვალები კი არა, გამხდარი სახე და მაღალი სალუქი ყელიც ფოსფორულ ნათებას გამოსცემდა.

მის სიახლოვეს მუდამ ამაზე ვფიქრობდი, რა ვასაოცარი თვალები და კანი აქვს-მეთქი. მაგრამ ლაპარაკით, სულ სხვა რამეებს ველაპარაკებოდი. საქმე ისაა, რომ მას მძიმე, საზარელი შეურაცხყოფა მიაყენა მამაკაცმა, რომელიც ძალიან უყვარდა. ამის გამო „სისულელე“ ჩაიდინა. რამდენიმე თვე იწვა, ძლივს წამოდგა და ახლა აღარაფერი სჯეროდა ადამიანთა კეთილი ურთიერთობისა.

ერთადერთი რამ, რაზედაც ყურადღების შეჩერება შეეძლო, ეს იყო „ბუნება“, როგორც ჩვენ უბრალოდ ვუწოდებთ ხოლმე მთებს, ტყეებს, მდინარეებს და ბალახებს. ადრე ძალიან მხიარული, ახლა გამუდმებით დუმდა და მხოლოდ თვალების გამომეტყველებით გაგრძნობინებდა, რა სიამოვნებდა, ანდა რა აღიზიანებდა.

მე სკანდინავიის ქვეყნებიდან ახალი დაბრუნებული ვიყავი და იქაურ ამბებს ვუყვებოდი. ველაპარაკებოდი ცივ, ანკარა ტბაზე და შიგ თავდაყირა ჩახატულ ფიჭვებსა და თეთრ ღრუბლებზე; თითქოს საგულდაგულოდ გარეცხილ წითელკრამიტან სახლებზე, მშვიდად; თავიანთ ნებაზე მობალახე ძროხებზე, ისფერ ფიორდებზე და მეთევზეების პატარა, ჰრაქუნა გემებზე, რომლებიც ყურყუმალა იხვებივით აღი-ჩადიან ჩრდილოეთის ზღვის საშინელ ტალღებში.

მეთევზეებზე ლაპარაკით მე იმასაც კი მივალწიე რომ საკუთარი მოსაზრება გამოეთქვა მათზე. როდესაც ავუწიერდი, როგორ შემოდდიოდნენ ისინი ყურეში, როგორი მშვიდი, ნათელი სახით ადგებოდნენ დედამიწას, როგორი კმაყოფილებით გადმოჰქონდათ ნაპირზე ვეებერთელა თევზებით საცხე კალათები, მან თითქოს თავისთვის თქვა:

— ისინი მთელ დღეს სიკვდილით ხაზში ტრიალებენ და დრო აღარ რჩებათ საკუთარი აბლაბუდების მოსაქსოვად.

მისმა ხმამ ძალიან გამახარა, მაგრამ სიტყვებს რომ ჩავუყარდი, შევწულდი აბლაბუდებში, ახალია, სხვების დასათრგუნავ ქსელებს გულისხმობდა. ჩვენი აქ ყოფნის განმავლობაში პირველად შევეხე თმაზე ხელით. მინდოდა მეთქვა, რომ საჭირო არ იყო ასეთი შეხედულებების გავრცელება ყველაზე, რომ თვით ჩვენს ახლოსაც შეეძლო მოეძებნა ნათელი, ჯანსაღი ოაზისები; თვითონაც რაღაც მოლოდინით შემომჩიერდა, მაგრამ მარცხენა მკლავზე რაღაცის შეხება ვიგრძენი და შემკრთალმა მივიხედე იქით.

სკამის ბოლოზე პატარა ბიჭი იჯდა. სიბნელეში მხოლოდ ის გამოირჩეოდა, რომ დიდი მრგვალი თავი და წინწამოწეული დიდი ყურები ჰქონდა; კიდევ — წვრილ, ძლიან წვრილ ფეხებზე განიერი სანდლები ეცვა. უცნაურად აბრჭყვიალებდა თეთრი რგოლებით გარშემორტყმულ თვალისგულგებს და იღიმებოდა, მაგრამ კბილები არ მოუჩანდა, თითქოს ჩამოცვენილი ჰქონდა.

იმდენად მოულოდნელი იყო მისი აქ, ამ დროს გამოჩენა, რომ კანკალმა ამიტანა. ვერ გამეხედა, ამეწია ხელი, შეეხებოდი და გამეგო, ნამდვილი ბიჭი იყო თუ მოჩვენება. ერთიც ვნახოთ, მის ადვილას სიცარიელე დამხვედროდა?!

გაჭირვებით შევბრუნდი ჩემი მეგობრისკენ და დავინახე, რომ ისიც დაახლოებით ჩემნაირი ფიქრით იყო შეპყრობილი. ამან გონს მომავო. მაგრამ სანამ მე მოვიმომქმედებდი რამეს, ბიჭმა შეატოკა თავი და რაღაც ჩიფჩიფა ხმით იკითხა:

— მერე?

— რა მერე?

— მერე რას აკეთებენ მეთევზეები?

მივხვდი, რომ ჩემი ნალაპარაკევი ჰქონდა მოსმენილი. ამან უცებ დამარწმუნა, ჩვეულებრივ ბავშვთან მქონდა საქმე და ხალისით ვანაგარკი:

— მერე? მერე ვადაიკიდებენ მხარში თავიანთ ბრეზენტის ქურთუკებს, ჩაიწყობენ ჯიბეებში დიდ-დიდ დაწითლებულ ხელებს და მაღალყელიანი რეზი-

ნის ჩექმების ფხლკაფხლუკით თავთავი-  
ანთი სახლებისკენ წავლენ. მიდიან ორ-  
ორი, სამ-სამი. ქუჩის პირას აყუდებული  
ახალგაზრდები რიდით უთმობენ გზას.  
შევლენ ამოჩემებულ ბარში, მოიქეპავენ  
ჯიბებს და — ტყაპ! ტყუპ! — გამყიდ-  
ველის დახლზე ნორვეგიული კრონები.  
დალევენ თითო კათხა სურნელოვან  
ლუდს, ხელისაწვეით გამოემშვიდობე-  
ბიან გამყიდველს და ისევ წავლენ. მათი  
თეთრი სახლები თოლიებივით მიყუყუ-  
ლან ჩალურჯებული კლდეების კალთებ-  
ზე. შინ ბავშვები ელიან: პატარა იენსე-  
ბი, პენრიკები, ნილსები, მაგდები, ჰერ-  
დები, ინგები და იზაბელები. ისინი ყვე-  
ლანი საყვარლები არიან, მაგრამ ყველა-  
ზე მეტი საყვარულით მაინც მთლად პა-  
ტარები სარგებლობენ, როგორც ჩვენ-  
თან. ჰოდა, აიყვანენ იმ მთლად პატარებს  
მალა, სულ მალა. სწევენ პატარები  
გახარებულ ხელებს. ისმის გამამხნევე-  
ბელი შეძახილები. ხოლო თუ ჰერს მია-  
წვდინეს ფუნჩულა თითების თუნდაც  
სულ, სულ წვერები, ისეთი ამბავი ატყ-  
დება, თითქოს იმ პატარებს ბაყბაყდე-  
ვები დაემარცხებინოთ...

ეს რომ ვთქვი, ხელი გავიწოდე და  
ბიჰს მრგვალ თავზე დავადე. თავი, ალ-  
ბათ, ათიოდე დღის წინათ გადაეხოტ-  
რათ და ახლა თმის ყოველი ღერი ლურ-  
სმანივით იჩხვლიტებოდა.

— მერე? — ისევ შემეკითხა ბიჰი და  
თავი გამომაცალა.

— მერე რაღა? დაიბანენ ხელ-პირს,  
კისერსა და მხრებს. შეიმშრალევენ მა-  
გარი პირსახოცით. დედა სუფრას გაშ-  
ლის. წესიერად შემოსხდებიან ბავშვები.  
დაჯდებიან მეთევზეებიც და დაიწყებენ  
ლონიერ ჭამას. ძალიან უყვართ მწნილე-  
ბი — კიტრის მწნილი, პამიდვრის მწნი-  
ლი...

ბიჰს სახე გაებადრა. მე შევჩერდი.

— მერე? მერე რაღას აკეთებენ? —  
აღარ მეშვებოდა ბიჰი.

სიმართლე გითხრათ, უკვე მომწყინდა  
ეს უცნაური ანგარიშგება და ჩემს მე-  
გობარს მივხედე მუდარის თვალით. მაგ-  
რამ ჩემს მეგობარს კმაყოფილი, გახარე-

ბული გამომეტყველება ჰქონდა და იმ  
წამსვე განვაგარძე:

— მერე ჩაიცვამენ სუფთად და გა-  
მოვლენ გარეთ. მიდიან ქუჩაში სულ ერ-  
თად: მამა, დედა და ბავშვები. ჰაერი  
როგორია, იცით, ნამდვილი ცისფერი.  
მტვერს ვერსად ნახავ. აქეთ მალალი;  
ჩაბნელებული მთაა, იქით — ალაპლაპე-  
ბული ზღვა. ზღვის ნაპირებზე შექტურე-  
ბი აფხაურებენ თვალებს. მეთევზეებს  
და მათ ბავშვებს ძალიან უყვართ კინო.  
განსაკუთრებით, როცა ჩვენისთანა ხი-  
ლით სავსე ქვეყნებს აჩვენებენ. ნახვენ  
ამ ქვეყნებს, მხიარულ ხასიათზე დაბრუ-  
ნდებიან შინ და დაიძინებენ.

— მერე?

ეს უკვე მეტისმეტი იყო და გაბრაზე-  
ბით ჩავილაპარაკე:

— მერე რაღა! მერე წვანან და სძი-  
ნავთ. სიზმრად დაიბლოტებიან კინოში  
ნანახ ატმებსა და მსკლბზე. ზღვა კი  
ტოკავს და ტოკავს.

ეტყობა, შემატყო ეს გაღიზიანება, ხე-  
ლებით მუხლებს დაებჯინა, თავი დახარა  
და ფეხები ააქანავა. მე ისევ ჩემს მეგო-  
ბარს მივხედე. ისიც ასევე, რაღაც მორ-  
ჩილად იჯდა. თითქოს მასაც უნდოდა, გა-  
ნმეგრძო თხრობა, მაგრამ ვერ შემოებე-  
და ამისი თქმა. გამეღიმა და გავიფიქრე,  
ოღონდ შენ გესიამოვნოს და თუნდაც  
დილამდე ვილაპარაკებ-მეთქი. მაგრამ  
უცებ ბიჰი წამოხტა, ჩემს წინ ჩაცუცქ-  
და, რაღაც ბრჭყვილა წინწკალი ამოქეპა  
მიწიდან, ერთხანს ათვალერა და მერე  
იმედგაცრუებულმა მოისროლა.

— რა იყო? — ვკითხე მე.

— ციციანთელა მეგონა და შუშა ყო-  
ფილა.

ისევ ასე, ჩაცუცქული იჯდა. თეთრი  
რგოლებით გარშემორტყმული ბრჭყვია-  
ლა თვალებით შემომცქეროდა და ძა-  
ლიან ჰგავდა... რომელიღაც ღამის ფრინ-  
ველს. ეს არ მესიამოვნა. შუბლზე ხელი  
მივადე, ოღნავ ვუბიძგე და უკან გადა-  
ვაგდე. მან ფეხები აიქნია, კისკისით გა-  
დაგორდა აწწლებისკენ და სიბნელეს შე-  
ერია. შემეშინდა, ემანდ ფერდობზე არ  
დაგორდეს-მეთქი და წამოვხტი, დავე-

დევნე. მაგრამ სანამ მე მივწვდებოდი, თვითონ წამოდგა და ჰაერში ქანაობით მკითხა.

— კალეიდოსკოპიაშიც ყოფილხარ?

— რაში? — ვერ გავიგე პირველი სიტყვა.

— კალეიდოსკოპიაში.

— კალეიდოსკოპია რაღა არის?

— ქალაქი.

— რა ქალაქი, სად?

ბიჭი მიბრუნდა და ჩვენს წინ აღმართული შავი მთის წვერებისკენ გაიშვირა ხელი.

— აი, იქ, იმ მთის იქით, მერე კიდევ იქით, მერე კიდევ იქით.

მივხვდი, რომ რაღაც თავისებური ამბავი იცოდა და ახლა მე დავუწყე გამოკითხვა.

— შენ თვითონ თუ ყოფილხარ იმ კალეიდოსკოპიაში?

— ჩემი ძმა იყო.

— მერე რაო, შენმა ძმამ.

— ღამე, მე რომ დამეძინა, აიღო ფარანი და წავიდა. ჩვენი ფარანი. გინახავს? ღამურა რომ ანატია შუშაზე. მიღის ტყეში, ფარანი მალა აწეული უჭირავს და ტინკ-ტანკ! — ფარანი ქანაობს. ხეებზე დათევები სხედან და იყურებიან — ბეი!.. მელიები ბუჩქებში მიძვრებიან და გრძელ კუდებს ძლივს მიათრევენ. მგლები... — უუ! — ბრიალა თვლებს ხუჭავენ. მალლიდან წკაპ-წკუპ! — წვეთები ცვივა. ძირს ტაკ-ტაკ! — ხმელი წკირები იმტვრევა. მთის წვერზე რომ ავიდა, იქ იცით, იქ იცი რა არის საჭირო? ძალიან, ძალიან უნდა ჩაისუნთქო, მერე უცებ ამოისუნთქავ, გაშლი ხელეხსა და ფეხებს, დაიქნევ ჩიტივით და წახვალ. მიდიხარ, მიფრინავ — ტიუუ!.. ტიუუ! — როგორც ძილში. ცა სულ წითელია, შენც წითელი ხარ, კალეიდოსკოპიაც წითელია. როგორი წითელი, იცი, ბროწეულის ყვავილივით. ოღონდ გამჭვირვალე. სახლებიც ასეთები დგას. მთარტყამ აი ასე წკიპურტს და წკრიმ-წკრიმ-წკრიმ! — ჰიქასავით. გოგოები და ბიჭებიც წითლები არიან, გამჭვირვალეები. იმათაც მთარტ-

ყამ წკიპურტს და წკრიმ-წკრიმ! — ეცინებათ. იქნევენ თავებს და კი არ დადგან, დასრიალებენ. წიუუ... წიუუ... მგლები ნებზე წითელი მილიციონერები დგანან. იმათაც რომ მთარტყა წკიპურტი, — წკრიმ-წკრიმ! მაგრამ მილიციონერის წკიპურტის მირტყმა არ შეიძლება. მიხვალ წყაროსთან, დაჰქერ თითს და ჰუუ! — ტბილი წითელი წყალი, რამდენიც გინდა.

ამ ამბავში რომ იყო, ესე იგი, რაღაც უცნაური ხმებისა და მოძრაობების კორიანტელს აყენებდა, ვიღაც მასზე უფრო მაღალი ბიჭი სწვდა ზეაწეულ ხელში და თავისკენ შეაბრუნა.

— მე გასწავლი შენ ჰუუს!

პატარა ბიჭი გაჩუმდა. ხელის გათავისუფლებას ცდილობდა. მერე უცებ წიხლები დაუშინა დიდ ბიქს.

— გამიშვი, გამიშვი!

— მოგკლავს ღედა, მოგკლავს! — ეუბნებოდა დიდი ბიჭი.

მე მივდი, გავაშველე და დიდ ბიქს ვკითხვე:

— ძმები ხართ?

დიდმა ბიქმა თავი დამიქნია. პატარა — ხელს ხელზე ისვამდა.

— შენ იყავი კალეიდოსკოპიაში?

დიდ ბიქს გაეღიმა. პატარა დაინტერესებული თვალებით მიაჩერდა.

— იყავი? — გავუმეორე კითხვა.

დიდი ბიჭი ისევ იღიმებოდა და სლუმდა.

შევატყვე, არ უნდოდა სიმართლე ეთქვა უმცროსი ძმის თანდასწრებით, ამიტომ მოვეშვი. ერთსაც თავზე მოვკიდე ხელი, მეორესაც, ახლო მივიყვანე, თავები ერთმანეთზე მივადებინე, შერიგდით და მოუსვით-მეთქი შინისკენ. გაიცინეს, დიდმა ბიქმა ხელი ჩასკიდა პატარას და წავიდნენ.

პატარამ რამდენჯერმე მოიხედა, მაგრამ უკვე შორს იყო და ვერ ვარჩევდი, იღიმებოდა თუ რას შერებოდა. თავის-მოზრუნების შემჩნევა კი აღვილი იყო. რადგან აქეთ-იქით ვაშვერილი ყურები თუ აღარ ჩანდა, მამასადამე, ჩვენს დანახვას ცდილობდა.

ჩემი მეგობარი ისევ სკამზე იჯდა. ფეხები ერთმანეთზე ჰქონდა გადადებული, ხელები მუხლზე ეწყო და თიქოს ყურს უგდებდა სიბნელეში გაუჩინარებულ ბიჭების ფეხის ხმას. გვერდით რომ მივუჯექი, კიდევ კარგა ხანს იყო ასე. ბოლოს ხელებით სკამს დაეხრინა, ღრმად ამოისუნთქა, მომიბრუნდა და რალაც ტკივილგარეული ღიმილით მითხრა:

— რომ მეთხოვა, დიდი არ ვიცი, მაგრამ პატარა ბიჭი უეჭველად წამიყვანდა კალე-ი-დოსკოპიაში, არა?

მე გავუღიმიე და ხასიათის გასასწორებლად ვუთხარი:

— კი, წაგიყვანდა.

— მაგრამ პატარა რომ თვითონაც არ ყოფილა იქ და გზა არ იცის?

— ეგ ისეთი ბიჭია, მაინც გაიგნებს.


— მეც ასე მგონია.

— აბა რა!

— თანაც, არავის აწყენინებს, არა?

— აბა რა!

ჩემი მეგობარი გადმოიხარა და ჯერ ხელები დამაწყო მხრებზე, მერე თავიც დადო ზედ. თმის რამდენიმე ღერი მომელიტინა სახეზე. ამით ვიგრძენი, რომ ნიავე დაიძრა. ხელის ცეცებით მოვძებნე უკანგადაცურებული მისი ყაკეტი და ფრთხილად წამოვახურე მხარზე.





## ღარო სუღაბეჩიძე

### გ ა უ ს უ ნ ა რ ი ფ ე რ ე ბ ი

#### გ უ რ ი ა შ ი

მე გუშინ ვნახე ნასაკირალი,  
მზეში ბრწყინავდა გასაკვირადა.  
და გაზაფხულის იელთა ალი  
შემომეფეთა ნასაკირალთან.

აბრილის ცეცხლში იწვის გურია,  
პალიასტომზე თამაშობს ქარი.  
მწვანე ფოთლებით დაბურულია  
ნასაკირალთან ყვავილთა ჯარი.

წყალში ჩავარდა ხმელი ნაფოტი,  
შუქი მომაწყდა მზის არილიდან.  
სტრიქონი ვტყუორცნე მუხას გაფოთლის, —  
ფოთოლს გაერჭო ისარივითა.

მე გუშინ ვნახე ნასაკირალი,  
მზეში ბრწყინავდა გასაკვირადა.  
და გაზაფხულის იელთა ალი  
შემომეფეთა ნასაკირალთან.

#### ხ ი ღ ზ ე

ჩვენი შეხვედრა აღარ მოხდება,  
მაგრამ რად არის, — ლტოლვა არ ცხრება?!  
ხანდახან სული ამიოხრდება,  
როცა ის ქარი შემომაცხრება.

ჩემი ოცნების რიდეში ბურვილს,  
ვისი გზა გქონდა ნაანდერძევი?!  
ხიდიდან ჰყრიდა დამსხვრეულ სურვილს  
ქარი და წყალზე ხტოდნენ თევზები.

იმ ხილზე ველარ გადავალ, ვიცი,  
იქ ცარიელი ანკესი დამრჩა.  
ვიგონებ იმ შენს ვნებთან სიცილს,  
მდინარის მღვრიე ზვირთებში დამხრჩვალს.

მე ვეფერები მაშინდელ ფერებს,  
ყველა ის ფერი ზეციდან მიმზერს.  
რა იქნებოდა ნეტავი მერე,  
რომ გადაგვევლო ორივეს ხილზე?!

ეს არასოდეს აღარ მოხდება,  
სამაგიეროდ ლტოლვა არ ცხრება.  
ხანდახან სული ამიოხრდება,  
როცა ის ქარი შემომაცხრება.

## შემოდგომა მიტოვებულ სახლთან

გაცივებულია ოდის რიკული,  
ნაცარს თვალები მინავლებია,  
ქვები მთებიდან ჩამორიყული  
ეზოს ყორესთან იმალებიან.

ღობეს მოაწყდა მეზობლის ძალი, —  
ღობეზე აძვრა ჩრდილი კაკლისა.  
და კარს მიეყრდნო ლოდინით დაღლილს,  
კარზე ტალახი ვინ მიაგლისა?

ჩამოკიდულა ჭერიდან ჭრელი  
არტახი ძველი ბამბუკის აკვნის.  
ეზოში ჰყრია ფოთლები ხმელი, —  
წამოჰპარვია ნიავი და ჰგვის.

მეზობლის ბიჭი ბატარა მოზვერს  
ეთამაშება ბზისფერ კალოსთან.  
შემოდგომა ზის გაპოზილ მორზე  
და ჩრდილში ქარვის თვლის კრიალოსანს.

## როსინჯანი

მე დამითვლია შენი ნეკნები,  
გავაზე აღარ გაჩნდა ბალანიც.  
ზურგზე გეყარა ქვეყნის ეკლები  
და წუთისოფლის დარღუბლანი.

ზიდე ვრცელ გზებზე  
სურვილების მძიმე საბალნე.

ექებლი კაცთა  
კეთილშობილ სულის საფანელს.

მინდორზე ბევრი თივა ავცელე,  
გზათა კიდეზე დავდგი ზვინებად.  
მარადის კეთილ სულთა დამცველებს  
აღანთებს შენი შეჭიხვინება.

უსაზღვრო არის  
ლამანჩელი რაინდის ლტოლვა.  
ლანდია შენი  
კენტავრების ზღაპრული ქროლვა.

შემართულია შუბი და ფარი,  
ვინ შეაჩერებს სწრაფვას ჟინიანს?!  
ო, ღრუბლისფერი შენი ფაფარი  
დაშვენდებოდა თმად დულცინეას.

ზიდე ამქვეყნად  
სურვილები სასიკეთონი,  
ცისფერო ფრთაო,  
გზად დაღლილი ჩემი თეთრონის?

მას სურს მოგდევდეს ყიჟინით, ფრენით, —  
ღრუბლიან გზებზე დავიქანცენით.  
...მრავალ ბედაურს შეშურდა შენი  
შუბის ტარივით წვრილი კანჭები.



# სოლომონ დამუხანაშვილი



## მოთხრობა

წვიმისაგან დამფრთხალი ხალხით თანდათან ივსება ქალაქის ქუჩები და რკინიგზის სადგურიც ხმაურით სავსე საკუთარ ცხოვრებას უბრუნდება.

გრძელსა თუ მოკლე გზებზე ნარბენი მატარებლები რიგ-რიგობით შემოდიან და გადიან სადგურიდან, დიდი ხნით ან ცოტა ხნით ჩერდებიან, რათა მგზავრებით ასაზრდოონ ბაქანი, რათა სადგურის ბობოქარ ცხოვრებაში არაფერი დაირღვეს.

ბაქანზე მოფუსფუსე ხალხს ერთი ახალგაზრდა კაცი შეერია.

გოგი ამყაღდ მიბიჯებს ხალხში. წვიმისგან გადარეცხილი ასფალტი შავად ლაპლაპებს და ზედ გამოსახული გოგის ჩრდილი უსაშველოდ იზრდება.

„მატარებლის გასვლამდე ერთი საათი კიდევ დარჩა, უფრო მეტიც... რატომ არ მოვიდნენ ვახო და გურამი?“ — გაიფიქრა მან და გულმა რატომღაც ხილისქვეშ შეკუნჭული ფარდულისკენ გაუწია. განათებული ფარდულში დახლიდარი იდგა.

— გამარჯობა! — მიესალმა გოგი.

— ჰა?

— გამარჯობა-მეტეი.

— ჰო... გაგიმარჯოს.

ყველისაგან დაკენკილ სახეზე დახლიდარს ერთ წამს გაუკრთა ღიმილი.

— ლუდი ცივია?

— ამ წუთში გავხსენი, — ძალზე სერიოზული კილოთი უპასუხა მან.

— დაასხი აბა.

დახლიდარმა ონკანი მოუშვა და ზოცა კათხას თავზე ქაფი გადმოუვიდა, მაშინ გაახსენდა გოგის, რომ ლუდის დასალევად კი არა, სულ სხვა მიზეზით მოსულიყო აქ.

— ძლივს არ გვეღირსა გაზაფხული? — თქვა გოგიმ.

— ჰო, აბა!.. მიირთვი.

— შენ არ დალევ?

— არა.

— დალიე ერთი, ჩემი ხათრით.

დახლიდარმა იჭყნეულად შეხედა მუშტარს და კათხა მიიყუდა. ლუდს ნელ-ნელა წრუტავდა და უცხოს კვლავ ეჭვით აკვირდებოდა. გოგიმ კათხა გამოცალა.

— მართლა ცივი ყოფილა, დაასხი ერთიც.

მერე კათხიდან ცოტა მოსვა და შეისვენა. ჩოფურა დახლიდარი ფულს ითვლიდა.

— კაი საღამოა, არა? წვიმამ გააგრილა ჰაერი.

— ეჰ, კაი საღამო, თორემ მეც ერთი ათასი მანეთი ვივაჭრე რაღა.

— ეგ არაფერი, ხან ისე იქნები, ხან ასე.

დახლიდარმა არაფერი უპასუხა. გოგი სვენებ-სვენებით სვამდა და მის ნირშე-უცვლელ სახეს აკვირდებოდა.

— საჩხერე ახლა უნდა ჩამოდგეს?

— ჰა? საჩხერე ახლა ჩამოდგება პირველ ლიანდაგზე, — დახლიდარმა ფულის თვლა განაგრძო.

გოგომ სამი ლუდის გადაიხადა და ბაქანს გაუყვა. დახლიდარის გაუცინარმა სახემ გუნება შეუცვალა.

„დიდი უყმური ვინმე ჩანდა, ლაპარაკი როგორ უნდა გეზარებოდეს კაცთან?!“ — გაიფიქრა მან.

ისევ მოზღვავებულმა სიხარულმა აუვისო სხეული. ამ სიხარულისათვის უნდოდა გზა მიეცა და გვერდით არავინ ჰყავდა. კვლავ ვაახსენდა მეგობრები — ვახტანგი და გურამი, მის გასაცილებლად რომ უნდა მოსულიყვნენ. ნეტავ სად არიან აქამდე?

მიჰყვებოდა ბაქანს გოგი და გულიდან იდუმალი, უხმო სიმღერა ამოსდიოდა. ეს სიმღერა თავისთავად დაიბადა, ისე როგორც მცენარე ამოღვივდება ხოლმე ნიადაგიდან.

„მგონი დამათრო იმ ლუდმა, კარგი კია ოდნავ გაბრუება“.

ცაზე ღრუბლები აყრილიყო და ქალაქის თავზე სველი, გვერდელა მთვარე ეკიდა. ელვა-ქუხილმა შორს, დასავლეთით გადაინაცვლა.

სადგურს ხალხი უფრო და უფრო მოემატა.

რკინის მაღალ ბოქებზე დაყენებულ პროექტორებს დამის პეპლები დასეოდნენ და ელექტრონის შუქზე სველ ფრთებს იშრობდნენ.

ამაყად მიაბიჯებს გოგი, გეგონებათ მთელი სადგური თან მოაქვსო; თითქოს ბაქანზე მოზიმიხიმე ხალხიც ამ ტანმკვრივ ბიჭს გზას უთმობსო.

აპრილის მიწურული იყო და ნამდვილი გაზაფხული იგრძნობოდა. იმ წელიწადს ზამთარი ძალზე გაჭიანურდა. მერე მზიანი დღეები გამოერია და დაგუბე-

ბული წყალივით იფეთქა გაზაფხულმა მთელ დედამიწას გადაუარა.

გოგის ბიჭი შეეძინა!

ხუთი წელი ელოდა გოგი ძესა და ასულს, მაგრამ მოლოდინი არ უმართლდებოდა. პირველ ხანებში უშვილობა ისე რიგად არ აღონებდა, მერე კი უიმედობამ შიგ სულში დაიბინადრა.

ცოტა ხნით დაეუფლებოდა სიხარული შვილის მოლოდინში და ოთხიოდე თვის შემდეგ გულს იმედს მოსწყდებოდა, ასე გრძელდებოდა და აი, დღეს ნაშუადღევის ოთხ საათზე...

საამკინძაო საამქროს ოსტატის კაბინეტში ტელეფონმა გაბმული წკრიალი ასტეხა, დიდი მანძილი გამოიარა ბიჭის დაბადების ამბავმა. ამბროსი საამქროში გავიდა, გაღიმებულმა თითოთ მოიხმო გოგი და ყურზე სწვდა.

საამქრო ფეხზე დადგა.

გახარებული გოგი თვალს არ აცილებდა თავისი ოსტატის მომღიძარ სახეს. „ალბათ ყველაფერი მშვიდობით დამთავრდა“, — ფიქრობდა და თვითონაც იღიმებოდა.

— ყოჩაღ, გოგი!

— ვერ უყურებ მაგას, ამდენ ხანს ელოდა და უცებ, — ბიჭი?!


„ეს ქალები აღარ გაათავებენ ახლა ლაპარაკს“, — გაიფიქრა მან და საამქროს ოსტატს კაბინეტში შეჰყვა. გოგი ერთი დღით დაითხოვეს და იმ საღამოსვე გაუდგა გზას.

„კარგი აღამიანია ამბროსი, — გაიფიქრა მან. — ნამეტანი ხათრიანი კია... ნეტავი თუ მოვლენ ვახო და გურამი, როგორ გაუხარდება ვახოს... სულ იმას მეუბნებოდა, გული არ გაიტეხოო“.

ვახო და გურამი გოგის სიყრმის მეგობრები იყვნენ. ერთად დაამთავრეს სკოლა და თითქმის ერთდროულად დაიწყეს მუშაობა სტამბაში. ეს მეორე კვირაა, ვახო შევებულებაშია და გოგის უცნაურად მოენატრა.

რესტორნის ვიტრინასთან შეჩერდა და უცებ თვალი მოსტაცა მატარებელმა, რომელიც მეორე ლიანდაგზე ცარიელ

ვრკინული  
გზის მიწის



ვაგონებს მიარიხინებდა. უკანასკნელი ვაგონის კიბეზე გამცილებელი იდგა და ხალხს სასტვენით აფრთხილებდა: გზა უტიეთო.

„კარგია, როცა ხედავ, რომ კაცი კაცზე ზრუნავს. სიმხნევე გემატება“.

უეცრად თავისი სახელი გაიგონა, მოეჩვენა, ვიღაცამ დამიძახაო. მგზავრებს შორის ამოდ აცეცებდა თვალებს, ნაცნობთაგანი ვერაფერი აღმოაჩინა.

„თუ ვახო შინ არ დახვდა, გურამი რაღა იქნა აქამდე?“

მატარებლის ვაგონებს უკვე ნომრავდნენ. ვაგონის კიბეებთან ხალხი მიგუბდა.

გოგიმ უცებ უკან მიიხედა და ხალხში ჯერ ვახოს მოჰკრა თვალი, მერე გურამს. ვახო დაწინაურებულიყო და ღრეჭით უახლოვდებოდა.

გოგის ცა გაეხსნა.

— სად ხარ აქამდე, ბიჭო?

ვახო გადაეხვიდა.

— ხომ ასრულდა ჩემი სიტყვა, ჰა, რას იტყვი ახლა?!

მხარზე ხელი დაჰკრა და გაიცინა. გოგამაც გაიცინა. იცინოდა გურამიც, სამივენი იღვინ და იცინოდნენ.

— რა უნდა დაარქვა?

— ჯერ რა ვიცო.

— ტარიელი დაარქვი.

— ტარიელი კი არა...

— რა, ცუდი სახელია?!

— ცუდი რატომია, მაგრამ რა იცი ახლა, როგორი გაიზრდება.

— ეგეც კია, — ჩაილაპარაკა გურამმა.

— ეჰ, გაიზარდოს და რაც უნდა ერქვას, თქვენ ეს მითხარით, რად დაიგვიანეთ?

— ამას ჰკითხე, აი, — ვახოზე მიუთითა გურამმა.

— ნათესავი ჩამოვიდა სოფლიდან და ცირკში წაყვები.

— რა გეცირებოდა.

— რას იზამ, სტუმარს ხათრი ვერ გავუტეხე, ეგეც არ იყოს, რა ვიცოდი თუ ასეთი ამბავი იყო.

— წამოდი ახლა, რამე დავლიოთ.

— სადაც არის მატარებელი გავა.

— ბიჭი არ უნდა ვაღდეგრძელოო?!

— მერე, როცა ჩამოვალ. **რომელია შენი ვაგონი?**

— მეთორმეტე.

— ჯერ აღრეა. დამიჯერეთ, მოვასწრებთ... ავე, რესტორანი ღიაა.

— რაღა დროს რესტორანია. მატარებლის გასვლამდე ათი წუთი დარჩა. მომეცი ჩემოდანი აქა.

— იყოს, შიგ მძიმე კი არაფერია.

— მოიტა, კაცო, აქა! — ორივენი ხელში წვდნენ გოგის და ჩემოდანი თითქმის ძალით გამოსტაცეს.

— რომელი ადგილია? — სადღაც წინაკუბიდან მიაწვდინა ხმა ვახომ და გოგამაც დაუყოვნებლად გასძახა, მეჩვიდმეტეო.

— ეს რა ადგილი მოუციათ. გინდა, წავალ და ახლავე გამოვაცვლებინებ?!

— მოეშვი ერთი, რა მნიშვნელობა აქვს. დასხედით პატარახანს...

ვაგონში ოციოდე წლის ქალიშვილი შემოვიდა და სამივენი უეცრად გადასხვაფერდნენ ისე, როგორც მოწაფეები გადასხვაფერდებიან ხოლმე, როცა სამასწავლებლოდან დატუქსულნი გამოდიან. ქალიშვილს სამივემ დიდის ამბით დაუთმო გზა და თვალი გააყოლეს.

— აუჰ, მეც მივდიოდე ახლა! — ამოიხბრა ვახომ.

უცხო ქალიშვილს ნირიც არ შეუცვლია, არხეინად გაიარა ვაგონი. ეტყობოდა, ასეთ ყურადღებას მიუჩვეველი არ იყო.

— შენ, ციც... აღარ გეპატიება! — თითი დაუქნია გურამმა ვახოს. მერე სიცილით გაიარეს ვაგონი, კიბეზე ჩავიდნენ და ვაგონის ფანჯრებში დიდხანს, ფეხის წვერებზე შემდგარნი, ამოდ ათვალერებდნენ ქალიშვილს.

გურამი გოგის მიუბრუნდა:

— შენც მაგის ჭკუის გახდი, კაცი ბიჭის მამა ხარ.

— ეე, გამომიხვედი დიდი ჭკუის კოლოფი.

გურამს უკან არ მიუხედავს, ვახოს სიტყვებზე ღიმორეული ნელი ნაბიჯით

უახლოვდებოდა ვაგონის კიბესთან გაჯიმულ გამყოლს.

— რამდენ ხანში გავა?

— სადაც არის დაიძვრება.

სამივენი იღიმებოდნენ და მატარებლის გამყოლს აცქერებდოდნენ.

მატარებელი დაიძრა. გამცილებელნი ფიცხლად სტოვებდნენ ვაგონებს, კიბეებს დინჯად ხუფავდნენ გამყოლნი.

გოგი მეგობრებს გამოეთხოვა და კიბის ზედა საფეხურზე გაჩერდა.

— მოგვიკითხე ცოლ-შვილი.

— გმადლობთ.

— როდის ჩამოხვალ?

— ხვალვე გამოვბრუნდები.

— იმ გოგოზე თვალი გეჭიროს, — გაიღრჩია ვახო.

— აუცილებლად.

გოგი ღიმილითა და ხელის ქნევით ეთხოვება მეგობრებს, მერე როცა ისიბი თვალს მიეფარნენ, ვაგონში შებრუნდა. კუბეში უკვე ლოგინებს აგებდნენ მგზავრები.

„საოცარი ხალხია, მაშინვე დაწვებიან ხოლმე“, — გაიფიქრა, მაგრამ თვითონაც მისივე იგრძნო დაქანცულობა. მასაც მოუნდა ლოგინი დაეგო და დაწოლილიყო. დაწვევები და ფიქრს მივეცემით. ლოგინი სახელდახელოდ დაიგო და წამოწვა.

მატარებელი სვლას თანდათან უმატებდა და ფანჯრიდან შემოჭრილი გრილი, ნაწვიმარი ნიავე სახეში ურტყამდა გოგის.

„კარგი იყო დედაჩემთან დეპეშა გამეგზავნა, მაგრამ ჯერ ჩემი თვალით უნდა ვნახო ბიჭი. ნეტავ როგორია?! სიხარულით ცას ეწევა დედა, ექვსი შვილი-შვილიდან არც ერთი ვაჟი არ გამოერია და გულნაკულლად იყო“. და გოგიმ კვლავ ახალი ძალით იგრძნო სიამაყე და სიხარული. ამ მოზღვავებულმა გრძნობამ ერთი წუთით ძილი გაუფრთხო, ლამის ლოგინიდან წამომდგარიყო და ეს სიხარული ვინმესთვის გაეზიარებინა.

„მინც რა უნდა დავარქვა? ათასი სახელი მქონდა მოფიქრებული და ახლა ერთიც აღარ მახსენდება“.

ძილი კი ისევ ეჯიუტებოდა და დაქანცულ გოგის თავისკენ ეწეოდა.



გარიერთაქვე მატარებელი ცოტა ხნით შეჩერდა, პაწია ბაქანს რამდენიმე მგზავრი დაუტოვა და გორებშუა კივილით გაიკვლია გზა.

მდინარის გაღმა მოჩანდა მაღლობზე შეფენილი სოფელი, სადაც გოგი უნდა მისულიყო. ცის კაბადონს პატარ-პატარა ღრუბლის ქულებსაგან მოქსოვილი ვეება ხალიჩა გადაფარებოდა. ახლა ეს ხალიჩა ნელ-ნელა იშლებოდა და ქვეყანას უფრო მეტი შუქი ეფინებოდა.

გოგი მდინარეზე დაკიდულ ბონდს მიაჰყვებოდა, ბონდისქვეშ ადიდებული, აქაფებული ყვირილა მოღრიალებდა.

გოგიმ გაიარა ბონდი და აღმართს შეუყვია.

მატარებლის ხმა გორებს იქით მიწყდა. მდინარის ხმაურიც ზურგსუკან მოიტოვა და ახლა ირგვლივ უცნაური, პირველყოფილი სიჩუმე გამეფებულიყო. ამ სიჩუმემ შეზარა იგი და უნდოდა დროზე მისულიყო სოფელში, დროზე გაეგო ცოლ-შვილის ამბავი.

გზაზე ძებორციელი არ შეხვედრია. სოფელი ის-ის იყო იღვიძებდა. სისველისაგან დამძიმებული, დახნეკილი ფოთლებიდან მიწაზე ტკაპუნით ეცემოდნენ წვეთები.

გოგიმ ფეხსაცმელზე დაიხედა: შავი საღებავი გადასცლოდა და ალაგ-ალაგ სიყვითლე ეტყობოდა. ინანა, წამოსვლისას რატომ კიდევ არ შევალბინეთ.

აღმართი აიარა, წინ ნაცნობი დაბლობი გადაიშალა. დაბლობის ბოლოს, სამხრეთით, მკრთალად იხაზებოდა მარად-თოვლიანი ვიწრო ქედი და მთები თითქოს ქრებოდნენ თხელ, რძისფერ ნისლში.

გოგის ისევ წამოუარა წელანდელმა შიშმა.

„როგორ დამხვდებიან?“ — გაიფიქრა მან და ფეხს მოუჩქარა. უკვე იმ უბანში შევიდა, სადაც მისი ცოლოური ცხოვრობდა. პატარა, კოპწია ეზოებში ზან-

ტად დააბიჯებდნენ ქათმები და ნამიან ბალახში გულმოდგინედ იქექებოდნენ.

გოგამ წყაროსთან შეისვენა და მეუღლის სახლისკენ გაიხედა. იქიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა, არც ვინმე ჩანდა აივანზე. იგრძნო, როგორ აუძგერდა გული. შეეცადა, ცუდი ფიქრებისთვის როგორმე დაეღწია თავი.

ადმართი მარჯვედ აიარა და ჭიშკარს მიაღდა. ჭიშკარი შეაღო და ჩაახველა, მაგრამ არავინ გამოხმაურებია. გულმა ისევ დარეკა. „იქნებ იქ, სამშობიაროში, რამე გასაჭირია?“

რაკი შინ ვერავინ ნახა, ჩემოდანი კიბეზე დატოვა და მეზობლისას გავიდა.

— იუღია! — ხმამაღლა დაუძახა მეზობლის ქალს. დაბალ, ძველებურაივინან სახლში ვიღაცა ვიღაცას ელაპარაკებოდა და გოგამ უფრო ხმამაღლა დაიძახა:

— იუღია!

ლაპარაკი შეწყდა და კარებში შუახანს მიტანებული ზორბა ქალი აისვეტა.

— გოგის გაუმარჯოს... ჩამოხვედი? მოდი ახლოს! — სახე გაებადრა იუღიას, შიშველი ფეხები ფლოსტებში ფიცხლად წაპყო და კიბეზე დაეშვა.

იუღიას ღიმილმა ყველაფერი კალაპოტში ჩააყენა. ესე იგი, საქმე გვარაინად არის, ცოლ-შვილის თავს ცუდი არაფერია.

— გოგი ჩამოსულა! — თთახში ვიღაცას მიახარა ქალმა.

— როგორ ბრძანდებით? — შორიდანვე გაუწოდა ხელი იუღიამ, — მომილოცავს ბიჭი, ბედნიერი გაგეზარდოს.

— გოგის სიცოცხლე! — აივანზე კოჭლობით გამოვიდა შიო და ისიც ჭიშკარი-საკენ წამოჩაახუნდა.

იღვა გოგი და კვლავ სიამაყით ავსებული, წელში გამართული უსმენდა იუღიას.

— ცოლ-შვილი კარგად გყავს, ჩასაყლაპი ბიჭია... ხი, ხი, პაწუა. გუშინ ვინახულე. დეპეშა მიიღე?

— დიახ, გმადლობთ.

— იმ დღესვე გამოვაგზავნე. ვფიქრობდი, მისამართი ხომ არ ამერია-მეთქი?

— არა... გაუმარჯოს ძია შიოს! — დიმილით გაუწოდა ხელი გოგამ იუღიას მეუღლეს.

— სხვა როგორ გიკითხოთ?

— არა გვიშავს. ქალაქში რა არის ახალი?

— არაფერი ისეთი.

— თქვენები შინ არ არიან? — ჭკითხა იუღიამ, — სერგო კი სამუშაოზე წავიდა, მაგრამ ეფროსინე? ალბათ ძროხა გაიყვანა საძოვარზე. მოიცა...

იუღია განზე გადავა, პირზე ხელი მიიღო და დაიძახა:

— ეფროსინე!...

— ბატონოო!.. — წარათს გაღმიდან მოაღწია ქალის ხმამ.

— სიძე, მოგივიდა, ბოშო, სი-ძეე!..

მერე იუღიას აღარავინ გამოპასუხებია. ცხადია, ეფროსინემ გაიგონა და ულაპარაკოდ სახლისკენ გამოსწია.

— მაშ არაფერია ქალაქში, პა? — შიო მტკივან ფეხს დაეყრდნო და თამბაქოს გახვევას შეუდგა.

— ისეთი არაფერი.

— შინ შემოდი, დაისვენე.

— არა... ბარემ ჩავალ სამშობიაროში.

— თუ გინდა გამოგყვები, — თავი გამოიდო შიომ.

— შენ თუ არ წაყვევი ახლა, ინც ვერ მიაგნებს. აქაც ძლივს დაიხლართები. ხი, ხი, — გაიცინა იუღიამ.

შიომ ვითომც არაფერიო, მშვიდად გაახვია თამბაქო და გააბოლა.

— ისე ხომ კარგად არიან? — გულმა არ მოუთმინა გოგის.

— მშვენივრად. აგერ ეფროსინეც მოდის. ასე უნდა, ქალო, სიძე მოგივიდა და შენ იმალები?!

სიდედრმა გოგი გადაკოცნა და გული აუჩუყდა.

— დიდი ბიჭი გაგეზარდოს, შვილო, რაღაი დაგადგათ საშველი და გადამირჩა გოგო... წამოდი, დაისვენე.

— არა, ბარემ ჩავალ სამშობიაროში.

— ახლავე წახვალ, შე კაცო! ცოტა წაიხეშე და მერეც ქე მოესწრები.

— ზომ იცი ახლა, ჩემო ეფროსინე, შვილის ნახვა უნდა, ხი, ხი!

— რაეარც გინდა, შვილო, მე კი არ გიშლი შვილის ნახვას, მარა...

მალე გოგი სამშობიაროს გზას დაადგა. სამშობიარო მოყვრების სახლიდან ოცი-ოდე წუთის სავალზე იყო, წერეთლისეულ სასახლეში.

სოფელი უკვე ფეხზე იდგა. ცნობის-მოყვარე თვალებით მიაცილებდნენ უცხო მგზავრს სოფლელები.

გოგიმ ხევი გაიარა და სამშობიაროს ეზოში ამოყო თავი. ძველებური შენობის ხის კიბეზე იდგა დამლაგებელი და საფეხურებს დიდი გულმოდგინებით წმენდდა.

ფანჯარას ვილაც თეთრხალათიანი ქალი მოადგა, გოგის დააცქერდა და მერე საღლაც გაქრა.

სულ ცოტა ხანში ის თეთრხალათიანი ექთანი აივანზე გამოვიდა, ღიმილით გადმოხედა გოგის. საესებით უცნობი იყო და ძალზე შინაურულად კი უღიმოდა.

კიბეზე ამავალ ბიჭს დამლაგებელმა თავაზიანად დაუთმო გზა და თვალი გააყოლა.

— მობრძანდით, — მიეგება პირმცინარე ექთანი, — ეს-ეს იყო თქვენი მეუღლე გახსენებდათ.

გოგიმაც გაუღიმა და უკან გაჰყვა.

ვეება ოთახში მელოგინეთა შორის გოგიმ უმალ შეამჩნია ალერსიანი, დაუფარავი სიხარულითა და სიმორცხვით აღგზნებული ნაცნობი თვალები.

„როგორ გამოცვლილა, თითქოს დაპატარაებულა“.


შემკრთალმა ფრთხილი ნაბიჯით გასწია მღუღლისაკენ, აქეთ-იქიდან გრძობდა ცნობისმოყვარეთა მზერას და გული კვლავ სიამაყით აღევსო.

— ა, რო ნატრობდი, მოგივიდა ქმარი! — ეს თეთრხალათიანი ქალის ზმა იყო, რომელიც უკან, კარის ჩარჩოს მხრით მიჰყუდებოდა.

— ვნატრობდი არა... — გაწითლდა ქალი და უხერხულად გაიღიმა.

— როგორა ხარ? — ჰკითხა გოგიმ.

— კარგად ვარ... ლილი! — ექთანს გასძახა, — რომ წამოვდე, რა უჭირს?

— ეგ არ გამაგონო თუ გიყვარვარ... 

— როგორ შეიძლება, შვილო, — წამოეშველა ექთანს ვილაც. ისინი, ვისაც უკვე შეეძლო ზეზე სიარული, გარეთ გაილაღნენ და ოთახში სამიოდე მელოგინელა დარჩა.

— მოდი აქ, დაილუნე. რა არის, პერანგი ველარ გაიუთოვე? საყელო რაღას გაგიღეღია, — ქალმა თავისი ხელით შეუბნია საყელო და გოგის მოეჩვენა, რომ ის დიდხანს მოუწდა საყელოს შუკერას.

— მომეშვი ერთი, ნეტავი შენა. სად არის ბიჭი?

— ბიჭს ვერ ხედავ? გვერდით, პატარა საწოლზე იწვა ახალშობილი სიცოცხლე და არხეინად ეძინა.

იდგა გოგი და თვალს ველარ ამორებდა მძინარე ბიჭს.

— ასე რატომ უყურებ?

— უყუროს, შუც ქლო, თავისი შვილია და... — თქვა ოთახის კუთხეში მხართეძოზე წამოწოლილმა ქალმა.

— დიდი ხანია სძინავს?

— სულ სძინავს და სძინავს. მაშიაილა.

— უყურე შენ ამას. მოდი გააღვიძე.

— რატომ გავაღვიძო, რას ამბობ?

გოგიმ არაფერი უპასუხა. ისევ ბიჭს დააცქერდა. მერე ოთახს თვალი მოავლოდა რაკი დარწმუნდა მელოგინე ქალები თავიანთი საქმით გართულანო (ყოველ შემთხვევაში, ასე ეჭირათ თავი), უფრო გაშინაურდა.

— რაო, ექიმები რას ამბობენ, ჯანმრთელიაო?

— კი. შენ ის მითხარი, ახლა ბავშვი-სათვის არაფერი წამოიდე?

— რა ვიცი, რა უნდა წამომეღო?

— ათასი რამე დაგვჭირდება.

— რაც გინდა, ჩამომიწერე, ორ დღეში ისევ გამოვბრუნდები. ჭერ შევებულე-ბაში კი არა ვარ, მხოლოდ ერთი დღით გამომიშვეს.

ქალმა კარისკენ გაიხედა. იქ ცოტა ხანს იდგა ექთანი და წავიდა.

— წადი ახლა, ექიმი ჩამოვიღის და გაჯავრდება.

— მოიცა, იქნებ გაიღვიძოს ბიჭმა.

— უყურე შენ ამას. საღამოზე აქ არ მოხვალ? ისე ხომ არ წახვალ თბილისში.

— კი მოვალ, მაგრამ... ის ქალი ვინ არის, თეთრხალათიანი.

— ექთანია ჩვენი. იცი, რა კარგი ქალია?!

— რა იცოდა ვინ ვიყავი, შორიდანვე გამიღიმა.

— მიხვდა ალბათ, უცხო სხვა ვინ უნდა მოსულიყო.

— ჰოო...

გოგის ხმა აღარ ამოუღია, ისევე მძინარე ბავშვს დააქცერდა და თან გრძნობდა, როგორ ნახად, ალერსით შეჰყურებდა მეუღლეს.

— გამხდარხარ, — თითქმის ჩურჩულით უთხრა ქალმა, — ფულს ნუ ზოგავ, სულელი!

— ვზოგავ არა... — ოდნავ აწითლებულმა გოგამ მელოგინე ქალებს გადახედდა, ისინი თავიანთი საქმით იყვნენ გართული.

უეცრად ბიჭი ატირდა. მთლად შებოჭილი თავს აქეთ-იქით აქნევდა და გოგამ თვალი მოჰკრა რბილი, შავი თმით დაფარულ მის საფეთქელს. გაიღიმა, უფრო ახლო მივიდა და დააკვირდა.

— რათა ტირის?

კარში კვლავ გამოჩნდა ექთანია და ქალს რაღაც ანიშნა.

— წადი ახლა, — უთხრა მეუღლემ გოგის, — ექიმი მოდის. აბა, შენ იცი, საღამოზე უჩვენოდ არ წახვიდე. მატარებელი გვიან გადის.

„უჩვენოდ არ წახვიდე“ — გულში გაიმჯორა გოგამ ეს სიტყვები, პირველად რომ ესმოდა ცოლისგან და მაშინვე უპასუხა:

— უთქვენოდ რა წამიყვანს.

— ძალიან არ დაითრო, იცოდნენ... გოგამ ხელი გაუწოდა მეუღლეს. მა მისი ხელი თავისკენ მიიზიდა. სულ რაღაც ერთი წამით თვალეებში ჩახვდა გოგამ და ალერსით, ბედნიერებით აღსავსე თვალეებში მყისვე ამოიკითხა რაღაც მიუწვდომელი, უსაზღვრო სურვილი...

დამლაგებელმა, რომელიც უკვე ბოლო საფეხურს წმენდდა, კვლავ გზა უტია და გაუღიმა. მანაც ღიმილი დაუბრუნა პასუხად.

გახარებული გაუყვა სოფლისკენ მიმავალ გზას. როგორც კი ათიოდე ნაბიჯი გაიარა, იგრძნო, რომ რაღაც აკაეებდა, რაღაც დარჩა უკან, ყველაფერზე ძვირფასი, ყველაფერზე საყვარელი.

„ბარემ დეპემას გაუგზავნი დედაჩემს. აქ, საღდაც, რკინიგზის სადგურში, ფოსტა უნდა იყოს. ისე, მართლა, ვეფხივით ბიჭი კია“, — გაიფიქრა და ნათლად წარმოიდგინა, ამ სიტყვებს როგორ გაიმეორებდა ნაცნობებთან, ნათესაებებთან თუ მეგობრებთან.

ფოსტაში შეიარა, ღედასთან დეპემა აფრინა...

შემადლებულ მზეს ნაწვიმარი მიწა უკვე შეეშრო და მთელი ქვეყანა კიდით-კიდემდე გაეკაშკაშებინა. გზის პირას ჩარიგებულ ახლადგაფოთილ ხეებს ჩრდილები სქლად დაეფინათ.

„მართლა ვეფხივით ბიჭია, — რამდენ ხანს ველოდით, — გაიფიქრა მან, — ოთხ ძმაში ბიჭი მარტო მე მყავს.“

უეცრად ნაცნობი ტირილი გაიგონა. უნდოდა ეს მოჩვენება გაგრძელებულიყო, მაგრამ იმ წამსვე გაქრა. ფეხს აუჩქარა, რომელიღაც ჭიშკარს ყეფით მოასკნა ნაგაზი. გულგრილი, დამამცირებელი ღიმილით გადახედა მოზერისტოლა ნავაზს გოგამ და გზა განავრძო.



## ნიკოლოზ ჩაჩავა

### ჩემს თანატოლებს

ბევრი დავკარგეთ და დავთმეთ ბევრი,  
მაინც მხნელა ვართ და მაინც ვიბრძვით.  
ისევ აივსო ცხოვრების ქვევრი,  
თურმე ეს არის კანონი სიბრძნის,

რადგან სიცოცხლეს იმხელა ფრთა აქვს  
და ამ სიხარულს იმხელა გზნება, —  
რომ დანაკარგი ამისთვის რაა,  
რომ დანაკარგი მიდის და ქრება.

ამ დიდი ქვეყნის შორეულ გზებზე,  
ჩვენ გადაყვეით ბედის ძიებას.  
დროის სიმძიმე დავვაწვა მხრებზე,  
მისთვის ბევრი რამ გვეპატიება.

დაგვაწვა მხრებზე, სიმძიმე მიგვაქვს,  
ახლაც მედგრად ვართ და ვცოცხლობთ ახლაც...  
ცხოვრება ხშირად წაგავს იგავს  
და ჩვენც ხომ ხედავთ, არა ვყრით ფარხმალს.

### მიმწუხრის სევდა

დამითირებენ, დავავიწყდებით,  
დრო წაშლის ყველა სევდას და ვარამს.  
ვინ იცის, მერე როდის მიგწუდებით,  
რაც წაუშლია ბნელსა და წკვარამს.

მე ვიცი, რომ შენ ყველაზე უფრო,  
დაგაჩნდები და გამოგაკლდები,  
დარჩები მარტო ჩიორა უფრთოდ  
და აგეშლება სევდის ნაკვეთები.

მე ეს მეყოფა, თუკი დაგაჩნდი,  
თუკი შენს ფიქრთან ვიქნები ახლოს.  
თუ შემიკედლებ ლანდსა და აჩრდილს,  
მე არ ვინატრებ სხვა სამოსახლოს.

# ფრისცველენ



ღირიასული კოემა

ისევ სველია მდელი და კორდი,  
 გალობს ბუნების უმანკოება,  
 და მოდის ჩუმად, წვეთ-წვეთად მოდის  
 ფერისცვალების ჩუმი პოემა.  
 ცვარი! იმგვარად კამკამებს ცვარი,  
 ბედნიერ ქალ-ვაჟს ნამდვილად უკვირს:  
 თითქოს ათასი ბრწყვიალა ზარი  
 ერთად ჟღერს რაღაც ზავშეური ნუკვით.  
 გამოქვაბულთან ჩერდება ვაჟი,  
 ქალი კი ველურ ყვავილებს ეძებს,  
 რომ ჩაიბნოს ჩალისფერ თმაში  
 და იოცნებოს შორეულ ბედზე.  
 გამოქვაბულში ღამეა ბნელი,  
 შეხვალ თუ არა, შეგძრავს უმაღლე;  
 ვაჟი ქვის საგნებს ეხება ხელით  
 და იღუმალ შიშს გოგოს უმაღავს...  
 ნუ აფათურებ ბრმასავით თითებს,  
 სიჩუმის ოჯახს ნუ ამღვრევ ურცხვად;  
 გარეთ გამოდი და გაიმიღვრე,  
 დაესწარ ხეთუფალების ფურცვლას.  
 და ქალიშვილის მორთოლვარე კალთა,  
 თეთრი მხრები და თეთრი ხელები,  
 მღვიმის ღამეში იმგვარად გაკრთა,  
 როგორც მზიანი დღის გაგრძელება.

\* \* \*

მაგრამ ბრმა არი ცთუნება თვითონ,  
 ჩაკვიდებს ხელს და გაგიყოლიებს...  
 გამოქვაბულში დანთებულ სითბოს  
 თანაბრად, უხმოდ იყოფს ორივე —

ვაჟი და ქალი, წყვილი ღრუბელი,  
დამძიმებული წვიმით, სურვილით,  
ბედნიერების ბრწყინვით, წყურვილით  
და სიყვარულის რკინის უღელით.  
გამოქვაბულში იძრა სიჩუმე,  
ვით იძვრის ბაეში ჯერ არშობილი.  
გარეთ ვნისი გააქვთ ჩიტუნებს,  
ხასხასებს მოლი ნამშეშრობილი.  
ქალ-ვაჟს ეამა გრილი გარემო  
და... ქვაურ საგნებს სუნთქვით ამხელენ,  
დედაბუნებავ! შენ უმფარველე  
მათ უსასოოდ შემკრთალ სახეებს.  
თუ დახშული აქვთ სმენა გრიფონებს,  
და აღარც მათი ღაღადებს ლოცვა, —  
დედაბუნებავ! შენ გაიგონე  
ათასწლის შემდეგ ბირველი კოცნა!

\* \* \*

გარეთ შუადღის ხვატი ნებივრობს,  
ქვაბში კი ღამე წკვარამ სულს ღაფავს;  
მისმინე, ნუკრო, გაფითრებულო,  
მე ამ ღამეზე გიამბობ ზღაპარს.  
...დიდი ხნის წინათ ქართველ ქალწულთა  
აქ ჰბოვეს ბინა, — ამბობს ზღაპარი, —  
სულთნის ცოლობა არც ერთს არ სურდა,  
კლდე ამჯობინეს მიუსაფარი.  
აქ, ამ მღვიმეში, უდაბურ მხარეს  
თორმეტი ქალი განგებას ენდო,  
თორმეტი დღე და თორმეტი ღამე  
თორმეტი წყვილი სანთელი ენთო.  
და მაინც მტერმა მიაგნო მალე  
კლდის ჩარჩობებში ჩადგმულ სამტრედეს;  
თორმეტი დღე და თორმეტი ღამე  
გამოქვაბულის კარებს ამტვრევდნენ.  
ბოლოს იგემეს სასჯელი მკაცრი,  
როცა კარების შეღეწვა შეძლეს:  
თორმეტი წყვილი ნაწნავის ბაწრით  
თორმეტი ქალი ეკიდა ჭერზე.  
ო, ეს ზღაპარი ნუ გეგონება,  
გაფითრებულო, პატარა ნუკრო.  
მე ქართველ ქალებს ვუქებ ქალობას  
და მათ დიდებულ აჩრდილებს ვუხმობ.

\* \* \*

ფრთხილად შეეხო ვაჟი ქალიშვილს,  
თითქოსდა სველ ტოტს შეეხო იგი.  
ღუმს ქვის საწოლი და ქვის ბალიში  
და ეს ღუმილი გროვდება ირგვლივ...

გროვდება ჩუმად, მჩატედ და ჩუმად  
და სულს იისფერ ბურუსში ახვევს;  
ო, ეს ბურუსი უღევს სარჩულად  
პატიოსნების უზადო სახელს!  
მაგრამ გვიწვევენ ზოგჯერ საგნებიც,  
რომ ჩაეიდინოთ დანაშაული;  
ძნელად საპოვნი და მისაგნები  
მიზეზი ზვარაკს თვალწინ ჩაუვლის.  
და გაუღიმებს ისე კეთილად,  
და გაუღიმებს ისე მინდობით,  
თითქო მის სულში გამოკვეთილა  
სათავე ცოდვის თუ ცრემლდიდობის.  
ო, მხოლოდ მაშინ გემართებს სიფხიზლე,  
რომ მოთმინებას ვენდოთ ღელვის წილ.  
და სევდა, სულში რომ შევიხიზნეთ,  
განიკურნება ისევ მერმისით!

\* \* \*

გამოქვაბულში სამნი არიან:  
ვაჟი, ქალი და უცნობი შიში.  
გარეთ ცა იასამნიანია  
და მზე სულს ითქვამს კლდეების ჩრდილში.  
ქალს ეშინია ძლიერი ხელის  
და თავისთავად ამხელს სისუსტეს.  
ვაჟი დუმილში სასწაულს ელის  
და ეს დუმილიც სულ შეისრუტეს.  
სძინავს დროის და სივრცის გარეშე  
მარადისობის ქვადქცეულ ქოროს;  
გამოქვაბულის დიდ სიწყნარეში  
ოქროს საათი ტიკტიკებს მხოლოდ.  
მარცვლავს ათასგზის დამარცვლილ წამებს  
და ემატება ასაკს უხსოვარს;  
ო, ფერმკრთალ ფსკერებს ესოდენ მწვანე  
ხავსის სამოსი ვინ მოუქსოვა?!  
თითქოს ქალივით გაშიშვლდა ფიქრი  
ქვაურ საფარშიც მიუსაფარი;  
ასტონიანი კედლების იქით  
ასტონიანი აღსდგა ზღაპარი!  
აღსდგა ზღაპარი, დახსნა კედლები  
და შემოიჭრა მღვიმეში ცხრა მზე!  
თვალი თვალს შეხვდა უხმო ვედრებით  
და სასწაულიც დამთავრდა ასე!

\* \* \*

სინათლე! ორთავ თვალის სინათლე! —  
აი, მკურნალი ყოველგვარ წყლულის;  
შენ ამ წყალობას თუ მიწილადებ,  
მე დავამარცხებ საპარის წყურვილს!

სინათლე! ორთავ თვალის სინათლე! —  
აი, თავზარი ყოველგვარ შიშის;  
შენ ამ ზარის ხმას თუ მიწილადებ,  
მე გიმეგობრებ ლხინშიც და ჭირშიც!  
სინათლე! ორთავ თვალის სინათლე! —  
სათავე ყველა ბედნიერების;  
იგი ვნებათა არის სიმართლე,  
გამცოცხლებელი ზღაპრულ ფერების.


\* \* \*

— მე მჯერა შენი! — ვაჟის ხმა ისმის.  
— მე მჯერა შენი! — პასუხობს ქალი.  
დედაბუნებაე! გაფანტე ნისლი  
და გაუსწორე საწუთროს თვალი.  
გამოქვაბული დატოვეს ორთა  
და ერთმანეთის დგანან მხარიმხარ;  
ნიავე ჩრდილებს ათრთოლებს ოღნავ,  
თითქოსდა მწიფე ყანა დაირხა.  
გაყუჩებულა მიწა კოცნისთვის  
და ფერს იცვლიან მწვანე მინდვრები.  
ცაში დამდნარი იკაროსის ფრთის  
ფირუზის წვეთებს სვამენ ჩიტები.  
გამოქვაბული დატოვეს ორთა,  
თვალეებს მიაწყდა სინათლის ჩქერი.  
გამოქვაბული დატოვეს ორთა  
და ისე ჩუმად იცვალეს ფერი,  
ვით შემოდგომის სუსხიან დილით  
გააღებ კარებს, აგიტანს თრთოლვა  
და გაგიღიმებს საოცრად თბილად  
მოულოდნელი პირველი თოვლი!

\* \* \*

ქალ-ვაჟი დიდხანს უსიტყვოდ იდგა,  
ბოლოს კი ფერდობს დაჰყვა ჩურჩულით:  
— იცი, მე ახლა სირბილი მიხდა,  
სირბილი მინდა თვალდახუჭული! —  
მთრთოლვარე სხეულს უნდა სირბილი,  
დაუსხლტა ვაჟს და შემოჰკრა ტაში.  
ცის სირბილე და მიწის სირბილე  
ჟრუანტელივით დაუვლის ტანში.  
შეუშრიალა კაბა ნიავემა,  
მწვანე მინდორზე მირბის შველივით.  
ასე გვონია, მირბის კი არა,  
მიფრინავს მზისკენ ხელგაშვერილი.  
შორს დარჩა რუხი კლდეების ქანი  
გაბრუებული ნისლების რწევით.  
გამოქვაბულის ათასი თვალიც  
შორს დარჩა, როგორც ათასი წელი!

მირზის... სიხარულს არა აქვს წონა  
და მთელ სამყაროს მაინც იწონის.  
თრთიან ყვავილნი თვალმოსაწონად  
მჯილის სიმსხონი და უბიწონი.  
მირზის! სიყვარულს ასე სჩვევია,  
თუ გაიმარჯვა, ვერ მოისვენებს!  
დედაბუნებაჲ! იგი შენია  
და დაუკოცნე თეთრი კისერი!  
ქარში გაშლია ჯიუტი ზილფი,  
მზისფრად უელავს თვალთა გიშერი;  
ეს — ფრთაშესხმული სიცოცხლე მირზის  
ყელმოღერილი და ფეხშიშველი!  
დახშულ წამწამზე მკვეთრი ფერებით  
კრთიან მინდვრები... მთები... ხიდები...  
ტკბილია იგი ბედნიერება,  
წყაროსთვალღვით თუ უფრთხილდები!  
და ბალახებში დამფრთხალ კალიებს  
გამოუცვივდათ თვალეზი მწვანე.  
დედაბუნებაჲ! შენ უთვალთვალე  
თავდავიწყების უთვალავ წამებს.  
ქალი კი მირზის თვალანთებული,  
სირბილია თუ ფრთების სიმღერა?!  
თითქოს მკერდსავე, აქაფებული  
მდინარის ტანი გნებით იღვრება.  
ჩაიჩხრიალეს ხევში ლოდებმა,  
ექოს გაეხსნა გზები შორეთის.  
საქვეყნო ზემს თუ მოწოდებას  
ამგვარი ზათქი მოსდევს ყოველთვის!  
ხარობს ქალ-ვაჟი, სივრცეს მიიკვლევს  
ფერდაწმენდილი მათი ოცნება;  
მზეც ნელა ჩადის ნაცნობ ბილიკით,  
ვით ხელთუქმნელი ბატოსნება!



## აღმოსავლური გლეხები

მოსკოველ პოეტს ალექსანდრე გლეზერს ჩვენი მკითხველი კარგად იცნობს. იგი დიდი სიყვარულითა და მონღოლებით თარგმნის ქართველ თანამოკალმეთა ლექსებს. ა. გლეზერის შემოქმედებაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ქართულ სინამდვილეს, რაც წინამდებარე ლექსებიდანაც მკაფიოდ ჩანს.

### სიყვარულის ბაღადა

შენი თვალეები და შენი სახე  
მატარებს ბედის დახლართულ გზებზე,  
ყველაზე ნათელ იმედად გასახვ  
გაჩენის დღიდან გელტვი და გეძებ.

ოცნების ცაზე ფრთებს ლაღად შლიდი,  
უცხო მშვენიებაზე, რიჟრაჟის მსგავსო,  
დალილა იყავ — ცბიერი, ფლიდი,  
ვედარებოდი თვალდათხრილ სამსონს.

შენზე ვფიქრობდი ავდარში, დარში,  
ამქვეყნად მხოლოდ შენთვის ვიცადე,  
მლლიდა ლოდინი და მაინც დავრჩი  
შენი ერთგული კუბოს ფიცრამდე.

სიამის, ტანჯვის შენ ხარ სათავე,  
შენი აჩრდილი მე ყველგან მდევდა,  
მახვილი დამკარ და გამათავე,  
ჩაძირულ გემის მარგუნე სევდა.

ღამეა. გიხმობ — ო, სიყვარულო!  
უშენოდ ვარ და მეცლევა ძალა,  
ქალაქში მთვარე შემოპარულა,  
ღამეა ახლა და სძინავს ქალაქს.

ამ ქალაქს ახსოვს ათასი ჭირი,  
რბევა, თარეში, ხოცვა და ყლუტა...  
სხვა დროა: დღეს აქ არავინ ტირის, —  
მთაზე ამაყად ღვას ქართველის დედა.

მთებში მოიწყვდეულ მდინარის ღელვა  
მაფორიაქებს, ამიშლის ფიქრებს...  
შენ ფიროსმანის უკვდავმა ხელმა,  
ჯადო-ქალაქო, დაგხატა იქნებ.

მეცა ვარ ერთი იმათთაგანი,  
შენ სადღეგრძელოს ვინც გულით შესვამს.  
და კარგად ვიცი — თუ მივაგეხი,  
მე აქ მივაგნებ სიყვარულს ჩემსას.

და თუ დამქანცავს მგზავრობა მძიმე,  
დამასვენებ და მომეფერები,  
მაპოვნინებენ დაკარგულ იმედს  
შენი ქუჩები და სიმღერები.

მე და ის მხოლოდ შენი ვართ ღვიძლი,  
ჩვენი გულების შენ ხარ მალამო,  
უმისოდ ყოფნა არ შემიძლია,  
ეთერს დავექებ აბესალომი.

შენი ვართ, როგორც მთაწმინდა ძველი  
და შენი ეშხით დავალ მიწაზე...  
ჩემო ქალაქო, მომხვიე ხელი,  
მომხვიე ხელი და ამიტაცე.

მინდა გათავდეს ჩემი წვალება...  
მინდა ვიხილო ბალი ედემის;  
ფართოდ გახელილ წმინდა თვალებით  
ჩემს დიდ სიყვარულს შევეფეთები.

თარგმანა მხარა კვიციანიძისა.

## დილა ქაშუეთში

დავხატე თრთოლვით ყველა საგანი,  
გავცრიცე ღამე ელვარე შუქით,  
დამწიფებული ყანის ღაღანი  
უცხო ბგერებად შეიჭრა სულში.  
და მათ ვუსმენდი,  
და... მიხაროდა,

სიცოცხლის ჰანგი ყველგან ისმოდა,  
ჩემი ფიქრები ვარსკვლავთ ხაოდან  
ერთვოდა ქვეყნის მარადისობას.  
განთიადი კი, როგორც ფერია  
მოირწეოდა სავსე სხეულით,  
ვუყურებდი და ლელვა ფერების  
ჩემს სულში იყო გადამსხვრეული.  
...და მე რაც გავჩნდი და რაც დღე ვთვალე  
ვხატავდი ვენებით,  
ვხატავდი თრთოლვით,  
რადგან მზესავით მიწვავდა თვალებს:  
სიმწვანე, ალხი, ქათქათა თოვლი.  
და... გავიფიქრე მეშველა-მეთქი,  
მიკვირდა, ღმერთო, ეს რა შევძელი, —  
დილის ნისლი კი რძესავით თეთრი  
ერჩოლებოდა ღამეს ვერძივით.  
და აგანგაშდა გრძნობა ფარული:  
შური თუ ღვარძლი,  
ტრფობა თუ ნდობა,  
მზე — ქაშუეთში შემოპარული  
ნათელ კედლებზე ხოხბისფრად თრთოდა.  
და ქაშუეთის ღია სარკმლიდან  
უსასარულობას ერთვოდნენ გზები  
და სულში გზნება ისე აკივლდა,  
თითქოს აღელდნენ მთვლემარე ზღვები.  
ეს როდი იყო ჩუმი ზმანება, —  
იძაბებოდა სიცოცხლის ჰანგი  
და როს დარეკეს ომის ზარებმა  
მე შემომესმა წკრიალი ჩანგის,  
რომელიც იყო მღელვარე ფრესკა,  
რომელიც კრთოდა დილის სიმეზობით...  
იყო რიალი თვინიერ ფერთა  
და... უკვდავების ღიღი იმედი.

თარგმნა დილარ იმარღავაშ.

\* \* \*

ვუცქერ მდინარის დინებას ძლიერს.  
მე მიყვარს ფიქრი მდინარის პირას.  
მტკვარი რომ მოდის რუხი და მღვრიე,  
ნუ დააბრალებთ შლამსა და სილას.

მე ამის მიზეზს აშკარად ვხედავ —  
თვალი მელღება წარსულის მწერიტ.  
მტკვარს გული ორად გაუბო სევდამ  
და შეეცვალა მდინარეს ფერი.

ასე იმღვრევა თვალეზი ცრემლით,  
როცა ყოველ წელს გოდებით ხვდები...  
ჩემო ქალაქო, ხოხობო ჭრელსო,  
კვლავ გაგიშლია ლამაზი ფრთები!

სამასი გმირი არ თმობდა იმედს, —  
მტკვარი ვერაფრით შეელოდა ქალაქს,  
გულში იკრავდა დაღუპულ გმირებს,  
რომ მტერს ცხედრები არ შეებლავა.

ბანდა ჭრილობებს, მოთქმით და ზარით  
ღმერთს ავედრებდა დაცემულ მებრძოლთ.  
და გმირთა სისხლმა შეღება მტკვარი,  
რომ ტალღებს მუდამ თამამად ევლოთ.

ვუცქერ მდინარის დინებას ძლიერს.  
ჰყვავის ქვეყანა ბევრჯერ ჯვარცმული.  
და მოდის მტკვარი, რუხი და მღვრიე,  
რადგან თვალნათლივ ახსოვს წარსული.

თარგმანა ზიჰინა მინდაძემ.





# ქაე, ანათოს უპუკაე

## მოთხრობა

მზიან დღეს მატერიკის მაღალი ნაპირიდან ზღვაში კარგა მოზრდილი კუნძული მოჩანს. მოლურჯო ნისლში გახვეული კუნძული თითქმის არ სცილდება ზღვის ზედაპირს, სადაც ძლივს შესამჩნევად ილანდება სანაპიროს მკრთალი კონტურები. ადგილობრივი მცხოვრებლები მას უხსოვარი დროიდან თოლიეზის კუნძულს ეძახიან.

შემოდგომის მძვინვარე გრიგალების დროს თოლიეზის კუნძული მეთევზეთა თავშესაფარია, გაზაფხულზე კი ზღვისპირელ კოლმეურნეებს იქ თავიანთი საფუტკრეები გადააქვთ. კუნძულზე ისეთი კარგი თავლოვანი მცენარეებია, რომ უკეთესი, ალბათ, მთელ სამხრეთში არ მოიპოვება. მაისსა და ივნისში კუნძული მთლიანად ყვავილებით არის დაფარული. არსებითად, ეს კუნძული ველის ნაწილია. იგი ოდესღაც თვით ბუნებას მატერიკიდან მოუვლევია და ზღვისთვის უჩუქებია. კუნძულის უდიდესი ნაწილი — რაშდენიმი ათასი ჰექტარი ყამირი — საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე სახელმწიფომ ნაკრძალად გამოაცხადა. ამის შემდეგ გაშლილ ველმინდვრებში და ხელუხლებელ ბალახში ზამთარ-ზაფხულ თავისუფლად დანავადობს უამრავი გარეული ფრინველი. მათ

თოფის სროლით არავინ აფრთხობს. კუნძული თითქმის დაუსახლებელია. ეგ არის, რომ მის ერთ-ერთ ყურეში მეთევზეთა პატარა დაბა, მიმღები პუნქტი და თევზის ქარხნის რადიოსადგურია. მოპირდაპირე მხარეს კი, კუნძულის სულ განაპირა შვერილზე, შუქურაა აღმართული.

შუქურის ძირში, ქვიშიან გორაკზე, ერთადერთი სახლი მოჩანს. იქ ცხოვრობს შუქურის უფროსი ზედამხედველი და მცირერიცხოვანი მომსახურე პერსონალი.

თუმცა შუქურა დიდი საზღვაო გზებისაგან შორსაა, იგი მაინც მეტად საპირო შუქურად ითვლება. მობინადრეებს თავი მოსწონთ ამით. ისინი იმიტაც ამაცობენ, რომ სათევზაო ფლოტილის კაპიტნები ახალშენს ხუმრობით „კეთილი იმედის კონცხს“ უწოდებენ.

შუქურის უფროსი ზედამხედველი გახლავთ სამსახურიდან გადამდგარი ბოცმანი ემელიან პროხორის ძე ლელეკა, სამოქალაქო ომის გმირი. მისი სახელი უწოდეს ადგილობრივი თევზის ქარხნის ერთ-ერთ ყველაზე დიდ კატარას. ემელიან ლელეკას ძლიერი, ბოცმანისათვის შესაფერი ბოხი ხმა მთელ ცხოვრებას ტონს აძლევს შუქურაზე. მეზღვაურთ-

ლად ამოლტილი, გამპირიანი, ტანადი და წყოსფერულვაშიანი ემელიან ლეღეკა არც ერთ თანაშემწეს არ აპატიებს ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი წესების ოდნავ დარღვევას. წესები კი მართლაც მკაცრი აქვს: მთელი ღამე გუშაგობა; დილიდანვე კი — მთელი ოპტიკის ჩარსავებში მოთავსება, ეზოს დაგვა, სისუფთავის დაცვა, — კამბუზში ყველაფერი უნდა ბრწყინავდეს. სამსახური თითოეულისაგან მოვალეობის ზუსტად შესრულებას მოითხოვს. აქ გამონაკლისი დაუშვებელია: ბოცმანმა თავი სამუდამოდ ზღვას შესწირა და საზღვაო სამსახურს კველაფერზე მალა აყენებდა. მისი ქალიშვილი, მარია, დინჯი და გარეგნულად ოდნავ კუშტი გოგონა, სკოლის დამთავრებისთანავე საზღვაო კურსებზე გაგზავნა. ნახევარი წლის შემდეგ მარია აპარატურის ტექნიკოსად დანიშნეს და კვლავ შუქურას დაუბრუნდა. ქალიშვილის შესახებდრად, ბოცმან ემელიან ლეღეკას მეთაურობით, მთელი რაზმი გამოვიდა. ემელიან ლეღეკა საუცხოო გუნებაზე იყო; სხვები ჩამოიშორა, მარია გემის კიბიდან თვითონ ჩამოიყვანა და გადაკოცნა.

— გეყოფა, გეყოფა, — უთხრა სიხარულისაგან აცრემლებულმა ცოლმა, — მეც დამანებე, შევხედო ჩემ გოგონას!

— მშვენიერი გოგონაა, — მხიარულად ფიქრობდნენ იქვე მოფუსფუსე მოტორისტები, — როგორ გაზრდილა, დამშვენებულა, გასათხოვარია!

— თქვენზე მალარიჩია, ემელიან პროხორის ძე! — გემბანიდან გადმოსძახა გემის კაპიტანმა ვოვიკ გოცკალომ, — ახლა გეწვიოთ თუ ხეთშაბათს?

მოხუცმა გემბანს ახედა და ჩიბუხი გააბოლა.

— მალარიჩი? რისთვის?

— როგორ თუ რისთვის? ქალიშვილი ჩამოიყვანეთ!

— ჰო, ჰო... ამისთვის, მგონი, გეკუთვნის.

— მხოლოდ ახლა კარგად უღარაჯეთ. უცაბედად რომელიმე კაპიტანმა არ მოგტაცოთ. კაპიტნები ასეთებს იტაცებენ.

შენეთ, რა გოგოა! — გემზე მდგარმა კაპიტანმა თამამად ჩაუკრა თვალი ქალიშვილს. მარიას სახეზე აღმურთული იყო და ლოყით დედის ფართო მხარს მიეყრდნო.

— აბა, გეყოფათ ლაყბობა, საქმეს მიხედეთ! — ჩიბუხი აიქნია და კაპიტანს უადგილო ხუმრობა შეაწყვეტინა ბოცმანმა.

სანამ ბოცმანს ნაპირზე აცეტილენიანი ბალონები ჩამოჰქონდათ და ბოცმანის მეუღლე კი სამზარეულოში ტრიალებდა, მოხუცი ქალიშვილს ამაყად დაატარებდა შუქურაზე, უჩვენებდა შუქურის მეურნეობას; აცნობდა მის აქ არყოფნაში მომხდარ ცვლილებებს.

მოუსვენარი ემელიან ლეღეკა დიდ ყურადღებას აქცევდა თავის მეურნეობას და სწყინდა ქალიშვილის გულგრილობა. მარიაზე ისეთი შთაბეჭდილება, როგორსაც ბოცმანი მოელოდა, ვერც ბალონების რეკონსტრუირებულმა საწყობმა მოახდინა, ვერც ახალმა სათევზაო ხელსაწყოებმა და ვერც სალორეში კმაყოფილად მოღრუტუნე უზარმაზარმა ტანმა.

— აქ ყველაფერი ისეა, როგორც კარგ ხუტორში, — გაიღიმა ქალიშვილმა და მამას რომ არ წყენოდა, დაუმატა: — მოწყობილხარათ...

— აბა, როგორ გინდა? — მოხუცმა აღმაცერად გადახედა ქალიშვილს, — ესეც საჭიროა და ისიც. კარგ მეზღვაურს ყველაფერი თავისი უნდა ჰქონდეს.

სადილად ბოცმანი ვოვიკს სურნელოვანი, საკმაოდ მკვარი, შინაური თაფლის სასმელით გაუმასპინძლდა.

სუფრაზე ყველა სვამდა, გარდა ქალიშვილისა, მაგრამ მას ყველაფერი ისე მოსწონდა და ისე სიამოვნებდა, რომ უსმელადაც მთვალა იყო: თოლიები ზედ ფანჯრებთან დაფრინავდნენ, ოთახში ზღვის სურნელი იჭრებოდა. იქვე, კუთხეში, ნაცნობი თოფი იყო მიყუდებული; მამამისის კაბიშონიანი ქურთუკი საკიდზე გაფხორილიყო, კართან კი ლურსმანზე ვოვიკის ღერბიანი ქუდი ეკიდა, თანაც ისე საყვარლად და შინაურულად,

თითქოს მუდამ აქ უნდა იყოსო და მარიას ესეც ძალიან მოსწონდა და სიამოვნებდა.

სუფრაზე ვოვიკი თავს შინაურულად გრძნობდა, არხენად იჯდა, ყველასთან გამოლაპარაკებას ასწრებდა, თავლის არაყს აქებდა და სუფრაზე მსხდომთ თავისი სხალეაო ფათერაკების თხრობით აართობდა.

— ერთხელ, ბიჭებთან ერთად, ჟოლტაია კოსაზე წასვლა გადავწყვიტეთ, — ჰყვებოდა ვოვიკი, თან დანა-ჩანგალს მარჯვედ ხმარობდა, — იქ, ამბობენ, აუარებელი სავათიაო. ის-ის იყო ჩვენი ხომალდი სამგზავროდ გავემზადეთ, რომ ამ დროს თვით კონტრ-ადმირალი ამხანაგი გოცკალო წამოგვადგა თავს, — ვოვიკი მამამისს — თევზის ქარხნის დირექტორს — ხუმრობით „კონტრ-ადმირალს“ ეძახდა, — შავი ღლე დაგვაყენა, მე კინაღამ მეხანძრედ ჩამომაქვეითა.

— ახი იყო შენზე, — კუშტად ჩაიბურტყუნა ბოცმანმა, — განა შეიძლება გემი სადღაც უსაქმოდ ატარო! სადმე მეჩეჩე რომ დამჯდარიყავ?

— თქვენ მონადირე არ ბრძანდებით, ემელიან პროხორის ძეგ, და ამიტომ მონადირეს ვერ გაუგებთ, — უდარდელად გაიღიმა ვოვიკმა, თან დასტურისათვის მარიას გადახედა.

— ნაკრძალის დირექტორი კბილებს ილესავს, — სუფრის მეორე მხრიდან შეეხმინა ერთ-ერთი მოტორისტი, — ამბობს, თქვენი კაპიტანი ბრაკონიერიაო.

— ბრაკონიერი? — ვოვიკმა თეფში განზე გასწია და სკამის ზურგს ტლანქად მიეყრდნო, — აბა, რა არის ბრაკონიერი? საკითხს ფილოსოფიურად რომ მივუდგეთ, რას ნიშნავს ეს? ჩვენთან სავათეებისა და გედების დახოცვა აკრძალულია, მეორე ნაპირზე კი მათ განუკითხავად ჟღეტენ.

— ჩვენ ხომ იქაურები არა ვართ? — საყვედურით უთხრა ბოცმანმა, — თუ ისინი ჟღეტენ, ფრინველმა ჩვენს ნაპირზე მაინც იპოვოს თავშესაფარი.

— მერე რა გამოდის? — არ უთმობდა ვოვიკი, — ფრინველმა ჩვენთან იბუ-

დოს, ისაზრდოს, მთელი ზაფხული იყოს და შემოდგომაზე კი ვილა-ვილა ბაზიზუხუეებმა გაპუტონ? არა, ამგვარ შემთხვევებში ვერც ვაგვზავნი ვახეთში.

— შენ თავს ყოველთვის დაიძვრენ, წყლიდან მშრალი ამოღისხარ.

— აბა, როგორ? — სიცილით წამოდგა ვოვიკი, — ცხოვრებას დოყლაბებში არ უყვარს.

— მაგრამ არც თავხედებს აქვთ დიდი პატივი, — ჩაიბურტყუნა საპასუხოდ დიომამ.

— თქვენი თავდასხმა, ბატონიშვილო, ვითომ არც კი გამეგონოს, — დაუდევრად შეეხმინა ვოვიკი, შემდეგ მარიასკენ შებრუნდა და დაუმატა, — არ მიყვარს უგერგილო ადამიანები... ასეთ საზოგადოებაში თავს მაინცადამინც მხიარულად ვერ ვგრძნობ. მარიაკა, შენ აქ დიდხანს დარჩები?

ქალიშვილი ოდნავ გაწითლდა.

— ჰო, მე მგონია.

— ერთ წელიწადს? ორს?

— შეიძლება სიკვდილამდეც აქ ვიყო.

— ეჰ, შენ ძალიან შორს გაიწიე. სიკვდილამდე ამ შუქურას როგორ უნდა მიეჯაჭვო? ინსტიტუტისას რას ფიქრობ?

— ინსტიტუტში შენც ვერ მოხვდი, მაგრამ არ მომკვდარხარ.

— მე ნუ მედრები. მე სკოლაში ორიანებს თავს ვერ ვაღწევდი, შენ კი მედალოსანი ხარ! შენი მედალი რომ მომიცა, მარია, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოცდამეათე სართულიდან ცოდვო დედამიწას დღესვე გადმოვაციხნეკვებდი.

— ყველამ ხომ მოსკოვის უნივერსიტეტში არ უნდა შერგოს თავი, — გულმოსულად ჩაილაპარაკა ევდოკია ფილიპეს ასულმა და სუფრის ალაგებას შეუდგა, — ვინმემ ხომ უნდა შეცვალოს მამები. თუ ყველანი ინსტიტუტებში წახვალთ, მაშინ პური ვინ დათესოს, ბადე ვინ ისროლოს ან ღამით შუქურები ვინ ანთოს?

— ეჰ, ეგ მისთვის სულ ერთია, — ბოხი ხმით ჩაილაპარაკა ბოცმანმა.

— რატომაა სულ ერთი? ეს არ დამიმ-

სახურებია! მეც, როგორც ხედავთ, მშობლიურ სტიქიას არ გავურბივარ... იცი, მარია, ზღვის გარეშე ცხოვრება ვერ წარმომიდგენია. ალბათ, ჩვენს გვარში იყო ვიღაც კონტრბანდისტი და ზღვის სიყვარული იმან გადმომილოცა. კაპიტანი ვარ, ცისფერ ზღვაზე დენავარდობ, ანკეტაშიც ასე მიწერია, ლურჯი ზღვის კაპიტანი!

ეზოში ყველანი ერთად გამოვიდნენ. ზღვა ხმაურობდა. მშვიდი, ლურჯი სივრცე თვალს იტაცებდა. თოლიები მსუბუქად დაეცურებოდნენ ჰაერში. პორიზონტზე კი ოდნავ შესამჩნევად დნებოდა საბარგო გემის კვამლი.

— აბა, ბრაკონიერო, — მიმართა ვოვიკს ბოცმანმა, — გამოძებ, მიჩვენე შენი მეურნეობა!

ვოვიკმა ადრევე იცოდა, ამას რომ თავს ვერ დააღწევდა. შუქურაზე მისი ყოველი მისვლისას ბოცმანი თავის მოვალეობად თვლიდა, კატარღა დაეთვალეობებინა. აუჩქარებლად, კაპიტანთან ერთად დაივლიდა გემს, გულდაგულ ამოწმებდა, ყველაფერი წესრიგზე იყო თუ არა, იცავდნენ თუ არა სისუფთავეს გემზე, რომლის აბრაზე ბოცმანის სახელი ეწერა.

ამჯერადაც ყველაფერი ზუსტად განმეორდა. ემელიან ლელეკამ მრისხანე ნეპტუნით დაიარა კატარღა, ყოველი კუნძული დაათვალიერა, გზადაგზა მკაცრ შენიშვნებს იძლეოდა და ახალგაზრდა კაპიტანს ისლა დარჩენოდა, ხელი მხედრულად აედო და მოხუცი დაერწმუნებინა:

—გავითვალისწინებ! გავაკეთებ! არის!

— შენ ლაპარაკს უკელი! გიჯობს, შენი მოვალეობა უკეთ შეასრულო, — უთხრა ბოლოს ბოცმანმა. — არ მომეწონა დღეს შენი საუბარი, განსაკუთრებით, ჟოლტაია კოსაზე წასვლის განზრახვა. ამ კატარღით სავათზე ნადირობა განა შეიძლება?

— მერედა, ხომ არ წავსულვარ!

— რომ წასულიყავ? ფრთხილად, კაპიტანო! შენ ღირსეული მეზღვაური ხარ, ზღვაში ყოჩაღად დადიხარ, მაგრამ სერი-

ოზულად უნდა გაგაფრთხილო: <sup>კატარღა</sup> არ გადასცდე. მე არავის მივეცემ ნებას გემი, რომელიც ჩემს სახელს <sup>მეზღვაურს</sup> შეურაცხოს და ბრაკონიერთა ხომალდად გადააქციოს, გესმის?

— რასა ბრძანებთ, ემელიან პროხორის ძე, ჩვენ თვითონ ვართ დინტერესებულნი, ჩვენი ღირსება დავიცვათ.

— ღირსება, ღირსება! — უკმაყოფილოდ შეაწყვეტინა სიტყვა ბოცმანმა, — შენი ხნისა რომ ვიყავი, უკვე ხალხს ვემსახურებოდი, ნებივრობასა და გართობაზე კი არ ვფიქრობდი, ინტერვენტებს ვინაღმურებოდი, მათ თმა-წვევებს ქარს ვატანდი.

— აბა, მე როგორ გაგიტოლდებით, — ოდნავ შესამჩნევი დაცინვით გაიღიმა ვოვიკმა, — თქვენ ხომ ჩვენი გმირი ბრძანდებით!

მოხუცი დაცინვას ვერ მიუხვდა და კმაყოფილებით ჩაიფშუტუნა. როდესაც დათვალეირება დამთავრდა და ბოცმანი კატარღიდან ჩამოვიდა, კაპიტანმა გამოსათხოვრად საყვირი აახმიანა.

— ნახვამდის, მარია! — დაუქნია ხელი ნაპირზე მდგარ ქალიშვილს.

— გამინათე ხოლმე საღამოობით... ხომ გამინათებ?

— კი, გავინათებ, — მორცხვად მიუგო ქალიშვილმა და ლოყები წითლად შეუფერაღდა.

„ბოცმანმა ლელეკამ“ გეზი ჩრდილოეთისაკენ აიღო.

ბოგურაზე თანდათან და ნელ-ნელა პატარავდებოდა ახალგაზრდა კაპიტანის ზორბა და მოხდენილი ფიგურა. მარია კი ისევ ნავსაღმურთან იდგა და კატარღას თვალით მიაცილებდა. როგორი სიჩუმეა და სიცარიელე აქ ხმაურიანი ქალაქის შემდეგ! სილა თოლიების პატარა ფეხებითაა დასერილი, მადლობზე უძრავად გაწოლილა შუქურის ზორზოხი ჩრდილი... მარიამ ქარისაგან გაწეწილი თმა შეისწორა, თვალი შუქურას მიაპყრო და ერთ წამს გაშეშდა. თითქოს ეს უზარმაზარი ნაგებობა პირველად დაინახათ.

მეორე დღეს ბოცმანმა თავისი ქალიშვილი მთელი რაზმის თვალწინ გამოსცადა. თვითონ ეშელიან ლელეკა პარამღზე იჯდა, ფეხები ფართოდ გადაედგა, ქალიშვილი წინ დაეყენებინა. მარია ცდილობდა გარეგნული მხიარულებით მღვლეარება დაეფარა.

— აი, მარია, კურსი დაასრულე, ახლა სამსახურს შეუდგები... შუქურაზე ტექნიკოსად გამოგზავნეს, ჰოდა, გაერკვიე თუ არა საქმეში? იცი თუ არა, რა არის ჩვენი პირველი და უმთავრესი მცნება?

მცნება? ამ კითხვამ ქალიშვილი აშკარა საგონებელში ჩააგდო.

— როგორ არა, აპარატურა ყოველთვის წესრიგში უნდა იყოს, რომ მუშაობის დროს არასოდეს გვიმტყუნოს.

— ეჭვ-ჭე-ჭე! — წამოიძახა ბოცმანმა და თვალი იქ მყოფთ გამარჯვებულის იერით მოავლო, — აპარატურა, ნომენკლატურა! ეს არ არის მთავარი, — და სერიოზულად, ოდნავ ამყი გამომეტყველებით შუქურაზე მიუთითა; — მთავარია, შუქი მთელ ღამეს ანათებდეს, ეს არის ჩვენი აღთქმული წესი და ჩვენც ამისათვის ვცოცხლობთ.

— მეც ასე მინდოდა მეთქვა! — სახე გაუბრწყინდა მარიას. — რასაკვირველია, მთავარია შუქი!

— გინდოდა, მაგრამ ვერ მოახერხე, — სიტყვა შეაწყვეტინა ბოცმანმა, — საკითხს შორიდან უვლი, უმთავრესი კი გავიწყდება: მზე ამოვიდა—გამორთე, მზეჩავიდა — გაანათე! რითაც გინდა და როგორც გინდა, მაგრამ უნდა გაანათო. ღამით თუ შუქი ჩავვიქრა, კამიკად აღარ ვეღორებთ. ასეა ეს!

ბოცმანი კვლავ გამხიარულდა, აუჩქარებლად გადაიგრიხა უღვაში. ეტყობოდა, მიუხედავად შეცდომებისა, ქალიშვილის პასუხით კმაყოფილი დარჩა.

— ვხედავ, კურსებზე დრო უქმად არ დაგიკარავს, — უთხრა მან ქალიშვილს, — თუმცა პრაქტიკა გაკლია, მაგრამ თეორიულად იმდენი შეგითვისებია,

რომ ერთი ადამიანისათვის, მით უმეტეს ქალისათვის, შეიძლება მეტიც იყოს.

— ცოდნას ხომ ზურგზე ვერ ვამატებ. — გამოექომბა ქალიშვილს ევლოკია ფილიპეს ასული. იგი იქვე მახლობლად ახალ თევზს ასუფთავებდა.

— შენ, დედაკაცო, შენს საქმეს მიხედე, — მიუბრუნდა ბოცმანი ცოლს და მცირე დუმისის შემდეგ მოტორისტებს გამოუცხადა, რომ ხვალიდან მარია ემელიანეს ასული (თავისი ქალიშვილი ასე პირველად მოიხსენია ბოცმანმა) რაზმს რეგულარულად ამეცადინებს ხოლმეო.

— და შენც, ევლოკია, — გასძახა მან ცოლს, — გიბრძანებ, მეცადინეობის დროს კამბუში ჩაჰკეტო.

— რა მეცადინეობაზე ლაპარაკობთ? — იკითხა მოტორისტმა პაშამ და კარს ზმორებით მოადგა. იგი ღამით მორიგე იყო და ეს-ეს არის ვალვიძებოდა, — ახალი ტექნიკაში თუ კიდევ სხვა რამ?..

— დიახ, სხვა რამ გახლავთ, — მკვახედ ესროლა ბოცმანმა, — რომ ნაკლებად იგორაოთ და მთელი დღე არ ამოქნართ. დღე და ღამ გძინავთ, დათვებით გასივდით: ნუთუ ისე კარგად იცნობთ შუქურის მექანიკას, მის ძალას? ტექნიკაში! ტექნიკაში კი არა, ტექნიკაშიმუშია საჭირო! ყველამ გაიგონეთ? აი, მოხუცი ვარ და მეც მაინტერესებს. აბა დაფიქრდით, აი, ასეთი პატარა შუქი, რაღაც პატარა სანთელია და საიდან არ ჩანს, ვინ მისცა მას ასეთი ძალა, ჰა?

პაშამ დამცინავად ჩაუტკრა თვალი ბიჭებს, მარგილებზე სველ ბადეს რომ ჰფენდნენ.

— ოპტიკის საქმეა, ემელიან პროხორის ძე.

— ოპტიკა! ჰოდა, ჩაწვდი ამ ოპტიკას, ბიჭო, ფსკერი მოუსინჯე! მაშინ უკეთესად მოუვლი და არც გაგიკვირდება, თქვენი ბოცმანი ასე სასტიკად რატომ მოითხოვს, რომ მთელი ოპტიკა მზიან ამინდშიც კი ჩარსავებში მოათავსოთ!

— ინსტრუქცია გვაქვს ასეთი, ემელიან პროხორის ძე.

— შენ თვითონ ხარ ინსტრუქცია!

— თუ არ უნდათ, მე არ ვეძალები, —

წყენით უთხრა მამას მარიამ, — მე ლექტორი კი არა ვარ!

— მაშ შენი კონსპექტები? — ჩაერია საუბარში შეწუხებული დედა, — ის კონსპექტები ჩემოდნით რომ ჩამოიტანე?

— კონსპექტები ჩემთვის ჩამოვიტანე.

— მეცნეირება მარტო ერთი კაცისათვის არ არის, — მკაცრად შენიშნა ემელიან ლელეკამ, — კურსებზე შენთვის გაისარჯენ, ახლა კი კეთილი ინებე და შენი ცოდნა სხვას გაუზიარე. ხომ თავს იქებდი, კარგად ვიცნობ ყველა სისტემის შექმურებს, რაც კი დედამიწის ზურგზე მოიპოვებო.

— ეს საინტერესოა. — ერთმანეთს გადახედეს მოტორისტებმა.

— სწორია, აბა, გავგანათლე, მარუსეკა, ესე იგი, მარია ემელიანეს ასულო!

— მხოლოდ იცოდეთ, ლაზრანდარობა არ იყოს! — გააფრთხილა ქალიშვილმა.

მარიამ თავისი ახალი მოვალეობა მალე შეითვისა. აპარატურა კარგად იცოდა. ესეც არ იყოს, ყველაფერი თვალისჩინივით იყო მოვლილი და განსაკუთრებულ ზრუნვას არ მოითხოვდა. დღეები მშვიდად, თანაბრად გადიოდა. დღისით, როცა შექტურაზე გადაუდებელი საქმე არ იყო, ბოცმანი ბიჭებთან ერთად კუნძულის შუაგულისაკენ მიდიოდა ლერწმის საჭურვლად, — საზამთროდ სათბობი უნდა დაემზადებინათ. იქითობას ერთად მიდიოდნენ, შინ კი ცალ-ცალკე ბრუნდებოდნენ. პირველად ბოცმანი გამოჩნდებოდა — დაღლილი და მხრებჩამოყრილი. ცოლი მიეგებებოდა და ხუმრობით ეტყოდა:

— ბოცმანო, რაშიმ სად დაჰკარგე?

— განა არ იცი? — ერთი ალთას მიდის, მეორე — ბალთას. ნუ შიშობ, ვახშმად ყველა თავს მოიყრის.

მარიამ კარგად იცის, როგორ უნდა გაიგოს ეს „ერთი ალთას, მეორე — ბალთას“. ალთას — ეს გრიცკოა, მან მეთევზეთა დაბაში ახლახან შეირთო ცოლი და ახლა, რასაკვირველია, იქითკენ გაუხვია. ბალთას — კი უქველად, დიომა კორონაი იქნება: იგი სპორტითაა ვაკაცებულნი, მომავალ ოლიმპიურ ასპარეზობაში მონაწილეობაზე ოცნებობს. ახლა იგი,

ალბათ, კლუბის გვერდით ღერძზე ტრიალებს და ბავშვები ჟრიამულით შესცქერაიან.

ბოცმანისთვის ვინმეს რომ ეკითხა, მესამე შოტორისტი სად არისო, მოხუცი უიმედოდ ხელს ჩაიქნევდა და დაახლოებით ასე იტყოდა:

— წავიდა... დაიკარგა... ნაკრძალში პეპლებს დასდევს.

და ეს მარიას უთქმელადაც ესმოდა: პეპლებს, რასაკვირველია, მარტო არ დასდევს, ლაბორანტ ქალიშვილთან ერთად...

ასე გადიოდა დღეები, თუმცა მარია საქმეში ძალე გაიწაფა, მაგრამ გრძნობდა, რომ ამ კუნძულზე მაინც რაღაც აკლდა. რა იყო ეს, ქალაქური ცხოვრება, მხიარული, ახალგაზრდული წრე? განათვითონ არ ოცნებობდა შექტურაზე, აქაურ ცხოვრებაზე, მისთვის რომ რომანტიკით იყო სავსე? მაშ რატომაა, რომ დროდადრო ისეთი გრძნობა იპყრობს, თითქოს რაღაც აკლია?

ქალიშვილს ერთი შემთხვევა მოაგონდა. ნაკრძალში ირმები ჩამოიყვანეს აკლიმატიზაციისათვის. ერთხანს ისინი დამწყვდეულები ჰყავდათ, მერე კარი გაუღეს და თავისუფლად გაუშვეს. ირმები ადგილს მოსწყდნენ და სულმოუთქმელად გაიქცნენ: რამდენიმე ათეული კილომეტრი გაიარეს, კუნძულს შემოუბრინეს და აქოშინებულნი, აკანკალებულნი ისევ თავის ძველ სამყოფს დაუბრუნდნენ. რამდენიმე წუთს იდგნენ, დაისვენეს და ახლა კი, უკვე სამუდამოდ, კვლავ ტრამალს მიაშურეს. „საინტერესოა, რა იგრძნეს, — ფიქრობდა ზოგჯერ მარია, — როგორი ეჩვენათ მათ ბალახით დაფარული, უხვი საძოვრებით მოფენილი, მაგრამ ყოველი მხრიდან თვალუწყვდენი ზღვით შემოფარგლული ჩვენი კუნძული?“

ქალაქის მერე აქ ცხოვრება უფრო მშვიდი ჩანს. ყოველი კაცი თავის საქმეს დინჯად და აუჩქარებლად აკეთებს, თითქოს წინ მთელი საუკუნე ედოსო. ყველა ასეა: მოტორისტები, მეფუტკრეები თუ მეთევზეები... მარიასაც შეუძლია ახლა

საათობით იჯდეს ნაპირზე და თვალმოუ-  
შორებლად უცქიროს ზღვის ლურჯ სივ-  
რცეს.

ჰაერში თეთრი თოლიები დანავარდო-  
ბენ, მახლობლად ტლანქი დელფინები  
ყირას გადადიან. შორს, ზღვაში, ოდნავ  
მოჩანს მეთევზეთა მსუბუქი ფლოტი-  
ლია. ქალიშვილს გული სიხარულით ევ-  
სება, როცა ქერჩის მიმავალი ან იქედან  
დაბრუნებული „ბოცმანი ლელეკა“ მახ-  
ლობლად ჩაივლის.

მარია გემბანზე მაშინვე იცნობს ვო-  
ვიკს. იგი კიდევ დგას, ხელში მეგაფონ-  
ნი უჭირავს და რაღაცას მხიარულად  
ყვირის. მარია სმენას ძაბავს, მაგრამ სი-  
ტყეებს მაინც ვერ არჩევს. ქარს მოაქვს  
მხოლოდ გაურკვეველი: ია...ა...ა!

— ნეტა რას ვაპყვირის ეს „მფრინავი  
ჰოლანდიელი?“ — ეკითხება მარიას კა-  
რის ზღურბლზე მომდგარი დედა.

— არ მესმის, დედა, — პასუხობს ქა-  
ლიშვილი.

მარიას გულით უნდა, კატარღამ ერთი  
წუთით მაინც გადმოუხვიოს მათკენ, მა-  
გრამ იცის, ეს ასე მალე არ მოხდება.  
„ბოცმანი ლელეკა“ მხოლოდ მაშინ მო-  
ადგება ნაპირს, როცა შუქურაზე აცე-  
ტილენის მარაგი გაუთავდებათ. მოი-  
ტანს სავსე ბალონებს და ცარიელებს წა-  
იღებს.

— ია-ია... ია! — ამჯერად ძახილი უფ-  
რო შორს და უფრო ყრულ გაისმის.

ქალიშვილი თითქმის ყოველდღე ითვ-  
ლის რამდენი ბალონია დარჩენილი საწ-  
ყოში. ეჰ, ჯერ კიდევ ბევრი ყოფილა!  
შუქურაზე ზაფხულის მოკლე დამეში  
სანათი გაზი ძალიან ნელა იწვის.

### 3

თითქოს ქალიშვილს ფიქრს მიუხედაო,  
კაპიტანი ვოვიკი შუქურას რიგგარეშე  
რეისით ეწვია.

კვირა დღე იყო, მარია ნაპირზე ფეხ-  
შიშველი იდგა, ქარი კაბას მსუბუქად  
უფრიალებდა. ცა ბრწყინავდა, ზღვა ოდ-  
ნავ ლელავდა. თეთრი, კონტა გემი კი  
ზღვის ზედაპირს მკერდით მოაპობდა.  
გემბანი სავსე იყო მგზავრებით, უკრავ-

და მუსიკა, თითქოს ნაპირს ბედნიერი  
მექორწინებები უახლოვდებოდა. მარია  
მაშინვე მიხვდა: თევზის ქარხნის თანამშრომლები  
შრომლები კუნძულზე დროს გასატარე-  
ბლად მოდიოდნენ. მისთვის ისიც ცხადი  
იყო, რომ თვითონ კაპიტანმა ურჩია მათ,  
ნაპირს აქ, შუქურასთან მოსდგომოდნენ.  
კუნძული პატარა ქალაქის მცხოვრებთა  
უსაყვარლესი ადგილი იყო. იგი იზიდავ-  
და მათ თავისი პლაჟებითა და ველის სუ-  
რნელოვანი ჰაერით. მაგრამ წინათ გემს,  
ჩვეულებრივ, სადმე მეთევზეთა დაბას-  
თან მიაყენებდენ ხოლმე. ახლა კი პირ-  
დაპირ შუქურასაკენ მოემართებოდნენ.  
ქალიშვილი სიხარულს ძლივს ფარავდა.  
„ბოცმანი ლელეკა“ მის თვალწინ იზრ-  
დებოდა. უკვე გარკვევით მოჩანდა ზორ-  
ბა კაპიტანი, მისი მომლიმარი, ვეკაცუ-  
რი სახე... აი, მან მესაქვს რაღაც გადაუ-  
ლაპარაკა, შემდეგ კი მარიას გაუღიმა და  
მანაც, მისდაუნებურად, მისასალმებლად  
ხელი ასწია.

— დაიცა, ხელს ვის უქნევ?

ქალიშვილი შეკრთა და უკან მიიხედა.  
ბორცვზე, შუქურასთან, მამა იდგა. იგი  
სრულებითაც არ ჰგავდა სტუმართმოყ-  
ვარე მასპინძელს. მხარზე თოფი ჰქონდა  
გადაკიდებული და სახემოლუმულს ულ-  
ვაში აბურძნებოდა.

— ემელიან პროხორის ძეს სალამი! —  
დაიყვირა კატარღიდან თეთრკიტელიანმა  
სქელმა მამაკაცმა და შამპანურის ბოთ-  
ლი მალა ასწია.

ეს ვოვიკის მამა, თევზის ქარხნის დირექტორი, ამხანაგი გოცალო იყო. ამხანაგ გოცალოს და გემბანზე მყოფ მგზავრთა უმრავლესობასაც ბოცმანი კარგად იცნობდა. აი, დირექტორის მეუღლეც — მალაი, წარმოსადგეი ქალი, მის ირგვლივ კი საამქროს უფროსები, მათი ცოლები და ნათესავები იდგნენ.

კატარღამ სიჩქარეს უკლო. ვილაცამ დაიყვირა: „ნაპირს მიადექი“. ბოცმანი აუჩქარებლად დაეშვა ნავსაბელისაკენ.

— ნაპირთან მოსვლას გიკრძალავთ! — მკაცრად თქვა მან და თოფი შემართა.

— რაო? რა თქვი, ემელიან პროხორის ძევ?



— რაც გაიგონეთ. ზონაა! აქ ვერ გად-  
მოხვალთ!

თავდაპირველად გემზე მყოფთ ეს ხუ-  
ბრობა ეგონათ.

— ესეც თქვენი „კეთილი იმედის კონ-  
ცხი“ — ჩაილაპარაკა ვილაცამ.

— მოწყალეობა მოიღეთ, პროხორის  
ძვე, ჩვენ სტუმრად გეწვეით. გვინდოდა  
თაფლის სასმელი დაგველია, თქვენ კი...

ბოცმანი კლდესავით იდგა, სახეზე კუ-  
ნთიცი კი არ შერხებია.

— ზონაა, მორჩა და გათავდა! კუნძუ-  
ლი დიდია, მისადგომი სხვა ადგილას ეძ-  
იეთ, — თქვა მოღუშულმა ემელიან პრო-  
ხორის ძემ.

შეკამათება ამო იყო, ჯობდა აქაურო-  
ბას დროულად გასცლოდნენ.

კატარლა უკან გაბრუნდა. მარიამ არ  
იცოდა, სირცხვილისაგან სად დამალუ-  
ლიყო. როგორ შეიძლება ასეთი იყო! აქ-  
აც არ დაარღვევს წესებს: თავისიანებს,  
ქარხნის მუშებს, ნაპირზე არ ამოუშ-  
ვებს! ქალიშვილი თავდახრილი იდგა და  
თვალცრემლიანი უმზერდა ტალით გა-  
დარეცხილ ქვიშას, თეთრი ქაფით რომ  
იყო დაფარული. ქაფი თანდათან ქრებო-  
და. ხომ შეეძლო მას დღეს ვოვიკთან ერ-  
თად ამ ქვიშაზე ევლო? ახლა როდისღა  
შემოვიღოს კიდევ აქეთ?

გემი უკვე ნაპირს შორდებოდა, ვოვი-  
კი ისე იდგა, თითქოს არაფერი მომხდა-  
რაო. ბოცმანთან მოულოდნელმა შეტა-  
კებამ გული ვერ გაუტეხა მას. თითქოს  
აქ, შუქურის აკრძალულ ზონაში, სხვა-  
გვარ შეხვედრას არც კი მოელოდა. მან  
მარიასკენ მოიხედა და ანიშნა, ნაპირს  
სხვა ადგილას მივადგებითო.

როცა კატარლა წავიდა, მარიამ მამას  
გულისტკივილით უთხრა:

— მამილო, ასე რატომ მოიქეციით? იქ  
ხომ ყველა ჩვენიანია, ქარხნის თანამშ-  
რომლები, მათთან ერთად ღირექტორიც  
იყო.

— ეგეც ვითომ ღირექტორია! დაიცა,  
პარტაქტივზე ტყავს გავაძრობ! როგორ  
არა, მივართმევ თაფლის სასმელს! ასე-  
თი გემი ბუნავად გადააქცია! — დაცინ-  
ვით თქვა მოხუცმა.

დელაც მამას მიემხრო:

— ისინი იმ ქარაფშუტამ მოიყვანა აქ.  
ერთხელ მივართვით თაფლის სასმელს  
და, მგონი, ფუტკარივით მოიზიდა ტკბი-  
ლმა.

მარიამ იცოდა, რომ დელას ვოვიკი არ  
უყვარდა, მაგრამ არ მოელოდა, თუ მისი  
სიძულელი ასე ძლიერ გამომეღავნდებ-  
ოდა. კაპიტნის შეურაცხყოფა თავის  
შეურაცხყოფად მიიღო.

— კაცმა რომ თქვას, დედა, ვოვიკმა  
თქვენ რა დაგიშავათ?

— ჯერ არაფერი დაუშავებია, მაგრამ  
გული ახლოს არ იკარებს, არ მიყვარს ეგ  
კაცი.

— ჰოდა, ნუ გიყვართ. ვოვიკი ჯერ  
ბრალდებული არაა, დანაშაული არ ჩაუ-  
დენია და ვეჭილებიც არ სჭირდება! —  
სულმოუთქმელად თქვა მარიამ, შებრუ-  
ნდა და ნელი ნაბიჯით გაჰყვა ნაპირს. დე-  
დამ შვილს მანამდე არ მოაცილა თვალი,  
სანამ იგი ქვიშაზე არ დაჯდა და წიგნის  
კითხვა არ დაიწყო. ბოცმანის მეუღლემ  
მხოლოდ მაშინ ამოისუნთქა შვებით და  
თავის საქმეს მიუბრუნდა.

4

სადილობამ რომ მოაწია, მარიას დასა-  
ძახებლად დიომა კორონაი წავიდა. იმ  
დღეს ვაჟთაგან შუქურაზე ისღა დარჩე-  
ნილიყო მხოლოდ. ევდოკია ფილიპეს  
ასულმა სთხოვა, მარიას დაუძახეთ. ჭა-  
ბუქმა დავალების შესრულება ხალისით  
იკისრა.

მარია თავდახრილი იჯდა, წიგნი გადა-  
ეშალა, მაგრამ ძნელი იყო იმის თქმა, კი-  
თხულობდა თუ არა.

— აქ რას აკეთებ?

მარიამ დიომას უკმაყოფილოდ ახედა.

— რა იყო?

— თითქოს ნამტირალევი მეჩვენები.

— მერედა შენ რა!

— მართალი ხარ, მე რა მეკითხება...

მარიას დიომა „ოლიმპიური“ სიმშვი-  
ლისა და ასევე „ოლიმპიური“ ოცნებების  
გამო ყველაზე მეტად მოსწონდა ბიჭებ-  
ში, მაგრამ ახლა მის ახლოს ყოფნასაც  
ვერ იტანდა. შეიძლება სწორედ იმიტომ,

რომ დედა მას წყალობდა და ერთხელ საუბარში „სიძემ“ კი უწოდა.

„სიძემ“ დევის კუნთები შეათამაშა და მარიას წინ ქვიშაზე გაწვა. მზემოკიდებული იყო, თეთრი წარბები ჰქონდა და უმიზეზოდ ილიმებოდა.

— რას კითხულობ? — იკითხა მან და მარიას წიგნს დასწვდა.

მარია დუმდა.

„განა ჩვენ არ ვიცით, რომ თეთრი ადამიანები ჰკლავენ? — ხმაძაღლა ამოიკითხა დიომამ, — განა ჩვენ დაგვაფიწყდა დიდი ბრძოლა კოიოკუტზე, ან ბრძოლა ნუკლუეიტოსთან, როცა სამმა თეთრმა ოცი კაცი მოგვიკლა? და ნუთუ შენ ფიქრობ, რომ აღარ გვანსოვს ტანა-ნაუს ტომის სამი ადამიანი, თეთრმა მეკლროტმა რომ მოჰკლა?“ და ნუთუ შენ დაგავიწყდა, — იმავე კილოზე განაგრძო დიომამ, — რომ სადილობის დროა, სუფრა გაწყობილია და რომ შეფ-კოკი ნერვიულობს?

მარია წამოდგა. ზღვის ტალღები შრი-ალით აფენდა ქვიშაზე თვალისმომჭრელ მაქმანებს. დიდი, თეთრი თოლიები ჰაერში მოუსვენრად ტრიალებდნენ.

— რას დაგვტრიალებენ თავს? — თქვა დიომამ და ცაში მონათვარდნე თოლიებს ახედა.

მარიამ არაფერი უპასუხა.

უხმოდ დაბრუნდნენ შუქურაზე, უხმოდვე ისადილეს. სუფრაზე ყველა უხერხულად გრძნობდა თავს.

ნასადილევს დიომამ ფრენბურთის სათამაშოდ დაბაში დააპირა წასვლა. მარიამაც გადაწყვიტა, თან გაჰყოლოდა, ბიბლიოთეკაში წიგნი უნდა გამოცევალო, უთხრა თავისიანებს; იგი სწრაფად გამოეწყო, ჩაიცვა მაღალქუსლიანი კობტა ფეხსაცმელი და თეთრი ბატისტის კოფტა, რაც შავ ქვედატანს ძლიერ უხედებოდა. ერთხანს შეყოყმანდა, თან წაედო თუ არა ცისფერი ჩანთა, ქალაქიდან რომ ჩამოიტანა, მაგრამ შემდეგ გადაწყვიტა, დაეტოვებო. მსუბუქი ხილაბანი მოიხვია და დიომასთან მიიბრინა.

— წიგნი? — მოაგონა დედამ.

— ჰო, წიგნი!

ქალიშვილმა დედას გახუნებული, დღეღელი წიგნი გამოართვა და დიომას გასძახა:

— წავიდეთ!

დაბისკენ მიმავალ მიხვეულ-მოხვეულ ბილიკზე რომ გავიდა, მარია შესამჩნევად გამოცოცხლდა. მსუბუქი, მოკლე ნაბიჯით მიდიოდა, გარუჯული, მკვრივი წვიგები მზეზე უბრწყინავდა.

— როდის დაბრუნდები, დიომა?

— ჩვეულებრივად, შუქურის ანთების დროს მოვალ.

— მარტო არ დამტოვო, მეც შენთან ერთად წამოვალ.

— კარგი... რაც შეეხება ბიბლიოთეკას, სხვათა შორის, დღეს დაკეტილია, ისვენებენ.

— ჰო, მართლა! მაგრამ არა უშავს. ლუბკას ვთხოვ და გამიღებს.

პაპანაქება სიცხე იდგა. სანაპიროს ქვიშა ოქროსფრად ბრწყინავდა. მარია იძულებული გახდა, ვიწრო ფეხსაცმელი გაეხადა.

— თითები საშინლად მეწვის, თითქოს კარგად მქონდა, ახლა კი მიქერს.

— იზრდები!


— ვიზრდები? რა ვიცი, შეიძლება, ტყავი გამოშრა, დიდი ხანია აღარ მცმია.

— მომეცი, წამოგიღებ! — შესთავაზა დიომამ.

ქალიშვილმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

შორეული დაბა მზის აღმშრში იბნდებოდა, რადიოსადგურის ანძები თანდათანობით იზრდებოდა და ახლა უკვე გარკვევით მოჩანდა.

როცა წასასვლელად ემზადებოდა, მარია თვითონვე არწმუნებდა თავს, რომ მხოლოდ და მხოლოდ ბიბლიოთეკაში მიდიოდა და, რომ მისი უეცარი გადაწყვეტილება, დაბაში წვალი, სრულებით არ იყო დაკავშირებული კოვიკის მიერ მიცემულ ნიშანთან. ახლა კი უხვი სინათლისაგან თვალმოჭუტული დამაბულად დაეძებდა რაღაცას. ბოლოს, როგორც იქნა, ყურეში „ბოტმან ლეღეკას“ მოჰკრა თვალი. მაშინვე შეჩერდა, გამხიარულ-



ლებულმა პირი მოკემა და თავისი ვიწრო ფეხსაცმელი ისევ ჩაიცვა.

— დაე მომიჭიროს! — გაიცინა მან.

5

თევზის ქარხნის თანამშრომლები დაბის მახლობლად უკაცრიელ პლაჟზე გადმოსულიყვნენ. მარიას არ შეეძლო მათთვის გვერდი აეცლო: ბილიკი ნაპირს გასდევდა, გაშლილ კუნძულზე ადამიანი რამდენიმე კილომეტრზე მოჩანს და დიომა და მარია დასვენებულბემა, ალბათ, ჯერ კიდევ შორიდან დაინახეს! ყველაფერი ისე მოხდა, როგორც მარია ფიქრობდა. ვოვიკმა ბილიკზე გზა გადაუჭრა მათ: თავისიანებს მოშორდა, მსუბუქად აირბინა ქვიშის გორაკზე და შეჩერდა. თოფი მხარზე გადაეგდო, საგულდაგულოდ გაუთოებული შარვალი და მისიურა ეცვა, კიტელი გაეხადა. ბანაობის შემდეგ ხალისიანად გამოიყურებოდა; მზემოკიდებულს, თითქოს ოქროსფერი გადაჰკრავდა. როდესაც მარია და დიომა ათ ნაბიჯზე მიუახლოვდნენ, ვოვიკმა სახის ვითომდა მრისხანე გამომეტყველებით თოფი მხრიდან გადმოიღო და სასროლად მოიმარჯვა. ზუსტად ისე, მარიას მამამ რომ გააკეთა, როცა დაუპატიჟებელი სტუმრები შუქურის აკრძალული ზონიდან გააძევა.

— შესდექით! ზონა! ვინა ხართ? — დასჭექა ვოვიკმა. პლაჟზე ხარხარი ატყდა.

მარიას გახუმრება არ სწყენია, დიომა კი გაიბერა, ერთი შეუბღვირა კაპიტანს და ჯიქურ მისკენ გასწია.

— ისევ თოფით ჩამობრძანდი კუნძულზე? იცოდე, სეზონი ჯერ კიდევ არ გახსნილა!

— კარგი მონადირე სეზონს არ ელის, თუ ფრინველი სადმე ეგულება.

— გგონია, დირექტორის შვილზე კანონი არ სჭრის?

— რას ჩააცვიდი, დიომა! — ველარ მოითმინა მარიამ და კაპიტანს გამოესარჩლა, — ჯერ ხომ არაფერი მოუტლავს?

— აბა, თოფი რად უნდა?

— ვითომ თოფი რატომ არ უნდა მქო-

ნდეს? — მშვიდად გაიღიმა ვოვიკმა, ჩქნებ დუელში მინდა გამოვიწვიო? — მეტად მსუბუქი წონისა ზარ, მგგობარო, ჩემთან ბრძოლა ხელს არ მოგცემს!

მარიამ იგრძნო, რომ ეს შელაპარაკება შეიძლებოდა ჩხუბით გათავებულყოფი და დიომა ბილიკისკენ შეებარუნა:

— წადი, მე ახლავე დაგეწვიე! დაიცა, პა, წიგნი გამომიცვალე!

— რა წამოვიღო?

— „მეთევზის შვილი“ ან რამე მაგის მსგავსი.

— კარგი, — წაიბუზღუნა „ოლიმპიელი“ და გზას გაჰყვა.

მარია გულდამშვიდებული გამობრუნდა უკან და, როდესაც ვოვიკთან ახლოს მივიდა, თვალში ეცა მის მკერდზე ამოსვირინგებული ცისფერი ფერია და ცისფერი წარწერა: „ვინც მიყვარს, იმას ვკოცნი“ მარია ამ ფერიას მიმართ ეჭვით განიმსჭვალა, მაგრამ ეს გრძნობა მალე გაუქარწყლდა.

— ეს რაა, დევიზია?

ვოვიკმა მხიარულად დააქნია თავი:

— შეიძლება დევიზიც იყოს.

მარიამ ვაჟს გაუღიმა და ნახად შეხედა. ეტყობოდა, ერთი სიტყვის თქმალა იყო საჭირო, რომ ქალიშვილი ჭაბუკს მკლავებში ჩაეხარდნოდა და იმ ფერიასავით მკერდზე მიჰკვროდა. ქალიშვილი გამოერკვა და შეამჩნია, რომ ვოვიკთან ერთად, ყველას დასანახად, გორაკზე იდგა და დამსვენებლები დაუფარავი ცნობისმოყვარეობით იცქირებოდნენ მათკენ. მარია თავს ვერ ცნობდა. ბუნებით მოკრძალებულს, ახლა აღარაფრის რცხვენოდა. თავისუფლად იდგა და ამყობდა იმით, რომ გვერდით მამაცი კაპიტანი ჰყავდა.

პლაჟზე, ალბათ, მათზე ლაპარაკობდნენ. მარიამ ცალი ყურით დაიჭირა ვიღაც ქალის ნათქვამი: „შეხედეთ, რა კარგი გოგოა, ჩვენს ვოვიკს ყველაფერში ზედი წყალობს!“ ქალიშვილს ეს სიტყვები ესაიმოვნა. ერთმა ჯგუფმა წრე შეკრა და ბურთის თამაში გააჩალა, მეორე ჯგუფი ფარდაზე პატეფონს უკრავდა, თვითონ

დირექტორს, ამხანაგ გოცალოს მე-  
ლოტ თავზე ქალის პანამა დაეხურა, კა-  
ლაოს მიჯდომოდა და უხისთვის თევზს  
სწმენდა. ცოლი უყვიროდა, ბეჭებზე  
რამე მოისხი, თორემ მზე დაგწვავსო, მა-  
გრამ ქმარი ყურადღებას არ აქცევდა,  
თუმცა მზეს შეუჩვეველი მხრები უკვე  
საკმაოდ აწითლებოდა.

გოცალო შორიდანვე მიესალმა მარი-  
ას:

— როგორაა შენი ბერიკაცი? კიდევ  
მიწყრება?

— დიახ...

— ალბათ გვემუქრება კიდევც...

— განა არ დაიმსახურეთ?

— რასაკვირველია, ჩვენ თვითონ ვართ  
დამნაშავე, მეტად თავზედურად მოვიქე-  
ციით, ჰოდა, გავგაძევა კიდევც ისე კი,  
ზრდილობიანი კაცია.

— ვოვიკ, — მოისმა ქალების ჯგუფი-  
დან, — დიდხანს გეყოლება მანდ შენი  
ტყვე? აქ მოიყვან!

— ხომ არ წავიდეთ ჩვენებთან? —  
უხალისოდ შესთავაზა ვოვიკმა ქალი-  
შვილს.

— ძალიან გინდა?

— არც ისე.

— მაშ, გირჩევენია, ცოტაზე გამაცი-  
ლო.

ნელი ნაბიჯით გაჰყენენ ბილიკს.

— უხის საჭმელად დაებრუნდებით! —  
ვასძახა ვოვიკმა თავისიანებს: — უჩვე-  
ნოდ არ ისადილოთ.

— ჰო, შენ ყველაფერი მზამზარეული  
გიყვარს, — დაუყვირა ამხანაგმა გოცა-  
ლომ, — ფრთხილად იყავი, იცოდე, სრო-  
ლა არ გაბედო!

— არის, ამხანაგო კონტრ-აღმირა-  
ლო! — მხნედ გაეხმიანა ვოვიკი, გაიცინ-  
ა და ქალიშვილს მკლავი მკლავში გაუ-  
ყარა.

თევზის ქარხნის თანამშრომლები მა-  
ლე გორაკს გადაღმა დარჩნენ და მარია  
ვოვიკთან მარტო აღმოჩნდა.

— საით მივდივართ? — ჰკითხა გაკ-  
ვირებულმა ქალიშვილმა, როდესაც მის  
ფეხქვეშ მალალი ბალახი აშრიალდა.

— გეშინია?

— არა, არ მეშინია, წამიყვანე, სალაც  
გინდა!

— აი, ეს მიყვარს, — გაიცინა ვოვიკი  
მა და მარია კუნძულის შუაგულისკენ  
წაიყვანა.

— მართლაც, რატომ წამოიღე ეგ თო-  
ფი? — ჰკითხა მარიამ ცოტა ხნის შემ-  
დეგ.

— როგორ თუ რატომ? — გაიკვირვა  
ვოვიკმა, — იქნება იქ ფასკუნჯი მოვკლა.  
გინდა ფასკუნჯი?

— განა ფასკუნჯზე სეზონი გაიხსნა?

— ფასკუნჯისათვის, მარიკა, სეზონი  
არ არსებობს: აგე, მოფრინავს, არ გაუშ-  
ვა!

## 6

ტრამალზე მშრალი, სურნელოვანი პა-  
ერი იყო. ბლახს ფერი გადასვლოდა.  
ქარისაგან შემფოთებული ვაციწვერა  
ვერცხლისფრად ღელავდა. დამფრთხალი  
ფრინველები ჰაერში წიოლნენ, ტრიალე-  
ბდნენ.

— ჰო-ჰო, იგრძენს, რომ ბრაკონიერი  
მოდის! — ხუმრობდა ვოვიკი. ველზე  
კაცის ჭაჭანებაც არ იყო. ბოლოს, სად-  
ღაც ჰორიზონტზე გამოჩნდა ორი ქალი-  
შვილი და მარიამ, ვოვიკის ცნობისმოყ-  
ვარეობა რომ დაექაყოფილებინა, აუხს-  
ნა, ესენი, ალბათ, სტუდენტი ქალებია,  
ბოტანიკაში პრაქტიკას გადაიანო. როცა  
საფუტკრეს ჩაუარეს, ვოვიკი მეფუტკ-  
რეს ხმამაღლა შეეკითხა, მოსავალს რო-  
გორი პირი უჩანსო.

— გაიარე, გაიარე! — ბოხი ხმით მი-  
აძახა მეფუტკრემ, — ჩემი ფუტკრები  
შენს სუნს ვერ იტანენ.

— აი, ურჩხული! — თქვა ვოვიკმა და  
მარიას გადახედა, — არ მიცნობდეს მა-  
ინც, აქ ჩემი კატარლით არ ჩამოვიყვანე?

მალე მათ წინაშე კედელივით აღიმარ-  
თა ლერწმის ტყე. კუნძულის მცხოვრებ-  
ლები ყოველ წელიწადს ჰრიდნენ ლერ-  
წამს სათბობისათვის, მაგრამ ტყეს ვე-  
რაფერს აკლებდნენ.

— ეშმაკი ლელიანში ზის და სალა-  
მურს უკრავს! — გაიხსენა მარიამ მამის  
საყვარელი გამოთქმა.

— იქ ხომ აუარებელი ირემია, მაგრამ განა შიგ შეაღწევ? — წამოიძახა ვოვიკმა და სმენად იქცა.

— ისინი ხანდახან ტრამალზე გამოდიან, მაგრამ ეს იშვიათად ხდება, — მიუგო მარიამ და თვითონაც ყური მიუგდო ლერწმის იღუმალ შრიასს, — ამბობენ, აკლიმატიზაციის შემდეგ ჩვენი ირემები აქედან მთელს უკრაინაში მომრავლდებოდა.

— შეხედე? — უეცრად გიყურად იყვირა ვოვიკმა და თოფს ხელი დასტაცა.

— არ ისროლო! — გზა გადაუჭრა ვოვიკს მარიამ.

ლელიანში თვალწარმტაცი, მართლაც ზღაპრული ფსაკუნჯის მსგავსი ფრინველი გამოჩნდა, ფრთები მზეზე ალაპლაპა და ხშირ ბალახში გაუჩინარდა. ვოვიკმა სასროლად ჩაიმუხლა, ფერდაკარგული და დაძაბული ელოდა, როდის გამოჩნდებოდა ფრინველი.

— ეი, რას უმიზნებ მანდ?! — მოულოდნელად დასტეჭა ვილცამ მათ გვერდით, — ბარბაროსო, ველურო, გასწი თოფი იქით!

ლერწამმა გაიტკაცუნა და ლელიანიდან გაოფლილი, მაღალი ჭაბუკი გამოძვრა. ცეცხლივით წითელი თმა ბუტკად ჰქონდა შეკრეჭილი. მარიამ მაშინვე იცნო ზოოლოგი — ნაკრძალის უმცროსი მეცნიერი მუშაკი. იგი მრისხანე სახით უახლოვდებოდა ვოვიკს.

— ეგ თოფი იქით გასწი, თორემ... თორემ მიწასთან ვაგასწორებ!

ვოვიკი წამოდგა, ოდნავ დაბნეული ჩანდა, მაგრამ შიში არ ეტყობოდა, თოფი მხარზე გადაიგდო და მშვიდი ხმით თქვა:

— ლერწმის ბოლობეჭედას მოკვლის უფლება ყველას აქვს, ის ხომ მტაცებელია!

— მტაცებელი თვითონა ხარ! ხოხობი და ბოლობეჭედა ერთიმეორისაგან ვერ გაგირჩევია!

— ჰო, ეს ხომ ხოხობია! — ვაკვირვებით წამოიძახა მარიამ.

ზოოლოგმა ახალა შენიშნა ლერწამთან მდგარი ქალიშვილი და სწრაფად მისკენ მიბრუნდა.

— დიახ, დიახ, ის არის. სამი დღეა,

რაც ჩამოიყვანეს და უკვე ძერა დასტრიალებს თავს!.

— მე არ ვიცოდი, თუ ეს ხოხობი იყო, — დათმობაზე წავიდა ვოვიკი.

ზოოლოგი ამანაც ვერ დააწყენარა:

— თქვენთან ლაპარაკი არ მსურს! აქაურობას გაეცალეთ! — ზიზღით თქვა მან.

ვოვიკს სხვა რაღა დარჩენოდა, უნდა გასცლოდა აქაურობას. მარიას ხელი მოჰკიდა და მასთან ერთად უკან გაბრუნდა. მღუმარედ მიდიოდნენ გზაწერილზე. მზე დასავლეთისკენ იხრებოდა. და ველი ნაირფრად ბრწყინავდა. ქალიშვილი ვერ ბედავდა, სიჩუმე დაერღვია. ამ შეტაკების შემდეგ თავს უხერხულად გრძნობდა. ვოვიკმა შეიძლება მართლაც არ იცოდა, რომ ის ფრინველი ხოხობი იყო, ზოოლოგი კი ისე უცბად მოვარდა. ვერ გამოუვიდა ლამაზად, მაგრამ ეტყობოდა, ვოვიკი ამაზე მაინცადამაინც თავს არ იტკიებდა.

— მარია, ეს შენი ბრალია, — მიუბრუნდა იგი ქალიშვილს, — არ უნდა გესხენებინა ეშმაკი. ხომ დაინახე, ახსენე თუ არა, ლელიანიდან ამოხტა.

მარიას გაეღიმა.

— ვოვიკ, გწამს შენ ასეთი ნიშნები?

— უნებურად ირწმუნებ, დღეს მარცხიანი დღე გამითენდა! ჯერ შენი „ოლიმპიელი“ დამეტაკა, მერე მეფუტკრემ მომშხამა, აქ იყო და ეგ ზოოლოგი წამოგვადგა თავს! ყველანი ჩვენ გვდეგნიან და გვიკიჟინებენ, თითქოს პირი შეკრესო... როგორ ფიქრობ, მარია, ეგ ხალხი შენმა ბერიცაცმა ხომ არ ჩაგვისაფრა?

— რას ამბობ! მამაჩემს ეგ ზოოლოგი ჯერ თვალითაც არ უნახავს!

— მაშ როგორ მოხდა, რომ ყველა თავზე კაკალს მამტვრევს, ისეთი რა ცოდვა მაქვს, რომ ყველა ასე მდეგვის?!  
ვოვიკი თითქოს ხუმრობდა, მაგრამ ამ ხუმრობაში წყენაც ისმოდა.

— ვოვიკ, ისინი ჯერ არ გიცნობენ, — ანუგეშა მარიამ, — რომ გიცნობდნენ. ყველას შეუყვარდებოდი.

ვოვიკი გაჩერდა და ქალიშვილს გამოცდელად შეხედა.

— გულწრფელად ამბობ?

— რასაკვირველია!

— შენ კი... უკვე კარგად მიცნობ? მარია ჩაფიქრდა.

— მართლა, მე ხომ ჯერ კარგად არ ვიცნობ, ვოვიკ, ჩვენი ისე იშვიათად ვხვდებით ერთმანეთს, — შემდეგ ჩაიცინა და დაუმატა, — თვითონ მითხარი, როგორი ხარ?

— აი ასეთი ვარ! — ჩაილაპარაკა ვოვიკმა, მარიას მკლავები შემოხვია და ტუჩებში მაგრად აკოცა.

კოცნამ დააფრთხო ქალიშვილი. ყველაფერი მოულოდნელად, ელვის სისწრაფით მოხდა. მარია თანდათან გონს მოეგო, ვაჟის მკლავებიდან თავი გაითავისუფლა და აელვარებული სახე ტრამალისაკენ მიაბრუნა.

აკოცა! მართალია, ასე არ წარმოედგინა პირველი კოცნა, მაგრამ ხომ მიინც აკოცა!

მარიამ თმა შეისწორა და კაბიტნისაკენ მიტრიალდა. ის თავხედი კი, აყვავებულ ბალახში ჩაჩოქილი იცინოდა და ცას ხუმრობით თოფს უმიზნებდა. გაისმა სროლის ხმა. ექომ ველი გადაიჭროლა და შორს მიიწყდა...

ვის ესვრის ეს ბედნიერებისაგან მთვრალი მონადირე? მოკრიალებულ ცაზე ზღაპრული ფასკუნჯი ხომ არ მოელანდა ან შეიძლება თავის გამარჯვებას მიესალმა?

ეტყობოდა, სროლა პლაჟზეც გაიგონეს, — გორაკზე ქალი გამოჩნდა და თეთრი თავსაფარი ააფრიალა.

— მგონი, დედაჩემია, — ჩაიცინა ვოვიკმა, — ალბათ, უხა მზადაა, ჩქარა წავიდე!

გორაკზე მართლაც ვოვიკის დედა იდგა. ის ისე, შეშფოთებული იყურებოდა მათკენ, რომ მარია მიხვდა, უთუოდ რაღაც მოხდაო. რის უხა, რა უხა! ცეცხლი არსად ჩანდა, თევზის ქარხნის თანამშრომლებს ბარგი-ბარხანა უკვე აეკრათ, ვიღაცას მხრებში შესდგომოდნენ და ნაპირ-ნაპირ კატარღისაკენ მიჰყავდათ.

— მხოლოდ შენ შეგიძლია ასეთი რამ ჩაიდინო! — თავს დაესხა შვილს დირექტორის მეუღლე, — მამაშენს, მგონი, მზემ დაჰკრა, ჩვენმა საყვარელმა შვი-

ლმა კი ამ დროს ყველა მიგვატოვა და სადაღაც ქვეყნის დასალიერს გაუჩინარდა!

ვოვიკი მოიღუშა და თავის მართლება დაიწყო.

— როგორ გამეგო, რომ მზემ დაჰკრა...

— ჩქარა ადი გემზე! — აჩქარებდა დედა, — კაბიტანს დამიხედეთ! გემი როგორ მიატოვე? სულ ჩვენი ბრალია, ყველაფერს გისრულებდით, გაგანებოვრეთ. ღღემდე სანანებლად მაქვს, რომ ნახიმოვის სასწავლებელში არ მიგაბარე!

ვოვიკმა ვერ მოასწრო მარიასკენ მიეხედა. მოკუნტული, თითქოს ცელქ ბავშვს დანაშაულზე წაასწრესო, ზღვისაკენ მიეშურებოდა, დედა კი ფხვნიან მისდევდა და გულმოსული რაღაცას ეღუღღუნებოდა.

7

დაბიდან დაბრუნებულ დიომას მარია იმავე ადგილას დაუხვდა, სადაც კაბიტანთან ერთად დატოვა.

ახლა იგი მარტოა იდგა და მის ლურჯ ხილაბანდს ნიაგი აფრიალებდა. დიომას მეზღვაურის მისიურა უკვე შორიდან გამოჩნდა, მაგრამ ქალიშვილი ვაჟს თითქოს ვერც კი ამჩნევდა და ყურადღებით გასცქეროდა ზღვას: ჩამავალი მზით გაბრწყინებული „ბოცმანი ლეღეკა“ ყურედან გადიოდა. მარია ხედავდა, როგორ შორდებოდა ნაპირს გემი და მთელი არსებით იქითკენ ილტვოდა.

— ხელს ხომ არ გიშლი? — მზაკვრულად ჰკითხა დიომამ.

— ვის?

— ვისა და შენ.

— ოჰ, არა, სწორედ დროზე მოხვედი, დიომოჩკა, არც ადრე, არც გვიან.

— ასეთია ჩემი ბედი, განა ვერ დავინახე, „ბოცმანმა“ ლუზა რომ აუშვა? მითხარი, კარგი დრო გაატარეთ?

— შესანიშნავი... შეჩვედი, მთელი ყურე ანთებულა, თითქოს წითელი ღვინით აუღისიათო.

— ეს მზისგანაა; მე კი სხვა რამეს გეკითხები, შენ მთვრალი ხომ არა ხარ?

მარია გაწითლდა. მერე უეცრად მთე-

ლი ტანით შეიხრა და დიომას გამოძვევად გადახედა.

— ჰო, მთვრალი ვარ, მთვრალი, დიომოჩა!

შუქურასაკენ მიმავალ ბილიც ვაპყვენენ, „ოლიმპიელი“ ფართო ნაბიჯით მიდიოდა, მარია ფეხს ძლივს უსწორებდა.

— რეკორდი დაამყარე, დიომა?

— შეიძლება კიდევ დავამყარე, მაგრამ მსაჯები არ მყავდა.

— მე გადმომკარი? მე ხომ არ შეემძლო წამოსვლა.

— ვიცი, რომ არ შეგეძლო.

— წიგნისა რა ჰქენი, დიომა?

— ლუბა არ იყო, დედამისს დავუტოვებ.

— დაბაში ახალი რა არის?

— თოხშაბათს კომკავშირის კრება გვაქვს.

— კრება? საუცხოოა!

ახლა მარიას ყველაფერი საუცხოოდ ეჩვენებოდა — კრებაც, ზღვაც და საღამოს ბინდით დაფარული ტრამალიც. ქალიშვილი მსუბუქად ადგამდა ფეხს, თითქოს მიფრინავს...

— მზე ჩადის, მთვარე ამოდის, წყნარად მიცურავს ნავი...

— ოჰ, მღერი კიდევაც? — გოცებულმა დიომამ უკან მოიხედა.

— მე? ვმღერი? მოგეჩვენა, დიომა! — გაიცინა მარიამ და ისევ ღიღინით განაგრძო:

ქალი მღერის და მეზღვაურს ჩაუქვიდა თავი.

— შესდექ! — უეცრად იყვირა დიომამ, — ირმები!

— სად? სად? — მარიამ დიომასთან მიიბრინა, — სად დაინახე, დიომა?

— აი, ლელიანთან.

— ჰო, ვხედავ, ვხედავ! — აღლევნით თქვა მარიამ და ვაჟს მხარზე მიეყრდნო.

შორს, გორაკზე, ლერწმებთან ძლივს მოჩანდნენ ლამაზად შეჯგუფებული ირმები.

— დატოტვილრქებიანი ხარირემია, გვერდით კი ფური უდგას.

— ის არის, ის არის, დიომა! გახსოვს მთელი კუნძული სულმოუთქმელად რომ შემოირბინა?

— შეიძლება ისიც იყოს.

— და უკვე ბიენა ჰყავს!

— პატარა ოჯახია, — უხალისოდ მიხედა მრავალი დიომამ და ქალს წელზე მსუბუქად შემოხვია ხელი.

ქალიშვილი არც განძრეულა, თითქოს ეშინოდა, ოდნავი მოძრაობით შორეული ირმები არ დავაფრთხოო.

— ვითომ სურათს ვუტყეოდე, მარია, ეს ხომ შენი მომავალი ოჯახური ბედნიერების სიმბოლოა?

— ეს შენზეც ითქმის.

— ეჰ, მე რა, მარია, შუქურა მე არ მიწათებს, — გულისტკივილით თქვა ვაჟმა.

— რა არ გინათებს? შუქურა ყველას უწათებს, მხოლოდ მოისურვე და...

— მოვისურვო? — უნდობლად ჩაეკითხა დიომა ქალიშვილს, წელზე ხელი კიდევ უფრო მაგრად შემოაჭლო და უნებურად თავისკენ მიიზიდა.

— დიომა, რას შვრები? — მარიამ ჭაბუქს გაოცებით ახედა.

დიომამ არაფერი უპასუხა, სახეშეცვლილმა თავისი უზარმაზარი მკლავები მოხვია და გიჟური სასოწარკვეთილებით თავისკენ მიიზიდა.

— გაგიჟდი, დიომა?!

— მარია! მარია! — ჩურჩულებდა დიომა, — სანამღე უნდა მაწვალო! ვოვიკთან ასეთი არა ხარ. მან, ალბათ, უკვე გაკოცა!

ქალიშვილმა ძალა მოიკრიბა, დიომას ხელიდან დაუსხლტა და გაჩეჩილი და აქოშინებული განზე გახტა.

— მაკოცა, მერე რა?

დიომამ სახეზე ხელები აიფარა.

— ახლოს არ მომეკარო, — უკვე მშვიდად ჩაილაპარაკა ქალიშვილმა, — მადლობა მითხარი, რომ აი ეს ფეხსაცმელი თავში არ ჩაგცხე, თორემ შუქურაზე დაღალული დაბრუნდებოდი!

შორეულ გორაკზე ირმები აღარ ჩანდნენ, შესაძლოა ლელიანს შეეფარნენ ან კუნძულზე გაინავარდეს, დაათვალიერეს თავისი საოცარი, უსაზღვრო და იმავდროს ყოველი მხრიდან ლურჯი ზღვით შემოზღუდული სამეფო. იქნებ ოდესმე, ცივ ზამთარში, როცა ყინვა ზღვას შებო-

ჰავს, ირმებმა ზღვა გადალახონ და ტყვეობიდან თავი დაიხსნან. მაშინ, ალბათ, მარიაც შეძლებს გაყინული ზღვა გადაიაროს და სატრფოს სანახავად წავიდეს, ვოვიკი შუქურასთან ყინულმჭკრელით თუ მოვა მაშინ...

ისევ ბილიკს მიჰყვებოდნენ. მარია წინ მიდიოდა, დიომას მხრები ჩამოეყარა და თავდახრილი მილასდებოდა.

ტრამალს ბინდი მოეფინა. სიცხემ იკლო. ირგვლივ გამეფებულ სიჩუმეს მხოლოდ ზღვის ტალღების ხმაური არღვევდა. დიომა და მარია ბილიკზე ისევ მიაბიჯებდნენ, თითქოს ერთმანეთს გაუტრბიანო.

შუქურას რომ მიადწიეს, კოშკურაზე უკვე ნაცნობი შუქი ენთო.

## 8

დიომა ქალიშვილს აღარაფერს ეუბნებოდა, გრძნობას მალავდა. დადინჯდა, გულჩახვეული ვახდა და სპორტს კიდევ უფრო მიეძალა. გულჩათხრობილი და ათრევედა სანაპიროზე თავის გირებს, გირებისგან სილას კარგა გვარიანი ორმოეზი აჩნდა...

ბოცმანის მეუღლეს, რასაკვირველია, შეუშინეველი არ დარჩა, რომ დიომასა და მარიას შორის შავმა კატამ გაირბინა, მაგრამ მის შეკითხვაზე, თუ რა მოხდა, ქალიშვილმა მხოლოდ მხრები აიჩეჩა.

მარია დღისით თუ ღამით თავის შორეულ კაბიტანზე ფიქრობდა. იშვიათად ხვდებოდა მას. მხოლოდ ზღვაში თუ მოჰკრავდა თვალს ქერჩისკენ მიმავალ „ბოცმან ლელეკას“. მაგრამ ერთხელ მამამ მას მატერიკზე გამგზავრების ნება მისცა: საქმეები დაუგროვდათ, საჭირო იყო ქალაქში ვინმე გაეგზავნათ და ბოცმანს თუმცა გაუტყირდა, ქალიშვილს წასვლაზე უარი ვეღარ უთხრა. სანამ ნაპირს გაშორდებოდა, მარიას შიში ჰკლავდა, არ გადაიფიქროს და უკან არ დამაბრუნოს: არ მიმიხვდეს, რომ შორეულ ნავსადგურში საქმეები კი არა, სატრფოსთან შეხვედრის იმედი მიზიდავსო.

მატერიკამდე მეთევზეთა აფრიანი გემით იმგზავრეს. ზურგქარი უბერავდა,

თეთრი, დაჭიმული იალქანი ფრინველივით მსუბუქად მიჰქროდა წინ და მარიას თავს ამქვეყნად უბედნიერეს ადამიანად თვლიდა.

პატარა ქალაქი სწორად იზრდებოდა. აი, უკვე პორტიც გამოჩნდა, შემდეგ — თევზის ქარხნის კორპუსები და ელექტრობი. მეთევზეთა ფაცხები მზებზე ბრწყინავდა, ქალაქის პარკში შავად ილანდებოდა აკაციები, ყველაზე მაღლობ ადგილას კი სკოლის დიდი შენობა იდგა.

მარიაც ამ სკოლაში სწავლობდა, თითქოს სულ ახლახან გამოვიდა იქედან სიმწიფის ატესტატით ამ ახალგაზრდა ჰაბუკ მეთევზეებთან ერთად, ახლა ღამენათევი, დადლინი და მღუმარენი რომ ბრუნდებოდნენ ნაპირზე.

დაახლოებით ერთი საათის შემდეგ მარია უკვე ნავსადგურში იყო. სიხარულით ათრთოლებულმა შედგა ფეხი ნაპირზე. ეგონა, პირველი ნაბიჯის გადადგმისთანავე საიდანაც გამოჩნდება ვოვიკი და დამიძახებსო, თუმცა კარგად იცოდა, რომ ვოვიკი ახლა რეისზე იყო, — დღისით „ბოცმანმა ლელეკამ“ შუქურას ჩაუთარა.

ქვაფენილზე საზიდები გრუხუნებდნენ, სახელოსნოებიდან გუგუნნი ისმოდა. ქალიშვილი ვიწრო, მიხვეულ-მოხვეულ ქუჩას ცენტრისაკენ მიჰყვებოდა. ამ ქალაქში მისთვის ყველაფერი მახლობელი და მშობლიური იყო.

სად იქნება ახლა ვოვიკი? მოასწრებს თუ არა სალამოსათვის დაბრუნებას? ისინი არ შეთანხმებულან, ერთმანეთს შეეხვედითო, მაგრამ მარიას ეს სულაც არ აწუხებდა: იცოდა, სადაც აბოვიდა კაბიტანს. თუ პორტში არა, პარკში მიინც იქნებოდა საცეკვაო მოედანზე.

სალამომდე ჯერ კიდევ ბევრი დრო იყო; მარიამ გადაწყვიტა საქმეები ახლავე მოეგვარებინა, რომ შემდეგ უფრო თავისუფალი ყოფილიყო... მაღაზიები შემოიარა, წითელი ჯვრის საზოგადოებაშიც იყო — შუქურაზე შეკრებილი საწევრო ვადასახადი შეიტანა. დანარჩენი დრო კი ნათესავებთან, სტუმართმოყვარე მეთევზეების სახლში გაატარა, ღამითაც მათთან უნდა დარჩენილიყო. ფანჯა-

რამი მოუთმენლად იცქირებოდა და, როცა პორიზონტზე „ბოცმანი ლელეკა“ გამოჩნდა, სახე გაუნათდა, წამოხტა, სარკესთან მიიბრინა და მორთვა-მოკაზმვას შეუღდა.

ვოვიკს პორტში, ლუდის ფარდულთან შეხვდა. იგი მეგობრებთან იდგა, ხელში ლუდის აქაფებული ტოლჩა ეჭირა.

— სალამი, მარია! — უთხრა მან ქალიშვილს, ეტყობოდა, მისი გამოჩენა დიდად არ გააკვირვებია, თითქოს ეს ასეც უნდა მომხდარიყო, — გინდა ლუდი?

მარიამ ლუდზე უარი უთხრა, ვოვიკი განზე გაიხმო და შეუთანხმდა, ერთი საათის შემდეგ პარკში შეგხვდებით. იგი ოდნავ ნაწყენი დარჩა, რომ ვოვიკი აღტაცებით არ შეხვდა, მაგრამ თვითონვე გაამართლა ვაჟი, ამდენ ხალხში ხომ ვერ მომეპარდებოდა და გადაამეხვეოდაო. შეიძლება, კარგიც იყო, რომ მას ასეთი თავშეკავების უნარი ჰქონდა. არც ლუდის სიყვარული ჩაეთვლებოდა ცოდვად; პორტში ამას დაჩვეულნი იყვნენ.

პარკში პირველი მარია მივიდა. ახალგაზრდობას ბლომად მოეყარა თავი.

აქ იყვნენ მორთული ქალიშვილები, მეზღვაურები, ახალგაზრდა მეთევზეები. იციანოდნენ, ხუმრობდნენ, ერთმანეთს ეცნობოდნენ, კინოთეატრის სალაროსთან ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ, ხეივანებში დასეირნობდნენ. მარიას მოსეირნეთა შორის ნაცნობი ქალიშვილები და ჭაბუკები ხვდებოდნენ. ისინი მხიარულად მიესალმებოდნენ მას, მაგრამ როცა შეამჩნევდნენ, ვიღაცას ელოდებო, უსიტყვოდ გვერდს ჩაუვლიდნენ. ვოვიკის მოლოდინში მარია შესასვლელთან იდგა. მოულოდნელად თავის პედაგოგს შეეჩეხა. ანა პანასის ასული ლიტერატურას ასწავლიდა მათ. მაღალი ქალი იყო, ჭაბურა, ოდნავ კოჭლობდა და ხელჯოხს ებჯინებოდა. დღეს რაღაც ზვიადი, მკაცრი გამომეტყველება ჰქონდა.

— პატივცემულო მასწავლებლო! — მხიარულად შესძახა მარიამ, — გამარჯობათ, ვერ მიცანიო?

— ოჰ, ლელეკა, შენა ხარ, — შეჩერ-

და მასწავლებელი, — გამარჯობა. აქ რამ მოგიყვანა?

— ისე, საქმეზე ჩამოვედი და მოვიარე, თქვენ უკვე მიბრძანდებით?

— თქვენ ვერ გაგიტოლდებით, მარია, რეჟიმს ვიცავ.

ისინი იალღუნის ბუჩქთან მიდგნენ. სკოლაში გოგონებს ანა მასწავლებელი ძალიან უყვარდათ. თითქოს, როგორც ყველა შინაბერა, ისიც გაბოროტებული უნდა ყოფილიყო. ზოგიერთს მართლაც ასე ეგონა, გულქვა და უჟარებააო და შეიძლება, მხოლოდ მისმა მოწაფეებმა იცოდნენ, რაოდენი სიკეთე იტარებოდა ამ მკაცრი გარეგნობის მიღმა, როგორ ღრმად იყო დაინტერესებული ეს ქალი თითოეული მოწაფის ბედით.

მარიას ეჭვი არ ეპარებოდა: მასწავლებელი პარკში ახლაც იმიტომ მოვიდა, რომ დამტკბარიყო ახალგაზრდობის ცქერით, იმ ჭაბუკებისა და ქალიშვილების ცქერით, რომლებიც ჯერ კიდევ გუშინ მერხებს უსხდნენ, დღეს კი მამაცურად მიიჩქაროდნენ სარეწისაკენ, მუშაობდნენ თევზის ქარხანაში, სხვადასხვა დაწესებულებებში.

— მაშასადამე, შენ ახლა შუქურას მესანთლე ხარ, — ღიმილით უთხრა მასწავლებელმა, — რომანტიკული, ჭეშმარიტად კეთილშობილური, პროფესია ავირჩევია!

მარიას მოეწონა, რომ მასწავლებელმა მესანთლე უწოდა.

— ბედს არ ვემდური, პატივცემულო მასწავლებლო.

— მაგრამ დაიცა, დაიცა! — მასწავლებელმა თვალი მოჭუტა და ყურადღებით დააცქერდა ქალიშვილს, — შენ გორბაც მოუსვენრად ხარ, მარია, თითქოს რაღაც გაღელვებს. პაემანზე მოხვედი?

მასწავლებელს სიმართლეს ვერ დაუმალა.

— დიახ.

— ვინ არის? ვიცნობ?

— არა, ის ჩვენს სკოლაში არ სწავლობდა.

— ასეა, ადრე თუ გვიან ეს უნდა მო-

მხდარიყო, — ჩაილაპარაკა ჩაფიქრებულმა მასწავლებელმა, — მაგრამ ხომ ვახსოვს? „მოკვდი, მაგრამ უსიყვარულოდ არავის აკოცო!“

— ოჰ, რასა ბრძანებთ, მასწავლებელო! — გაიცინა მარიამ, — ეგ როგორ შეიძლება!

ვოვიკი შორიხლო დამდგარიყო და ქალიშვილს რაღაცას ანიშნებდა.

— მამატიეთ, მასწავლებელო.

— აბა, წადი, წადი, — თქვა მასწავლებელმა და აღმაცერად გადახედა დარდინანდული გარეგნობის ჭაბუკს, რომელთანაც მარია ბედნიერებისაგან გაბრწყინებული სახით მიიჭრა. მასწავლებელი პარკიდან გადიოდა და თავის ხელჯოხს გულმოსულად, უკმაყოფილოდ მიაბაკუნებდა. მარიას რჩეულმა გუნება გაუფუჭა თავისი მოღუბლი კურტაკით და მთელ მკერდზე გადაჭიმული ელვა-შესაკრავით.

9

— ვის ელაპარაკებოდი? — დაინტერესდა ვოვიკი და მარიას მკლავი მკლავში გაუყარა.

— ჩვენი მასწავლებელი იყო.

— ეჰ, ეტყობა ბოროტია! ისე აღმაცერად გადმომხედა, თითქოს მისთვის რამე მომეპაროს...

— არა, ცდები, ძალიან კეთილია; საღ წავიდეთ, ვოვიკ, კინოში?

— „ვენეციის ღამეში“ უკვე ვნახე, ჩვენ უკეთესი ღამეები გვაქვს. პადესპანის საცეკვაოდ წავიდეთ?

— ცეკვები ჯერ არ დაწყებულა.

— უჩემოდ ვერც დაიწყებენ, — გაიცინა ვოვიკმა, — უჩემოდ იქ სიცოცხლე არაა. გიყვარს პადესპანი?

— არ ვცეკვავ პადესპანს, ვოვიკ.

— აბა რას ცეკვავ?

— ვალსს, პოლკას.

როგორც კი ვოვიკი საციკვაო მოედანზე გამოჩნდა, ვიღაც კაცი მასთან მიიჭრა კამბიტანი დარბაზის შუაგულისკენ წაიყვანა და რაღაცას ცხარედ ეთათბირებოდა. მარიას უკვირდა: ვოვიკი ყველას დასანახავად ცენტრში იღბა და თავს ისე

თავისუფლად გრძნობდა, თითქოს საცეკვაო მოედანზე არის გაზრდილი.

ბოლოს რადიოლა ჩართეს, გაისმინდა მარიას საყვარელი ვალსის — „ამურის ტარდების“ ხმა. როგორი ყურადღებანი ეს ვოვიკი! წყვილები დატრიალდნენ. მარიას ვოვიკისათვის მიმდობლად დაედო მხარზე ხელი. ვოვიკი მსუბუქად, თავისუფლად ცეკვავდა. მარია გრძნობდა, რომ ქალიშვილები შურით შესცქეროდნენ.

ცეკვის მსურველი ბევრი აღმოჩნდა. მოვიდნენ მეთევზეები — საკმაოდ მოუხეშავი კავალრები. ქალიშვილებს შორის მარიამ სიხარულით შენიშნა ერთ-ერთი მისი თანაკლასელი, სანდომიანი, მსუქანი რაია, რომელსაც გამოსაშვები საღამოს შემდეგ ერთხელაც აღარ შეხვედრია. ახლა გაიგო, რომ რაია უკვე რამდენიმე თვეა საღდაც კრიმსკაია სტრელკაზე მუშაობს.

— რაიკა, როგორ მოეწყვე? — გულში ჩაიკრა მეგობარი მარიამ და ამბის გამოკითხვა დაუწყო.

— კარიერებში ვმუშაობ, — უპასუხა რაიამ, — რა იყო?

— ჰო, არაფერი! ყველა ხომ ინსტიტუტს არ უნდა მიაწყდეს. მეც უშუქურაზე ვმუშაობ... იმ კარიერებიდან რას იღებთ?

რაიამ თვალები ეშმაკურად მოჭუტა.

— შენ დღეს, ალბათ, პარკის ხეივანებში დასეირნობდი?

— ჰო.

— ნახე, ხეივანებში მოყრილი ბაცი ვარდისფერი ნიჟარქვა? ჰოდა, ის ნიჟარქვა ამოგვაქვს.

— ოჰ, რა კარგია! — წამოიძახა მარიამ, მოაგონდა მასწავლებლის ნათქვამი და დაუმატა: — როგორი რომანტიკული, კეთილშობილური პროფესია გაქვს, რაია!

იმ საღამოს, ალბათ, საგანგებოდ მარიასათვის მხოლოდ ვალსსა და პოლკას უკრავდნენ. მარია ხედავდა, რომ რაიასაც ძალიან სურდა ეცეკვა, მაგრამ მას არავინ იწვევდა. მეგობარი რომ ესაიმოვნებინა, მარიამ ვოვიკს სთხოვა. ვალსის საცეკვაოდ რაია გაიწვიო.

— იცის კია? — მოიღუშა ვოვიკი და მოაჯირზე მიყრდნობილ მსუქან ქალიშვილს გადახედა.

— იცის, იცის! გაიწვიე, გთხოვ!

— კარგი, ხათრს არ გაგიტეხ.

და ვოვიკმა რაია თავაზიანად გაიწვია საცეკვაოდ, არც კი აგრძნობინა, რომ მასთან ცეკვა არაფრად ეჭაწნიებოდა. მერე ისევ მარიასთან იცეკვა, შემდეგ კი ვილაც მაღალ, შავგვრემან, ნაწნავებიან ქალიშვილთან, ბერძენ ქალს რომ ჩამოგავდა. ეს ქალი ის-ის იყო გამოჩნდა საცეკვაო მოედანზე და უკვე ყველას ყურადღება მიიპყრო. თავშეკავებული და დინჯი ჩანდა, ძალიან ლამაზი იყო. მარიამ იგრძნო, რომ მას ვერ გაუტოლდებოდა, მაგრამ როცა ცეკვა დამთავრდა, ვოვიკმა უცნობი მაშინვე მიატოვა და ისევ მარიასთან მივიდა. მარიას გული სიამაყით აევსო — ვოვიკი ამდენ ქალიშვილში უპირატესობას მანიჭებდა.

— წავიდეთ, წყალი დავლიოთ, — უთხრა ვოვიკს მარიამ და ისინი შეხუთული დარბაზიდან პარკის გრილ ხეივანში გავიდნენ.

— ვოვიკ, ვინ არის ის ქალიშვილი, შენთან რომ ცეკვავდა?

— რომელი?

— აი ის, ბერძენ ქალს რომ წაგავს.

— ჰო, ქსანა! ახალი ექიმია, დიდი ხანი არაა, რაც აქ ჩამოვიდა.

— ძალიან ლამაზია...

— შენ ქათინაურებს გაუფრთხილდი, მარიკა, — გაიხუმრა ვოვიკმა, — ეს კი რა კიოსკია? წყალი არსადაა? ამას ჰქვია ვაჭრობა!

— წავიდეთ, მეც გამაცილებ და წყალსაც დაღევ.

— მართალი ხარ, მთელი დამე ხომ არ უნდა ვიცეკვოთ!

ცეკვით შეხუბრებულნი და მუსიკით დამთვრალნი პორტისაკენ დაემუნენ. ის-ის იყო მარიას ნათესავის სახლს მიუახლოვდნენ, რომ ვოვიკს ერთი აზრი დაებადა:

— მარიკა, ვინდა ზღვაზე გავისეირნოთ?

— რით? — გაეცინა ქალიშვილს.

— ჩვენი ქარხნის ნავით.

— რას ამბობ, ვოვიკ? ნავს ახლა ვინ მოგვცემს?

— ამაზე ნუ სწუხარ! დაწინააღმდეგე ცემს. შეხედე, რა ვარსკვლავებია, რამთვარე! რით ჩამოუვარდება ვენეციურ ლამეს? ახლა რა დავაძინებს? ჰო, გადაწყვიტე!

— დიდხანს ვისეირნებთ? ხვალ მე...

— დღივით შენი „ხვალ“, — გაცხარდა ვოვიკი, — თუ ვინდა, იმ ნავით კუნძულზე მიგიყვან. ხვალ შემთხვევით გემს რატომ უნდა ელოდო? ახლავე წამოიდე შენი ნივთები და გავსწიოთ.

— წარმოიდგინე? ასე, დამით რომ შუქურას მივადგეთ და მამაჩემი წინ დაგვიხვდეს!

— შუქურას ნუ მივადგებით, რომ ბერიკაცი არ გავაბრაზოთ. კონტრაბანდისტები ვეგონებით, ემანდ, სროლა არ აგვიტეხოს. სადმე ყრუ პლაჟზე ჩამოგსვამ.

მთვარიანი ღამე, ზღვა და ვოვიკთან ერთად თეთრაფრიანი ნავით გასეირნება მარიასთვის დიდ ცთუნებას წარმოადგენდა, მაგრამ იგი ჯერ კიდევ ყოყმანობდა.

— ნავი ხომ ქარხნისაა...

— მერე რა? — არწმუნებდა ვოვიკი, — ნავს არაფერი დააკლდება, ჩვენ კი ვისიამოვნებთ! შეხედე, ზღვა ანათებს. მთვარის ბილიკი გვეძახის. მარიკა, ძვირფასო, გთხოვ!

მარია დათანხმდა.

ნახევარი საათის შემდეგ ისინი უკვე ზღვაში იყვნენ... ამ საღამოს მარიას შუქურას ნაცვლად მთვარე უნათებდა გზას. შორს დარჩა ნაპირი, ზღვა იღვამალად ბრწყინავდა.

მარიამ ზღვაში მთელი ღამე გაატარა. ალიონზე მეთევზეებმა დაინახეს, როგორ მიადგა აფრიანი ნავი კუნძულის უკაცრიელ ადგილს. ნავიდან ქალიშვილი გადმოვიდა, დილის სიგრილისგან აბუზული, ზღვას ნაპირ-ნაპირ გაჰყვა.

ამ ღამის შემდეგ ვოვიკი მარიასათვის კიდევ უფრო ძვირფასი გახდა. გაქრა რაღაც დიდი ზღვარი, რაც მანამდე აცალ-

კვევბდა მათ. ქალიშვილი ყოველ ცისმარე დღეს ვოვიკზე ფიქრობდა, ღელავდა, როგორ არისო. ეტყობოდა, დასავჯეს იმ საღამოს ნავი უნებართვოდ რომ წაიყვანა. ამხანაგმა გოცკალომ, ალბათ, კაპიტნობიდან გადააყენა.

დანიშნულ დროს „ბოცმანი ლელეკა“ კვლავ მიდიოდა ქერჩისაკენ, მაგრამ ამჯერად ვოვიკის ნაცვლად ბოგურაზე ვილაც სხვა, მხარბუქიანი, გრძელულვაშიანი კაცი იდგა.

გემმა შუქურის მახლობლად რომ ჩაიარა, ეს უღუვაშიანი სწორედ მაშინ საუზმობდა: ხარბად ჭამდა ნაკვერცხალივით წითელ საზამთროს, ხელებით ხლეჩდა და გულგამოჰმულ ქერქს ზღვაში ისროდა. როცა გამოძღა, შეტრიალდა და მარიას კიტელით შემოსალტული, განიერი ზურგი შეაქცია. განა ვოვიკი ასე გულგრილად შეაქცევდა ზურგს?

მარია იმ დღეებში უხალისოდ იყო. ზოგჯერ უმიზეზოდ ტიროდა, რაც წინათ არასოდეს დამართნია.

ერთხელ მარია კოშკურაში მუშაობდა, შუქურას რეგულატორს აწესრიგებდა. დაიღალა, მოაჯირს დაეყრდნო და მატერიკს დააქებდა. კოშკურიდან კარგად ჩანდა პატარა ქალაქი, აკაციების შავი ზოლი, თეთრსვეტიანი სკოლა... საინტერესოა, იქ არის თუ არა მასწავლებელი. ახლა მარიას მოაგონდა მასთან შეხვედრა პარკში და მათი მოკლე საუბარი. რაღაც გაფრთხილება ისმოდა მასწავლებლის სიტყვებში. რა გულმოსული მიაბაკუნებდა ხელჯოხს, პარკიდან რომ ვადიოდა, თითქოს კიცხავდაო! აბა, მაშინ რას იტყოდა, რომ გაეგო, როგორ გაატარა ის ღამე მარიამ ვოვიკთან ერთად ნავში. სხვები შრომობენ, ზღვაში ამაყად ჭიმავენ იალქნებს, მან კი გასაზრთობად გაიტაცა ნავი.

ქალიშვილმა შორიულ კრიმსკაია სტრელკას გახედა. კოშკურიდან კარგად ჩანდა იქაურობა — გრძელ, სწორ ზოლად ჩაშავებული ისარი. საღდაც შორს, ზღვის მეორე მხარეს, პაწაწინა ორთქლმავალი ამ ზოლით კარიერისაკენ მიემართებოდა, თან პატარა ვაგონები მიჰყავდა. ეს ვაგონები ხომ რაიმე უნდა აავსოს

საუცხოო, ბაცი ვარდისფერი ნიჟარა  
ქვით?

მარია ამ ფიქრით იყო გართულნი. გემი მოულოდნელად გამოჩნდა რადიოსადგურის მხრიდან. სრული სიჩქარით მოდიოდა, მხიარულად ჰკვეთდა მშვიდი, მბრწყინავი ზღვის ზედაპირს. მარიამ გემზე მაშინვე იცნო ახრავანი ვოვიკი. ეტყობოდა, მამამისს ქვის გული არ ჰქონია. ალბათ, ფუქსავატი შვილი შეეცოდა და უფლებები დაუბრუნა. მაგრამ გემმა ასე შორს რატომ ჩაუტრა კუნძულს, ზღვამ ხომ არ დიკლო? ან იქნებ არ უნდა ბოცმანი გააღიზიანოს?

აჰა, გემი ქალიშვილს გაუსწორდა. მარია სიხარულისგან გაინახა. დაე, შორს იყოს „ბოცმანი ლელეკა“, დაე, ოდნავ ჩანდეს ბოვიკზე მოხდენილი ჭაბუქი, კაპიტანი ხომ იქიდანაც შენიშნავს მას. აი იგი ხელში აიღებს მეგაფონს და ზღვას მოეფინება მისი ძახილი:

— ია — ა-ა... ია — ი-ა!...

მარია დამბულად ელოდებოდა, კანკალებს, მაგრამ რატომღაც კაპიტანი მეგაფონს არ იღებს ხელში, მარიას ზღვა აღარ ეძახის. აი, კაპიტანს ვილაცამ დაუძახა, იგი შეიჩხა, ნაბიჯი გადადგა და უეცრად მარიას ზურგი შეაქცია!

ქალიშვილმა თავი დახარა, მუხლი მოეკვეთა და, რომ არ დაცემულიყო, თავისი პატარა, ვაზეთილი ხელები შუქურას რიკულს მაგრად ჩასჭიდა. ეს რას ნიშნავს? არ შეიძლებაო, არ დაენახა, მარია ხომ სულ მაღლა, შუქურის კოშკურაზე იდგა. ვოვიკმა საყვირი არ დააგუგუნა, არც დაუძახა, ზურგი შეაქცია... წაყვიდა!

სასოწარკვეთილი, შეწუხებული ქალი ნატრობდა, უცბად ზღვა აღელვებულყო, გრიგალი ამოვარდნილიყო და „ბოცმანი ლელეკა“ ერთი დაკვრით შემოეგდო კუნძულის ბოლაზეში! დაე, აქ, მის მახლობლად ეძია ხსნა უგულო კაპიტანს!

მაგრამ ზღვა არ ბობოქრობდა, „ბოცმანი ლელეკა“ კი კუნძულს თანდათან შორიდებოდა. გულმოკლული მარია ისევ მუშაობას შეუდგა.

ალბათ, ზღვამ ნამდვილად დაიკლო: იმიტომაც „ბოცმანი ლეღეა“ შეუქურას ყოველთვის სულ უფრო და უფრო შორიდან უვლიდა. ნადირობის სეზონი უკვე გაიხსნა, ვოვიკი კი კუნძულს არ ეკარებოდა. სანათი გაზიც შეუქურაზე მის მაგიერ სხვა კაპიტანმა ჩამოიტანა.

ასე გაიარა ზაფხულმა.

შემოდგომის დადგომისთანავე კუნძული და მისი პლაჟები აღარავის იზიდავდა. ველზე ქარი დანავარდობდა. უდაბნოდ ქვეული კუნძული შემოდგომის ლეგა, დამძიმებული ღრუბლების ქვეშ გაწოლილიყო. მეფუტკრეებმა სკები მატერიკზე გადაიტანეს, სტუდენტი ქალებიც წავიდ-წამოვიდნენ, ფრინველიც ცოტა ჩანდა, — გაფრინდნენ.

შემოდგომაზე კუნძული მოსაწყენი და უხალისოა. დღისით და ღამით ქარი ღმუის, ზღვა ღრიალებს. სქელი ღრუბლების გამო შეუქურის კოშკურიდანაც კი არა ჩანს კრიმსკაია სტრელკა, არც თეთრსვეტებიანი სკოლა მატერიკის შორეულ ნაპირზე. ყველაფერი უკუნეთს მოუცავს. ზღვაზე მომაბეზრებლად ქინჯლავს.

ერთ დღეს მარია მამა რაღაც საქმეზე სამმართველოში გამოიძახეს. გამგზავრებისას მოხუცმა მარიას გადააბარა შეუქურა და მთელი პასუხისმგებლობა მას დააკისრა.

ამან ვერ შეაშინა ქალიშვილი. სამუშაო რთული არ იყო, სანათი გაზი ბლომად ჰქონდა, კოლექტივისაც არ ემდურა. ზღვის მოუსვენარ ლეღვას და მშფოთვარე ღამეებს კი შეჩვეული იყო. მარიამ უბრალოდ და მტკიცედ მოჰკიდა ხელი მმართველობის საქმეს. ქალიშვილზე უფრო დედა წუხდა.

— დაწეჟი, დაისვენე, შენ ხომ მთელი დღე ფეხზე ხარ, წინ კიდევ ღამე მოგეწლის.

— ყველაფერს გავუძლებ! — არწმუნებდა მარია დედას.

ზღვიდან ნისლი მოგორავდა. მეზღვაურები შემოდგომის ნისლს სწყყვილიან, შეუქურის მცხოვრებლებსაც ეზიზღებათ იგი. მოცურავს და თითქოს ყველაფერს

ყლაპავს. შემოიკრიბება შენს გარშემო ცივი, წებოვანი, უკუნი ღრუბელი, სულ გაყენთავს ტანსაცმელს, ძველფარდეს ატანს, ყველაფერს ანესტიანებს. საითაც გაიხედავ, ყველგან სიბნელეა. გულს გიკლავს გემის საყვირთა ხმა, სადღაც ყამირის ნაპირებთან განუწყვეტლივ რომ ისმის. ფლოტი ზღვაშია და ყველაფერი მზადაა, რომ მას მოემსახუროს.

საღამოს ქარი ამოვარდა, ნისლი გაფანტა, მაგრამ ზღვა მაინც ბოზოქრობდა და მეთევზეთა მსუბუქ ფლოტს ტალღებზე მრისხანედ არწევდა. დაღამდა, ცაზე ერთი ვარსკვლავიც კი არ ჩანდა, ზღვა ხმაურობდა, ქარი ღმუიდა, ჩრდილოეთიდან მძიმე ღრუბლები მოცურავდა.

დღეს დიომა გულშეგობდა. მიუხედავად იმისა, რომ მარია გულშეგობდა საცხებით ენდობოდა, თვითონაც მთელი ღამე არ უძინია. ჩექმები ჩაიცვა, თავშალში გაეხვია და მხარზე თოფგადაგდებული განუწყვეტლივ უვლიდა გარს შეუქურას.

სიბნელეში ნაცნობი ნაბიჯის ხმას რომ გაიგონებდა, გასძახებდა:

— დემიან, აქა ხარ?

— აქა ვარ, — ყრუდ მოისმოდა სიბნელიდან.

— რა ცივი ქარია!

— ჩრდილოეთის ქარია. ძვალ-რბილში ატანს.

— აბა!

და ბნელში ისევ სცილდებოდნენ ერთმანეთს. წითელ კუთხეში შექი მთელი ღამის განმავლობაში ენთო, მაგიდაზე გადაშლილი წიგნი იდო. დროგამოშვებით შეიბრუნდა ხოლმე იქ და წიგნს მიუჯდებოდა, მაგრამ ღუმელის სითბო მაღლე მოთენთავდა და თვალი უნებურად ეხუტებოდა. თავს ძალას ატანდა, რომ არ ჩასძინებოდა, წამოდებოდა და ბარბაცით კვლავ შეუქურასაკენ მიდიოდა.

შუღამით წვიმა წამოვიდა და გარშემო კიდევ უფრო ჩამოზნედა. ქვეყნის ოთხივე მხარეს მხოლოდ წყვილიაღი, ქარი და წვიმაა. ვერც კი წარმოიდგენ, რომ სადმე დედამიწაზე შეიძლება მზე ანათებდეს. ამ უკუნეთში მხოლოდ მა-

რიკას შუქურა ციმციმებს და ქალიშვილის თვალსა და გულს ახარებს.

ალონზე მარიამ წითელი კუთხე მოინახულა, მაგიდასთან ჩამოჯდა, წიგნზე დაიხარა და არც კი გაუგია, ისე ჩასთვლიმა. სიზმარი ნახა, მაგრამ სიზმარში ყველაფერი ისე იყო, როგორც ცხადში: ქარი ისევ ისე ღმუღოდა, ზღვა ხმაურობდა. საკმარისია ზღვას დამაბუღლად მიაყურადოს და შორეული წყვიდადიდან გარკვევით მოისმის ნაცნობი ხმა:

— ია — ა... ია — ა-ა... ია — ა-ა-!

ის არის! გემბანიდან მეგაფონით ეძახის. მაგრამ რატომ აქვს ასეთი სასოწარკვეთილი ხმა? თითქოს შველას ითხოვს, თითქოს საგანგაშო ნიშანს იძლევა. მარია მიხვდა, „ბოცმანი ლელეკა“ საფრთხეში იყო, აბობოქრებულ ზღვაში ბრმად დაეხეტებოდა და არ შეეძლო გრიგალისთვის თავი დაეღწია იმიტომ, რომ მარიკას შუქურას ვერ ხედავდა.

მართლა, შუქურა სად არის? მარიამ შალა აიხედა და გაქვავდა. შუქი ჩამქალიყო. მარია მის ასანთებდალ გაექანა, მაგრამ სანათი გაზის ბალონი ცარიელი აღმოჩნდა. წყვიდადი კი ქარს აუბობოქრებია, ზღვა მარილიან შხეფებს ისვრის, შორით კი ვოვიკის ხმა უხმობს:

— მარია-ა-აა!..

მაშინ ქალი გორაკზე, გაშლილ ადგილას შედგა, ასანთი აანთო და თავის კოფტას, სწორედ იმას, პარკში ცეკვის დროს რომ ეცვა, ცეცხლი წაუკიდა. იდგა სახეგაბრწყინებული და მისი აღმოდებული ტანსაცმელი ვოვიკს შუქურის ნაცვლად უნათებდა.

დედამ მარია გააღვიძა. ქალიშვილისკენ დაიხარა, ხელისგული შუბლზე დაადო და ხმადაბლა, ალერსიანად ჩაეკითხა:

— მარია, მარია, რა დაგემართა? სულ იწვი.

— ვიწვი? — გამოფხიზლდა ქალიშვილი, — რატომ ვიწვი?

ფანჯრიდან გაცრეცილი დამე მოჩანდა, გარეთ წვიმდა. დედამ თერმომეტრი მოიტანა და მარიას სიცხე გაუზომა.

— დედა, კარგად ვერა ვარ...

— ოჰ, უბედურო ჩემო თავო. დიდი სიცხე გაქვს?

— ორმოცი...

დედამ შვილს ხელი მოჰკიდა, ოთახში შეიყვანა და დივანზე დააწვინა. მარიას მთელი სხეული სტეხდა, თავი უსკდებოდა. ლოგინში მწოლიარეს სამზარეულოდან ყრუ საუბარი ესმოდა. დედა მოტორისტებს რადაცას ეთათბირებოდა. ქალიშვილს გარკვევით მოესმა დიომას მტკიცე ხმა. რაო, რას ამბობს? ახლავე გავიქცეთ დაბაში და მატერიკზე გადავცეთ, რომ ექიმი დაუყოვნებლივ გამოგზავნონო?

მარია თავს უხერხულად გრძნობდა; წუხდა რომ ავად გახდა და ყველანი ასე შეაწუხა.

— დედა, საჭირო არაა! ისედაც გამივლის!

მაგრამ მას ყურს არავინ უგდებდა. დიომამ უკვე კარი მიიხურა და სირბილით გაუდგა გზას.

ბოცმანის მეუღლე ექიმის მოსვლამდე შინაური საშუალებით შეუდგა მარიას მკურნალობას: ასმევდა თაფლიან ჩაის, ბალახის ნახარშს და ქონითაც კარგად დაზილა.

დიომა უფრო ადრე დაბრუნდა, ვიდრე მოელოდნენ. კისრამდე ტალახში იყო მოსვრილი.

— რა მოხდა, დიომა? ვერ მიაწვდინე ხმა?

— როგორ არა, გადავეცი.

— მადლობა ღმერთს, მერე?

— თვითონ ამხანავი გოცკალო შემპირდა, ახლავე მივიღებ სასწრაფო ზომებსო. ავადმყოფი როგორაა?

— თითქოს ჩაეძინა.

დიომამ შევბით ამოისუნთქა.

მაღე „ბოცმანი ლელეკა“ ზღვაზე წვიმის ბაღეს მოარღვევდა. ამჯერად გვერდი არ აუვლია, პირდაპირ შუქურასაკენ წამოვიდა და ზღვა თუმცა ძლიერ ლელავდა, ნაპირს მარჯვედ მოადგა.

ვოვიკი კატარლიდან ჩამოვიდა, თან ახალგაზრდა ექიმი ქალი ჩამოიყვანა.

მარია სიცხისაგან ბორკავდა. თავდაპირველად ეგონა, რომ სიზმარში ხელავდა

ექიმს. ქალს ლურჯი წამოსასხამი მოეხუ-  
რა, მის უკან კი კაპიტანი ვოვიკი იდგა —  
ფერდაკარგული და წვიმისაგან გაწუწუ-  
ლი.

დედამ ექიმს ჩანთა გამოართვა და ვო-  
ვიკს უჩვენა, სად დაეკიდა ქალის სველი,  
გაფხორილი მოსასხამი და საშემოდგო-  
მო მსუბუქი პალტო.

ექიმმა ბოტები გაიხადა, შალის სვიტ-  
რი გაისწორა, ავადმყოფს მიუახლოვდა  
და უბრალოდ, საქმიანი იერით სავარძ-  
ლის კიდეზე ჩამოჯდა.

— როგორა ხართ? — გაუღიმა მარიას  
და ხელი მაჯაზე მოჰკიდა.

ვოვიკი მარიასთან ახლოს არ მისულა.  
შეიძლება იმიტომაც, რომ კალოშები არ  
ეცვა და შიშობდა, სუფთა, მშრალი სა-  
ფეხები არ დავსვაროო. ოჰ, დაე, დავვა-  
როს, მაგრამ მის მხარეს რომ არც კი  
იციქირება, თითქოს ავადმყოფის აღზნე-  
ბულ შემოხედვას გაურბისო.

ვოვიკი კარის ზღურბლთან უცხოსა-  
ვით იდგა და უკვე წასასვლელად ემზა-  
დებოდა.

— იქნებ ჩაი მაინც დალიოთ? — პირ-  
ფერობით ეპატიყებოდა ვოვიკს ბოცმა-  
ნის მეუღლე.

— არა, გმადლობთ, ევდოკია ფილიპეს  
ასულო, მეჩქარება.

— ჩემი წაყვანა არ დაგავიწყდეს! —  
მოავგონა ექიმმა.

— თქვენ როგორ დაგივიწყებთ? —  
ჩაეციხა ვოვიკს. მერე დეიდა ევდოკიას  
მიუბრუნდა და აუხსნა: — ქსანა ვასი-  
ლის ასული საღამომდე თქვენთან დარ-  
ჩება, უკან დაბრუნებისას გამოვუვლი.

— ოჰ, შვილო, ამინდი რომ გაფუჭდეს,  
ნაპირს როგორ მოადგები?

— „ბოცმან ლელეკას“ ეგ არ გაუძ-  
ნელდება.

ექიმმა მარიას თერმომეტრი გამოართ-  
ვა.

— რამდენია? — დანტერესდა ვოვი-  
კი.

— ოცდათვრამეტი და რვა...

— ჰო, საშიში არაფერია. გამაგრდი,  
მარია, შენ ხომ ყოჩალი გოგო ხარ!

ვოვიკი თავის ცივ ლაბადაში გაეხვია

და კარს მიეფარა. მისმა სიტყვებმა და  
ღიმილმა ავადმყოფი შესამჩნევად გაამ-  
ხნევა.

— თქვენი დიდი მადლობელი ვარ,  
ქსანა, — გულით უთხრა ექიმს მარიამ,  
როდესაც დედა ცოტა ხნით სამზარეუ-  
ლოში გავიდა და ისინი მარტონი დარჩ-  
ნენ, — თავს უხერხულად ვგრძნობ, რო-  
გორ შეგაწუხებთ თქვენცა და სხვებიც.

— რას ამბობთ, მარია? — დაამშვიდა  
ქსანამ ავადმყოფი, — ეს ხომ ჩვენი მო-  
ვალეობაა.

— ეგ რა თქმა უნდა, მაგრამ ავადმყო-  
ფთან გამგზავრება ასე შორს...

— ზღვაზე ცოტა შემეშინდა, შეჩვეუ-  
ლი არა ვარ, მაგრამ ამისათვის ჩვენს  
თავზეხელაღებულ კაპიტანს უნდა უმად-  
ლოდეთ. სხვა ვინმე, ალბათ, ასეთ ამინ-  
დში წამოსვლას ვერც გაბედავდა.

— არა, მეთევზეები ჯერ კიდევ ზღვა-  
ში არიან, — თქვა ბოცმანის მეუღლემ,  
რომელიც ის-ის იყო კარს მოადგა, —  
თქვენ ხელის დაბანა გინდოდათ? წყალი  
მზადაა.

— გმადლობთ!

ქსანა წამოდგა და ქუსლების ბაკუნით  
სამზარეულოსაკენ გაეშურა. მარიას მო-  
ეწონა იგი. როგორი ნაწინავეები აქვს, რომ  
გაიშალოს, ალბათ იმ ფერიას დაემსგავ-  
სება, ვოვიკს რომ მკერდზე აქვს ამოსვი-  
რინგებული.

ქსანას ყურადღებამ ძალზე ასიაშოვნა  
მარია. ექიმს აქ წამოსვლა რომ არ მო-  
ენდომებინა, უამრავ მიზეზს გამოიხატე-  
და, ამხანაგი გოცკალო ვერაფერს ეტყო-  
და. თვითონ არა თქვა, ზღვას შეჩვეუ-  
ლი არა ვარ და მეშინიაო?

სამზარეულოდან ქსანა მხიარული და-  
ბრუნდა. სკამი დივიანთან მისწია და ავად-  
მყოფის გვერდით კვლავ მშვიდად ჩა-  
მოჯდა. მარია თავის თავს უნებურად  
ახალგაზრდა ექიმს ადარებდა. ერთი ზის  
ქორფა, ჯანმრთელი, მშვიდი, თავის სი-  
ლამაზეში დარწმუნებული, მეორე კი  
მის გვერდით მოკრუნჩხულა, უთვალა-  
დოა, ფართოყრიბილიანი სახე და გარ-  
ჯისაგან გაუხეშებული ხელები აქვს. ვო-  
ვიკმა ეს-ეს არის ისინი ერთად ნახა, ასე-

ვე ჩარჩებოდა მესხიერებაში გაშლილ ზღვაში გამგზავრებისას. როგორც ჩანს, ახალგაზრდა ექიმისათვის მარია სასიამოვნო და საიტერესო პაციენტი იყო. გულუბრყვილოდ, ნდობით უსმენდა იგი ქსანას. უყოყმანოდ დალია წამალი, იშვიათი მოთმინება გამოიჩინა ნემსის გაკეთების დროს, მხოლოდ ცოტათი შეკრთა და კედლისაკენ გადაბრუნდა.

— როგორი მოქნილი და მკვრივი სხეული გაქვთ! — შეაქო ქსანამ, — თქვენ, ალბათ, სპორტსმენი ხართ?

— ჩვენთან ყველა სპორტსმენია.

— თქვენი თავდაჭერა მახარებს... დირექტორის ცოლი მეუბნება, ხელი ჯერ კიდევ არ გაქვს გაწაფული და ნემსს უნეშად აკეთებო, თქვენ კი ხმაც არ ამოგილიათ.

— ამაზე მეტსაც ავიტან, — აღიარა მარიამ, რომელსაც ტკივილებისაგან კრიკა შეჰკვიროდა, — მხოლოდ მალე ვიხსნა თავი ამ სენისაგან...

— სიცხე ნელ-ნელა გიკლებთ, — უთხრა ქსანამ, — ვფიქრობ, ერთ კვირაში ფეხზე დადგებით.

— ერთ კვირაში? რას ბრძანებთ, ქსანა! მე ამ სადამოსვე ფეხზე უნდა ვიყო!

— ამ სადამოს? — ჩაეცინა ქსანას, — დღეს პაემანი ხომ არ გაქვთ მარია?

— არა, უბრალოდ უნდა ავდგე, შუქურა ხომ მე ჩამაბარეს!

სამზარეულოში მოფუსფუსე ევდოკია ყურს უგდებდა ექიმისა და მარიას ხმადაბალ საუბარს და მუსიკასავით ჩაესმოდა ქალიშვილის ხმა. საქმე, ჩანდა, მართლაც უკეთესობისაკენ მიდიოდა. თუმცა ამას ბოცმანის მეუღლე ექიმის წამლებსა და ნემსს კი არა, თავის სამკურნალო ბალახებს მიაწერდა. მიუხედავად ამისა, ახალგაზრდა ექიმისთვის ყურადღება არ მოუკლია. ქსანას წინ სუფრაზე ეწყო შემწვარი თევზი, ღვეხელი, თაფლიანი ნამცხვრები.

ქსანა და მარია ძალიან დაუახლოვდნენ ერთმანეთს. ქსანა უკვე შეეჩვია ზღვის ხმაურს და სულ უფრო იშვიათად აქცევდა მას ყურადღებას. აშკარა ინტერესით ათვალიერებდა სურათებს, ვიდაც

ფოტომოყვარულს რომ კუნძულზე გადაედო.

— აქ თქვენთან ზაფხული, ალბათ, შესანიშნავია, — თქვა ქსანამ, — ეს ხომ თქვენი ველია?

— ჩვენია, — ოდნავ სევდიანი ხმით მიუგო მარიამ.

— პლაჟიც კარგი გქონიათ; ამბობენ, ირმებიცააო.

— ირმებიცაა, ქსანა.

— მომავალ ზაფხულს აუცილებლად ჩამოვალ. თუ მოვახერხე, აქ ქარხნის ბავშვებს ჩამოვიყვან, საზაფხულო ბანაკს მოვაწყობ... მე თვითონ სიამოვნებით დავთანხმდებოდი აქ მუშაობაზე.

— ძალიან კარგი, ჩამობრძანდით, ქსანა, მართალია, ზოგჯერ გვიჭირს...

— მე სიძნელეებისა არ მეშინია. ზოგჯერ მინდა ისეთი რაღაც გავაკეთო, რაიმე გმირობა ჩავიდინო! აი, თქვენ აშუქებთ მთელ ზღვას, გულახდილად გეუბნებით, მშურს თქვენი, მარია. თქვენს სამუშაოში იმდენი რომანტიკაა!

— თქვენს სამუშაოში კი განა არ არის?

— ჩემი მუშაობა რა მოსატანია. აი, ამას წინათ ვაზეთში ეწერა ახალგაზრდა ქირურგმა სოფლის უბრალო საავადმყოფოში წარმატებით გააკეთა გულის ოპერაციაო. შეიძლება მას ჩვენი ინსტიტუტი აქვს დამთავრებული, ყველას ხომ ვერ დაიხსომებ? მე კი რა ვარ?

— თქვენც თქვენს საქმეს აკეთებთ.

— ჰო, მაგრამ ჯერ არავინ გადაამირჩენია!

— ჩვენს მეთევზეებს ავადმყოფობა არ უყვართ, — მხიარულად გამოსძახა სამზარეულოდან ერთ-ერთმა მოტორისტმა, — მეთევზეს ასეთი ბედი აქვს: ან ას წლამდე იცხოვრებს, ან ზღვაში მოკვდება.

სამზარეულოდან სიცილი მოისმა. ქსანამ ხმას დაუწვია და საუბარი განაგრძო:

— მითხარით, აქ ზამთარში ყინულს აღამიანები არ გაუტაცნია?

— შარშან იყო ასეთი შემთხვევა, მაგრამ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა, მეთევზეები გადაარჩინეს: მფრინა-



ვმა მეორე დღესვე მიაგნო მათ ზღვაში.

— თქვენ არ იფიქროთ, მარია, რომ მე გმირობა მხოლოდ პატივმოყვარეობის გამო მიტაცებს, — თქვა ცოტა ხნის შემდეგ ქსანამ, თითქოს მარიას წინაშე თავს იმართლებსო, — განა ჩვენს დროში გმირობაზე ოცნება ბუნებრივი არ არის? ზოგჯერ სურვილი გაქვს გამოსცადო შენი ძალა, უნარი, თავდაჭერა. დღეს ვოვიკმა მითხრა, ზღვაზე ჩინებულად გიჭირავს თავიო, თუმცა საშინლად გვარწევდა.

ქსანამ გაიცინა. მარიას შემოესმა, რომ სამზარეულოში მოტორისტები ხმამაღლა ეკამათებოდნენ დედას.

— თქვენს ადგილას რომ ვიყო, დეიდა ევლოკია, მისთვის თავფს კი არა, ზღვის ბალახსაც არ გავიმეტებდი! — აღზუნებულად ლაპარაკობდა გრიცკო. და მარია მიხვდა, რომ ეს სიტყვები ვოვიკს შეეხებოდა. — ბრაკონიერი იყო და ბრაკონიერად დარჩა!

— სხვა დროს აქედან კისრისტეხით უნდა გააგდონ! — ცხარედ დაუჭირა მხარი პაშამ.

ქსანაც დაჩუმდა და ყური დაუგდო ლაპარაკს.

— ის რომ მარტო ნადირობაში იყოს ბრაკონიერი, კიდევ ჰო, — მოისმა დიომას დინჯი ხმა, — მაგრამ იგი ცხოვრებაშიც, ადამიანების მიმართაც ბრაკონიერია.

ქსანა უეცრად წამოდგა და დაბნეულად შეხვდა მარიას:

— როგორ შეიძლება კაცი ცხოვრებაში ბრაკონიერი იყოს?

მარია გაწითლდა, თვალებზე ცრემლი მოადგა.

12

სილამოს წვიმა შეწყდა, მაგრამ ძალიან აცივდა. ქარი ძლიერდებოდა... როგორც კი შებინდდა, მოტორისტებმა შუქურა აანთეს, დიომა მარიას ოთახში შევიდა და უთხრა:

— შუქურა ანთებულია, სრული წესრიგია!

— გუშაგად ვინ არის?

— პაშა.

— უთხარით თბილად ჩაიცვას, არ გაცივდეს, გარეთ ყიხავს.

— ხორბომელა წამოვიდა.

— ესლა გვაკლდა! კარგი, წადი!

დიომა გავიდა. თბილ ოთახში მარტოდ დარჩენილ ქალიშვილებს ხმა გაეკმინდათ და ქარის ღმუილს ყურს უგდებდნენ. ზღვა სულ უფრო და უფრო ხმაურობდა.

დღევანდელი საუბრის შემდეგ ეს ექიმი ქალი ისე ძლიერ აღარ მოსწონდა მარიას. ქსანა რომ გმირობისკენ მიისწრაფვის ეს, რასაკვირველია, კარგია, მაგრამ ძალიან ხომ არ ზრუნავს იგი თავის საკუთარ პიროვნებაზე? აი, მსუქანი რაია აო ეძებს რაღაც არაჩვეულებრივს, ამაზე არც ფიქრობს... ათწლდის შემდეგ კარიერებში მოეწყო. მუშაობს, თავის საქმეს უხმოდ, მოკრძალებით აკეთებს, როგორც ყველა სხვა... ქსანას კი სხვაგვარად გამოუღდის, თითქოს გმირობას გმირობისათვის ეძებს და, ეტყობა, არც იმაზე იტყოდა უარს, რომ მეთევზეები ყინულებს ხშირ-ხშირად გაეტაცებინა ზღვაში, ოღონდ მერე მას შიშოლისგან დასუსტებული ადამიანების გადარჩენა შეძლებოდა...

ოთახში თანდათან ჩამოხნელდა.

— შეიძლება ლამპა ავინთოთ? — იკითხა დედამ სამზარეულოდან.

— ჯერ არა, — ორივეს მაგიერ უბასუხა ქსანამ, — ზოგჯერ მიყვარს, აი, ასე, ბინდში ჯდომა, — ჩუმად ჩაილაპარაკა მან, თან ყურს უგდებდა, როგორ არახუნებდა ქარი თუნუქის სახურავს.

— თქვენთან რა საშინელი ქარები სცოდნია, მარია!

— შიშობთ, რომ დღეს შინ ვერ დაბრუნდებით?

— მე რა მიჭირს... თქვენთან გავათევდი.

მარია მიუხვდა, ქსანა ვოვიკზე სწუხდა. ეს ბუნებრივი იყო. მარიას ფიქრებიც ხომ ახლა მას დასტრიალებდა.

— ნუ გეშინიათ, ქსანა, ზღვა ისე საშინელი არაა, როგორც სიბნელეში გეჩვენებათ.

— გესმით, როგორ ღრიალებს?  
— არა, მე ტალღების ხმაურზე ვატყობ. ასეთი გრილის დროს ვემები ნაპირს თავისუფლად მოადგებიან.

— მაგრამ რომ ღამდება!

— შუქურა მუშაობს, გემი თავისუფლად მოადგება ნაპირს. მითხარით, ქსანა... დიდი ხანია მას იცნობთ? — შეეკითხა ექიმს მარია და საკუთარი ხმა თვითონაც ვეღარ იცნო.

— ვის?

— ვოვიკს.

— არც ისე დიდი ხანია. ამ ზაფხულს გავიცანი, როცა თევზის ქარხანაში დავიწყე მუშაობა, მაგრამ იგი ჩემთვის ძალიან ძვირფასია... გესმით, მარია, ძალიან ძვირფასია! — ხმას დაუწია და მინდობილად განაგრძო, — იცით, იგი ხომ ჩემი...

— თქვენი რა?

— ჰო, მაგრამ ჯერჯერობით ეს ჩვენს შორის დარჩეს, ამას მეგობრულად გეუბნებით. შაბათს ჩვენთან საღამოს აწყობენ და შეიძლება იქ ოფიციალურად ვთქვათ ჩვენს გადაწყვეტილებაზე...

— რა გადაწყვეტილებაზე?

— იმაზე, რომ დაქორწინებას ვაპირებთ!

მარიამ ოდნავ გასაგონად დაიკვნესა.

— რა დაგემართათ? ცუდად ხომ არ გახდით? — შეწუხდა ქსანა და ავადმყოფისკენ დაიხარა. ექიმს, ჩანს, აზრადაც არ მოსვლია, რომ მისმა სიტყვებმა მარიას შიგ გულში ჩასცა ლახვარი. ქსანას ვოვიკი და ეს ქალიშვილი ერთმანეთისათვის ისე შეუფერებელი მიაჩნდა, რომ მის გულს ეჭვიც არ გაჰკარებია.

— იქნებ სჯობდეს, დაიძინოთ, მარია!

— არა, არაფერია! ეს ისე, ერთი მითხარით... თუმცა რას ვამბობ, ამის კითხვა უხერხულიცაა, თქვენ ვოვიკს... უყვარხართ?

— ოჰ, ვოვიკი ისეთი საყვარელია! შერთალია, ცოტა ცეცია. მაგალითად, მას არაფრად მიაჩნია ღამით ქარხნის ნავი მოიტაცოს იმისათვის, რომ მე ზღვაზე გამასვირნოს, მაგრამ ყოველივე ამას აღზრდას მივაწერ. იგი ოჯახის ერთადერ-

თი შვილია, ამასთან ახალგაზრდობაც, ხომ იცით, მაგრამ თუ ხელში მაგრად დაიჭერ, ამას კი მე შეეძლება, — ჩაქვნილი ქსანამ, — მაშინ ვოვიკი, მე ვფიქრობ, წინ წაიწეხს: გამბედავია, ყოჩაღი, ცხოვრებას იცნობს.

მარია მძიმედ სუნთქავდა.

— შაბათი ხომ ზეგაა?

ბოცმანის შეუღლებ მანთებული ღამა შემოიტანა და ექიმი ვახშამზე მიიწვია.

— მიირთვით, თორემ გაცივდება.

ქსანამ ვახშამობა არ ისურვა და ამით აშკარად უკმაყოფილო ბოცმანის მეუღლე სამზარეულოში გავიდა.

ზღვის ხმაური თანდათან უფრო ძლიერად მოისმოდა. მარია კედლისაკენ გადაბრუნდა, მიჩუმდა, თავი მოიძინარა. ნამდვილად კი დამბულად ფიქრობდა ვოვიკზე. ახლა მისთვის ყველაფერი ცხადი გახდა. გაიხსენა მათი პაემანი კუნძულზე, ცეკვა და მთვარის შუქზე მოხეტიალე ნავი... ასე მიენდო, გული გადაუხსნა, მისთვის კი ეს, როგორც ეტყობა, მხოლოდ ფუჭი გართობა იყო. რატომღა აურია ცხოვრება, რისთვის მოუკლა გული?

მარიას შეურაცხყოფის გრძნობა სულს უხუთავდა, ცხელ ბოლქვად ყელში ეჩხიბებოდა. შურისძიების ძლიერი გრძნობა მწვავედ დაეუფლა მის არსებას. მისდაუნებურად შეეკუმშა ხელები. ახლა რომ აქ იყოს, განრისხებული შივარდებოდა, თვითონაც არ იცის, რას ჩაიდენდა! ალერსით მოხიბლა, მომხიბლავი ღიმილით მოაჯადოვა, ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ მერე ასე უგულოდ გაეწირა, ასე უხეშად ფეხქვეშ გაეთელა მისი გრძნობები.

ახლა მარიას აღარ შეეძლო ექიმისათვის ეცქირა. ესმოდა, რომ იგი მოუსვენრად მიმოდინდა ოთახში. ფანჯარას შივადგებოდა და გარეთ იცქირებოდა... დაე, არ დაგიბრუნდეს, არ მოვიდეს იმ საღამოზე! დაე, ზღვამ ჩანთქას, ტალღებმა უკვალოდ ჩაყლაპონ, — არც შენ, არც მე! გასწი მაშინ, მიიჭერ მასთან, აბობოქრებულ სტიქიას ჩაეკონე, სცადე მისი გადარჩენა, მშვიდარაე! მაშინ სრული შე-

საძლებლობა გექნება, შეამოწმო შენი ნებისყოფა, შენი თავდაჭერა!

მარიას გულს ცეცხლი მოსდებოდა, გონება უბნელდებოდა. წყევლა-კრულვით იხსენებდა კაბიტანს. თავი ბალიშში ჩაერგო, საკუთარი უმწეობა სულს უხუთავდა, გრძობდა მწუხარებით აფორიაქებული მისი სული არაფრის წინაშე არ დაიხედა უკან. რომ შეძლებოდა, საწოლიდან კოშკურას მისწვდებოდა, თვითონვე ჩააქრობდა შუქურას, რათა გულქვა კაცი ზღვაში დაბრმავებულიყო და თავის კატარღასთან ერთად ნაფლეთებად ქცეულიყო.

მაგრამ როდესაც ზღვის ხმაურში მის ყურს საყვირის ხმა მისწვდა, შეკრთა, გამოფხიზლდა და ბოლმა ვაუქარწყლდა. საყვირის ასე ავლგუნება მხოლოდ „ბოცმან ლელუკას“ შეეძლო.

— მარია, გესმით? — შეშინებული ქსანა ფანჯარას მოშორდა და ავადმყოფს მიუბრუნდა, — სადღაც, შორს, საყვირის ხმა ისმის!

ჯერ კიდევ წუთის წინ მეტოქე ქალიშვილის შიში მხოლოდ გაახარებდა მარიას, მაგრამ ახლა არაფერი უთქვამს, ქსანას მღელვარება მასაც გადაედო.

უეცრად კარი გაიღო და აფორიაქებული დიომა კარის ზღურბლზე აიტუზა.

— მარია, იქნებ გაიხსენო, რა ამინდზეა დაყენებული რეგულატორი?

— რასაკვირველია, თბილზე. რა მოხდა?

— თბილზე იყო, ახლა კი ხედავ, აცივდა...

დიომას აშკარად ეტყობოდა, რომ სათქმელს ვერ ამბობდა.

მარია იდაყვს დაეყრდნო, ჭაბუკს თვალი თვალში გაუყარა.

— თქვი!

— იცი რა... — დიომამ ქანასაღებები დაიქნია, — რეგულატორი გაცვეთილია.

მარიას კარგად ესმოდა, რას ნიშნავდა ეს შუქურასათვის, მაგრამ სურდა საქმის ვითარებაში კარგად გარკვეულიყო. ამ დროს ქსანამ ფანჯარასთან გამგმირავი ხმით დაიყვირა:

— შუქურაზე ბნელა! შუქურა ჩაქრა!

მარია მოცელილივით დაეცა ბალიშზე. ჩაქრა! ამ სიტყვამ მისი გული შიშით ააგსო. იქნებ ამაში თვითონაა დამნაშავე? იქნებ ეს უბედურება თვითონვე დაიტეხა თავს და სასტიკი წყევლა-კრულვით ჩააქრო შუქი? ახლა რაღა ეშველება? უშუქოდ სულ დაბრმავდება ვოვიკი და მასთან ერთად სხვა კაბიტნებიც. ხვალ კი ნაპირზე გემის ნამსხვრევებს გამორიყვას! მარია გონს ვერ მოსულიყო. გავარჯარებულ შუბლზე ხელი მიიღო, რას ვფიქრობ? რა მემართება? მზერა კედლის საათზე შეაჩერა.

— დიდი ხანია ჩაქრა?

— ათი წუთი იქნება...

— შერედა, ენა რამ ჩაგიგდოთ?

— ჩვენ... ჩვენ... შეკეთება დაეწიყეთ.

— შეკეთება დაიწყეს! როდისღა შეაკეთებენ?!

დღეა თითის წვერებზე შემოვიდა. მუდართით, მიდით, შესცქეროდა ქალიშვილს. „რა გვეშველება?“ მარია ხედავს, რომ ყველა—დედაც, დიომაც, ქსანაც — მის ბრძანებას ელოდებოდა, იგი ხომ უფროსია! მამამ შუქურა მას ჩააბარა, არა, არა, რამე უნდა იღონოს!

— ჯერჯერობით ჩირაღდნები აანთეთ!

— არის! — სწრაფად მიტრიალდა დიომა და ბრძანების შესასრულებლად გაიქცა. არც ექიმს, არ დედას არ შეუჩერებიათ მარია, როდესაც იგი საწოლიდან წამოიჭრა და ტანსაცმლისკენ ხელი გაიწვდინა. პირიქით, თვითონაც ეხმარებოდნენ, ბალღივით ტანზე აცმევდნენ.

მარია მათ თითქმის ვერც ამჩნევდა. თვალწინ ედგა დასაღუპად განწირული გემები, მოხუცი მამა! მამა ენდო მარიას და ამიტომ ყველანი ნდობით შესცქეროდნენ, ამ დროს კი უბედურება მოხდა, შუქურა ჩაქრა. ვინ იცის, ბიჭები ამ უკუნეთ ღამეში როდის შეაკეთებენ მას. ზღვაზე კი წყვილიაღია, დაბრმავებული გემები აქეთ-იქით ეხეთქებიან, ქარი ღრიალებს და საგანგაშო საყვირებს ანშობს!

მარიამ მამის ტყაპუჭი ჩაიკვია, ზღურბლზე გადაიარა და რომ არ წაქცეული-

ყო, დედას მხარში ხელი ჩაავლო, ქარი გააფთრებით ქროდა.

— საშინელებაა, საშინელებაა! — და-  
ოკუნესა მის გვერდით ქსანამ, იგი სულ  
უფრო და უფრო ეკვროდა მარიას, იმის  
მაგიერ, რომ ავადმყოფს თვითონ მიშვე-  
ლებოდა.

მარია ფრთხილად მიაბიჯებდა, ფრინ-  
ველივით ყურს უგდებდა სტიქიის ავზე-  
დით ღრიალს, ზღვის საიდუმლო სივრ-  
ცეში ეჩვენებოდა გზააბნეული, მბორგა-  
ვი გემები, უშუქუროდ დაბრმავებუ-  
ლი, უმწეო პატარა თუ დიდი ხომალდე-  
ბი. სევდიანად გმინავს, კვნესის ქარი  
და თითქოს ღამის წვდილიდან მოაქვს  
სასოწარკვეთილებით აღსავსე ოდნავ გა-  
სარჩვევი გუგუნვი:

— sos! sos! sos!

მარიას მოეჩვენა, რომ მარტო პირვე-  
ლი სიყვარული კი არა, ყველაფერი —  
ზღვის ყველა სულდგმული შველასა და  
სინათლეს ითხოვდა მისგან. დაძაბული  
ფიქრობდა, როგორ, რა საშუალებით მი-  
შველებოდა მათ. კოშკურასთან მოტო-  
რისტები შეჯგუფულიყვნენ. ერთს ხელ-  
ში ანთებული, აკვამლებული ჩირადნანი  
ეჭირა. ახლო მანძილიდან, ალბათ, ჩან-  
და მისი მკრთალი შუქი! ზღვაში ისევ  
გუგუნებდნენ საყვირები.

როდესაც მარია კოშკურას მიუახლო-

ვდა, მოტორისტები რალაცაზე ცხირდ  
კამათობდნენ: ხელებს იქნევდნენ, ქვე  
შვილი არ შეუნიშნავთ. მარიასათვის  
მყისვე ნათელი გახდა, რომ მათ ახლა  
არაფრის შეკეთება არ შეეძლოთ: სხვა  
გამოსავალი არ იყო, მეორე ბალონი უნ-  
და ესინჯათ.

— დიომა, ბიჭებო! ახალი ბალონი მო-  
იტანეთ!

— მარია!

— ახლავე-მეთქი, გეუბნებით!

ბალონი მოიტანეს, ჯალამბარმა იგი  
მალლა აიტაცა. დიომა უკვე კოშკურაზე  
იყო.

— მზადაა! არის! — დაიძახა მან ზე-  
მოდან.

— ჩართე!

დაძაბულად გაიარეს წამებმა და უეც-  
რად ყველას გულზე მოეშვა: აინთო!

ქსანა მარიას მხარზე მიეკრა:

— მარია, ეს... იმისათვის?

— ჰო, ყველასათვის, — მიუგო მარიამ  
ისე, რომ მისკენ არც მიბრუნებულა.

იგი მოჩადიდებულევით იდგა და კოშ-  
კურას თვალს არ აშორებდა.

მალლა კი მხიარულად თრთოდა შუქუ-  
რა და თუმცა მისი შუქი პატარა და მოკ-  
რძალეული იყო, სხივები მაინც მამა-  
ცურად იჭრებოდა შორს, ღამის წყვილი-  
აღმო.

შპრანულლიდან თარგმანა  
იროლიონ ჯაჰარაქამ.



# ლიტერატურული ქრონიკა

მეიბ ბეიძე

## ახალგაზრდა ოსტატები

ამ უკანასკნელ წლებში ქართულ ლიტერატურას ბევრი ახალი სახელი შეემატა: ნოდარ დუმბაძე, ოტია იოსელიანი, მერაბ ელიოზიშვილი, რევაზ ინანიშვილი, ლადო შრელაშვილი, გურამ რჩეულიშვილი, არჩილ სულაკაური, რეზო ჭეიშვილი, ნოდარ წულუისკირი... აი არასრული სია იმ ახალგაზრდა პროზაიკოსებისა, ვინც ქართული ახალგაზრდული მწერლობის ავანგარდში ჩადგა.

ორი მათგანის ნაწარმოებთა ანალიზით ჩვენ შევეცდებით დავახასიათოთ თანამედროვე ქართული პროზის ძირითადი ტენდენციები.

ახალგაზრდა მწერლებმა გულწრფელად, შეულამაზებლად მოგვითხრეს ჩვენს ცხოვრებაზე, სიხარულსა და სევდაზე, დაგვიხატეს საბჭოთა ადამიანის შრომისა და ყოფის სურათები, ყურადღება გაამახვილეს მორალურ-ეთიკურ პრობლემებზე, ადამიანის ბედზე, მის სულიერ სამყაროზე. ეს გამოიწვია ჩვენს ცხოვრებაში მომხდარმა მნიშვნელოვანმა ცვლილებებმა, რამაც თავის მხრივ რამდენადმე შეცვალა ყოფის მხატვრული ასახვის ფორმები. მაგრამ, რასაკვირველია, მცდარი იქნებოდა იმის მტკიცება, რომ „სულის დიალექტიკით“ და-

ინტერესება, ადამიანის გრძნობათა რთულ სამყაროზე, მის სულიერ განცდებსა და ნაფიქრზე ყურადღების განსაკუთრებული გამახვილება, თითქოს მხოლოდ ახალგაზრდული პროზის დამსახურება იყოს. თავის დროზე ქართული პროზის გამოჩენილმა ოსტატებმა შექმნეს დიდი მოცულობისა და მხატვრული ძალის არაერთი ტილო და ეპოპეა. რეალისტური მწერლობა წარმოუდგენელია ფსიქოლოგიური „დატვირთვის“, ადამიანის მარადმოძრავი და ცვალებადი ცხოვრების სიღრმეების წვდომის გარეშე. მაგრამ იყო დრო, როცა სინამდვილის რეალისტური შემეცნება რამდენადმე შესუსტდა. ადამიანის საქციელის, საქმიანობის, მოქმედების ნაკლებად ინდივიდუალიზებულმა ასახვამ ნაწილობრივ დაჩრდილა ადამიანური გრძნობები, ფიქრები, ტკივილი და სიხარული.

პროზის მასშტაბების შემცირებასა და რეალისტური ხედვის შესუსტებაში გარკვეული როლი ითამაშა ე. წ. უკონფლიქტობის თეორიამ, რამაც ქართულ პროზაზეც მოახდინა გავლენა. ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ ქართულ პროზაში ანალიტიური საწყისი საერთოდ იყო დაჩლუნგებული ან მას არ ახასია-

თებდა კვლევისა და ძიების პათოსი. ქართულ ლიტერატურას მოუხდა გარკვეული დაბრკოლებების გადალახვა. ამ დაბრკოლებებს, უფრო სწორად, სიძნელეებს იწვევდა ის გარემოებაც, რომ უჩვეულო სისწრაფით, დინამიურად გაიზარდა ახალი ადამიანი, გართულდა და გაფაჩიზდა მისი სულიერი ცხოვრება. შეიცვალა თვით „ადამიანური მისალის“ შინაარსი. დაგროვილმა ზნეობრივმა და ეთიკურმა გამოცდილებამ უფრო გაამახვილა მწერლების მხატვრული აღლო, დაეხმარა მათ წარსულის ზოგიერთი მოვლენის ახლებურად გაგებასა და შეფასებაში. ვიმეორებთ, ჩვენ არ ვუპირისპირებთ ერთმანეთს დღევანდელსა და წარსულის გამოცდილებას, აქ იმის შესახებ კი არ არის ლაპარაკი, თითქოს ქართულ საბჭოთა პროზაში რაღაც მოულოდნელი და გაუთვალისწინებელი ძვრები მოხდა. აქ ლაპარაკია მემკვიდრეობის განვრცობაზე, დაგროვილი გამოცდილების გაფართოებაზე, ცხოვრების განვითარებით გამოწვეულ რიტმზე.

რა თქმა უნდა, ახალ პროზაულ ნაწარმოებებში ცხოვრების სიმართლე ყოველთვის თანაბარი სიღრმით როდია ასახული, მაგრამ თითქმის ყველა ახალგაზრდა მწერალს აერთიანებს ერთი მისწრაფება — დიდი ყურადღებით, ინტერესითა და ტაქტით შეხედონ ადამიანის მოღვაწეობასა და ფსიქიკას, ასახონ მისი საქციელის, ფიქრებისა და ურთიერთდამოკიდებულების ფარული, ძნელმისაწვდომი მხარე. ისინი არ კმაყოფილდებიან მოვლენათა მკერტით, სქემატური წარმოსახვით. მათ ნაწარმოებებში ნახავთ ჰემიარიტ, ზოგჯერ „ხორკლიან“ ვენებათა დღევას, დაპირსპირებულ თვალსაზრისებს, რწმენასა და ხასიათებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ნაწარმოებებს ახასიათებს განსაკუთრებული გულწრფელობა და ლირიზმი, რაც ბუნებრივადაა შერწყმული მძაფრ ემოციებთან, შეუხელებლად მფეთქავ აზრთან, ადამიანურ „ფილოსოფიასთან“. ჩვენს კრიტიკაში ხშირად ლაპარაკობენ თანამედროვე გმირის ინტელექტუალობაზე,

მისი ინტელექტუალური პოტენციის ზრდაზე. იქნებ ასეცაა, მაგრამ ხომ არ შეიძლება ადამიანის ინტელექტი ვითომ მის ემოციურ სამყაროს. განა ლიტერატურული პერსონაჟი მხოლოდ „დაქვიანდა“? უფრო სწორი იქნება თუ ვილაპარაკებთ არა მარტო რაღაც განსაკუთრებულ ინტელექტუალურ ზრდაზე, არამედ ადამიანის ხასიათის ერთგვარ შეცვლაზე, იქნება ეს ინტელექტის, ემოციების, მორალისა თუ ეთიკის სფერო.

ზემოთ ნათქვამის საილუსტრაციოდ მივმართავთ ოტია იოსელიანის პირველ რომანს „ვარსკვლავთცვენას“, სადაც ავტორი ოსტატურად ავგვიწერს ქართველი ხალხის ცხოვრებას დიდი სამამულო ომის წლებში, მის გმირულ შრომასა და გაღებული მსხვერპლის სიმძიმეს.

მწერალი ერთი იმერული სოფლის ცხოვრებით ხსნის გერმანული ფაშისმის აგრესიით გამოწვეული საერთო-სახალხო ტრაგედიის ხასიათს. ჰიტლერელთა მიერ გაჩაღებულმა ომმა დიდი უბედურება და ტანჯვა, აუნაზღაურებელი დანაკლისი და უნუგეშო მწუხარება არგუნა ადამიანებს, მძიმე იარა დაახინა მოზარდთა ჯერ კიდევ სათუთ სულს, ნაადრევად ჩაყლა მათ გულში ხალხის და ჰუმანური რომანტიზმი.

რომანის მთავარი გმირი გოგიტა თორმეტი თუ ცამეტი წლის ყმაწვილია, ცხოვრობს უზრუნველად, ტოლებთან ერთად თამაშობს რიკ-ტაფელას, გორაობს რიყეზე, მწყემსავს ძროხებს, დადის სკოლაში, ოცნებობს გმირობაზე. ერთი სიტყვით, ცხოვრობს გულწრფელი, ლამაზი ბავშვური ცხოვრებით. ომის დაწყება ხელის ერთი მოსმით ცვლის მის ცხოვრებას. მართალია, მას ჯერ კიდევ არა აქვს შეგნებული, თუ რაა ომი, მაგრამ ინტუიციით გრძნობს, რომ მოხდა რაღაც ყოვლისშემძვრელი საშინელება, რამაც უცებ დაარღვია გოგიტას ცხოვრების რიტმი.

მთელი საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად აღიმართა სამშობლოს დასაცავად. გოგიტას სოფლიდან ყველა ვაჟაკი წა-

ვიდა ფრონტზე, დარჩენენ მოხუცები, ქალები, ბავშვები და ხეიბრები.

სოფელი აცილებს შინაურებს, მიდიან ფრონტზე ექვსი ბავშვის მარჩნალი კაპიტო და მოხუცი ელპიტეს დედისერთა ბიჭი, გოგიტას მამა და სულ ახლახან დაქორწინებული ამირანი...

ახლობლების ფრონტზე წასვლამ გოგიტაზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. ჯერ კიდევ გუშინ მან არ იცოდა დარდი, არ იცოდა თუ ასე ადრე მოუხდებოდა უზრუნველ ბავშვობასთან გამოთხოვება. სულ ერთი დღის განმავლობაში შეიცვალა გოგიტას ცხოვრება. ყმაწვილი დაემსგავსა ბუდიდან ამოვარდნილ ბარტყს, რომელმაც სუსტი ფრთები უნდა გაშალოს და მისთვის უცნობ სტიქიას — ცხოვრებას შეეჭიდოს.

გოგიტა პირველად ჩაუფიქრდა ცხოვრებას, ბავშვურმა გატაცებამ თანდათანობით დაუთმო ადგილი გონების კონტროლსა და შეგნებულ მოქმედებას.

სწორედ ეს რთული პროცესი — ბავშვის ილუზიათა სამყაროდან გამოსვლა, დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყება არის ოტია იოსელიანის რომანის ძირითადი თემა.

ავტორს გმირის მორალური მრწამსი წინააწარ არ განუსაზღვრავს და ჩამოუყალიბებია. იგი ხატავს ნაადრევად დავაჟაცებული ყმაწვილის ფსიქოლოგიურად განზოგადებულ სახეს, თანმიმდევრულად გვიჩვენებს მის ხასიათსა და შეგნებაში მომხდარ ცვლილებებს.

ფრონტზე მიმავალმა მამამ დაიბარა — აბა, თქვენ იცითო... — და ეს სიტყვები მოწოდებასავით აღვიძებდნენ გოგიტაში მოვალეობის გრძნობას ადამიანების წინაშე.

გოგიტა პირველივე დღეებში წააწყდა ბევრ დაბრკოლებას. გაიძვრა და მიმტაცებელ კლიმენტი ცეტერაძეს სურს გოგიტას მამაზე გაპიროვნებული ხარები მიითვისოს. გოგიტამ იცის, კლიმენტი ამას იმიტომ კი არ აპირებს, რომ სოფლის კეთილდღეობაზე ზრუნავს, მან მხოლოდ თავისი ეგოისტური მიზნის განხორციელება სწავლია, თანაც ცეტერა-

ძეს ადრეც არა ერთი და ორი უღელის ხარი წაუხდენია, ახლა კი უპატრონოდ დარჩენილი ყმაწვილის საქონელს ადგა თვალი. ცბიერი და გამოცდილი კლიმენტი ვერ გატეხს გოგიტას წინააღმდეგობას და უკან დაიხევს.

ეს სცენა ისტატურად და შთაბეჭდავდა და დახატული. ამ ეპიზოდში ჩანს, რომ გოგიტა უკვე აღარ არის ბავშვი, იგი ბოროტებისა და ძალადობის წინააღმდეგ მებრძოლი პიროვნებაა. მართალია, მისი პროტესტი ჯერ კიდევ ბავშვურად გულუბრყვილოა, მაგრამ ამ პროტესტში უკვე ჩანს გოგიტას ხასიათი, ჩანს, რომ იგი ყოველგვარ ვითარებაში შეინარჩუნებს სიმტკიცეს.

ოტია იოსელიანი კარგად გრძნობს თავისი გმირების სულიერი ცხოვრების ყველა ნიუანსს. გავიხსენოთ გოგიტას განცდები კლიმენტისთან ჩხუბის დროს. ყმაწვილს ბოლმა ახრჩობს, ტირილიც უნდა, მაგრამ არ შეუძლია ამ კაცის წინაშე იტიროს. ასევე ზუსტად აქვს მწერალს გადმოცემული გოგიტას განცდები გაცოფებულ ხართან შერკინებისას.

„ვარსკვლავთცვენის“ გმირები შრომაში, მშრომელ ადამიანებთან ურთიერთობაში იზრდებიან და ყალიბდებიან.

გოგიტა თავგამოდებით მუშაობს, რომ ხარების წართმევის საბაზი არ მისცეს კლიმენტის. სწორედ აქ ვლინდება მისი ხასიათი და ადამიანური ბუნება. იგი მიძიმე, ბავშვისთვის შეუფერებელ ჯაფაში ვაჟაცდება და აღარ არის ის გოგიტა. რომანის პირველ გვერდებზე რომ გავიცანით. ახლა ჭაბუკი მოწინავე კოლმეურნეა, მას ცხოვრებით დაბრძენებული და კუშტი ეზიკაც კი ეკითხება რჩევას.

გოგიტასთვის უცხოა ბავშვური ეგოცენტრიზმი. მის ხასიათში მოცემული დადებითი საწყისი განვითარების ხელსაყრელ პირობებს ჰპოვებს, ვითარდება და ვლინდება მეგობრობის, სიყვარულის, ამხანაგობის ატმოსფეროში.

გოგიტა ფაქიზი ბუნების, გულისხმიერი ჭაბუკია, იგი ღრმად განიცდის თანასოფელეთა უბედობასა და გასაჭირს.

კაპიტოს შინ ექვსი ბავშვი დარჩა,

ყველაზე უფროსი გოგიტას ტოლი — ტუხუიაა. ოჯახს უჭირს, ტუხუია და მისი ძმები ისე გაძვალტყავდნენ, რომ ფეხის გადადგმაც კი უძნელდებოთ.

არც გოგიტას ოჯახია უზრუნველყოფილი, მაგრამ გოგიტა თავის წილ ჭადის ნატეხს ტუხუიას დამწეული ძმებისთვის გაატანს, მას არ შეუძლია არ დაეხმაროს, უკასკენელი ლუკმა არ გაუყოს ახლობლებს.

გოგიტას სულიერი სამყარო გოგონასთან ურთიერთობაში იხსნება. რომანის მოქმედების განვითარებასთან ერთად, ახალ შინაარსს იძენს გოგონასა და გოგიტას ურთიერთობა, იზადება წმინდა და ფაქიზი სიყვარული.

გოგიტა და გოგონა გრძნობას მალავენ, რომანშიც არაფერია ნათქვამი სიყვარულზე, მაგრამ მათი შეხვედრები, საუბრები სულ უბრალო, ყოფით წვრილმანზეც კი დიდი სინაზითა და სითბოთია აღსავსე.

თუმცა ამ ურთიერთობას კეთილი ბოლო არ ეწერა. იგი დაარღვია გოგიტასა და ფატის საბედისწერო შეხვედრამ. ომით გამოწვეულმა პირობებმა შესაძლებელი გახადა ყმაწვილისა და გათხოვილი ქალის ფიზიკური დაახლოება. ფატის მამამთილმა ეზიკამ ვერ აიტანა შეურაცხყოფა და რძალი მოკლა.

ასე დამთავრდა თექვსმეტი წლის ჭაბუკის ნაადრევი დაკაცება. გოგიტამ ოთხ წელიწადში ბევრი ჭირ-ვარამი გამოიარა. დაკარგა მამა, სატრფო, შეეძინა უკანონო შვილი და ფატის დაღუპვის უნებლიე მიზეზი გახდა.

მიუხედავად ასეთი ტრაგიკული დასასრულისა, „ვარსკვლავთცვენა“ ოპტიმისტური ნაწარმოებია. გოგიტამ დიდი სულიერი ტკივილი გადაიტანა, მაგრამ არ დაუკარგავს სიკეთის რწმენა, არ გაბოროტებულა, არ ამხედრებულა საზოგადოების წინააღმდეგ, ამიტომ გჯერა, — მძიმე იყო გოგიტას ბავშვობა, მაგრამ იგი გაუძლებს ცხოვრების დიდ გამოცდას.

ქართულ ლიტერატურაში ქალის სახე ყოველთვის კანონიზებული იყო, რასაც

ისტორიული ფაქტორი განაპირობებდა. ქართველი ქალი — დედა, და, მეუღლე — ოდითგანვე ხალხის ეთიკური ანაზღაურებად იქცეოდა, იგი ყოველთვის იყო ერთგულების, პატიოსნების, სათნოების სიმბოლო.

თავის დროზე მიხეილ ჯავახიშვილმა „ჯაყოს ხიზნებით“ ქართული კრიტიკის უკმაყოფილება გამოაჩვენა. რატომღაც მიაჩნდათ, რომ მწერალმა სინამდვილე დაამახინჯა და ჩრდილი მიაყენა ქართველ ქალს — პატიოსნებისა და ერთგულების ხელშეუხებ იდეალს.

სინამდვილეში კი, მარგოს ბედით მ. ჯავახიშვილმა თვალნათლივ გვიჩვენა, თუ რა მძიმე მსხვერპლის ვადლებას მოითხოვს ძველი სოციალური წყობის ნგრევისა და ახლის დაბადების დიდი ეპოქა.

ახლებურად ვადაჭრა ეს პრობლემა ოტია იოსელიანამ. იგი არ გაჰყვა გატყეპნილ გზას და არ დაკმაყოფილდა მხოლოდ დადებითი ჩვენებით. მან თამამად ასახა ადამიანის ყოფის ჩრდილოვანი მხარეც. გვიჩვენა, როგორ იდეურ-მორალურ კრახამდე შეიძლება მიიყვანოს ადამიანი გრძნობისა და გონების ჰარმონიის დარღვევამ, თვითკონტროლის დაკარგვამ და ანგარიშმიუცემელი ვნების ბრმად აყოლამ.

ფატი, ფრონტზე წასული ამირანის ახალგაზრდა ცოლი, რომანის სხვა გმირებისგან განსაკუთრებული გრძნობადობით გამოირჩევა. იგი ვერ უძლებს ცხოვრების სიძნელეს, კარგავს წონასწორობას და ვნებათაღელვით ძლეული ტრაგიკულად იღუპება.

ოტია იოსელიანი არ მოერიდა ცხოვრების სირთულის, კერძო ფაქტში ადამიანურ ვნებათა საბედისწერო შერკინების ჩვენებას.

მწერალი ფატის ტრაგიკული ბედის ფსიქოლოგიურ მოტივსა და მიზეზს კვლავ ომში ეძებს. მისი აზრით, სოფლად მომხდარი ყველა უბედურების მიზეზი მხოლოდ ომია.

მაგრამ ომს, ცრემლსა და ვარამს, შიმშილსა და უბედურებას არ ძალუქს დათრგუნოს ადამიანთა ნება, დაანგრიოს მა-

თი სიყვარული, შეარყიოს მორალური ერთიანობა. ესაა „ვარსკვლავთცვენის“ პათოსი, მისი ფსიქოლოგიური ძალა და მნიშვნელობა.

უღარესად მკვეთრი, დასამახსოვრებელი სახეები და ხასიათები შექმნა ნოდარ ღუმბაძემ რომანში „მე ვხედავ მზეს“.

ნოდარ ღუმბაძე ოტია იოსელიანის მსგავსად ვარემოს, ადამიანებს, მოვლენებს ლირიკული გმირის — პატარა ბიჭის თვალთ უყურებს. მაგრამ, როგორც კრიტიკოსი ვ. დნებროვი წერს, — ნაწარმოები, თავისი დიდი იდეური შინაარსით, ამის გამო „ნაკლებ სერიოზული როდი გახდა“, პირიქით, აქ „ბავშვის ყოფა თითქოს ის ღინზაა, რომელშიც საზოგადოებრივი ყოფის თავისებურებანი გადატყდა“.

„მე ვხედავ მზეს“ მოქმედება გურიის ერთ პატარა სოფელში ვითარდება. ვაჟკაცები ამ სოფლიდანაც წავიდნენ ფრონტზე. შინ დარჩენილნი, მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, სულიერად არ დაცემულან და ძნელბედობის უამს თავგანწირვით შედგომიან შრომას.

რომანის მთავარი გმირი, სოსოია მამალაძე, კეთილი და სუფთა გულის ბიჭია. ავტორი ამ რთულ ხასიათს თავის შინაგან განვითარებაში ხატავს.

სოსოია და დათიკო, სოსოია და ხატია, სოსოია და ცუცვა, სოსოია და ქეთო, სოსოია და თანასოფლელები — აი, ის ურთიერთობანი, რომელთა ევოლუციის იკვეთება გმირის სულიერი სამყარო.

რომანის ერთ-ერთი ძირითადი კოლიზია დათიკოსა და სოსოიას შორის არსებული წინააღმდეგობაა. ეს არ არის ორი ადამიანის შემთხვევითი ან პირადი ანტიპათია, მას უღარესად განზოგადებული ხასიათი აქვს. ესაა ფარული, ჭერ გაუცხადებელი, შემდეგ კი ვაცხადებული ბრძოლა ანტავონისტური, შეუთავსებელი საწყისებისა — სათნობებისა და ძალადობის, ამაღლებულისა და ბიჭიერის

ნაწარმოებში სოსოიასა და დათიკოს თემა პარალელურად ვითარდება, უმეტეს დაწყებამ ძირფესვიანად შეარყიოს მათი ჩვეულებრივი, თითქოსდა ნორმალური ცხოვრება. ომმა გამოამყვანა ამ ორი ადამიანის მიზნების, შეხედულებათა და მისწრაფებათა დიდი სხვაობა. ნათელი გახადა ერთის სულიერი სიმდიდრე და მეორის სიღატაკე.

ნოდარ ღუმბაძე არ შეუშინდა თავისი გმირის ასაკს და სოსოიას სახეში ოსტატურად განახორციელა ქართველი ხალხის საუკეთესო თვისებები თუ არა, ყოველ შემთხვევაში, ამ თვისებათა ნორჩი ნაყარო.

დათიკოს სახეში კი ჩვენ ვხედავთ იმ კაცის ტრაგედიას, ვინც მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნვამ ადამიანებს მოსწყვიტა. მას დიდი ფიზიკური ძალაც აქვს და არც უჭკუოა, თანასოფლელების ნდობა და პატივიც არ აკლია, მაგრამ მანინე უღალატა თავის ხალხს, უღალატა ხალხის კეთილშობილსა და წმინდა ტრადიციებს, რის გამოც იგი სოფლიდან მოიკვეთა და გაირიყა.

დათიკოსა და სოსოიას პირველივე შეხვედრისას მკითხველი ნათლად გრძნობს ყმაწვილის უნდობლობასა და ეჭვს. ბავშვის ინტუიცია შეუმცდარი აღმოჩნდა. არის დათიკოში რაღაც უსიამოვნო და უხეში, რაც შემდეგ სახიფათო ბოროტებად გადაიქცევა.

მწერალი ზუსტი დეტალებით, ძუნწად, თითქოსდა შემთხვევით წამოცდნილი დამკინავი სიტყვით თავიდანვე განსაზღვრავს უარყოფით დამოკიდებულებას მომავალი დეზერტირისადმი.

ერთხელ ღამით დათიკო შეიჭრა ქეთოსა და სოსოიასთან და თავშესაფარი მოსთხოვა. კითხვაზე, რატომ ფრონტზე არა ხარო, ცინიკურად უპასუხა, რომ მისთვის ყველაფერი სულ ერთია, რომ მას საკუთარი მიწა აქვს და თავისი სიკვდილით სურს მოკვდეს.

ასეთი ეგოისტის, სამშობლოს გამყიდველისა და შემგუბლის ფილოსოფია იგი მხოლოდ იმისთვის „ცხოვრობს“, რომ როგორმე იარსებოს და ხი-

ფათი თავიდან აიცილოს. სინდისის ყოველგვარი ქენჯნის გარეშე, დაუფიქრებლად ღალატობს სოფელს, ახლობლებს, სამშობლოს.

სოსოია ბავშვური სითამამით პირველად აღუდგება ბოროტებას წინ, დეზერტირის თავხედობით აღშფოთებული ეცემა დათიკოს და მხარში კბილებით ჩააფრინდება.

ასეთივე სცენა მეორდება სუფსის ნაპირზე, ამ შეტაკების მსხვერპლი ხდება ბეჟანა.

მთავრდება ომი. დათიკო ტოვებს ბუნაგს და თანასოფლელებს ევედრება ცნონ კაცად: ან დასაჯონ, ან შეიწყალონ. განაჩენი მკაცრია — სოფელი უხმოდ შეაქცევს ზურგს გარეწარს.

დათიკოს საქციელი ზნეობრივად მოტივირებულია, მაგრამ ხასიათის უტყუარად და დამაჯერებლად დახატვისათვის ეს არ კმარა. ხომ ვერ ვიტყვით, დათიკო ძველი დროის გადმონაშთია და მისი ბიწიერება ბრუყუაზიული აღზრდის შედეგიაო. იგი ხომ ჩვენს დროს, ჩვენს საზოგადოებაში აღიზარდა. როგორღა მოხდა, რომ ამ ფიზიკურად ძლიერ მამაკაცში ასეთი დუნე სული და ქვენა გრძობები ბოგინობენ?

სამწუხაროდ, ავტორი ამ შეკითხვაზე ნათელ პასუხს არ გვაძლევს. გამოდის, რომ ჯანსაღმა სოციალურმა გარემოცვამ წარმოშვა მანკიერი, სოციალურად სახიფათო მოვლენა.

სწორედ ამიტომ არ არის საკმარისი დათიკოს სახის მხოლოდ ეთიკურ პლანში გააზრება. უნდა ვიფიქროთ, რომ მისი პიროვნების ჩამოყალიბებას ჩვენი სინამდვილის ზემოქმედებამ რაღაც დააკლო, დეზერტირისა და კაცის მკვლელის საქციელის ახსნასას სოციალური ფაქტორის იგნორირება ამ სახის სრულყოფას ერთგვარ ზიანს აყენებს.

მწერალი დიდ ადვილს უთმობს სოსოიას სახის გახსნას. აქ უკვე ნაჩვენებია, თუ როგორ ღრმავდება სოსოიას კავშირი ხალხთან და როგორ ვითარდება მისი პიროვნება, იზრდება მისი სულიერი, ემოციური და მორალურ-ეთიკური

ძალა. სოსოია ხალხის განუყოფელი ნაწილია, მისი ყოველი ნაბიჯი და სურვილი ხალხის ნება-სურვილს ეხმიანება.

განსაკუთრებული ძალით იხსნება სოსოიას სულიერი სამყარო ხატისათან ურთიერთობაში. ნაზად და გატაცებით უყვართ მათ ერთმანეთი და არც მალავენ თავის გრძნობას. მთელმა სოფელმა იცის მათი ამბავი და ვერც წარმოუდგენიათ ისინი უერთმანეთოდ. მაგრამ სიბრალულის გამო როდი უყვარს ხატია სოსოიას. საოცრად სათნო, წმინდა, ჭკვიანი და მომხიბვლელია ეს უსინათლო გოგონა, ამიტომ უყვარს იგი სოსოიას. მცირე ხინჯსაც ვერ იპოვით მათ ურთიერთობაში. არავითარი სიყალბე, ბანალობა, ყველაფერი სუფთაა, მართალია და ბუნებრივი.

ავტორი სოსოიას ძნელ გამოცდას უმზადებს, მოულოდნელად შეახვედრებს ახალგაზრდა ქვრივ ცუტას. აქაც ხატიას სიყვარულმა გადაარჩინა ჭაბუკი. მან შეძლო მისთვის ჯერ კიდევ უცნობი, აფეთქებული ვნების დათრგუნვა. ეს ეპიზოდი გულწრფელია და უშუალო. მკითხველს ერთი წუთითაც არ ეპარება ეჭვი სოსოიას საქციელისა და გრძნობის სიწმინდეში.

სოსოიას ხასიათში არ არის არაფერი ხელოვნური და გაზვიადებული. მას არავითარი ზეადამიანური თვისებები არა აქვს. ცოცხალი დამიანია, ჩვეულებრივი ბიჭია და მისი ხნოვანებისათვის დამახასიათებელი სისუსტეებიცა და ნაკლიც ახასიათებს. სოსოიას შეუძლია ჩაფიქრდეს, გაანალიზოს თავისი საქციელი, მკაცრად შეეკინოს საკუთარ თავს. ეს ბრძოლა ადვილი როდია, მაგრამ რაც უფრო მძიმეა იგი, მით უფრო წმინდა და საინტერესოა სოსოიას ზნეობის ჩამოყალიბება.

●  
ადამიანის გრძნობებისა და ფიქრების მზატვრული ასახვის ხერხები და საშუალებანი ისევე მრავალფეროვანია, როგორც მწერლის შემოქმედებითი ინდივიდუალობა. თანამედროვე ქართველი

პროზაიკოსები ერთმანეთისგან საგრძნობლად განსხვავდებიან. ყოველ მათგანს აქვს თავისი „მე“, მხატვრული ხედვის თავისებური მანერა. მაგალითად, ოტია იოსელიანი თავისი გმირების ფიქრებსა და სურვილებს ძირითადად დიალოგით გამოხატავს, ნოდარ დუმბაძე — მონოლოგითა და ხშირად პეიზაჟითაც.

რომანებში „ვარსკვლავთცვენა“ და „მე ვხედავ მზეს“ ავტორები შეუმჩნეველად, ჰარმონულად გადადიან თხრობიდან დიალოგზე. თხრობა და დიალოგი ერთმანეთს ისე ენაცვლება, რომ მოქმედების ბუნებრივ განვითარებას არ აფერხებს, დინამიურობას ქმნის და არ არის რიტორიკული. დიალოგს ორმაგი ფუნქცია აქვს — ემსახურება სიუჟეტსაც და პერსონაჟთა დახასიათებასაც.

ოტია იოსელიანი იშვიათად იყენებს საალერსო ეპითეტებსა და გამოთქმებს. რომანში არც ერთი მხიარული ეპიზოდი არ არის, მისი გმირები თითქოს გადაეჩვივნენ ღიმილს.

ნოდარ დუმბაძის რომანის ინტონაცია კი მრავალფეროვანია და კონტრასტული. თავისუფლადაა შერწყმული ირონია და გულითადობა, პათოსი და გულისხმიერება.

ოტია იოსელიანის ირონია პერსონაჟების სულიერი განწყობილების სიღრმეშია მიჩქმალული.

მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს — პეიზაჟს, აღწერას, ინტერიერს და ა. შ. ახალგაზრდა მწერლები იმსთვის როდი იყენებენ, რომ ხატვისა და ფერწერის უნარი გამოამჟღავნონ. ამ მხატვრულ ხერხს მხოლოდ თავისი გმირების ფსიქოლოგიური გუნებაგანწყობის გადმოსაცემად მიმართავენ.

ერთი სიტყვით, ერთგან მწერალნიდანახულს თვით უზიარებს მკითხველს, მეორეგან, გარემოს თავისი გმირების თვალთახედვით აჩვენებს.

ოტია იოსელიანის რომანში თითქმის ვერ ნახავთ ვრცლად გაშლილ პეიზაჟს. მაგალითად, ბუნების ზამთრის ძილისაგან გამოღვიძების დასახატავად იგი სამი-ოთხი სტრიქონით კმაყოფილდება.

მოვიდა გაზაფხული, გრძელი და ცივი ზამთრის დამთავრებით გამოწვეულ სიხარულს ავტორი პეიზაჟით — განწყობილებით გამოხატავს. ამ პეიზაჟში მომავლის იმედიც იგრძნობა და იგი ორგანულად უერთდება ნაწარმოების საერთო ტონს. მოვლენა დანახულია გოგითას თვლით. ოტია იოსელიანის სტილს საერთოდ ახასიათებს წარმოსახვის ასეთი მანერა. იგი ცდილობს პეიზაჟით გმირის განწყობილება და განცდა გადმოსცეს.

სხვანაირია ნოდარ დუმბაძის პეიზაჟი, იგი თბილ ფერთა სისხვსით გამოირჩევა.

ნოდარ დუმბაძე რომანტიკოსია (ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით), იგი სინამდვილეს აღტაცებით აღიქვამს და არც ცდილობს ამის დაფარვას, გულწრფელად გამოთქვამს თავის გრძნობებს, ადამიანებისადმი დიდ სიყვარულს, უხვად გასცემს თავისი გულის სიტბოს, ამით სიცოცხლესა და ფსიქოლოგიურ დამაჯერებლობას მატებს მოვლენებს. მწერალს არ უყვარს მუქი ფონი, ჩაშავებული ფერები, მას უფრო მხიარული და ნათელი ტონი იზიდავს. უღერესად ტრაგიკულ წუთებშიც კი არ კარგავს ღიმილის უნარსა და მსუბუქ იუმორს. მწერალი ომით გამოწვეულ ტრაგედიას, ადამიანთა დიდ სულიერ მოძრაობას, მათ საქმიანობასა და მოქმედებას ერთგვარი ამაღლებული ტონით აღწერს, მაგრამ ეს არ არის სიმსუბუქის შედეგი, ეს უფრო გულში ჩამოვდრომი ლირიზმია. ამ ლირიზმის საფუძველი თვით მწერლის პოეტური ნიჭი, მისი შემოქმედების მანერაა.

მწერლის მიერ სამყაროს თავისებური აღქმა უღარესად ეხამება შერჩეულ მასალას, ხელს უწყობს თხრობის კოლორიტულ სტილს. გურიის ყოფის სპეციფიკა, ბუნება, სხარტი და მახვილგონიერი ადამიანები, მათი ემოციური მეტყველება ის ხელსაყრელი სფეროა, სადაც მთლიანად გამოვლინდა ნოდარ დუმბაძის თვითმყოფელი ტალანტი.

ლირიზმითაა გამსჭვალული მთელი რომანი: თხრობა, დიალოგი, მონოლო-

გი, იუმორი, განსაკუთრებით პეიზაჟი.

მწერალი არასოდეს არ ხატავს მოქუფრულ პეიზაჟს. საგულისხმოა, რომ ნაწარმოებში ვერსად ვერ შეხვდებით წვიმიანი ამინდის აღწერას. ავტორი თავის გმირებთან ერთად ხედავს უმეტესად ნათელ, მხიარულ ფერებს, „ხედავს მზეს“.

მწერალს მიაჩნია, რომ ბუნებასთან კავშირი, ბუნების წიაღში ღრმად შეჭრა აღამიანს აკეთილშობილებს, უფრო ნათლად ამჟღავნებს მის კეთილ თვისებებს. ამიტომა აქვს პეიზაჟს ესთეტიკურთან ერთად ეთიკური ფუნქცია.

ზემოთ ნათქვამით ჩვენ სრულებითაც არ ვაყენებთ ჩრდილს ოტია იოსელიანს და არ ვუპირისპირებთ ნ. დუმბაძეს. ჩვენ ხაზს ვუსვამთ მათი ესთეტიკური აზროვნების თავისებურებებსა და სინამდვილის ასახვის ინდივიდუალურ მანერას.

ოტია იოსელიანს არ ძალუძს გაიღიღოს ან იხუმროს, როცა აღამიანს უჭირს, როცა თელავენ მის ღირსებასა და პატივს. ასეთ ვითარებაში თავშეკავებით, დიდი შინაგანი დრამატიზმით ლაპარაკობს. იგი მკაცრად, შეუღამაზებლად აღწერს ომის მძიმე წლებს, მაგრამ შეცდომა იქნებოდა, მწერლის მსოფლშეგრძნებაში იაფფასიანი მხატვრული ეფექტისათვის გამოიხეული ფსიქოლოგიის მის საგანგებო გამაფრება რომ გვეძებნა.

რომანის გარეგნულად ცივ, უკიდურესად დაძაბულ დრამატიზმში დაფარულია აღამიანის სულიერი სიწმინდის ურყევი რწმენა.

საკვიროდ მიგვაჩინა ერთ საკითხზე კვლავ შეჩერება. როცა ვლაპარაკობთ პეიზაჟის გამოყენების თავისებურ მეთოდზე, ჩვენ სრულებითაც არ ვცდილობთ პეიზაჟის მნიშვნელობა მხოლოდ პერსონაჟთა განწყობილებების გადმოცემით განვსაზღვროთ. როგორი მოკლე და უპრეტენზიოც არ უნდა იყოს ბუნების აღწერა, იგი ყოველთვის ახდენს მხატვრულ ზემოქმედებას, ამ აღწერაში ავტორთა განწყობილების გარდა, ჩანს ცოცხალი ბუნებას რეალური სახე.

სოსოიას სულიერი მთლიანობა, დიდი სევდა და მეგობრის სიყვარული განსაკუთრებული ძალით ბეჯანას საფლავზე წარმოთქმულ მონოლოგში მქლავდება. რომანში სულ სამი მონოლოგია.

უნდა ითქვას, ნ. დუმბაძის მონოლოგი გამოირჩევა სიტყვიერი მასალის ეკონომიით, მაგრამ, ამავე დროს, არ იგრძნობა ის თავშეკავება, რაც მწერალს მოვლენათა აღწერისას ან დიალოგებში ახასიათებს. თავშეკავებას არღვევს მოზღვაგებული ემოცია. ავტორი განუსაზღვრელ თავისუფლებას ანიჭებს ღირიზმს, აზრისა და გრძნობის პოეტიზაციას.

მონოლოგში მწერალი მოქმედების დინამიურ განვითარებასაც აღწევს, საინტერესო ფაქტებსაც ურთავს, აფასებს მოვლენებს და ავლენს გმირის ხასიათის ჭკერ კიდევ უცნობ თვისებებს.

ნოდარ დუმბაძე დიდ ყურადღებას აქცევს შინაგან მონოლოგს — პერსონაჟის სულიერი სამყაროს გახსნის უადრესად საინტერესო ხერხს.

შინაგანი მონოლოგი — მიმართვა გზილადმი, თავისებური ლექსია პროზით, იგი გაცემთ დიდი ღირიზმითა და მოზიემე პუმიანიზმით: „სად მიდიხარ შენ, ჩემი სოფლის შარავზაო, და საით მიგყავს ჩემი სოფელი. გახსოვს? ერთ დღეს შენ წამართვი ყველაფერი, რაც გამაჩნდა ამ ქვეყანაზე. მე გთხოვე მაშინ, შარავზაო. და შენ დამიბრუნე, რაც შეგეძლო. და მე მადლიერი ვარ შენი. ახლა დადგა დრო ჩვენც წავიყვანო — მე და ხატია, წავიყვანო და გვაჩვენო, სად თავდები, და თუ სადმე თავდები, ჩვენ არ გავათავებთ შენ. ვივლით ასე უსასრულოდ ხელი-ხელჩაკიდებულნი. შენ აღარ მოიტან ჩვენს ამბებს სოფელში სამკუთხა წერილებითა და ნაბეჭდი მისამართებით, ჩვენ დავბრუნდებით ჩვენი ფეხით. პირს ვიზამთ აღმოსავლეთით, დავესწრებით ბაჯალო მზის ამოსვლას და მაშინ ხატია იტყვის ხმამალა:

ეს მე ვარ, ხატია. მე გხედავთ თქვენ...“ ამ მონოლოგით ავტორი სრულყოფს თავისი გმირის სახეს და მისი სულიერი

განვითარება კულმინაციურ წერტილამდე აპყავს.

ფსიქოლოგიური ანალიზის საშუალებად სინტაქსური კონსტრუქციების — ემოციური დატვირთვის მქონე სიტყვებისა ან სიტყვათა ჯგუფის — გამოყენებაც შეიძლება.

ოტია იოსელიანი „ვარსკვლავთცვენაში“ ხშირად მიმართავს ასეთ განმეორებებს და ამით უფრო ამძაფრებს პერსონაჟთა სულიერ განცდებს. ავიღოთ, მაგალითად, გამოთხოვების სცენა:

„ძარის შუაგულში სიმღერა წამოიწყეს. საოცარი იყო ეს სიმღერა. ამან ყველა შეაკრთო, გააოცა. მომღერალმა ხმას აუწია, ამოისუნთქეს, თითქოს ყველა ამ სიმღერას ელოდაო, თითქოს მძიმე ტვირთი მოხსნესო და ამღერდა ყველა, ამღერდა მთელი ხმით. მღეროდა მამა, მღეროდა მალაღი მჭედელი, მღეროდა სოსიკა, სიმონიკა — გამყივანი პირველით, მღეროდა გოჩას მამა — დანჯღრეული ბანით, მღეროდა ამბაკო და ამირანი, მღეროდა ყველა.

მე არ მახსოვს ამ სიმღერის მოტივი, ამ სიმღერას არ ჰქონდა მოტივი, ეს სიმღერა არ იყო.

მე ყალბზე დამიდგა თმა, შემეშინდა, მივეკარ დედის კალთას და ტირილი ამივარდა. ამივარდა და ვტიროდი მთელი ხმით. მთელი ძალით გრგვინავდა სიმღერა და მთელი ხმით ვტიროდი მე და მართო მე? ტიროდა დედა, ტიროდა იქვე გოგონა და გოჩა. ტიროდა მჭედლის ბიჭი გიგია და მანქანის ძარაზე ხელებ-ატოტებული დედაბერი, ტიროდა ყვარჯენზე დაყრდნობილი თედორე, მხოლოდ ერთი საცობადვი ელპიტე იყო, რომ ტირილი ვერ მოეხერხებინა და გაოცებული უყურებდა ხან ამღერებულ შვილს, ხან ატირებულ ხალხს.“

საპირისპირო აზრის მქონე სიტყვების

(სიმღერა-ტირილი) რიტმული განმეორებით ავტორი ხალხის ფსიქიკურ განწყობის შესატყვის ინტონაციას იხსენებს, რომ ფრაზათა მონოტონობა არ იგრძნობა. ყოველი ახალი განმეორება ინტონაციას ამძაფრებს და დრამატიზმს ზრდის.

ოტია იოსელიანი კარგად მიგნებული ფსიქოლოგიური დეტალებით ხატავს სოფლად დარჩენილი ქალებისა და ბავშვების ყოფის სურათებს:

„ჩვეულებრივი, ღრუბლიანი დღე იყო, თოვდა. გოგიტა შინ გახარებული დაბრუნდა. მეწაღე სერაფიონმა ერთი ნაჭერი ხბოს გამოუყვანი ტყავი აჩუქა. ახლა გოგიტა ზახასა და გოგონას ქალამნებს ამოუსხამს. მან კერძისთან მოიკალათა. დედა წინდას ქსოვდა, ბებიას თავზე ხელები შემოეწყო და ცეცხლს უაზროდ ჩაშტერებოდა. გოგონა ბებუის ჩამჭკნარ ძუძუს მიძალეულ თათიას გართობას ცდილობდა. უცებ, დამსწრენი უჩვეულო სურათმა გააშეშა, თათიას ბავშვზე რძის წვეთები აკიაფდნენ. დედა მთელ დღეებს ჩაის პლანტაციებზე ატარებდა, ბავშვს ბებუი უვლიდა და თავის შესაქცევად ძუძუს აძლევდა. ვერც კი შენიშნა მოხუცმა, როდის ჩაუდგა რძე ძუძუში.“

ასევე შესანიშნავად აქვს ოტია იოსელიანს დახატული მთელი რიგი სცენები: ეკას დაღუპული შვილის გლოვა, ტუხუიას მიერ ძაღლის მოკვლა, დამე თივის ზვინში, ეპილოგი და სხვ.

დაბოლოს, უნდა ვთქვათ: პროგრესული პროზა ვითარდება იმ საზოგადოებაში, სადაც ადამიანთა თანასწორობა და თავისუფლება სუფევს. ათასგზის მართალია ინგლისელი მწერალი ენგუს უილსონი, როცა წერს — „ჯანსაღი რომანი მხოლოდ ჯანსაღ სამყაროში იბადება“.



## აოსჯობა ბაქანიშვიდი

### ვინ არის სანდრო ცხომიძე?

ქართულ პროზაში უადრესად თავისებური მოვლენაა ოთარ ჩხეიძის რომანები და მოთხრობები. მისი ყოველი წიგნი გამოირჩევა აქტუალური თემატიკით, დიდი მოქალაქეობრივი პათოსით, ორიგინალური წერის მანერით, სამყაროს თავისებური ხილვით და ასახვით. თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში ბევრ მწერალზე ვერ იტყვით, რომ მათი ცნობა ერთი აბზაცით ან ერთი ღონივრად მოქნეული ფრაზით შეიძლებოდა. თუ იტყვით ვინმეზე, ეს პირველ რიგში ოთარ ჩხეიძეზე ითქმის. მეტისმეტად გადაჭიზებული და დინამიური ჰერეტიკა მოვლენებისა ოთარ ჩხეიძის რომანებსა და მოთხრობებში პირველი სტრიქონებიდანვე ქმნის საინტერესო სიუჟეტურ ქარვას. ო. ჩხეიძის თითოეული გმირი ავტორის ინდივიდუალობით არის აღბეჭდილი. მათ შედარებით ნაკლები დამოუკიდებლობა აქვთ მინიჭებული. ეს ერთგვარი ერთფეროვნების საშიშროებას ქმნის, მაგრამ იგი მომდინარეობს არა ავტორის წარმოსახვის სიღარიბიდან, არამედ ოთარ ჩხეიძის ესთეტიკური პოზიციის თავისებურებიდან.

ახლახან ოთარ ჩხეიძემ გამოაქვეყნა რომანი „კვერნაქი“. ამ წერილში შევე-

ცდებით გამოვთქვათ რამდენიმე მოსახრება იმ სიახლეზე, რაც შეინიშნება „კვერნაქში“ და იმ ძველ პრინციპულ საკითხებზეც, რასაც ოთარ ჩხეიძის წერის მანერა მოიცავს.

რა არის „კვერნაქის“ დედააზრი? ეგოისტი, კარიერისტი, ამორალური სანდრო ცხომიძის პირადი ღრამა; ღრამა იმ ადამიანებისა, რომელნიც ცხოვრების გარკვეულმა კოლიზიებმა გამოუვალ ჩიხში ჩააყენა, თავისი ამორფულობა, ბუტაფორულობა და უპერსპექტივობა დაანახა.

სანდროს ერთ ღროს რაღაც კეთილშობილური მიზნები ჰქონდა, მაგრამ ვერ განახორციელა თავისი უხერხემლობისა და უგერგილობის გამო. რომანის დასაწყისი სიმბოლურია. თამადა „ოცდათექვსმეტ წელს“ ადამიანის ცხოვრებაში გარკვეულ ზღვრად მიიჩნევს, რაც სანდროს თავზარსა სცემს. მას შიში იპყრობს, რადგან თამადას მიერ ზღვარდადებულ ასაკში თავის არასრულფასოვნებას გრძნობს. ამიტომ პროტესტს აცხადებს და მოითხოვს განუყოფელი სიცოცხლის სადღეგრძელოს დაღვევას. ეს „განუყოფელობა“ ერთადერთი გამოსავალია იმ ჩიხიდან, რომელშიც სანდრო

მოქცეა. ამით იგი კიდევ ახერხებს თავისი არარაობის, ეგოიზმისა და ცინიზმის შენიღბვას და შელამაზებას.

თამადა ყალბია, არაგულწრფელია, იგი თითქოს რაღაც მოვალეობას იხდის, დახეპირებულ ფრაზებს ამბობს და ერთი სული აქვს, ეს მომბეზრებელი რიტუალი მალე მოათავოს. მისი არავის სჯერა, მაგრამ მის სიტყვებს ყველა იმეორებს. ასეთ „სადღეგრძელოთა“ განქიქებით ოთარ ჩხეიძე გარკვეულ ეფექტს აღწევს: „თამადა... ახალ სადღეგრძელოს იგონებს, არ უნდა რომ მისჩერებია, ცოტა აცალონ, იხმაურონ, იკამათონ, ანეგლოტები თქვან, რაც უნდათ ჩაიღინონ, ჯანდაბას ამათი თავი. ოღონდ დაესწან ცოტახსნობითა, რაღაც კარგი უნდა, რაღაც თავისებური, ჯერ ართქმული ან დიდხანია ართქმული, უჩვეულო, გასაოცარი. ჩვეულებრივი არ ივარგებს, ველარას შემატებს სუფრის ეშხსა და თუ ერთი შეჩერდა ეშხი, სუფრაც დაეცემა, ნელ-ნელა დაეშვება და დაეცემა, მერე ვედარაფერი მოუყრის თავსა, ვედარც სასმელი, ვედარც საჭმელი, ვედარც მჭერმეტყველება, ვედარაფერი, ყველაფერი რომ მოზებრდებათ. ეშხი-დაა საყრდენი სუფრისა. ან რიდას საყრდენი არ არის ეშხი, — და თამადაც ეშხს უკიდებს, ეშხს უნთებს, არის ერთ ჯაფაში, ჭირის ოფლი გადასდის, დაძაბულა, დაჭიმულა მთელის არსებითა, რის ვიივავალანით ბოლომდის მოაქვს ეშხია თუ რაღაცა დარდუბალა და ყველანი რომ აიშლებიან, ტვირთი რომ მოეხსნება, მაშინვე მოდუნდება, მოეშვება, მოწყდება, აღგომის თავი აღარა აქვს“.

რომანის ექსპოზიციაში სანდრო მოქეიფებს ერთგვარი ირონიითაც ეკიდება. ეს ირონია თანდათან ჰალუციაციებში გადადის, რაც მხატვრულად კარგად არის დახატული. სანდროს ეჩვენება, რომ „სრიალებს ის დიდი ხელები, ხელები თამადისა, სატევრები სრიალებს, გარს უვლის, წრეს უხზავს, დაიზრიალებს, დაიზრიალებს და თავს წააგდებინებს! ნამდვილად, ჩემშარიტად წააგდებინებს თავსა, — მაშ რა იქნა, მხრებზე აღარა აქვს, ძირს დავარდნილა, ენა გამოუყვია,

ელრიჯება, ემაწება, დასწვდება გვერდისებული, გაგორდება, უფრო გრძელად გამოუყოფს ენასა, უფრო მოთმლისსახის კუნთებსა, აირევა, აიბურდება, ენას დაიხვევს, გაიტკაცუნებს, თითქოს ლახტიაო; დაბზრიალდება, თითქოს ჩიკორიაო, დაბზრიალდება, ჩაბჭირდება, ტრიალში, ბზრიალში, დიდ სისწრაფეში ჩაიკარგება იქ, ვაჭკრება და ისევ მხრებზე წამოასკუბდება“.

სანდროს პირველი ცოლი — მაგდა ჭკვიანი ქალია და თავისი ზომიერი ხასიათითა და პატიოსნებით მკვეთრად გამოირჩევა რომანის სხვა პერსონაჟი ქალებისგან. დაკრძალვის რიტუალსაც კი მოუძებნა მაგდამ თავისებური კუთხე, როცა გაიფიქრა: „სიკვდილთან თავდება სარგებლობის გრძნობა, სიკვდილთან ყველაფერი თავდება, თავდება სიხარბე, სიძუნწე. ეს უძველესმა ადამიანებმაც იცოდნენ და აღარ ენანებოდათ, რომ თუნდაც ერთადერთი ცული, ერთადერთი ქონება მთელი გვარისა, მიცვალებულისათვის ჩაეყოლებინათ სამარეში“. ერთგვარი სტოიციზმი, რაც მაგდას ახასიათებს, ხელს არ უშლის თავგამოდებით ებრძოლოს საქმროს, როცა ქორწილში მოსაწვევი სტუმრების „კანდილატებს“ იხილავენ. მაგდა ამ კამათში შეუპოვარია, სანდრო კი ეგოისტი, წვრილმანი და მეშხანი. მაგდამ შეადგინა სტუმრების სია და სანდროს აჩვენა: „ენახოთ ვინ არიანო, და სანდრო ჩაუჭდა უახლოესსა სიას, სათითაოდ გამოიკითხა, სისხლით ნათესაობის თუ ნათელმირონობის მუხლები გამოითვალა, ურთიერთობის სიშორე თუ გულთათალობა დაადგინა, წყენინებისა თუ უკმაყოფილების მიზეზები გამოიძია, ერთი დიდი, წითელი ფანქარი დაადო და სათითაოდ გადახაზა სამოცდაათი კაცი“. სანდრომ თავისი ცოლის მიერ შედგენილ 75-კაციან სიიდან 70 ამოშალა, „თავისმხრით ექვსი მოიწვია, ერთი ზედმეტი იმიტომ, — ჩემი უპირატესობა აქედანვე იგრძნოსო“. ასეთია სანდროს პირველი კონფლიქტი მაგდასთან. იგი არ მალავს თავის ზნეობრივ „ნორმებს“, როცა მაგდას პირდაპირ ეუბნება: „სამსახურში

ბომ აღარ უნდა მიხვიდე, ე გამგე რად აღ გინდაო. მაგდა მაშინვე ცხრომ აიტანა, აცხცახებული ხელებით დააცხრა ფანქარსა, ხელი დაუჭირა“.

სანდროს თვით საკუთარი ქორწილიც კი ერთ-ერთი ჩვეულებრივი „ორგანიზაციული ღონისძიება“ ჰგონია სამსახურებრივი კარიერის გზაზე. მან იცის, მაგიდასთან სტუმრები გარკვეული „მონაცემების“ მიხედვით უნდა დასვას, ვინაიდან ამას მისი სტუმრებიც და მასპინძლებიც გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებენ.

ქორწილში ნეფე-დედოფალი არავის არ აინტერესებს. თამადამ მათი სახელუბიც კი არ იცის, მით უმეტეს — პირადი ცხოვრება. ამიტომ სუფრის ხელმძღვანელი „ზოგად“ სადღეგრძელოებს ეჭიდება, რასაც სტუმრები უხალისოდ იმეორებენ. თითოეული მათგანი ანგარიშით არის მოსული. სტუმრების სრულ ინდიფერენტიზმს ეს ანგარიშიანობა განსაზღვრავს: „სხვებსაც არ გამოუჩენიათ დიდი მგრძნობიარება. ეგებ იმიტომ, ჯერ არ შემთვრალიყვნენ, არ შეხურებულყვნენ ღვინით, ალბათ, ამიტომაც; ეგებ იმიტომ, უახლოესნი რომ არ იყვნენ, — ალბათ, ამიტომაც; ეგებ იმიტომ უფროსთაგანნი იჩენდნენ განსაკუთრებულ სიღინჯესა, — ალბათ ამიტომაც“. ლადო თაღლითია სადღეგრძელოებში და გასაგებია, ცხოვრებაში როგორი გაიძვრა იქნება. სტუმრები თამადას რიგრიგობით ჰკარნახობენ იმათ სახელებს, ვის სადღეგრძელოსაც სვამს იგი, მაგრამ „ნეფის მშობლების სახელს ვილა ეტყოდა, ამ შესენებას ვინ შეჰბედავდა? თითქოს დაიბნა, თითქოს ენა აერია, მაგრამ სახელებს გვერდი აუარა, მეტი რიხი მოიგვარა, სიტყვას აუწია, მშობლები ყველაზე მეტად ხარობენ შვილებს ბედნიერებითაო; ჰო, სიტყვას აუწია და ამითი გადარჩა“.

სუფრაზე ღვინის სმასაც „თანამდებობრივი ნორმა“ აქვს, რასაც ოთარ ჩხეიძე გესლიანი სატირით გადმოგვცემს და სულ რამდენიმე შტრიხით გვაძლევს უნიჭო, კარიერისტ ბიუროკრატთა ტიპიურ პორტრეტებს: „ქალაქის უფროსთა-

განი ოდნავ მოსვამს, აქამდისაც ასევე იქცეოდა, ოღონდ ახლა თავს იმართლებს უკვე დავლიეთო. ოდნავ მოსვამს ტრეპის უფროსთაგანიცა. ნაკლებ უფროსთაგანი გამოსცლის, ცარიელ ჭიქას მიუკაკუნებს ქალაქის უფროსთაგანის ჭიქასა. უფრო უფროსთაგანი ფეხს წაჰკრავს ფეხზე — რას სჩადიხარო“. ეს სურათი მხატვრულად ძლიერად არის შესრულებული და უბრალო ხერხიც, სიტყვა „უფროსის“ გამეორება იქცევა ისეთ ნიშნად, რომელიც ზუსტად გამოხატავს რომანის ამ „გმირების“ მთელ ცხოვრებას.

მათ არ გააჩნიათ ინტელექტი, მახვილგონიერების ნატამალიც. მათ იუმორიც კი არ სჩვევიათ. სხედან ეს ფუყე, ბუტაფორულად გაბღენძილი „თანამდებობის პირნი“ და თავიანთ ღირსებას, ძლიერებას და უფლებებს უსიტყვოდ, ჭიქების სხვადასხვა „დონეზე“ გამოცლით გამოხატავენ.

კარგად აქვს მწერალს აღწერილი ქორწილის დასასრული, როცა ნეფე-დედოფალი მარტო დარჩება. მაგდა ქვითინებს. პირველი ღამის გამოუცნობ ნეტარებას შინაგანი თრთოლვით ელის, ღვინით ოდნავ შემთვრალი, სალუქი და სანდომიანი საწოლზე ჩამოძვარა და შემართული გრძნობის მოლოდინში მიბნედილა. სანდრო კი ცოლს მჭევრმეტყველური სადღეგრძელოებით მიმართავს, რაღაც სისულელოებზე ესაუბრება, მაშინ როდესაც ყოველგვარი საუბარი უადგილოა, როცა გრძნობა უნდა გამზეურდეს. ამით მწერალი კიდევ ერთ შტრიხს გვაცნობს სანდრო ცხოვრების ხასიათიდან, რომ მას გრძნობა არ გააჩნია, რომ იგი ყალბი ყუესტის და ყალბი ფრაზის ოსტატია მხოლოდ.

ქორწინების მეორე დღიდანვე გამომჟღავნდა სანდროს დესპოტური ხასიათი. იგი დიასახლისს ნიადავ უმეორებს: „მხოლოდ იაფად, ეტყოდა ქმარი, დიასახლისის ხელოვნება ეს არისო. და ცდობადა ხელოვანი დიასახლისი ყოფილიყო, ოღონდ წიგნით იაფი, არცთუ მთლად იაფი გამოდიოდა, ალბათ წიგნი აღრე გამოეცათ, ბაზარი და წიგნი დაშორებოდნენ ერთმანეთს“. აქ ოთარ ჩხეი-

ძეს პარალელურად აქცენტი ყოფით დეტალებზეც გადააქვს.

მწერალი ოსტატურად აღწერს იმ სცენებს, სადაც ნაჩვენებია მაგდას ოჯახური საქმიანობა, დედობის მოლოდინი, სანდროს სიცივე, უგულობა და უსიყვარულობა. კარგადაა დახატული სიტბოსა და ალერსის დანატრებული ოჯახის ქალი, რომელიც გათხოვების მიუხედავად ქალურ ბედნიერებას ვერ ეღივს. ამიტომ მაგდას ცნობიერებაში ყველაფერი მახინჯ, ავადმყოფურ ფორმებს ღებულობს. თვით ის ფაქტიც, რომ მათი სახლი ყოფილ სასაფლაოზე დგას, კომპარებს იწვევს შეშინებული ქალის ფსიქიკაში. ღამით მაგდას ეჩვენება, რომ მიცვალებულთა ჩონჩხები ძვლების ჩხარუნით ოთახებში გამოვლენ და თითოეულ კუნჭულს ჩამოვიღიან. ეს ეპიზოდები თავისი მხატვრული სიძლიერით საუკეთესოა მთელ რომანში.

საერთოდ, მაგდას სახე მწერალს ყველაზე სისხლსავსედ, ცხოვრებისეულად და ქალის ფსიქოლოგიის ცოდნით აქვს მოცემული. მაგდას სახის გასახსნელად არის ერთი ასეთი შესანიშნავი დეტალი. სანდრო მაგდას სახლში პირველად მიიყვანს, ქალს ბინა მოეწონება, მაგრამ ამჩნევს, რომ ოჯახს დიასახლისის ხელი აქვია. იგი ფარულად ასწორებს ჩამოშლილ ფარდას, მერე ერთ ადგილზე ჯდება და აღარ ინძრევა, რათა დიასახლისობის უინმა კიდევ არ წასძლიოს და საწადელი არ გაათქვას. მეორე ასევე კარგი დეტალი: მაგდა არ გადის სანდროს სახლის აივანზე, რათა არავინ დაინახოს. მისი ფიქრით, ამ აივანზე გასვლას ქორწილი უნდა უსწრებდეს.

ოთარ ჩხეიძე პერსონაჟის ხასიათის გახსნისას დეტალს დიდ როლს ანიჭებს და ამაში ჩანს მისი მხატვრული ოსტატობის ერთ-ერთი თვისებაც. მწერალმა იცის, თუ როგორი მნიშვნელობა აქვს მხატვრულად ზუსტად მინიშნებულ ნიუანსსაც.

მაგალითად, სიონის ტაძრის დაფვალე-ერებისას სანდროს არ ასვენებს ფიქრი, რომ ტაქსის მრიცხველი მუშაობს. ასეთივე ზუსტი დეტალია, რომ მთელი კვე-

რნაჟი და მათ შორის სანდროს სახლიც სასაფლაოს ქვევზე დგას. შესანიშნავი დეტალია, როცა მაგდა ატამს თორის ალით ღვინოს სვამს და სურს სანდროს ალერსი... „დღისით, მზისით, თუმცა ჩამავალი მზისით, ზეცა რომ ღრმად წასულიყო, ძალიან ღრმად იდგა სუნი მსუყე შემოდგომისა“. ძლიერი სცენაა, სადაც მწერალს გამოჰყავს „ჰადრაჟის მეგობარი“ და „მისი ცოლი“, რომელთაც საკუთარი სახელებიც კი არ მისცა, იმდენად ამორფული, შემთხვევითი და ფუყეა მათი „მეგობრობა“ სანდროსთან, თუ ამ ურთიერთობას მეგობრობა შეიძლება ეწოდოს. ასეთი კატეგორიის ადამიანების უსიტყვო თანხმობითა და ხელშეწყობით ხდება ის კოლიზიები, რაც სანდროს პიროვნებად გამოიწვია.

ახალი დროის — „ღონ ყუანი“ — სანდრო გზადაგზა თავის გონებრივ სიდუხჭირეს და გრაფომანობას ამქვადენებს. მას უნდა ყველაფერზე წეროს და გაუთავებელი „რაციონალური“ წინადადებებით საზოგადოების ყურადღება მიიქციოს. სამაგიეროდ, მაგდას საინტერესო სახე თანდათან ვიწროვდება, უფერულდება და სანდროსადმი თავდაპირველი კრიტიკული დამოკიდებულება იცვლება უშვილობის დრამით, დიასახლისის „ფილოსოფიით“, რომელსაც ერთადერთი ინტერესილა შერჩენია — ქმარს უყვარდეს და შვილი ეყოლოს.

ამ ცოლ-ქმრულ ურთიერთობაში ხელშესახებად არის მოხაზული მაგდას მონური მორჩილება, თითქოს ჩვენც გვესმის მისი ქოშების ხმა. მობაკუნდება დიასახლისი კაბინეტის კართან, ყავას შემოიტანს, თანაგრძნობას ელის, მაგრამ გაწბილებული მიდის. ამ სურათში ყურადღებას იქცევს საერთო ხაზები და კონტურები. სანდროს აკვიატებული წერის სურვილი, დეტალის სახით რომ იყოს მოცემული, მაშინ ხასიათის დახატვას შეეშველებოდა, მაგდამ მწერალი სანდროს ამ სურვილს თვითმიზნად აქცევს. ეს, რა თქმა უნდა, შთაბეჭდილებას ანელებს და სანდროც უინტერესო და სწორხაზოვანი ხდება. ბოლოს ყოველივე ეს თვით სანდროსაც ბეზრდება და როცა

მაგდა მიდის, ცოლის დატოვებულ საქორწინო ბეჭედს საფულეში ინახავს — „მომავალში დაჰპირდებო“ და წერას თავს ანებებს. გრაფომანის ასეთი ბოლო მოულოდნელია და მხატვრულად გაუმატრთლებული, რადგან მას თავიდან ერთი ფუნქცია ჰქონდა — კარიერის შექმნის ფუნქცია და როცა იგი პოზიირობით შეიცვალა, სანდრომ დაკარგა ერთადერთი „კოზიორი“.

სანდროს მიერ „ჰადრაკის მეგობრის“ ოთახის ფანჯრიდან „ტელესკოპით“ ქალების თვალთვალი არ არის ცუდად დახატული. მით უმეტეს, რომ ოთარ ჩხეიძე საინტერესოდ ხსნის ქალების ინტიმურ ბუნებას. მაგდასთან დაშორების მერე, ერთ ღამეში, ელვისებურად ხდება ლალისთან დაახლოებაც და შეუღლებაც. მწერალი რომანის ეპიგრაფად ტყუილად როდი წერს: „ვენებათა ბილწთა მონებად მივჰყიდე თავი, რამეთუ რომლისგანცა ვინ ძლეულ არნ, მისდაცა დამონებულ არნ“. სანდრო და ლალი ბილწ ვენებათაგან ძლეულნი და დამონებულნი არიან, ამიტომ სულსწრაფობენ ასე. ეპიკოსი მწერალიც აპყობია თავისი პერსონაჟების ამ სულსწრაფობას და ერთი ღამის მელიოდრამას კინემატოგრაფიული სისწრაფით ვგვიხატავს. ამით იმის თქმა კი არ გვინდა, რომ სანდროს და ლალის დაახლოების ამბავი ოთარ ჩხეიძეს უნდა გაეკვიანურებინა. მაგრამ თბრობის ასეთი ექსპრესიულობა მხატვრულ სახეებს უთუოდ ვნებს, ისინი აღარ იხატებიან, ავტორისეულ ნამბობში მირაჟებივით ქრებიან და ითქვიფებიან.

სანდრო ხან კატისებური კნავილით და ხან სხვენზე „შემთხვევით“ დარჩენილი კარების ჭრალით აშინებს ლალის. მაგრამ გაუგებარია, რატომ აკეთებს ამას სანდრო? ლალი სულმოუთქმელად, ერთ ღამეში დაიხლოვა და ახლასე სწრაფად რატომ უნდა დაშორება? მოსწყინდა? არ ჩანს. არ უყვარს? არც უყვარდა. სხვა ქალი უნდა? რატომ, რა მიზნით? სანდრო მაშინ არის დონ-ჟუანი, როცა ქალებს დასდევს. ქალებთან ურთიერთობაში კი მისი ვნება არ ჩანს. ეს ვნება მწერალს არა აქვს დახატული. და-

ხატულიც რომ იყოს, რა შეიცვლებოდა ამით? ვანა კაცმა მაინცადამაინც სამი ცოლი უნდა გამოიკვალოს, რომ მისი დონჟუანობა ვიწამოთ? სანდრო მწერალს ფლიდ, გაიძვერა, კარიერისტი ადამიანად ჰყავდა დახატული და მერე კი მან უცნაური მეტამორფოზები განიცადა. მაგალითად, დიანასთან ერთად დიესში წასვლა-წამოსვლა, მერე ბინაზე მიყვანა, კონიაკის სმა, მარტო დაძინება, მოჩვენებასავით გაქრობა, სპორტდარბაზში შეკიბრზე დასწრება, ისევე როგორც თბილისს მაგდასა და სანდროს სამდენიმეჯერ ჩამოსვლა, ექიმების ნახვა და დროსტარება, — ხასიათებს არაფერს მატებს და „ჩადგმული“ ეპიზოდების შთაბეჭდილებას ტოვებს. იგივე შეიძლება ითქვას „ჰადრაკის მეგობართან“ ერთად სათევზაოდ წასვლაზე.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, იცვლება და ნაწევრდება სანდროს ხასიათი, რომელიც თავდაპირველად რომანში შემოვიდა როგორც მეშჩანი, შებლუდული, ეგოისტი, მლიქნელი და კარიერისტი; ყველა ეს თვისება თანდათან გაქრა და სანდრო ჩვენ თვალწინ, ელვისებურად გადაიქცა პროვინციულ დონ-ჟუანად. მან მიიწვი ვერ მიავრა დიანას კვალს, გარყვნილმა ქალმა თავის „აღსარებაში“ თვითონ უთხრა უარი, სამაგიეროდ, სანდროს სხვა სასიყვარულო ობიექტები გაუჩნდა: გურანდა და ქეთინო. ეს ორი ქალი, მათი განსხვავებული სახელების მიუხედავად, ერთი ადამიანია, ხელოვნურად ორად გაყოფილი.

როცა მწერალს საღებავები ელევა, იგი პუბლიცისტური პათოსით სავსე სატირას იშველიებს. მაგალითად, სანდროს დაფიცება უნდა, მაგრამ არავითარი საფიცარი არ გააჩნია: „არც შვილი, არც ცოლი, არც დედა, არც ღმერთი, თურმე წმინდა არაფერი მოეპოვება, ამას ხომ არ გულისხმობდა ის უცნაური თამადა: ოცდაათქვესმეტს ისე გადასცილება, ვერაფერი ვერ მოუპოვებია“. როცა სანდრო ვერაფერს მოიფიქრებს, სამშობლოს დაფიცავს, ამის გამო ოთარ ჩხეიძე სარკასტულად შენიშნავს: „საუკუნეში ერთხელ თუ გაასენდებათ სამშობ-

ლო. მეხმეც დასცემია ეგეთ შვილებსო“. მოყვანილ ციტატაში არავითარი შეცდომა არ არის. პირიქით, ის მოქალაქეობრივი გზნებით არის დაწერილი, მაგრამ, ამის მიუხედავად, მიზანს ვერ ხვდება და ლიტონ ჩიტყვად რჩება.

ოთარ ჩხეიძე თითქოს არ ენდობა სიტყვას, ერთხელ ნათქვამს მეორეს უმატებს, მეორეს — მესამეს. თითქოს ეშინია, რომ მკითხველი ვერ გაუგებს, ამიტომ სათქმელს უღეჰავს და ფაქტიურად უარს ამბობს ქვეტექსტზე...

ილია ერენბურგი ერთ თავის წერილში წერს, რომ მან ახალგაზრდა მწერალს გამოსაცდელად ჰკითხა, რა უფრო ძლიერი იქნებოდა პერსონაჟის ვნების გამოსახატავად, ვაჟს რომ ეთქვა გოგონასათვის „მე შენ მიყვარხარ!“ თუ „მე შენ ძალიან მიყვარხარო“. იმ ახალგაზრდა მწერალმა უკანასკნელი მიიჩნია უფრო ძლიერ თქმად. სამწუხაროდ, ზოგჯერ ოთარ ჩხეიძე, ეს შესანიშნავი და გამოცდილი ოსტატი, სწორედ იმ მწერლის პოზიციაზე დგას, რომელსაც ჰგონია, რომ სიტყვა „ძალიან“ სიყვარულის გამყლავნებას რაიმეს მატებს. ამის გამოც, ნაცვლად ერთი დეტალის ან ნიუანსისა, რისი მიგნებაც მშვენივრად ეხერხება მწერალს, იგი მთელ ტირადებს ქმნის. ოთარ ჩხეიძის ენა დახვეწილი, ძარღვიანი, ფერადოვანია. რამდენადმე მძიმეა მისი სტილი და ეს სიმძიმე ზოგჯერ ნაძალადევი და არაბუნებრივია.

ვინ არის სანდრო ცხოიძე? დონ-ჟუანი

თუ ხელმოცარული კაცი? სანდროს სახით მწერალი გვიხატავს გარკვეული ჯგუფის ადამიანების მანკიერ მხარეებს, იმ ვიწრო და შეზღუდულ სამყაროს, სადაც კარგი ადამიანების წაყრუების შედეგად ყოველი ჯურის ავანტურისტები ახერხებენ არსებობას, მოჩვენებით წარმატებებსაც აღწევენ და ერთხანს გარკვეული პატივისცემითაც სარგებლობენ. მაგრამ მწერალმა დაუნდობლად ჩამოგლიჯა ნიღაბი სანდრო ცხოიძეს და ჩვენ დავინახეთ სანდრო თავისი ბუნებრივი სახით, თავისი სიბილწით და მეშინაობით. სანდროსთან ადამიანების გაცნობა მკითხველს აძლევს იმ გასაღებს, რითაც შეუძლია ყოველგვარი ნიღაბი გახსნას და გაიძვერა, უნიჭო, ავანტურისტ ადამიანებს თავისი ადგილი მიუჩინოს.

ოთარ ჩხეიძის უაღრესად საინტერესო რომანი საცხეა ნათელი ეპიზოდებით. მწერალს ემარჯვება პლასტიკურად დასრულებული სურათის გამოძერწვა, სადაც თითოეული ნივთი რელიეფურად არის გამოკვეთილი, თითოეული შტრიხი ავსებს და განმარტავს ამა თუ იმ მოქმედებას.

„კვერნაქი“ მკითხველის გულს უმთავრესად იმ ეპიზოდებით იპყრობს, რომლებიც მხატვრული სახიერებით არის დახატული და შედარებით ნაკლებ ეფექტურია ის ადგილები, სადაც მწერალი ერთგვარ დეკლარაციულ პათოსს მიმართავს.



## აღიქსი ჭინჭაკაული

### დოლი და დოლი

(იხივ ვაჟა-ფშაველას თხზულებათა ტომისის გამო)

1964 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა გამოსცა ვაჟა-ფშაველას თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“).

ეს გამოცემა 1961 წლის საიუბილეო გამოცემასთან შედარებით უფრო სრულია: მასში შევიდა ზოგი დღემდე გამოუქვეყნებელი ნაწარმოები, დაემატა ვაჟას მიმართვები სხვადასხვა დაწესებულებისადმი, წერილები სხვადასხვა პირებისადმი, მოწაფეობისდროინდელი დოკუმენტები, ხალხური სიტყვიერების ნიმუშების ვაჟასეული ჩანაწერები; დამატებებში დაიბეჭდა სხვადასხვა პირთა მიერ ვაჟასადმი მიწერილი წერილები; აპარატს დაერთო ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების მატთან და პოეტის ნაწერების ანბანური საძიებელი.

ნაკლი, სამწუხაროდ, ამ გამოცემასაც აქვს. ჩვენ კვლავ მხედველობაში გვაქვს ვაჟას თხზულებათა ტექსტი. ამ საკითხს ეხებოდა 1962 წელს უკრნალ „მნათობის“ მეორე და მესამე ნომრებში გამოქვეყნებული ჩვენი წერილი „ვაჟა-

ფშაველას ტექსტის დადგენისათვის“. ამას გარდა რედაქციას ხელთ ჰქონდა ჩვენი მეორე, უფრო ვრცელი ხელნაწერი წერილი. ამ წერილებში იყო რამდენიმე ასეული სხვადასხვა ხასიათის შენიშვნა, რომელთაგანაც რედაქციამ ნაწილი გაიზიარა და გამსწორებელზედაც მიუთითა, ბევრი მიუთითებლად შეიტანა ტექსტში, ხოლო ნაწილი საერთოდ არ გაიზიარა.

ჩვენ ქვემოთ შევეხებით პრესაში გამოუქვეყნებელ და რედაქციის მიერ უგულვებელყოფილ შენიშვნებს და ზოგ ახალ შენიშვნასაც დავუმატებთ.

ორიოდე სიტყვა გამოქვეყნებული, მაგრამ რედაქციის მიერ გაუთვალისწინებელი შენიშვნების გამო: როცა ჩვენ ვწერდით, რომ „თ ა ვ მ ა მ წ ო ნ ა რ ა რ ა ი მ ა“ უაზრო ფრაზაა, ფშაურში „თ ა ვ მ ა მ წ ო ნ ა რ ა“ ერთი სიტყვაა (=პრანჭია), ანდა: ფრაზაში „ა გ ე მ ა თ თუ ვტყუი“ „ა გ ე მ ა თ“ უაზრო სიტყვათკომპლექსია, უნდა იყოს „აგე მი თუ ვტყუი“ (=აჰა, თუ ვტყუი: აი, თუ ვტყუი. „მნათობი“, 1962 წ., № 2, გვ. 169) და სხვ. არ გვეგონა, რომ რედაქცია ასეთ შენიშვნებს არ გაითვალისწინებდა...

ზოგჯერ გამომცემლები თავს იმართლებენ: რა ვუყოთ, რომ, ვთქვათ, ტექსტში „დოლი“-ს მაგიერ „დოლი“ იკითხება („თავიცი ვაზაფხულისათვის შესანიშნავ დოლსა გვპირდება“), ეს ხომ უბრალო კორექტურული შეცდომაა, კორექტურა ვის არ გაპარავია? ყველასათვის ნათელია, რომ საერთოდ ნაბეჭდ ტექსტში გაპარული შეცდომების დიდი წილი „წარმოშობით“ სწორედ კორექტურულია. მაგრამ როცა ეს კორექტურული შეცდომა შემდეგ გამოცემებშიც გადადის, ეს იმას ნიშნავს, რომ გამოცემელს ტექსტი ისე ესმის, როგორც იკითხება, ე. ი. იგი შეცდომას ვერ ხედავს და შეცდომა უკვე აღარ არის კორექტურული შეცდომა. ამას ახალ გამოცემაში კვლავ ემატება ხოლმე ახალი კორექტურული თუ სხვა ხასიათის შეცდომები და ტექსტი მიხინჯდება. მაგ., ჩვენ შევნიშნავდით, რომ „ჩემი ნაწერები და კორექტურა“-ს მაგიერ 1961 წლის გამოცემის მეხუთე ტომში (გვ. 489) შეცდომით დაიბეჭდა „ჩემი ჩანაწერები და კორექტურა“ (შეცდომა გაიბარა სწორედ იმ წერილის სათაურში, რომელშიც ვაჟა რედაქციებს მის ნაწერებში დაშვებული კორექტურული შეცდომების გამო ეღაპებოდა!). ეს შენიშვნა შენიშნად დარჩა და ახალ (1964 წლის) გამოცემაშიც (IX, 484) დაიბეჭდა: „ჩემი ჩანაწერები და კორექტურა“...

ტექსტის დადგენა (მით უმეტეს, ჩვენის სახელოვანი კლასიკოსების ტექსტისა) მეორეხარისხოვანი საქმე არ არის. სხვას რომ თავი გავანებოთ, ახლა ჩვენში იწყება ცალკეული მწერლების თხზულებათა სიმფონია-ლექსიკონების შედგენა (უკვე არსებობს ვაჟა-ფშაველას თხზულებათა სიმფონია ლექსიკონის ფონდი), დგება სხვადასხვა ხასიათისა და დანიშნულების ლექსიკონები (განმარტებითი, ისტორიული, ეტიმოლოგიური...), რომლებიც, უპირველეს ყოვლისა, კლასიკოსთა სიტყვიერ მარაგს ეყრდნობიან. უხერხულია, რომ ლექსიკონში შევიტანოთ არა მწერლისეული, არამედ რაღაც სხვა სიტყვა ანდა უაზრო ბგერათკომპლექსი. მაგ.,

ვაჟას ხელნაწერში ს და ხ ასოების აღრევით „ლ უ ს უ მ ა“-ს მაგიერ რამდენჯერმე ამოკითხულ იქნა „ლ უ ხ უ მ ა“ და ეს ბუნებაში არარსებული სიტყვა ლექსიკონებში შევიდა.

ვაჟა-ფშაველას თხზულებებიდან შედარებით უკეთ არის დამუშავებული პოეზიის ტექსტი. ეს გასაგებია: პოეზიის ტექსტი ძნელად მიხინჯდება (რითმა, რიტმი და მარცვალითა რაოდენობა უშლის ამას ხელს) და თუ მაინც დამახინჯდა, პოეზიაში მცდარი ფორმა ადვილად შეინიშნება.

ვაჟას ტექსტში შეცდომების დიდი წილი მოდის პერსონაჟთა მეტყველებაზე და ეთნოგრაფიული ხასიათის მასალაზე (ცხადია, ამ მასალის დიალექტური წარმომავლობის გამო).

გადავდივართ შენიშვნებზე: ...მაშ ჩვენ რაღა ვქნათ, ბოსტანში აღარა მოგვდის ქინძია (I, 89).<sup>1</sup> ხელნაწერში იკითხება „აღარ მოგვიდის“ და ეს წაკითხვა უნდა მივიჩნიოთ მართებულად. „აღარ მოგვიდის“ ნიშნავს: აღარ მოდის, აღარ ხარობს, „აღარა მოგვიდის“ კი ვაჟას ენისა და კონტექსტისათვის არაბუნებრივი ფორმაა.

...არ მოგხვდათა, რჯულ-ძაღლო, ისევე ეძახის იმასა (III, 59). ორ ნაბეჭდ წყაროში იკითხება „ისრივ“, რაც ფშაური და, ამდენად, ვაჟასეული ფორმაა. შდრ.: „ემაგვედნს ტანჯვას ისრივ სიკვდილი სჯობია“ (IX, 334).

...კარგადაც დამიწყალობნე, გამიმეტებავ მისთვინა (III, 69). ეს სარიტუალო ფორმულის სიტყვაა და უნდა: „დამიწყალობნე“. შდრ. იქვე, რამდენიმე სტრიქონის ზემოთ: — ვის ამწყალობნებ, ალუდავ, ამა კურეტით შავითა? (III, 69).

...სთქვი რამა, შენი ჭირიმე, გულისა მსალობუნებელი (III, 93). „ივერი-აში“ იკითხება „სალმბუნებელი“, რაც ამჟამად კორექტურული შეცდომაა. ხელნაწერსა და ერთ ნაბეჭდში („თხზულებანი“) გვაქვს „სალმუნებელი“, მსალ-

<sup>1</sup> გვერდებს ვუთითებთ უკანასკნელი, 1964 წლის აკადემიური გამოცემის მიხედვით.

ბუნებელი“ ვაჟას თხზულებებში ამას გარდა არსად დასტურდება („ქართული ენის განმარტებით ლექსიკონსა“ „მსალბუნებელი“-სათვის მხოლოდ ეს ჩვენი სადავო ილუსტრაცია აქვს), „სალბუნებელი“ და „სალბუნო“ კი ხშირად გვხვდება: ...წამისო სალბუნებელი თლის თითებით მკერდზედა (I, 77); ...თან უთხრეს ორთავ ძმობილთა სიტყვა სალბუნო, მწყობარი (I, 319) ...სხვა მაჩვენე, კარგი, „გულის სალბუნო“ (VI, 82); ...ეჰ, ღვინოვ, ღვინოვ, გულის სალბუნო (II, 190) და სხვ. „გულისა სალბუნებელი“ და „გულის სალბუნო“ ერთი და იგივე გამოთქმაა. ვფიქრობთ, ეს საბუთები „სალბუნებელს“ უჭერს მხარს. „მსალბუნებელი“ თითქოს მიმღეობა უნდა ყოფილიყო, მაგრამ სათანადო ზმნა არა გვაქვს და არც მიმღეობა არსებობს.

ხარი ემდურება პატრონს:

კერაში ცეცხლი დაგინთ,  
კალოში დავდგი ზვავია,  
მ შ ი ე რ ა მამუშავებდი,  
ბევრი დღე ვნახე შავია. (IV, 177).

„მშიერა“ (=მშიერი) ხარი იყო და არა პატრონი, ამიტომ უნდა: „მ შ ი ე რ ა ს მამუშავებდი“.

...დაგროვდა ფრინელის თავები,  
ვითა ლოდები ყორისა,  
იმათ ბუმბულიც ისეა,  
როგორც ხაწირი მოლისა...  
კბილებთან ერთად ნავარდობს  
მელისა კუდი ფოლისა (IV, 369).

ხელნაწერში განმარტებულია: „ხაწირი — ერთად შეგროვილი თივა“; „ფოლი — დაჩეხილი მატყლი“. ეს ავტორისეული განმარტებები გამოცემებში არ არის შეტანილი, საჭირო კია.

...უკან მოდიოდა გაჟივილი ვეზუ-  
ლი ხევის-ბერი (V, 7). უნდა: „გ ა ჟ ი ვ ი  
ჟ ი ვ ე ბ უ ლ ი“ (=„გაჟღენთილი“, ე. ი. ძალიან მთვრალი). სიტყვა „გაჟივილი ვე-  
ზული“ არ არსებობს.

...გ ე ნ ა ც ვ ა ლ ო ს მგელა... ჩემო ძა-  
ღლებო (V, 8); ...გ ე ნ ა ც ვ ა ლ ო ს მამი-  
და (VI, 239); გ ე ნ ა ც ვ ა ლ ე ი (VII,  
245); ...გ ე ნ ა ც ვ ა ლ ე , ან მარცვალაანი  
როგორ არიან? (IX, 334). ფშურში ეს

სიტყვა მხოლოდ შეკუმშული ფორმით  
ინმარება. ამიტომ უნდა: „გენაცვლოს“  
„ენაცვლოს“, „გენაცვლე“. ბოლო  
ცემაში სხვაგან ასეთი ფორმები რედაქ-  
ციამ გაასწორა, დარჩენილი არასწორი  
ფორმებიც უნდა გასწორდეს.

...ნისლი ცხვარსა და მწყემსს დაეფა-  
რა შ ა ვ ი ს ნ ა ბ ა დ ი ვ ი თ (V, 41). უნ-  
და: „შავს ნაბადივით“; ...მთილამ მო-  
ღეჯილის ზეგვივით ზანზარებს (IX,  
35); უნდა: „მოგლეჯის ზეგვივით ზან-  
ზარებს“ (IX, 35); ...სტატსკი სოვეტნი-  
კის შესაფერი ბაკენბარდება გულზედ  
აწყვილა ორთითივით გა და ა ჯ ვ ა რ ე დ ი -  
ნ ე ბ უ ლ ი ს ხ ე ლ ე ბ ს ზევით (V, 88);  
უნდა: „გადაჯვარედინებულს ხელებს ზე-  
ვით“.

...მ ე რ მ ე თავად ხო არა გიჭირსთ?  
(V, 43), ...საქმელს ჩამოგიყრი და მ ე რ -  
მ ე წისქვილშიაც ჩავიაროთ (V, 170);  
...მ ე რ მ ე თუ სამე (უნდა: „სამ“, ა. ჭ.)  
წვიდა კი არ ვიცი, ბიჭო! (VII, 241);  
...მ ე რ მ ე , გენაცვალე... (IX, 334, 5, 21).  
მ ე რ მ ე (V, 26; VII, 237); ყველა მაგა-  
ლითი პერსონაჟის მეტყველებიდან არის  
ამოღებული. მთის დიალექტებში, საერ-  
თოდ, და, კერძოდ, ფშურში სიტყვა  
„მერმე“ არ არსებობს. იქ ამბობენ  
„მემრ“, „მემრე“ (ასეთი ფორმა არა-  
ერთხელ დასტურდება ვაჟას ტექსტებ-  
ში). როგორც ხელნაწერიდან ირკვევა,  
ლექსში „ხევისბრის განცხადება“ ვაჟას  
ჭერ დაუწერია: „მას მ ე რ მ ე მე აღარ  
გეტყვით“, შემდეგ კი გადაუსწორებია:  
„მას მემრე გეტყვით აღარა“. ამდენად,  
ვაჟას თხზულებებში (პერსონაჟთა მეტყ-  
ველებაში) „მერმე“ არაავტორისეული  
ფორმა და ყველგან უნდა შეიცვალოს  
„მემრე“-თი.

...განა სულ ეგრე იქნები? (V, 49).  
პირველნაბეჭდსა და შვიდტომეულშია  
ავტორისეული ფორმა „სრულ“. შდრ.:  
...სუ მკვდრებსა ვსინჯავ, სრულა და  
ს რ უ ლ ა (VII, 122).

...რად გვაჯერება ჩარჩებიო, რომ გე-  
კითხათ დარეჯანისთვის, „რჯულძაღლე-  
ბია, გვაჯერებენ ბრმა-ყრუს ხალხსა,  
ი მ ა დ ა ო“, ვიპასუხებდით (V, 51). პირ-  
ველნაბეჭდშია აშკარად პერსონაჟისეუ-

ლი ფორმა იმითაო (=იმიტომო). ეს დიალექტური ფორმა ჯერ ასე „გალიტრატიურულდა“: „ი მ ა თ ა ო“ („თხზულე-ბანი“), შემდეგ (შვიდტომეულში) ეს ვაჟასათვის სრულიად უჩვეულო — ათ-დაბოლოებიანი ვითარებითი („იმათაო“) კიდევ გადაკეთდა და მივიღეთ „იმადაო“. უნდა აღდგეს: „იმითაო“.

...დარჯვანი დილაურს საქონელსა სწველდა (V, 53); უნდა: „დილაურის საქონელი“ შეადლისას მისაწველად მორეილ საქონელს ეწოდება. შდრ.: ...დილაურის საქონელი მოვრეკე (VI, 312).

...— დაითხიე აქითაო, ვუთხარ... თორომა თავირს ჩამოგამტვრევ, შე უგერგილო, შე ბეჩაეო! (V, 57) „თორემ“-ის მაგიერ ფშაველი ამბობს „თორო“ ან „თორომ“. „თორომა“ ვაჟას სიტყვიერ ფონდში საერთოდ არ დასტურდება ამ ერთი შემთხვევის გარდა. აქ (ვაჟას ენისა და კონტექსტის მიხედვით) ორი სიტყვა უნდა იყოს შერწყმული: „თორომა“ (=თორო მაგ, თორემ მაგ).

...ხან ვიფიქრე, იქნება ეშმაკი იყოს მეთქი (VI, 71). მოცემულ კონტექსტში სრულიად ბუნებრივია ივერიისეული წაკითხვა „თან ვიფიქრე“, რომლის ვარიანტად გატანას გამართლება არა აქვს.

...ბაყაყებმაც, ტოტების მხრის ლაპლაპზე სანიოზე გამოსულებმა, წყალში ჩქლათა-ჩქლუფი გადაიღეს (VI, 94). უაზრო გამოთქმა: „ტოტების მხრის ლაპლაპზე სანიოზე გამოსულებმა“, „მხარი“ ფშაურში ფრინველის ფრთასაც ეწოდება, პირველნაბეჭდში „ტრედების“ მაგიერ „ტოტების“ აუწყვიათა და ტექსტი შეურყვნიათ. უნდა: „...ბაყაყებმაც, ტრედების მხრის ლაპლაპზე, სანიოზე გამოსულებმა...“.

...ყვითელი თვალეხი ქორს დაშტერებით, ისრებით მიეპყრო ტრედისთვის (V, 104). ცხადია, უნდა იყოს: „ისრებივით“.

...დათვს მაინც ისეთი ხასიათი აქვს, მინამ მას ცხვირში არ მოჰხვდება, მანამ არ მოვა გონსა (V, 115); „ივერია-

ში“ იკითხება „გონთა“. ამ გამოთქმაში, ჩვეულებრივ, მრავლობითის ფორმა გვაქვს ხოლმე. შდრ.: ...გონთ მოტრეჭრის სტიანი ხარ, ურჯულოვდები მაგითა (III, 70) ...გონთით ვადვარდა ბეჩავი, ხელი იტაცა თმაზედა (I, 62). ამიტომ უნდა აღდგეს ივერიისეული ფორმა „გონთა“.

...პირველად წულს მაუმატეთ ამათ სახლშია, ღონე, ქონება, კაცსა, კაცრიელობასა (V, 180). უნდა: „ღონე-ქონება“ კაცსა, კაცრიელობასა“ (V, 180). ამ სარიტუალო ფორმულაში „ღონე, ქონება“ უაზრო გამოთქმაა. „ღონე-ქონება“ კვახსთან არაერთხელ დასტურდება.

...ეხლა ზამთარიც მაღედვე მოჰყვება (V, 254); ყველა წყაროში იკითხება „მოკლედვე“ (=ჩქარა, ცოტა ხანში, მალე), რაც ავტორისეულია და ვარიანტად უსაფუძვლოდ არის გატანილი. შდრ.:

აქით წასულმა, უშოშავ,  
კვალი შეავერ მოისასა,  
მოკლედვე გადავწივე.  
ნავალ დავატყვე ქვიშასა (III, 63).

მედუქნე ეხვეწება ღმერთს: ...საცა კნიაზების ნახევარი მამულები, ზვრები ხელში ჩამიგდე, მეორე ნახევარიც მე დამილოცე. რად უნდათ იმათ? ისიც პარამია იმათზედ, რაც სხვა მიგიცია (V, 263). „ივერიაში“ „სხვა“-ს ადგილზე „ჰკვა“ (=ჰკუა, გონება) იკითხება. ეს სიტყვა რატომღაც ვარიანტად გაუტანიათ. ცოტა ზემოთ მედუქნე ასე მიმართავს ღმერთს: „დააბრმავე ქვეყანა და მეკი თვალეხი მომეცი!“. სადავო ადგილზეც ეს აზრი გრძელდება: თავდაზნაურებს რაც ჰკუა აქეთ („რაც ჰკუა მიგიცია“), ისიც ზედმეტია, არამია მათზე, ასე მოაწყე საქმე, რომ მთელი მათი მამულები მე ჩამიგდე ხელშიო. ვაჟა აქ ამათრახებს უჰკუო, ქარაფშუტა თავდაზნაურებს, რომელნიც მამაპაპეულ მიწა-წყალს ჩალის ფასად აძლევენ მამითიელებს.

...დღედაცამა დახედა საქმეს, რომ მთხოვარს მთელი თონეც არ ეყოფოდა (V, 338), ...ტიტველს აცმევენ, რამოდენას მათხოვარას ისტუმრებენ

(VI, 299). „მათხოვარ“-ს ფშურში „მათხოვარ“-ს ეძახიან და ამ ფორმას ხმარობდა ვაჟაც. ამიტომ უნდა „მათხოვარას“. შეცდომაა აგრეთვე „სამთხოვარად“ (IX, 51), უნდა: „სამთხოვარად“.

სვავი ამბობს ბულბულზე: ...ნეტავი ერთი ლუკმა მიინც გამოვიდოდეს (VI, 7); პირველნაბეჭდშია: „გამოვიდოდეს“, რომლის ვარიანტიცაა გატანაც უსაფუძვლოა.

...რა თვხელი რამ ვინმე ჰყოფილხარ? (VI, 17); „რამ“ და „ვინმე“ ერთი მნიშვნელობისანი არიან (=ვიდაცა). ერთ-ერთი მათგანი აშკარად ზედმეტია, მაგრამ შეცდომა შეიძლება ავტორისეულიც იყოს.

...შუახნის კაცმა ...წელიდან ქამარში ჩატანებული ტყავი, სათამბაქოვე, თავის ჩიბუხიანად ამოიღო (VI, 67). „სათამბაქოვე ტყავი“ რომ ეწეროს, კიდევ რაღაც აზრი ექნებოდა. „ტყავი, სათამბაქოვე“ კი უაზრო ფრაზაა. ცხადია, შეცდომის წყაროა პირველნაბეჭდის კორექტურა. უნდა იყოს: „ტყავის სათამბაქოვე“. ტყავის სათამბაქოეს (ქისას) სწორედ ქამარში იტანებდნენ ხოლმე. „სათამბაქო“-ს ნაცვლად სხვაგან „სათამბაქო“ იკითხება: ...მერე სათამბაქოდან ამოიღო წყვიის (sic!) ნაგლეჯი (VII, 13), ხეველს... ღილ-მიივებით მართული სათამბაქო ჰყიდა (IX, 49). უნდა: „სათამბაქოდან“, „სათამბაქოე“.

...ჯერ თქვენ ვერაფერსა ჰკლავთ ბერდნაგებით შაიარდებულები და, მე რომ ჩემის დუგლუგის თოფით ვერაფერი მოგვლა, რა საკვირველია? (VI, 68). თოფს დუგლუგი აქვს, მაგრამ ამის გამო არავინ ამბობს „დუგლუგის თოფი“-ო. „დუგლუგ“-ს ვაჟა „კონდახ“-ს ეძახის. მას თავის თხზულებებში არც ერთხელ არა აქვს ნახმარი სიტყვა „დუგლუგი“.<sup>1</sup> აშკარაა, რომ აქ დამახინჯებულია ავტო-

გრაფიკული „დუღგულის თოფი“ („დუღგულის თოფი“ — სათამბო თოფი, ხელთოფა“. „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“). როცა ვინიმე თოფს დასცინიან, იტყვიან: „დუღგულის თოფია“ ან „თოფიკაა“ (=ხელთოფა). შდრ.: როგორ შაიძლება, რო მაგ თოფიკეებმა ქართულ თოფივით ნადირი მოკლან? (IX, 38). სადავო ადგილზე პატრონი თვითონ დასცინის თავის თოფს (მართლაც, მას „ჯაზიერი“ აქვს. დანარჩენებს კი — „ბერდანეები“). მასასადამე, ტექსტში „დუღგულის თოფი“-ს მაგიერ „დუღგულის თოფი“ უნდა დაეწერათ.

...(ლექსომ) ხელად ორივე (ქათამი) დაიჭირა, ამოიჩარა ისინიც ილიაში და მოძუტვა თავგადაგლეჯილი გომურისაკენ (VI, 107). „მოძუტვაკ“ ზმნას ნამყო სრულში ქვემდებარე მოთხრობით ბრუნვაში ეწყობა: „მოძუტვა თავგადაგლეჯილმა“ (შდრ.: „მოუსვა გახარებულმა“, „მოკურცხლა შეშინებულმა“ და მისთ.). შდრ.: ...ბროლიამ მალე თავი დაგვანება და მოძუტვა შინისაკენ (II, 141, 13). ავტოგრაფში, ცხადია, იქნებოდა „მოძუტვა თავგადაგლეჯილმა“. მაგრამ სიტყვა „თავგადაგლეჯილი“ (იგივეა. რაც „თავქუდმოგლეჯილი“) ვერ გაუგიათ (თავგადაგლეჯილი, უთავო კაცი როგორ გაიქცეოდა, რაღაც კალმისეული შეცდომაა!), მოთხრობითი სახელობითი შეუცვლიათ და, ამგვარად, ტექსტი სხვაგვარად გაუაზრებიათ: ლექსო თავგადაგლეჯილი (სახურავანდლი) გომურისაკენ გაიქცაო... უნდა დაიწეროს „მოძუტვა თავგადაგლეჯილმა“.

...როცა კი დანახავდა, რომ ერთს ორი ან სამი სცემდა, იგი (ჩაღბო) მოსვენებას ჰკარგავდა და, როგორც თითონ იტყოდა, მაშინ „ეკლბზე იჯდა“. არ მოუთმენდა გული და პირდაპირ გადაიროდა: დაჩაგრულის ნაცნობობა მისთვის როდი იყო საჭირო (VI, 112). აქ აღწერილია ჩაღბოს ნერვიულობა ჩხუბში ჩარევის წინ („მოსვენებას ჰკარგავდა“. „ეკლბზე იჯდა“, „არ მოუთმენდა გული“), რასაც შედეგი, მოქმედება უნდა

<sup>1</sup> ასეთი კატეგორიული განცხადებისას ჩვენ ვყარდობით ვაჟა-ფშაველას თხზულებათა სიმფონიის ფონდს. რომელიც თბილისის უნივერსიტეტის ვაჟა-ფშაველას კაბინეტს აქვს.

მოწყვეს. ამიტომ „და“-ს შემდეგ კვლავ ჩაღბოს ფსიქიკური მდგომარეობის აღწერა („პირდაპირ გადაირეოდა“) უადგილო და მოულოდნელია. ვფიქრობთ, ავტორგრაფში უნდა ყოფილიყო „პირდაპირ გადაირეოდა“ (=გადაიჭრებოდა, გადაეშვებოდა, გადავარდებოდა ჩხუბში). ვაჟა იქვე წერს: ...დაიბუხუნებდა, როგორც ვეფხვი, და გადიჭრებოდა მისაშველებლად“-ო. „გადიჭრებოდა“ და „გადავარდებოდა“ სინონიმებია. ვაჟას ერთხელ ერთი გამოუყენებია, მეორედ — მეორე. შდრ. აგრეთვე: ...დღეში ვკრა ჩემსა ლურჯასა, გადავერიო ზღვაშია (I, 33). ამიტომ უნდა დავწეროთ: „პირდაპირ გადაირეოდა“.

...ერთი ქვა ჩაღბოსია, ერთი სხვისა — ხ ე ლ დ ა დ ვ უ ლ ა თ გამიხარდისა (VI, 116). უნდა: „ხელდადგმულათ გამიხარდისა“. ხელდადგმულანთ გამიხარდის (კაცის სახელია, ა. ჭ.) და ჩაღბოს საზიარო წისქვილში თითო ქვა ჰქონდათო, ამბობს ვაჟა.

...— გიჟია ეს მუღრეგი, რ ა ზ ე დ მ ა ჯ დ ე ბ ა ამ დ რ ო უ ლ ს კაცს, არა გრცხვენინან? (VI, 121). წინადადება გასასწორებელია. მეორე პირს მიმართავენ და უნდა: „მაჯდები“ (შდრ. იქვე: „არა გრცხვენინან?“). ამას გარდა „რაზედ“ ორი სიტყვაა „რ ა ზ ე დ“ (=ზედ როგორ, ზედ რატომ). შდრ. ზუსტად ასეთივე შინაარსის წინადადება: ...— სირცხვილი არ არია, ა მ დ რ ო თ ა ს კაცს რ ა ზ ე დ მაჯდებითო! (V, 25). ამ წინადადებაში „ამ დ რ ო თ ა ს“ ერთი სიტყვაა და ნიშნავს: ამხელას, ასე მოხუცს, ამღროულს. შდრ.: ...ნეტავი ის დრო ქნა დ მეც იმ დ რ ო თ ა ი ვ ა მქნა, რ ა მ დ რ ო თ ა ი ც მაშინ ვიყავ (VI, 169). ამრიგად, „ამ დ რ ო თ ა“, „იმღროთა“, „რ ა მ დ რ ო თ ა“ ერთად იწერება, ერთი სიტყვაა. ამისდაკვლად პირველ სადავო წინადადებაში „ამ დ რ ო უ ლ ს“ აგრეთვე ერთი სიტყვაა, იგი „ამღროთა“-ს სინონიმია. უნდა: „რა ზედ მაჯდები ამღროულს კაცს“.

...დ ა მ ა ხ ე თ ქ ა ოფლმა შუბლზე და მკერდზე (VI, 151) უნდა: „დამხეთქა

ოფლმა“ (=მომსკდა ოფლი). „დამხეთქა“ აქ უაზროა. ...ბაღლმა დაიწყო ტირილი, ც რ ე მ ლ ი დ ა ხ ე თ ქ ა თ ვ ა ლ ჯ ა ბ შ ი (II, 98). უნდა: „ცრემლმა დახეთქა“, რადგან ამ იდიომში სახელი ყოველთვის მოთხრობით ბრუნვაში დგას. შდრ.: ...ბევრჯერ დამხეთქა გულმკერდზე ოფლმა (II, 166). ეს თავისებური გამოთქმა (ალბათ „ცრემლი წასკდა“-ს ანალოგიით) რედაქციაში გადაუყეთებიათ. ...გამოვარდა ტყიდან ხარი ირემი და ვ ა ი ბ ო ტ ი ნ ა შ უ ა შ ა რ ა ზ ე (VI, 165). სიტყვა „გაბოტინება“ არ არსებობს. უნდა: „გაიბოტინა“ (=გაბიჯებული დადგა).

...ჩემსავით ტიალ-თხერი ყოფილა ისიც: მარტო ცოლ-ქმარნი ყოფილან. ა რ ა ვ ი ს შ ა მ ნ ა ხ ა ვ - დ ა მ მ ა რ ხ ა ვ ი არ დარჩენიათ (VI 168). ცხადია, უნდა იყოს: „არავინ“.

...მაშინდელი ფ შ ა ვ ე ლ ე ბ ი (უნდა: „ფშავლები“, ა. ჭ.) რო გენახათ, შეგზარავდათ, ისეთი ვაჟკაცები იყვნენ. ხარკამეჩისათვის რომ ხელი მოეგლო თითო ისეთი ვაჟკაცი გამოჩნდებოდა თავ-რქაზე, როგორც კატას ისე დააწყვეტდა მიწაზე (VI, 169). ნუთუ ძნელი შესამჩნევია, რომ აქ სიტყვებია გადასმული და წინადადება უაზროა? უნდა: „...თითო ისეთი ვაჟკაცი გამოჩნდებოდა, ხარკამეჩისათვის რომ ხელი მოეგლო თავ-რქაზე, როგორც კატას, ისე დააწყვეტდა მიწაზე“.

...ვინც გულით მოწყალეა და არა ს ა თ ვ ა ლ ფ ე რ ო დ, ე. ი. ქვეყნის დასანახავად კარგის მქნელი, — ჩუმად მოიპარება... (VI, 172). „სათვალფეროდ“ არ არსებული სიტყვაა. უნდა: „სათვალფეროდ“. შდრ. ...ცოლის სათვალფეროდ იმანა ცოტახანს საქმე აკეთა (ბაჩანა, 443).

...სუფრის გვერდზე იდგა არაყიანი ჩარეჟა. პირში დ ა ფ ა რ უ ლ ი ჰქონდა ყანწი (VI, 208). „პირში დაფარული ჰქონდა ყანწი“ უაზრო ფრაზაა. უნდა იყოს: „პირში დაფეული ჰქონდა ყანწი“. „დაფეული“ დაცობილს ნიშნავს. ანალოგიური შეცდომა იყო ხუთტომეულ-

ში: „...ჩარქქას გადააწოდა ხელი, გვერდზე ნადგომ ყანწით პირდახვეულსა“. ჩვენ ეს ადგილი გავასწორეთ („მნათობი“, 1962 წ. № 2, გვ. 170), მაგრამ ვასწორება ბოლომდე არ მიუყვანიათ. ახლა იკითხება: „გვერდზე ნადგომ ყანწით პირდაფეულსა“. გვერდზე ნადგომი ყანწი კი არ არის, ჩარქქაა (ყანწის დგომა არ შეიძლება). უნდა: „ჩარქქას... გვერდზე ნადგომს, ყანწით პირდაფეულსა“.

... (ვირმა) გაწყვიტა საბელი და გვერდზე ცხვირგაჭრილი გაიქცა (VI, 263). „გვერდზე ცხვირგაჭრილი“ უაზროა, არსაიდან ჩანს, რომ ვირს ცხვირი გაჭრილი ჰქონდეს. უნდა: „გვერდზე ცხვირგაჭერილი“. „ცხვირგაჭერილი“ ცხვირგაშვერილს ნიშნავს. ვასუქებულმა და გალაღებულმა უმხედრო საჯდომმა პირუტყვმა (ცხენმა, ჯორმა, ვირმა) სწორედ ცხვირის (თავის) გვერდზე გაშვერით იცის ხოლმე გაქცევა.

ტექსტში ზოგჯერ გამოტოვებულია ავტორის მიერ ამა თუ იმ სიტყვის განსამარტავად ფრჩხილებში ჩასმული სიტყვა. აი ამის ორიოდ მაგალითი:

...მდიდარს თუ ღარიბს ჯუფთად შენახული ჰქონდა ორაგულის ხორცი (VII, 64). პირველნაბეჭდში „ჯუფთად“-ს მოსდევს ფრჩხილებში ჩასმული სიტყვა „გამოსული“, რაც „ჯუფთად“-ის განმარტებაა. „ჯუფთი“ ბოლში გამოყვანილი, ბოლში გამოსული ხორცია, შაშხია, ამიტომაც მიუწერია ვაჟას „გამოსული“-ო. ეს სიტყვა უნდა აღდგეს ტექსტში.

...ნახანის მამაგონდები, სამ დღეს არა ვსტამ პურსაო (IX, 100). „ნახანის“-ს შემდეგ ვაჟას ფრჩხილებში უწერია „როდესაც“. ეს სიტყვა ვაჟას განმარტებისთვის უწერია და უნდა აღდგეს.

...რაიბული ქეიფიანად იყო, ქალებს უვლიდა: — ქალებო, დაუკარით ეზუზიანტი უნდა ვითამაშოო (VII, 165). ხელნაწერში იკითხება: „უთვლიდა“, რაც ფშაურად ნიშნავს, ავალებდა, უბრძანებდა (შდრ. ლიტერატურული „შეუთვლის“). ან ეს სიტყვა რედაქციაში ვერ გაუგიათ და „უვლიდა“-თი შეუცვლიათ,

ანდა კორექტურული შეცდომა გაპარულა პირველნაბეჭდში.

...ვიდრე სანთლები სანთლები ეყოფოდა და ჯანი სავედრებლად (VII, 188). ხელნაწერში იკითხება: „...სანთებლად და ...სავედრებლად“. ცხადია, ეს წაიკითხა უნდა მივიღოთ.

...სვე სუ მუდამ გვეჭირვების ლუღისა და უსვეოდ ვერც ხატს დავანამუსებთა-დ ვერც მკვდარს (VII, 252). უნდა: „ლუღისადა“ (=ლუღისთვის). „ლუღისადა“-ს შემდეგ მძიმე უნდა დაიწეროს.

...მომიშორეს, მომკვეთეს (VII, 296). უნდა: მომიკვეთეს (=გამაძვეს).

...დაისაბლუჯეს ფარები, თავზედ ჩაქნები ჰხედებაო (IX, 47). უნდა: „ჰხედებაო“ (=უხედებაო, შეენისო). რედაქციაში ეს დიალექტური ფორმა „გაუაზრიანებიათ“.

...დაგვლივნა ხოშარის გორმა, იქ წყლის არ გამოდენამა, ვიწრო-ვიწრომა ხევ-ხევმა, მოკლედ ფშავლების დენამა, წოწკურაულის ისარმა უწყალოდ გადმოდინარმა (IX, 58).

უნდა: წოწკურაულის ისრისა უწყალოდ გადმოდენამა“, როგორც ეს შეიღობილშია.

ცეცხო, შენ დამწვავ წესია, შენ რაღა, ღუშმის დეღაო? ქალო, შენ დამწვავ, წესია, შენ რაღა, ქალის დეღაო? (IX, 104).

ვაჟას ბებრი ხალხური ლექსი აქვს ჩაწერილი და გამოყენებული. მათ შორის ეს ერთადერთია ასე დამახინჯებული და უაზრო. ეს ლექსი მთაში საყოველთაოდ ცნობილია და ძნელი დასაჯერებელია, ვაჟას იგი ასე დამახინჯებული ფორმით სცოდნოდა. როგორც ჩანს, ტექსტი რედაქციაში შერყენილა. აი, თ. რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილი ამ ლექსის სრული და სწორი ვარიანტი.

ცეცხო, შენ დამწოვ, წესია, შენ რაღა, ნეღო შეშაო? ხმალო, შენ გამჭრი, წესია, შენ რაღა, ღუშმის ენაო? ქალო, შენ დამწყევ, წესია, შენ რაღა, ქალის დეღაო?

(თ. რაზიკ. გვ. 124. შდრ. აგრეთვე ამ ლექსის ხევისურული ვარიანტი: „ხევის. პოეზ.“, გვ. 280).

...ესთქვათ, ჩემი მბრძანებელი „ჯვარი“ მე შემომწყრა და ზიანს რასმე მიპირობს; მაშინ მყოფე „ჯვარი“ შუაკაცად შემოდის (IX, 156). „მყოფე“ უაზრო სიტყვაა. როგორც ჩანს, ეს არის დამახინჯებული სიტყვა „მოზავე“. „მოზავე“ ის ხატია, რომელიც ხატსა და კაცს შორის შუამავლად, შუაკაცად გამოდის. შდრ. იქვე: „...ხადური“ (აქაც და ცოტა ქვემოთაც უნდა: „ხადური“; ხადუ სოფლის სახელია, ა. ჭ.) ჯვარი კი „უღუმლივ“ მოსულა და... ოქროს სამართებელი და სალესველი მოუპარნია მოზავე ხატებისათვის (IX, 156).

...მაინც ყველა ხატ-ჯვარი ძალიან დამხიდავებია ჩვენი (IX, 155). „დამხიდავი“ უაზროა. უნდა „დამხედავებია“ (= მომხედავები, ყურადღების მომქცევნი).

...რამწერელ-ჩვილი ხარ და არ იცი (IX, 335). უნდა „მწერელ-ჩვილი (მწერელ-ო-შვილი „სულელი, ლენჩი, საწყალი“).

...შიაწყალოს, ვინც ჩვენის ხელით მოგონებას მოელოდეს, ჩვენს სახლს ბარაქას აძლევდეს და ჩვენ კი ვიგონებდეთ, იმის ნებასაც იქნება (IX, 339). „კი“-ს შემდეგ უნდა „ვერ“, როგორც ეს შვიდტომეულშია. „ნებასაც“-ის მაგიერ უნდა „ნებასამც“ („მცა“ ნაწილაკი ნატვრას გამოხატავს და ამ საირტიულო ფორმულაში ყოველთვის ამბობენ „ნებასამც“).

...უნდა საიხვე მოუქსოვოს, ახლოზი, ყველა ოჯახის წევრებისათვის (IX, 351). „წევრებისათვის“ რომ არასებური კომპოზიცია, ძნელი მისახვედრი არ არის. უნდა: „წევრებისათვის“ (ასეა შვიდტომეულში).

...ამ კითხვანედ ...წამოატყატდა

რამდენიმე ფშაველი (X, 10). სიტყვა „წამოატყატდა“ არ არსებობს. უნდა: „წამოატყატდა“ (წამოატყატდა და).

...ფეხწმინდა ირემი თუ ლახავდა ამ მთა-ბარის არემარეს და გახველპილი კოდალა თუ გაჰვივლებდა ბედის მომღურავ კაცისებ (X, 28). პირველნაბეჭდში იკითხება „კოსალა“. ეს სიტყვა რატომღაც ვარიანტად გაუტანიათ და „კოდალა“-თი შეუცვლიათ. „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ ვკითხულობთ: „კოსალა — კუთხ. (ქიზ.) იგივეა, რაც მელეღვია (ჩიტი)“-ო. მაშასადამე, კოსალა სხვაა და კოდალა — სხვა. „კოსალა“-ს ვარიანტად გატანა გაუმართლებელია.

დაბოლოს, ათტომეულის მეორე ტომში (გვ. 369) დაბეჭდილია ექვსსტროფიანი უსათაურო ლექსი, რომელიც ასე იწყება: „ჩემს ნათლიდეებს უთხარით...“ ეს ამავე ტომში დაბეჭდილი (გვ. 59) ცნობილი ლექსის („დათვის ტირილი“) დაბოლოების ვარიანტია და არა დამოუკიდებელი ლექსი. ვარიანტში ექვსი პირველი სტრიქონი დედნისაგან სრულიად განსხვავებულია, დანარჩენები კი მცირეოდენ სხვაობებს გვიჩვენებენ. მაგ., ძირითად ტექსტშია:

ჩემს ნათესავებს უთხარით,  
მოვიდენ, მნახონ თვალითა:  
უნდა ანდერძად დაეუგდო,  
რომ იმოქმედონ ძალითა.

ვარიანტში „მოვიდენ“-ის ნაცვლად იკითხება „მოვიდენენ“ და მესამე სტრიქონში სიტყვებია გადასმული: „უნდა დაუგდო ანდერძად“ და მისთ. ამდენად, ეს ნაწყვეტი ძირითადი ტექსტიდან ვარიანტებში უნდა გადავიდეს.

ჩვენი შენიშვნები ვაჟა-ფშაველას თხზულებათა ტექსტზე ამით არ ამოიწურება. სხვა შეცდომებზე, სხვა დროს ვილაპარაკებთ.





## საკგის ტაიფილი

### მღივკი უმარკოის ნაილი „ვეფხისტყაოსანზე“

ქართველი ხალხის უცხოელ მეგობართა შორის გამორჩევა სახელები და-ძმა მარჯორი და ოლივერ უორდროპებისა. ინგლისელმა ქალმა მარჯორი უორდროპმა თავისი ცხოვრების უმთავრეს მიზნად ქართული ენის შესწავლა გაიხადა, რათა ევროპელ მკითხველთათვის გაეცნო ქართული მწერლობისა და ხალხური შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები. მისი აზრით, ეს იყო ყველაზე სიმელო გზა, რომ უძველესი კულტურის მატარებელ ქართველ ხალხს თავისი კუთვნილი ადგილი მოეპოვებინა მსოფლიოს ხალხთა ისტორიაში.

თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე (1869-1909) მარჯორიმ ბევრი რამის გაკეთება შეძლო. ინგლისურად თარგმნა და გამოსცა: „ქართული ხალხური ზღაპრები“ (ლონდონი, 1894 წ.), ილია ჭავჭავაძის „განდელო“ (შესრულებულია ლექსად. ლონდონი, 1895 წ.), „წმ. ნინოს ცხოვრება“ (ოქსფორდი, 1900), ხელნაწერად დარჩა ილიას „მგზავრის წერილები“ და ა. შ. მაგრამ მის უმთავრეს შრომათაგანს წარმოადგენდა „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისური თარგმანი. თითქმის 18 წელი მონადრომა თარგმანზე მუშაობას. ამ წლებში მან ორჯერ იმ-

ოგზაურა საქართველოში, დაუმეგობრდა გამოჩენილ ქართველ მწერლებსა და მეცნიერებს. მათი დახმარებით სრულყოფდა და თანდათან ხვეწდა „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურ თარგმანს, თათბირობდა ცალკეული ადგილების გაგებაზე. საუბედუროდ, სიკვდილი ძალზე ადრე ეწვია პოეტ-ქალს. ორი ათეული წლის მუშაობის მიუხედავად, მას ჯერ კიდევ დასრულებულად არ მიაჩნდა თავისი შრომა. მისი ძმის, ოლივერის გადმოცემით, იგი სამუშაოდ ყიდევ ათ წელს ვარაუდობდა, რათა შესაფერად სრულყოფილი გამოსვლოდა მისთვის ასე საყვარელი თხზულების თარგმანი.

ქართული მწერლობის ნიმუშების ინგლისურად თარგმნის საქმეში დიდი სიყვარულით მუშაობდა მარჯორის ძმა ოლივერიც, აგრეთვე შესანიშნავი ლიტერატორი. როგორც ცნობილია, იგი თავის დასთან ერთად სწავლობდა და თარგმნიდა „წმ. ნინოს ცხოვრების“ ვერსიებს. მანვე ინგლისურად თარგმნა სულხან-საბას დიდებული წიგნი „სიბრძნესიკრუისა“ და, რაც განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია, ოლივერმა შეასრულა „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისური თარგმანის საბოლოო რედაქცია. ამ საქმეს მან

თითქმის სამი წელი მონადრომა. იგი პროფესიით დიპლომატი იყო და სხვდასხვა ქვეყნებში უხდებოდა მოგზაურობა. მიუხედავად ამისა, მას ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია პოემის ტექსტზე მუშაობა. „ვეფხისტყაოსნის“ უცხო ენებზე თარგმნის ისტორიისათვის საინტერესო ფაქტია, რომ რუსი პოეტი კონსტანტინე ბალმონტი „ვეფხისტყაოსანს“ მისი წყალობით გაეცნო. შუა ოკეანეში, გემზე ოლივერ უორდროპმა თავის ახლადგაცნობილ თანამგზავს გადასცა პოემის ინგლისური თარგმანის კორექტურა, რომელიც მას სამუშაოდ თან წამოეღო. თუ რა აღტაცება გამოიწვია „ვეფხისტყაოსნის“ პირველმა გაცნობამ, ეს კარგად არის ცნობილი ბალმონტის წერილით: „დიდი იტალიელები და რუსთაველი“. ამ შეხვედრამ შთააგონა რუს პოეტს ეთარგმნა შოთა რუსთველის გენიალური პოემა.

პოემის თარგმანის საბოლოოდ რედაქტირების დროს ოლივერს დიდ დახმარებას უწევდნენ ქართველი მოღვაწეები, რომელთა შორის, ოლივერისავე სიტყვით, ყველაზე უფრო გამოირჩეოდნენ აკად. ნ. მარი და პროფ. მ. წერეთელი. მათივე დახმარებით შესაძლებელი გახდა წიგნი ალჟურვილიყო შესანიშნავი მეცნიერული აპარატურით, რაც ძალზე იშვიათია „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემებში.

1912 წლის ინგლისურ გამოცემას ერთვის ოლივერ უორდროპის შესავალი წერილი. ოლივერის ეს შრომა ერთი საუკეთესოთაგანია მათ შორის, რაც კი უცხოურ ენაზე გამოქვეყნებულა რუსთველსა და მის პოემაზე. კარგ ლიტერატურულ ანალიზთან ერთად, წერილის ავტორი ავლენს ქართული სინამდვილის შესანიშნავ ცოდნას. რუსთველის პოემა აქ განხილულია ფართო თვალთახედვით, მსოფლიოს ლიტერატურულ შედეგებთან შეპირისპირებით. ავტორი ვრცლად საუბრობს რუსთველის შემოქმედების ეროვნულ ძირებზე, თამარის დროის ძლიერ ქართულ სახელმწიფოზე, რომელიც განსაკუთრებულ როლს თამა-

შობდა ახლო აღმოსავლეთში. ქრისტიანული ქართული სახელმწიფო, ავტორის აზრით, ერთგვარ შემაერთებელს და დასავლეთის აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურების დაახლოების საქმეში.

რუსთველის მსოფლმხედველობაზე მსჯელობის დროს მკვლევარი სხვა რელიგიათა შორის ქრისტიანობას პირველ ადგილზე აყენებს. მაგრამ აქვე ხაზგასმულია „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის მიდრეკილება თავისუფალი აზროვნებისაკენ, რომელსაც, შუა საუკუნეების მოაზროვნეთაგან განსხვავებით, ვერ ბოჭავს რელიგიური ფანატიზმი.

საგულისხმოა ავტორის მოსაზრებები რუსთველის გმირებზე, მათში გამოვლენილ ეროვნულ თვისებებზე. ავტორი ვრცლად განიხილავს „ვეფხისტყაოსნის“ პოეტის საკითხებს და აღნიშნავს, თუ რა თვალთახედვით უნდა მიუდგეს მათ აღმოსავლურ პოეზიაში გაუთვითცნობიერებელი მკითხველი, რათა სრულყოფილად შეიცნოს „ვეფხისტყაოსნის“ პოეტური ბრწყინვალეობა.

ამ წერილში მკითხველი ნახავს ზოგ უზუსტობასაც. მაგალითად, ავტორს „ვეფხისტყაოსნის“ სახელთა მეტი წილი სპარსული ჰგონია. უცნაურად ძღერს მსჯელობა პოემის მეტაფორულ სტილზე და ა. შ. მაგრამ ამგვარი უნებლიე ლაფსუსები იშვიათია სიყვარულითა და საქმის ცოდნით დაწერილ ნაშრომში, რომელიც ისახავდა კეთილშობილურ მიზანს: ევროპელი მკითხველისათვის გაეცნო ქართულ უკულმართობის გამო უსამართლოდ მივიწყებული პოეტური გენია, რომელიც, დღეს იქნება თუ ხვალ, თავის კუთვნილ ადგილს დაიჭერს მსოფლიოს პოეზიის ოლიმპზე.

„ვეფხისტყაოსნის“ 1912 წლის ინგლისურ თარგმანს და ოლივერის აქ დასახელებულ წერილს იმავე წელს გამოეხმარა ქართული პრესა. 1912 წლის გაზეთ „სახალხო განათლებაში“ (№ 633, № 634, № 635) ცნობილმა მწერალმა და მოღვაწემ თედო სახოკიამ ამ გამოცემას უძღვნა ვრცელი წერილი, სადაც მიმოხილუ-

ლია და-ძმა უორდრობების დეაწლი ქართული კულტურის პროპაგანდის საქმეში და თარგმნილია კიდეც სათანადო ადგილები. მას შემდეგ, თუმცა ბევრი რამ დაიწერა ქართული კულტურის ამ უნდაგარო მეგობრებზე, ოლივერ უორდროპის ეს საგულისხმო წერილი მთლიანად არ გამოქვეყნებულა.

ქვემოთ ვაქვეყნებთ ოლივერის ამ წერილს მცირე შემოკლებით, წერილს ბოლოში დაურთეთ შენიშვნები და წყაროთა მათითებელი.

„ეს ნაშრომი ცდაა ზუსტად, სიტყვა-სიტყვით ითარგმნოს ის წიგნი, რომელიც ერთი ბრწყინვალე წარსულის მქონე განათლებული ერის სარკედ ითვლება. ეს სარკე ალაგ-ალაგ გაბზარული და დაზიანებულია დროისა და ბედითი შემთხვევითობების გავლენით, მაგრამ სწავლულთა გულმოდგინე შრომას შეუძლია ისევ აღადგინოს მისი დაზიანებული ადგილები და დაუბრუნოს პირვანდელი ბრწყინვალეობა. თვით იმ მდგომარეობაშიც კი, რა სახითაც ეს ნაშრომი წარმოდგენილი, შეუძლია საზოგადო ყურადღება მიიპყროს.<sup>1</sup>

განხილვის ღირსია თვით პოემის თავდადასავალიც. ამ წიგნს განსაკუთრებული ადგილი ეჭირა იმით, რომ შვიდი საუკუნის განმავლობაში მთელი ერის საკითხავ წიგნად ითვლებოდა. უკანასკნელ ხანამდე ახალგაზრდობა მას ზეპირად სწავლობდა. ყოველ გასათხოვარ ქალს მოეთხოვებოდა ყოველი სიტყვა ამ წიგნისა ზეპირად სცოდნოდა და გათხოვებისას მზითვეში ამის ხელნაწერიც თან უნდა გაჰყოლოდა. ასეთი მოწინააღმდეგე წიგნისადმი და მერე ამდენი ხნის განმავლობაში, საბუთია იმისი, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გმირის ამბავი ქართული ცხოვრებისეული მსოფლმხედველობაა. მოწმობს იმ აზრის კუმარტებას, რომ მისი ღირსება, ცხადქმნილი 700 წლის ცხოვრებით, რომელიც უმეტეს წილად ტანჯვითა და წვალებით იყო სასევ, ცხადივე უნდა იყოს სხვა ერთათვისაც.

ასეთი წიგნი განძად უნდა ჩაითვალოს

მთელი კაცობრიობისათვის, განსაკუთრებით კი ისეთი ერებისათვის, ვინც, მსგავსად ქართველთა, ბერძნებთან ერთად ქრისტიანობის იდეალების გავლენა განიცადეს. ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს არა უცხო ფსიქოლოგიასთან, არამედ იმ ხალხის სულიერ ცხოვრებასთან, რომელიც, მართალია, მახლობელი აზიის გონებრივი მოძრაობის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, მაინც მთელი ათასი წლის ბრძოლის განმავლობაში ცხადად ამტკიცებდა, რომ მისი ბუნებრივი მისწრაფება მიმართული იყო დასავლეთ ევროპისაკენ, საითაც ასე გულმოდგინებით ჰქონდა მიპყრობილი დაქინებული მზერა.

იბერია აღმოსავლეთისა და იბერია დასავლეთისა,<sup>2</sup> — ორივეს გადაურა არაბთა ბატონობის ტალღამ და ორივე უხვად გააოხიერდა სემიტური სისხლით. თუმცა დანამდილებით არავენ იცის, ამ ორი ქვეყნის ერებს ჰქონდათ თუ არა ძველი ეთნიური რამ ნათესაობა, ამ გარემოებაზე მაინც არამცირედ საერთო დამახასიათებელი თვისებები დატოვა ორსავე ხალხს შორის; ესპანეთს ზურგს ქრისტიანობა უმაგრებდა, ხოლო საქართველო განმარტოებით იღგა და მარტოდ შეთენილმა გადაიხადა მოწამებრივი და დიდებული ჯვაროსნული ბრძოლა. მაგრამ შემდეგ ბრძოლა უიმედო შეიქნა და ამ ერთი საუკუნის წინათ მან თავის მფარველად და მოკავშირედ რუსეთის იმპერია აირჩია.

პოლიტიკურ და გეოგრაფიულ თავისებურებათა გამო საქართველო იყო ის ერთი მხარეთაგანი, რომელმაც ყველაზე უკეთ გვაჩვენა დასავლეთისა და აღმოსავლეთის აზროვნების დაახლოება. რაც ასე დამახასიათებელი იყო ჯვაროსნული ომების ეპოქისათვის. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ამ უკანასკნელ ხანებში ოსმალეთმა და სპარსეთმა თუ კიდეც გამოიჩინეს საქმარისი ცხოველმყოფელობა და რეფორმების შემოღებით სიცოცხლის გახანგრძლივებას ცდილობენ, ერთი-და-მეორეც იბერიელთა სისხლის შერევას უნდა უმადლოდეს.

მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო, რომ ის ხალხი, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება ქრისტიანობისათვის ბრძოლას შეაღია და აზიასა და ევროპას შორის ქრისტიანობის ხიდის გადგებას ლაშობდა, თავის უპირველეს მხატვრულ ქმნილებაში ჩააქსოვდა უკომპრომისო ქრისტიანულ აღმსარებლობას, მაგრამ შოთას აზროვნებას თავისუფლება უფრო ახასიათებდა, ვიდრე ფანატიზმი. ამიტომ იყო, რომ სხვადასხვა ხანაში, თვით მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისშიც კი, მართლმადიდებელი სასულიერო წოდება სდევნიდა და სპობდა პოემის ხელნაწერებს, და პირველად 1712 წელს დაიბეჭდა მხოლოდ იმის წყალობით, რომ მისმა გვირგვინოსანმა გამომცემელმა პოემას დაურთო სარწმუნოებრივ-მისტიკური განმარტება.<sup>3</sup>

პოემაში ნახსენებია მაჰმადი (1010)<sup>4</sup> და მექა (1144) და სამს ალაგას ყურანი (339, 514, 1144); ისლამის ოფიციალური წარმომადგენელი, ცოტა არ იყოს, ირონიულად არიან მოხსენიებულნი (339). ქრისტიანობა, როგორც საეკლესიო სისტემა, შეიძლება ითქვას, მხოლოდ ვაკერით იხსენიება (აღდგომა — აღვსების დღე), 536; ხატი, 247; ლუსკუმა, 1345; ბაკმი, ელვარება — 226, 229, 1110, 1410; მოიპოვება ზოგიერთი ციტატი „დაბადებიდან“: „სიმწარითა დანავლდება“, 99; „ირემი და წყარო“, 835, 1564; „მოუღერალნი ეყვანი“, 772; ქება „უხვობა-იფვობისა“ 1520; „ცხადი“ 110, 656, 707, 1431; „დაფარული საუნჯე“, 882; „დასჯერდეს“, „არცა სხვათა უწუნობდეს“, 18; „ზღვათა შესდის და გაედინების“, 49; აქა-იქ ნახსენები არიან ბიბლიური პიროვნებანი: ადამი, ბელზებელი, ეზრა, გოლიათი, ლევი და სატანა; საგოგრაფიო სახელწოდებანი: ედემი, ეფერატი, ჯეონი, ბისონი და გაბაონი. ერთგან თითქო მეორედ დაბადების (რეგენერაციის) დოქტრინასაც კი იხსენიებს ავტორი (184) და მეორეგან კიდევ ჯოჯოხეთს (785).

რუსთველი, თავის პოემას რომ წერდა, ეტყობა, არ ცდილობდა ერთი რომელიმე სარწმუნოება ღირსებით შეემ-

კო, ხოლო მეორე დაემცირებინა, რეა უპირატესობას არ ანიჭებდა რომელიმეს, არამედ ყველას კრიტიკულს მთავლითა უცქეროდა, და თვითონ შეიძულებოდა ცხოვრების შესახებ საკუთარი ფილოსოფია, საკუთარი მსოფლმხედველობა; არაბთა და სპარსთა აზროვნების გავლენის კვალი თუმცა გარკვეულად ეტყობა, მაგრამ ერთშიც და მეორეშიც ქრისტიანობისა და ნეოპლატონიზმის აზრები იმდენად არის გარეული, რომ ორსავე დასავლურ მსოფლმხედველობას უახლოვდება. „ქართველები მეათე და მეთერთმეტე საუკუნეებში ფილოსოფიის სფეროში იმავე კითხვების კვლევა-ძიებაში იყვნენ, რა კითხვებიც აინტერესებდათ იმ ხანის მოწინავე საქრისტიანო ქვეყნების მოაზროვნეებს როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში. ამ შემთხვევაში სხვებისაგან, სახელდობრ ევროპელთაგან, იმით განსხვავდებოდნენ, რომ იმ ხანებში ქართველებმა სხვებზე უწინ გასცეს პასუხი ფილოსოფიური აზროვნების ახალ მიმართულებას და აღჭურვილნი იყვნენ იმ დროისათვის სამავალითო კრიტიციზმით, რომელსაც საგანად ჰქონდა ბერძენთა ნაწერების განხილვა თვით ორიგინალებშივე.“<sup>5</sup>

მთელი პოემა გამოხატავს სიცოცხლისა და ქმედობისადმი უსაზღვრო აღტაცებას: ღმერთი... ბოროტს არ დაბადებს (1468, 1485); ბოროტსა სძლია კეთილმან (1337); რათგან შვება აქვს სოფელსა, თვით რად ვინ შეუწუხდების (687); ვინც რა უნდა თქვას, ქვეყანა ტურფაა, მშვენიერია საჭვრეტად, ზოგან რა რიგ უდაბურიც არ უნდა იყოს; მის შემყურეს ზოგს ემდერება და მღერის იმიტომ, რომ ბედნიერია, და ზოგი კიდევ ცდილობს ბედნიერი იყოს და ემდერებოდეს (946); ქვეყანა შემკულია ყვავილებითა, რათა დავსტკბეთ მათი ჭვრეტით, აქ არის ღვინო სასმელად, მშვენიერი სამოსელი და სამკაული სატარებლად, ნადირი სანადიროდ, სათამაშო თავის შესაქცევად, მტერნი შესაბმელად, მოყვარენი სასიყვარულოდ და შესაწვერად.

გასაჭირიც არ აკლია ქვეყანას, მაგრამ

მას უნდა ვებრძოლოთ; წესი არის მამაცთაგან ბრძოლა და ჭირთა თიენა (776); ცდა და გამარჯვება ღმერთსა უნდეს (883); რაც უნდა გაჭირვება ადგეს კაცს, გულის გატეხა მიიწვ არა ჰპართებს, „სიკვდილამდის ვის მოუკლავს თავი კაცსა მეცნიერსა“, თავის მოკვლა სატანას შესაფერი საქმეა (728, 786, 815, 854, 1169), ჭირსა გადრეკა არ უნდა; ღმერთი უხვია, თუმცა სოფელი ძვირია (911, 1338); ბოლოდ ღმერთი გაუმარჯვებს ყოვლსა, პირველ შენაზარსა (1365), ადამიანის სიმაჰავე ჭირსა შივან იცნობის (945), სიცოცხლე ღამის სიზმარსა ჰვავს (1572), წამიერია და არვისგან მისანდობელი (1575) და საქმე სოფლისა მხოლოდ ზღაპარი და ჩმაზია (697); ცოდნა კიდევ იმისთვის გვიანდა, რომ სიზმარსა და ამოვბას თავი დავაღწიოთ და დავიმკიდროთ სასუფეველი, შევეერთოდეთ „ზეთს მწყობრთა“ გუნდსა (1771); სიყვარული აგვამაღლებს (772); ძმა ძმისა უნდა ძმობილი (914); უნდა ვუერთგულოთ ჩვენს მოყვარეს, რომელთანაც გვაკავშირებს უფრო მტკიცე კავშირი, ვიდრე კავშირი ნათესაური (სისხლისა); ასეთი მოყვარისათვის ხაშს თავი არ დავრიდოთ სიკვდილსა და ჭირსა (296).

მთელი პოემა თავიდან ბოლომდე სავსეა მეგობრობის ქებათა-ქებით და მკითხველის თვალწინ იშლება ამბავი იმისა, თუ მნათობთა დარნი სამნი მეგობარნი, როგორ ევლებიან თავს ერთიმეორეს (6); თვით უზენაესმა მიჯნურობამ ადამიანის გულში გზა უნდა უტოს ამ უმაღლეს მოვალეობას (მეგობრობას); თვით დანიშნულმა, ახლად ჯვარდაწერილმა უნდა დასთმოს ამ გრძნობისათვის ყოველივე (292, 685, 688, 1541); ადამიანი მოყვრისათვის გზად და ხილად გაედება (685), რომელზედაც მისს მოყვარეს უვნებლად შეუძლია გავლა. რომ ქალებიც იზიარებდნენ ასეთს მოყვარეობას, ჩანს ტარიელისა და ასმათის დამამობილებსაგან. თანაც ერის უმაღლესი კულტურის დამამტკიცებელია, რომ ასეთი კავშირი დღესაც არსებობს. არ გვეგულება სხვა მხარე, სადაც ასეთი წმინდა მეგობრობა შესაძლებელი იყოს, სადაც ესენი ერთ-

მანეთთან ისე იყვნენ შეკავშირებულნი, რომელთანაც აზრი ცოლ-ქმრული კავშირისა ყოვლად შეუძლებელი ხდებოდა. ასეთ ჩვეულებათა გავლენას უნდა მივაწვროთ ერთის მხრით ერის უმაღლესი ცივილიზაცია. აგრეთვე ჭეშმარიტებადაა აღიარებული, რომ ქალისადმი პატივისცემა ძველისძველი კულტურის ნიშანია. რუსთველი მგოსანია მთელი ერისა; და ამგვარად, დახვეწილ ზნე-ჩვეულებას ერის მხოლოდ ერთი რომელიმე წრე კი არა ქმნის, ეს ზნე-ჩვეულება რომელისა-მე წრის პრივილეგიას კი არ შეადგენს, არამედ შემოქმედებაა მთელი ერისა; ის ადგილი (234, 235), სადაც ავთანდილი წამიერად ივიწყებს თავის „ვაჟაკობას“. ყველა ქართველს სირცხვილითა სწევავს, და თვით დღევანდელს, შედარებით გადაგვარების ხანაში, შეუძლებელია ქართველი მამაკაცი ქალის წინაშე უწყესოდ მოიქცეს. ქალი მამაკაცის სწორია; ღოამის ლეკვები იგივე ღომები არიან (39); პოემის გმირი ქალები დედოფლები არიან, სრული უფლებით მოსილნი; თავანთი გათხოვების საქმეს თავიანთ ნებასურვილზე წყვეტენ, მართავენ თავიანთ სამეფოს. ფატმანი ვაჭართ უხუცესის ცოლი, როცა ქმარი სხვაგანაა წასული, ვაჭრებისაგან ბაჟს თვითონ იღებს, წინ უძღვის ვაჭართა ამქრის ცოლებს კრებულს.

მოყვარეობა ამნაირად ცხოვრების უმთავრესი საგანია, უიმისოდ ცხოვრება არც კი ღირს; ხოლო მისი უმაღლესი გამოხატულება უკეთილშობილესი მიჯნურობაა (სტრ. 12), რომლის შესახებ პოემის შესავალ ტაეებშია ლაპარაკი. მიჯნურობა საზეო აღმაფრენაა (27,29), რომელსაც შეუძლია შეიპყროს გული მხოლოდ კეთილშობილი, ბრძენი, ტურფა, ქველი და ვაჟაკი ადამიანის (9). ეს გრძნობა გონების მიერ ნაკარანხევე კანონებს აღარ ემორჩილება, წინ უძღვის ცოლ-ქმრობას, მიჯნურს ღვთის ხატებად გარდაქმნის და განამზადებს მას იმ შემოქმედებითი აქტისათვის, რომლის საშუალებითაც კაცობრიობა უკუნითი უკუნისამდე ახლდება. მიჯნურობა ნაზი გრძნობაა (9), სპეტაკი და უმწიკვლო

(10), იგი დაფარული უნდა იყოს გარე-შეთავან (12) და არ საჭიროებს საპასუხო სიყვარულს. მიჯნური მოთმინებით უნდა იტანდეს სატრფოს წყენას (10), საგანი მიჯნურობისა უცვლელი უნდა იყოს (11), ზოლომდე სიმტკიცედ ურყევოა უნდა შეჰყვეს; როცა მიჯნურს სატრფო თანაუგრძნობს, სიკვდილი ტკბილია. მას სიკვდილი აღარ უმძიმს, რადგან საიქიოში ნეტარებას დაიძვეიდრებს (128, 1282). აი, ამ გრძნობათა ლელვაში ცურავს შეუღრეკელი და სწორუპოვარი ტარიელი, მსგავსი ვეფხისა, რომლის ტყავითაც არის შემოსილი. შოთა რუსთველი იმ აზრს იცავს, რომ მიჯნურმა „გულის საქმენი“ არავის უნდა გაუმჟღავნოს, რასაც გრძნობს, არ უნდა იმჩინედეც, უნდა „ითამაშოს სათამაშო“, ე. ი. მოხერხებულად, ოსტატურად ზარდოს გულში დასადგურებული გრძნობა, გარეგნულად კი არაფერი დაიძინოს, თითქო გულგრილი იყოს. ამ მხრივ ქართველი პოეტის აზრი ინგლისელი მკითხველის გულსაც ხვდება, მისი აზრი ინგლისელის აზრს სავსებით შეესაბამება. თუმცა რუსთველის მსჯელობაში ორი ისეთი მუხლიცაა, რომლებსაც იგივე ინგლისელი მკითხველი შეიძლება არ დაეთანხმოს, მისი აზრი არ ვაიზიაროს. ეს ვახლავთ: რუსთველის მიერ გაზვიადებულად აღწერა გაყრისაგან გამოწვეული ნაღვლისა და ხშორად ნახშიარი შედარება ადამიანის სილამაზისა ცის მნათობებთან (ასტრალური მეტაფორები). თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ სულიერ მღელვარებათა ასეთი გაზვიადება მის მიერვეა დაწუნებული (855, 911); სულიერ მღელვარებათა ვადაჭარბების გამოხატვა ჩვენს მწერლობაშია<sup>6</sup> მოგვეპოვება თვით მეფორამეტე საუკუნის დასასრულამდეც კი; ხოლო 806-ე და 1423-ე ტაბების მსგავსი ადგილების ანალოგიები არცთუ იშვიათად გვხვდება საერთოდ დასავლეთის ლიტერატურაში; არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საყვარლის მოშორება ისეა მიჩნეული, როგორც უკანასკნელი წამი, რომლის შემდეგ მან თვისი მოყვარე შეიძლება, ან უკეთ, უფრო მოსალოდნელია, ვეღარც იხილოს და

ამიტომ ასეთი განშორება რაღაცნაირად/თითქოს სიკვდილს მიემსგავსება. (994)<sup>7</sup> სიკვდილის სამოსელით იმოსება მის თვალში. მიჯნურობა პოემის გმირებისა, როგორც კაცისა, ისე ქალისა, აღწერილია უბრწყინვალესი ზეციური ნათლით, მშვენიერი არსების მშვენიერი კდემამოსილება და ბრწყინვალეობა სულისა ბნელ-მოქმედებასთან შეჯახების დროს უმეტესად შუქმფენია ხოლმე, ვიდრე ცის მნათობნი, რომელნიც ძველად გაღმერთებისა და თაყვანისცემის საგნად ჰქონდა დასახული ადამიანს. გარდა ამისა, პოემაში სამი არასასიამოვნო შემთხვევაცაა მოთხრობილი: ავთანდილისაგან ჭაშნავის მოკვლა, მისგან ფატმანის გამიჯნურება და ტარიელისაგან ხვარაზმშას მოკვლა. ჩვენ აზრად არა გვაქვს ზნეობრივ მოქმედებად ჩავთვალოთ ხსენებულნი საქციელები პოემის გმირთა; გვირჩევენია ვიფიქროთ, რომ ასეთი საქციელი იმდენადვე საწყენი იყო რუსთველისთვისაც, როგორადაც ჩვენთვის. ასეთი ქცევა საჭირო იყო მხოლოდ ინტრიგის ნასკვისათვის და სამივე საქმე ჩადენილი იყო ქალის გულისათვის თვით ქალებისავე პირდაპირი ვაგლენით. რაც შეეხება ტარიელის მრისხანებას და მის მიერ როსტევანის ყმათა და ხატაელთა გაჟლეტას,<sup>7</sup> იმ აზრისა ვართ, რომ ტარიელს ამ შემთხვევაში მისივე სიშმაგე ამართლებს. ანალოგიურია მოქმედება ჰამლეტისა, რომელსაც მამის სიკვდილის გამო დარდმა, ტახტისა და სატრფოს დაკარგვამ გონება წაართვა, გააგიჟა და ერთხანად კაცის მკვლელებსაც კი გახანდა; მაგრამ ამ დროებითმა გონების უცნობელობამ გაუარა თუ არა, ბუნებრივი სიღინჯე კვლავ დაუბრუნდა და ყმაწვილურმა ლალობამ სულისამ ისევ თავი იჩინა...

რაც ითქვა, საკმაოდ მიგვაჩნია, რომ მკითხველისათვის გვეჩვენებინა პოემის მთავარი დედა-აზრი, ხოლო დამატებაში მკითხველი იპოვის განსაკუთრებით საინტერესო ადგილების განმარტებას, როგორც კონკრეტული, ისე აბსტრაქტული სიტყვა-აზრების ასხნას.<sup>8</sup>

ახლა კი საჭიროდ მიგვაჩნია ცოტა რამ თვით პოეტის შესახებაც ითქვას, თუმ-

ცა, უნდა გამოვტყდეთ, რომ მის შესახებ უფრო ნაკლები ისტორიული ცნობებია დარჩენილი, ვიდრე შექსპირის შესახებ. რუსთველს, როგორც ჩანს, უნდა ეცხოვრა 1172 და 1216 წლებს შუა. მის სახელს — შოთას — იქნებ ჰქონდეს კავშირი ძველი არმაზის კერპის სახელთან, თუმცა ამგვარი სახელი ძალზე იშვიათია მე-11, მე-12 საუკუნეთა ქრონიკებში.<sup>9</sup> სიტყვა რუსთველი ნიშნავს რუსთავის მცხოვრებს. ერთი რუსთავი სამღვდელმთავრო კათედრა იყო, ხოლო მეორე რუსთავი სოფელია, სადაც შოთა დაიბადა, რადგან თვითონა სწერს თავის თავზე — მესხი ვარ, რუსთავისა დაბისაო;<sup>10</sup> ასე რომ, პოეტი დაბადებულია რუსთავში, ახალციხის მაზრაში; მასასადამე, ჩამომავალია მესხთა ტომისა (შესაქმეთა X, 2; ფსალმუნი, თავი 106, მუხლი 5; ეზეკელი XXVII, 13, XXXII, 26); ზეპირი გადმოცემის თანახმად, შოთა ყრმავე დაიბლბულა, აღსაზრდელად აუყვანია ბიძას, რომელიც ბერად ყოფილა მონასტერში. პირველდაწყებითი სწავლა-განათლება მიუღია რუსთავის სასულიერო სისწავლებელში და აგრეთვე ტბეთის, გრემისა და იყალთოს მონასტრებში; შემდეგ განათლების სრულყოფისათვის, იმდროებით ჩვეულების თანახმად, გაუგზავნიათ ათინაში, ოლიმპსა და იერუსალიმში. იქიდან დაბრუნებულს დაუწერია შესხმა წმიდანად აღიარებულ თამარ მეფისა (1184-1212), რომლის მეფობაში საეკლესიო ფრთა გაშალა საქართველოს პოლიტიკურმა სიძლიერემ და მწერლობაც უმაღლესად განვითარდა. ამისთვის შოთა დიდბულის და კეთილ გვირგვინოსნის ბრწყინვალე სასახლის მეჭურჭლეთუხუცესად დაუნიშნავთ. ამბობენ, რომ მისი სამშობლო სოფელი ჯამაგირის მაგიერ მისთვის სამკვიდრებლად უბოძებიათ. თბილისის სასინოდო კანტორის არქივში დაცულია ერთი საბუთი 1190 წლისა, ხელმოწერილი შოთას მიერ, როგორც მეჭურჭლეთუხუცესისა:<sup>11</sup> ამ დროს შოთა სრულებით ყმაწვილი უნდა ყოფილიყო, თუ მართლა 1172 წელს დაიბადა. ზეპირი გადმოცემავე მოგვითხრობს, რომ შოთას უიმედოდ ჰყვარებია

თამარ მეფე და ამის მიზეზით ჯგრის მონასტერში (იერუსალიმში) ბერად შემდგარა. ამ მონასტერში ერთ სვეტზე დახატული სურათის თავზე შემდეგი წარწერაა დარჩენილი. „შეუნდევ, უფალო, შოთას, ამის დამხატველს. ამინ. რუსთაველი“.<sup>12</sup> საკვირველია, რომ სიტყვა „რუსთაველი“ „ამინ“-ის შემდეგაა მიწერილი; ყოველ შემთხვევაში, არსებობს სურათი, რომელიც მკითხველს შეუძლია მიიჩინოს ისეთად, რომელიც ეთანხმება პოემასი გამოვლენილი პოეტის პიროვნებას. შოთაზე ბევრი ლეგენდაა დარჩენილი; თანახმად ამ ლეგენდებისა, შოთას თამარ მეფე ჰყვარებდა და ცოლად კი ერთი ვინმე უღირსი ქალი შეურთავს.

„ვეფხისტყაოსნის“ უძველეს ხელნაწერად უნდა მივიჩნიოთ ტყავზე დაწერილი, უთარილო ხელნაწერი, რომელიც, როგორც პლატონ იოსელიანი მოწმობს, თ. გრიგოლ წერეთლის კუთვნილება ყოფილა; მეორე ხელნაწერი ქალაქზე ყოფილა გადაწერილი, როგორც ამბობენ, 1443 წელს; მესამე ხელნაწერს 1678 წლის თარიღი ჰქონია. ეს ხელნაწერები ჰქონია ხელთ მეფე ვახტანგ მეექვსეს, როცა 1712 წელს პირველად დაუბეჭდავს „ვეფხისტყაოსანი“. მაგრამ, ეტყობა, სამივე ხსენებული ხელნაწერი დაკარგულა, და რამდენადაც ვიცით XVII საუკუნეზე ადრინდელი ხელნაწერი არ არსებობს და 1646 წლისაზე ძველი თარიღი არც ერთ ხელნაწერს არ უზის. შეტად სასურველია, ყურადღებას მიაქცევდნენ ტექსტის გაწმენდას.<sup>13</sup>

პოემა დაწერილია ოთხსტრიქონიან ტაეპებად, თითოეული ტაეპი 16 მარცვლიანია, ხმის ამაღლების მიხედვით ყოველი სტრიქონი ორად იყოფა. შიგ მოხსენებულია — „დავითის“ ქნარზე (1574) სიმღერა, რომელიც შეიძლება ებრაელთ შემოგეტანოთ ბაბილონის ტყვეობის ეპოსს. ხოლო საქართველოს მთა ადგილებში დღესაც გაიგონებს კაცი მესტვირეთავან თქმულ ტარიელის ამბავს.

აქ (ქართულად) ამოვწერთ ერთ ტაეპს, რომელმაც შეიძლება მკითხველს წარმოადგენინოს ღირსება ლექსისა და ამით ქართულს ენას ააცილოს ის საყვე-

დური, წამოსროლილი ზოგიერთ მწერა-  
ლთაგან, რომელთაც ამ ენაზე ოდნავი  
წარმოდგენაც არა აქვთ:

მზე უშენოდ ვერ იქმნების,  
რადგან შენ ხარ მისი წილი,  
განალამცა მას იახელ  
მისი ეტლი, არ თუ წბილი,  
მუნა გნახო, მანდვე გსახო,  
განმინათლო გული ჩრდილი,  
თუ სიცოცხლე მწარე მქონდა,  
სიკვდილიმცა მქონდა ტკბილი.

ევროპელთ, ვისაც კი გაუგონია ქარ-  
თული, ჰგონიათ, ვითომ ეს ენა უხმო და  
ხორხისმიერ ასოთა ყურთასმენის წამ-  
ლებ გროვას წარმოადგენს და შიგ ხმოვა-  
ნი იშვიათად ეროს. მართალია, უხმო  
ასოთა შეჯარვა, რაიც ესოდენ ვჩიორთე-  
ბა დასავლეთის კაცის ყურსა და თვალს,  
ქართულში ხშირად გვხვდება და ამ ენის  
სიძლიერეც სწორედ ეს ვახლავთ. ერთი  
თანამედროვე ოსმალთა პოეტი ერთ ქა-  
რთველ ბანოვანს ასე მიმართავს: „შენ,  
ვისაც ლაბარაკი ლომის ჭეჭას მივიგავს!“  
მაშასადამე, ეს შეჯარვა უხმო ასოთა  
მხოლოდ ფონეტიკური სახეა ქართუ-  
ლი ენისა, რომელიც სააშვიკო და ყრმა-  
თა დასაძინებლად შეთხზულ ლექსებში  
შეიძლება ისეთივე ტკბილი და საალურ-  
სო იყოს, როგორც იტალიური ენა  
(„ტკბილ-ქართული“, 692), ხოლო ფი-  
ლოსოფიური და სარიტორი ნაწარმოე-  
ბებში იმდენადვე მკვეთრი და კეთილ-  
ხმოვანია, რამდენადაც მკვეთრი და კე-  
თილხმოვანია კასტილიური გამოთქმა  
ესპანური ენისა.

ქართული ენა უადრესად განვითარე-  
ბული სამწერლო ენა იყო თვით ქრის-  
ტიანობის დასაწყისშივე და ლურს-  
მულ წარწერათა მკვლევარნი იმ აზრს  
ადგებიან, რომ ამ ენაზე ლიტერატურა  
ისტორიის თვით უძველეს ხანებში არ-  
სებობდაო. ისეთი სიძლიერე მათი მიზო-  
ზგრისა, რომ ბერძნული მეტაფიზიკური  
თხზულებანი არამცთუ სიტყვა-სიტყვით  
უთარგმნიათ მისი საშუალებით, არამედ  
ზოგჯერ მარცვალ-მარცვლობითაც. რო-  
დოსში, პეტრიწონის მონასტერში, დღეს  
ბაჩკოვად წოდებულში (ბულგარეთში),

რომელიც დაარსებული თუ განახლებუ-  
ლი იყო ქართველთა მიერ 1083 წელს და  
რომელსაც დღესაც ატყვია კვალი: მათის  
პატრონობისა, ფილოსოფიური სემინა-  
რია არსებობდა და აქ ნეოპლატონური  
და სხვა მრავალი თხზულება თარგმნეს  
ქართულად. ერთი ქართველი ბერთაგანი  
იოანე პეტრიწონელი მეთერთმეტე საუ-  
კუნის დასასრულში თუ მეთორმეტის  
დასაწყისში აი რასა წერდა: „სათეორიო  
და საფილოსოფიო თხზულებათა თარგმ-  
ნის დროს საჭიროდ მიმანია ვეცადო,  
რაც შეიძლება მარტივად გადმოვიღო  
აზრი და თან ენის (დედნის) თავისებუ-  
რებაც ზედმიწევნით დავიკვაო“. ამ ამო-  
ნაწერ ადგომს არჩევს პროფესორი მარი  
და წერს: „იოანე პეტრიწონელმა გად-  
მოთარგმნა არა მხოლოდ აზრი, ირამედ  
სიტყვებიც, თვით ის სიტყვებიც, რო-  
მელნიც ქართულში არსებობენ: მარ-  
ტო ტერმინებს არა სჯერდება მთარგმ-  
ნელი, სანამ ეს ტერმინები დედანს ეტი-  
მოლოგიურად არ შემოსავენ... მისი წყა-  
ლობით დღეს ქართულ ენაზე მზა-მზარე-  
ული საფილოსოფიო ტერმინოლოგია  
მოგვეპოვება, მოგვეპოვება ზედმიწევ-  
ნით და სხარტულად გამოთქმული ქარ-  
თული სიტყვების საშუალებით ყველა ის  
ტერმინი, რომელნიც ევროპულ ენებში  
ლათინურ და ბერძნულ ენათაგან არიან  
ნასესხებნი“. აი, სწორედ ასეთი ერთ  
წერს რუსთველი და თანაც ისეთი მალა-  
ლი ოსტატობით, რომ უცხო მკვლევარს  
პირველად თვალს სჭრის სირთულე, მაგ-  
რამ იგი მალე სწვდება თვით ნაწარმოე-  
ბის აზრს.

ყოველ ტაგებს ზოგჯერ ერთნაირი და-  
ბოლოვება აქვს, და მკითხველს ჰგონია.  
თითქო ერთი და იგივე იყოს (მაგალ. სი-  
ტყვა ასადაგეს, 136), ენის საკმაო ცოდ-  
ნა და კარგი დაფიქრება საჭირო, რომ  
გაიგოთ, რა აზრითაცაა თითოეული მათ-  
განი ნახმარი. მკითხველს პირველად შე-  
იძლება კიდევ მოეჩვენოს, თითქოს პო-  
ემის აზრი უფრო სმენის დატკბობა იყ-  
ოს, ვიდრე მოთხრობა რისამე; თითქო  
იმისთვის იყოს დაწერილი, რომ მკითხ-  
ველი გაართოს და კარგ გუნებაზე დააყე-  
ნოს, ვიდრე გასაგებად მოუთხროს რამე

მის გონებას; მხოლოდ საკმაო შრომის შემდეგ შევიძლიათ არაკის ლოგიკური ერთიანობა თვალწინ ნათლად წარმოიდგინოთ.

დიდი პოლემიკა ატყდა იმ დრამატულ-ლი ამბის ვარშემო, რაც პოემის საფუძველს შეადგენს, ბევრი სამელნე ამოცლილა ამ ადგილების გამო: „ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანები“ (16) და „მე რუსთველი ხელობითა ვიქმ საქმესა ამაღარი“ (15). უნდა ვთქვათ, რომ დღემდე ამისი მსგავსი სპარსულ-ამბის კვალიც კი არსად აღმოუჩენიათ; და აღმოჩენილიც რომ იყოს ასეთი რამ, ჩვენი ავტორის სახელსა და დიდებას ისევე არა დააკლდება რა, როგორც შექსპირისას არ დაჰკლებია ლუიჯი და-პორტუს ამბების არსებობის გამო. შეიძლება რუსთველმა ისარგებლა უკვე არსებული ამბით. ეს აზრი, ყოველ შემთხვევაში, შეიძლება ვაღიაროთ ერთადერთ და უზარალო გზად ავთანდილისა და ფატმანის გამიჯნურების ამბის წარმოსაშობად, რომლითაც რუსთველი, ცოტა არ იყოს, უხალისოდ სარგებლობს, მაშინ, როცა მისი დანიშნულებაა ტარიელის პიროვნება გააშუქოს უძლიერესი შუქით, პიროვნება იმ ტარიელისა, რომელიც როგორც უებრო მიჯნური, შედარებულია მის ძმადნაფიცთან, უგულადეს და უღაბბაისლეს კაცთან. და პოეტი არც კი შეთხზავდა ამ ეპიზოდს და პოემაში არც კი ჩაურთავდა, პოემის კვანძის გასახსნელად საჭირო რომ არ ყოფილიყო.

მართალია, თითქმის ყველა მოქმედ პირს სპარსული სახელები ჰქვია — შეიძლება მხოლოდ ტარიელი, თინათინი, დეიარი და ავთანდილი იყვნენ ქართულნი (უკანასკნელი საუჭუოდ მიგვაჩნია) — და მართალია ისიც, რომ პოემაში ბევრი სპარსული სიტყვაა ნახმარი, მაგრამ ამის მიზეზი უნდა იყოს, ერთის მხრით, განზრახვა რუსთველისა, რომ თანამედროვე ცხოვრების შესახებ კი არა, სულ სხვა ქვეყნისა და ხალხის შესახებ გელაპარაკებით, და მეორეს მხრივ, იმ დროში მოდა იყო ასე ეწერათ, და ეს მოდა კიდევ ბუნებრივი შედეგი იყო იმ ლიტერატურული სიმპათიისა, ამ ორ მე-

ზობელ და განათლებულ ხალხს შორის რომ არსებობდა.

ამ შემთხვევაში პროფესორ ალ. ნაშვილის თეორიასაც შეიძლება ჰქონდეს საფუძველი. სახელდობრ, ტარიელისა და ავთანდილის ამბის ვარიანტები ხალხში ლექსად არის დარჩენილი, განსაკუთრებით მთებში, და თამარის წინა ხანებში ეს ლექსები ზეპირსიტყვაობის ნაწილს შეადგენდაო; ხოლო თვითონ ისტორიული ფაქტი დიდებული დედოფლის ტახტზე ასვლისა მამის სიცოცხლეშივე „ვეფხისტყაოსნის“ ამბავს შესავლად დაედო.

ერთი გარემოებაც შეიძლება საყურადღებოდ მივიჩნიოთ: არაბულ მწერლობაში ხშირად გვხვდება ეპიგრამული სტილით შესრულებული ხოტბა ანუ ქება. „ვეფხისტყაოსანშიც“ საკვირველი სიხშირითაა ნახმარი ეს სიტყვა. რამდენსამე ათეულ ტაეპში გვხვდება სიტყვა „ქება“, აგრეთვე გვხვდება არაბული სიტყვა ხოტბა (3, 1009; 1095), თითქმის იმავე აზრით ნახმარი; აგრეთვე ლაპარაკია პროფესიონალი ევლოგისტის, მაქეზი კაცის (1527) შესახებ; დასასრულ, ერთ ადგილას ნათქვამია, რომ პოემა ქებათაგან არის შეთხზული (1574). მეცნიერთა საქმეა ეს საგანი გამოიკვლიონ და აღმოაჩინონ, იქნებ ეს მრავალრიცხოვანი ქებანი უფრო ძველნი აღმოჩნდნენ, ვიდრე თვით პოემა, და შეიძლება მიუხვდნენ მიზეზსაც, თუ რისთვის აირჩია შოთამ თავისი პოემისათვის ლექსის სახე (შეიარად წოდებული)...

ინგლისურად მთარგმნელი ამ პოემისა ეცადა მკითხველისათვის გაეცნო ავტორის იდეა და მისი ენა, ამ იდეის გამოსათქმელად ნახმარი, ეცადა იმავე სისწორით, რა სისწორითაც ქართველ მკითხველს შეუძლია თვით დედანში გაიგოს როგორც ერთი, ისე მეორე. ამის თარგმნას შეუდგა კენტში (ინგლისში) 1891 წელს და მისი პირველი ვარიანტი დაასრულა ქერაში 1891 წლის ბოლოს. მას შემდეგ მრავალჯერ შეასწორა და შეავსო ეს თარგმანი, მუშაობა არ შეუწყვეტია 1909 წლის დეკემბრამდე. ამდენი შრომა გასწია, მაგრამ კმაყოფილი მაინც

არ იყო, თარგმანი უნაკლოდ მაინც არ ეჩვენებოდა. მისი აზრით, ათი წელი მაინც დასჭირდებოდა, რომ თარგმანს საბოლოო სახე მიეღო. რაც უნდა იყოს, ეს ნაშრომი ხელს შეუწყობს ქართული ენის შესწავლის საქმეს ევროპაში და უნდა ჩაითვალოს იმ კიბის საფეხურის ქვად, რომელიც სხვებს სიარულს გაუადვილებს ამ საქნელო საქმეში. რამდენადაც ვაგვიგია, უნდა არსებობდეს რამდენიმე სიტყვა-სიტყვითი თარგმანი რუსულად (მათს შორის ვანსვენებულ მიხ. პოლტარაკისა), და ერთიც ფრანგულად (ბ. იონა მეუღარეასი), მაგრამ ვერას ვზოთ მოხერხდა, რომ ამის მთარგმნელს ენახა ან ერთი და ან მეორე ხსენებული თარგმანი. მისი გარდაცვალების შემდეგ ერთ-მა სცადა ტფილისში რუსული თარგმანი დაებეჭდა ვაზეთში, მაგრამ საზოგადოებას არ მოეწონა ეს თარგმანი და, სამწუხაროდ, მთარგმნელი იძულებული გახდა შეეჩერებინა მისი ბეჭდვა.<sup>15</sup> ბატონ არტურ ლაისტის მეტრიკული თარგმანი პარაფრაზით გერმანულად, რომელიც გამოქვეყნდა დრეზდენსა და ლაიპციგში, კარგად ვადმოგვეცემს შინაარსს პოემისას და მკითხველათვის არ იქნებოდა ურიგო მისი წაკითხვა.

როგორც ვიცით, დედანი პოემისა შერყენილია, შიგ ბევრი ყალბი ადგილია. ამასთან არ არსებობს კრიტიკულნი ვა-მოცემანი და მისნი მსგავსნი სახელმძღ-

ვანელონი ლექსიკოგრაფიულნი, გრამატიკულნი, ფილოლოგიურნი, ისტორიულნი, როგორც ყოველივე ეს სტრუქტურლობის მკითხველთ აქვთ ხოლმე. ამის მიზეზით ბევრი ადგილის ზედმიწევნით ახსნა და განმარტება შეუძლებელი შეიქმნა, და ამიტომ ასეთი ადგილები სიტყვა-სიტყვით არის თარგმნილი. აქ ჩვენს სასიამოვნო მოვალეობად მიგვაჩნია მოვიხსენიოთ ის პირნი, ვინც თავი არ დაზოგეს და დახმარება ვაგვეწიეს ბეჭდვისათვის ამ წიგნის დასამზადებლად. ამ დახმარებაში წილი ისე ბევრს უდევს, რომ სათითაოდ მოხსენება ყველასი შეუძლებლად გვეჩვენება. მაგრამ არ ძალგვიძს განსაკუთრებული მადლობა არ შევწიროთ ბ-ნს მიხეილ წერეთელს, რომელმაც კეთილ ინება და მთელი ხელნაწერი გადაიკითხა, და აგრეთვე პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორს ბ-ნს ნიკო მარს, რომელმაც მოგვაწოდა მრავალი წყარო და თან ნება დაგვართო ინგლისურად გვეთარგმნა და დამატებად დაგვებეჭდა მისი რუსულ ენაზე დაწერილი გამოკვლევა პოემის წინასიტყვაობისა და ბოლოსიტყვაობაში მოთავსებული ბუნდოვანი ტაეპების შესახებ.<sup>16</sup> იმედი გვაქვს, დამხმარენი და ხელისშემწყობნი თვისის შრომის ჯილდოდ მიითვლიან გარემოებას, რომ თანამშრომლობა გაუწყვის იმ ადამიანს, რომელსაც ეცოდენ უყვარდა რუსთველი და საქართველო.<sup>17</sup>

#### შენიშვნები:


1. საუბარია „ვეფხისტყაოსნის“ მარჯორი უორდრობისეულ თარგმანზე.
2. დასავლეთ იბერიაში იგულისხმება პირენეის ნახევარკუნძულზე მცხოვრებნი, რომლებიც დღეს ბასკების სახელით არიან ცნობილნი.
3. იგულისხმება ვანტანგ მეექვსის კომენტარები, სადაც „ვეფხისტყაოსნის“ მიჯნურობა ვაგებულია, როგორც საღვთო სიყვარული.
4. სტროფები მითითებულია 1912

წლის ინგლისური თარგმანის მიხედვით, რომელიც ფაქტიურად ემთხვეოდა ქართველიშვილისეულ გამოცემას.

5. Н. Я. Марр „Иоанн Петрицский“, პეტერბურგი, 1909 წ., გვ. 61.
6. იგულისხმება ინგლისური პოეზია.
7. იგულისხმება მონადირე ქმებთან ტარიელის შეხვედრის ამბავი.
8. წერილის ავტორი გულისხმობს 1912 წლის ინგლისური თარგმა-



- ნის გამოცემაზე დართულ კომენტარებს.
9. სახელი შოთას დაკავშირება არმაზის კულტთან მოდის თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობიდან. იხ. მისი „განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა“ (გ. იმედაშვილის რედაქციით), 1960 წ. გვ. 5.
  10. ამ შემთხვევაში იგულისხმება ამ სტროფის ასეთი წაკითხვა: „ვეფერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისა დაბისა“, რაც გავრცელებული იყო მე-19 საუკუნის გამოცემებში.
  11. არ ჩანს, თუ რომელ საბუთს გულისხმობს აქ წერილის ავტორი. თუ აქ ჭიაბრის ცნობილი „დაწერილი“ იგულისხმება, მაშინ ეს თარიღი (1190 წელი) არ არის ზუსტი, თანაც ამ საბუთში შოთა მეჭურჭლეთუხუცესად არ იხსენიება.
  12. ჯვარის მონასტრის წარწერა მოტანილია არასწორად, რაც წერილის ავტორის ხელთ არსებული წყაროებით არის გამოწვეული. ახალი მასალებით წარწერა იკითხება: „ამისა დამხატავს შოთა(ს) შეუნდგნეს ღმერთმან ამინ—რუსთველი“ (იხ. აკადემიკოსების ი. აბაშიძის, ა. შანიძისა და გ. წერეთლის - იერუსალიმში მოგზაურობის მასალები).
  13. პლატონ იოსელიანის მიერ აღნიშნულ სამ ხელნაწერთაგან პირველი ორი ამჟამადაც დაკარგულია ითვლება, ხოლო მესამე ხელნაწერი 1934 წელს ჩამოტანილ იქნა საქართველოში. ეს არის პოემის ძალზე მნიშვნელოვანი ნუსხა, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში „ზახასულის“ სახელითაა ცნობილი (ხელნაწერის თავგადასავალზე იხ. გ. ლეონიძის „ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, 1949 წ. გვ. 304-323).
  14. იხ. ნ. მარის ზემოთაღნიშნული შრომა. გვ. 35.
  15. როგორც ჩანს, იგულისხმება შ. დავიძის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე ნაწყვეტის თარგმანი. იხ. გაზ. „Закавказье“, 1910, № 282, № 288.
  16. იგულისხმება ნ. მარის შრომა: «Вступительные и заключительные строфы Витязя в барсовой,кожи Шоты из Рустава», тексты и разыскания, 1910 г. книга XII.
  17. ოლივერის წერილში შემდეგ მოთხრობილია მთარგმნელის მარჯორი უორდროპის ბიოგრაფია (მარჯორი უორდროპის ცხოვრებაზე უფრო დაწვრილებით იხ. ლ. თაქთაქიშვილის მონოგრაფია „მარჯორი უორდროპი“).



## აჩივრები

### საბჭოთა სიყვარული გავაჩივრო...

ამ წერილში წარმოდგენილია „ვეფხისტყაოსნის“ გასწორებები (ხელნაწერთა ვარიანტები და სამი კონიუქტურა) 1957 წლის გამოცემასთან შეპირისპირებით.

ჩვენი არჩეული ვარიანტებიდან არც ერთი არ გვხვდება ვახტანგის, გ. ქართველიშვილის, ს. კაკაბაძის, ი. აბულაძის, კ. ჭიჭინაძის საიუბილეო (1937 წ.), 1951 წლის და პ. ინგოროყვას გამოცემებში (სხვა გამოცემებზე ხელი არ მიგვიწვდებოდა). ჩვენი მიზანია პოემის ისეთი ვარიანტების წარმოჩენა, რომლებიც პოემის აშკარად შერყვნულ ადგილებს ასწორებენ, მაგრამ ბექდურ გამოცემებში არ შეუტანიათ.

ხელნაწერები, საიდანაც ვარიანტები ავიღეთ, არაა მითითებული. დაინტერესებული პირი მათ იპოვის „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა ვარიანტების“ პირველ და მეორე ნაკვეთებში.

#### გასწორებანი ხელნაწერთა მიხედვით

1) 57,2. ავთანდილი მოხსენიებულია როგორც „სპათა სპასპეტი“. კომპოზიტი სპასპეტი (სიფაჰბად) ისედაც შეიცავს სპა სიტყვას და მხედართმთავარს ნიშ-

ნავს. ამიტომ სპათა სპასპეტი ისეთივე სინტაგმაა, მხედართა მხედართმთავარი რომ გვეთქვა. სწორია „დიდი სპასპეტი“. შეადარე:

მე ვარ ყმა როსტან მეფისა, მოყმე  
არაბეთს ზრდილობით,  
დიდი სპასპეტი, სახელად მიხმობენ  
ავთანდილობით.  
(992)

რატომ დიდი? იმიტომ რომ „ავთანდილ იყო სპასპეტი, ძე ამირ-სპასალარისა“ — მთავარსარდლის შვილი გახლდათ და მეფის გაზრდილი და ამიტომაც სხვა სპასპეტებზე უპირატესი.

2). 117,2. უცხო მოყმის საქებრად გავზავნილი მონები დაბრუნდნენ და როსტევანს მოახსენეს: ხმელეთი მოვიარეთ, „მაგრა ვერ ვპოვეთ იგი ყმა, მით ვერა გავიხარენით“. მეფეს ვერ ჰკადრებდნენ ასე — კადნიერება იქნებოდა: გაიხარეს თუ არა მონებმა, ეს როდია მთავარი. ვეფხისტყაოსანი მოყმის ამბით მათ მეფე უნდა გაეხარებინათ. ამიტომ:

მაგრა ვერ ვპოვეთ იგი ყმა, მით ვერა  
გავაჩივრენით.

3). 132. ამ სტროფის სარიტმო სიტყვებია საქებარი, მოუბარი, უჩინარი, დაუმყნარი. რუსთველს აქ ადვილად შეეძლო სტროფი გაეწყო ეგრეთ წოდებულად



დაყრდნობილი რითმებით. ხელნაწერიც რომ არა, ეს უნდა გავგეკეთებინა და მით უმეტეს გვაქვს ამის უფლება, როცა ისინიც „მოწმად გვეყვებიან“. საძებარი და მოუბარი ასე უნდა შეიცვალოს — **საძებნარი, მოუბნარი**.

4). 137,4. ავთანდილი ეუბნება თინათინს: „ცეცხლთა, მანდით მოდებულთა, გული ჩემი ასადაგეს“. საიდან მოედო ცეცხლი არაბ მოყმეს? მართებულია:

ცეცხლთა, **შენგან** მოდებულთა, გული ჩემი ასადაგეს.

შეადარე: „შენ მომასწარ, თვარა **შენგან** მე უფრო მჭირს ცეცხლთა დება“ 1095,2; „ვჰკადრეთ, თუ: „მზეო, სხსმილი გვედების **შენგან** აღისა“ 1157,2. ესეც რომ არ იყოს: „მანდით“ ამის მეტად არც გვხვდება პოემაში.

5). 146,1. მეფე ყელსა **მოეკიდა**, გარდაკონა ვითა შვილი.

მოკიდება ასეთ კონტექსტში სხვაგან არ არის ნახმარი („ყმასა ფერხთა მოვეკიდე, თავი სვეტსა შევუტაკე“ 558,2). მართალია, ყელზე ჩამოეკიდაო, დღესაც იტყვიან, მაგრამ სულ სხვა ელფერი დაჰკრავს. უნდა გასწორდეს: „მეფე ყელსა **მოეხვია**, გარდაკონა ვითა შვილი“. გავიხსენოთ: „მეფე ყელსა **მომეხვია**“ 350,1; „უბატმან ყელსა **ეხვეოდა**“ 1251,4; „მეფე ყელსა **ეხვეოდა**“ 1533,1.

6). 151,3. „მაგრა არ იცი, აქამდის რანიცა ცრემლნი მდენიან“, — ეუბნება ავთანდილი შერმადინს და საიდუმლოს უმხელს — თინათინის სიყვარულს მოვეუკლავარო. უნდა „**რაზომნი** ცრემლნი“. ასეთი გამოთქმა სხვაც არის პოემაში: „ვერ წაგიტან, **რაზომსამცა** ცრემლსა ჰღვრიდი“ 782,4; „აგრემცა მივი, **რაზომსა** მე ცრემლსა დავიდინებო“ 1572,4; „თუ არ მომისმენ, ვერ ჰპოვებ, **რაზომცა** ცრემლსა ჰპილდები“ 254,3.

7). 209,3 ტარციელის ძებნად გაჭრილ ავთანდილს ხატელი მონადირენი შეხვდნენ და უამბეს, თუ ვეფხისტყაოსანმა მოყმემ როგორ „შეამწიფნა“ ისინი მათრახით, როგორ დაუყოლა ძმა:

მით ერთითა მათრახითა თავი ასრე გარდაჰჭრიწა,

ვითა მკვდარი უსულო ქმნა, ვითა მიწა დაამწიფნა, მისი რასმე მკადრებელი მოამდბლა, **მოამიწა**, თვალთა წინა წაგვივიდა ლალი, კუშტი, ამაყი, წა!

როგორც ვხედავთ, მეორე და მესამე ტაეების სარიტმო სიტყვები არსებითად ერთი და იგივეა — დაამიწა, მოამიწა. ეს უპირველესი ნიშანია იმისა, რომ აქ რალაც ვერ არის რიგზე. მეორე ტაეები გამართულია, მესამეს „უნდა შევლანი“. ერთ ხელნაწერში „მოამდბლა, მოამიწას“ ნაცვლად „მათრახითა შეგვაამიფნა“ იკითხება. როგორც ჩანს, გადამწერს უგრძენია უხერხულობა, მაგრამ გასწორების ნაცვლად მთლად გაუფუჭებია საქმე „მათრახითა შეგვაამიფნას“ ჩასმით, თანაც 207-ე სტროფის მეოთხე სტრიქონი გაუმეორებია. სხვა ხელნაწერი „ამიწას“ გვთავაზობს.

ორიგინალის წაკითხვა შემოუნახავს ორ ხელნაწერს: „**მოაწიწა**“. ამ ზმნაში იგივე წიწ ძირი გვაქვს, რაც „მოწიწებაში“. სიტყვა „მოწიწებით“ გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“. „რა ვაზირი მოწიწებით დარბაზს ნახა შემოსრული“ 814,1. „**მოაწიწა**“ ნიშნავს მოწიწებულა. მოკრძალებული გახადა, ისევე როგორც მოამდბლა — თავმდაბალი გახადა. ამ ძირისაგან ნაწარმოები ზმნა და მიმღეობა ცნობილია ძველ ქართულში: „და ვითარცა ესმა ესე მისგან, და მსგავსი ამისი, **შეიწიწეს** და უფროას ხოლო ფიცისა მისგან შეიკდომეს“; „და ვითარ მოვიდა, მისცეს სიტყუაჲ შჯულისაგან არა ვნებად მისა, რაათა უშიშად და **უწიწველად** აუწყოს მათ მუცლადღებაჲ და შობაჲ იესუჲსი“ (ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, შედგ. სოლ. ყუბანეიშვილის მიერ, ტ. 1, გვ. 22, 1946, თბილისი); „ღმრთისათჳს, **უწიწველად** მითხარ ცხორებაჲ შენი“ (იოანე მოსხი, ლიმონარი, გვ. 115, 13, 1960, თბილისი); „არა იწიწვის, ამბორს-უყოფს პირსა სულთასა და არა შეშინდების“; „შემდგომად ნათლისცემასა რა **იწიწვოდა** იესუსაგან“ (სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. III, გვ. 150, 204).

ჩვენი აზრით, ეს ტაეპი ასე უნდა დაიბეჭდოს:

მისი რასმე მკადრებელი მოამდაბლა,  
მოაწინა.

8). 215,2. საუბარმან უმეცარმან შმა-  
ვი უფრო გააშმაგოს.

პოემაში „უმეცარი“, ამ სტროფის ჩა-  
უთვლელად, სამჯერ არის ნახმარი და  
ყოველთვის ადამიანის მიმართ, ხოლო  
„უმეცრული“ ორჯერ — ერთხელ „სი-  
ტყვას“ განსაზღვრავს, მეორედ — „სი-  
ძუნწეს“. ამიტომ უნდა ვასწორდეს „სა-  
უბარმან უმეცრულმან“.

9). 286,3. ტარიელი და ავთანდილი  
შეხვდნენ ერთმანეთს. არაბეთის სპასპე-  
ტი თავს აცნობს ტარიელს:

მე პატრონისა ჩემისა ასული  
შემეყარებია;  
თვით მეფედ მათად მას ხედვენ  
მონები მკლავ-მაგრებია.

თუცა არ მიცნობ, გინახავ,  
თავი ვით გაიზრებია,  
გახსოვსცა, ოდეს დაპზოცე მონები  
არ-საპყრებია?

რას ნიშნავს „თავი ვით გაიზრებია?“  
„აზრი“ და „აზრობა“ რამდენჯერმე  
გვხვდებოდა: „აზრად არად აღარა მცალს“  
126,3 — საფიქრებლად არა მცალია, არ-  
აფრის ფიქრის თავი არა მაქვს; „აზრად  
შეიქმენ“ 365,3 — აზრად მოუვიათ, მიხ-  
ვდებიან, იაზრებენ; „სჯობს გამორჩევა,  
აზრობა საქმისა დასავგანისა“ 863,3 —  
შესაფერი საქმის გამორჩევა, მოსაზრე-  
ბა, მოფიქრება სჯობია: „ამას მით ვაზ-  
რობ“ 849,4 — ამას იმიტომ ვფიქრობ;  
„ვარდი ამას ვით იაზრებს“ 921,1 — ვა-  
რდი ამას როგორ იფიქრებს.

„თავი ვით გაიზრებია?“ — თავი რო-  
გორ ვიფიქრია?! თავი როგორ ვაგხსენე-  
ბია?! — უაზრობა! „თავი ვით“ კითხუ-  
ლობს მხოლოდ ერთი ხელნაწერი და ვა-  
ხტანგის გამოცემა, სხვა ხელნაწერებში  
არის „თუ ვითა გაიზრებია“. ცალკე აღე-  
ბული გასაგებია — თუ როგორ ვიფიქ-  
რია, აზრად მოგსვლია, მაგრამ კონ-  
ტექსტს არ უდგება. გვშველის ერთად-  
ერთი ხელნაწერი — „თუ ვითმცა გეაზ-  
რებია“. შოთა არ ხმარობს „ვითმცა“,  
არის „ვითამცა“ ან „ვითამც“ და ნიშნავს:

ა) ვითომც, ბ) როგორ, როგორც. ეს ტა-  
ეპი ასე გაიმართება:

თუცა არ მიცნობ, გინახავ,  
თუ ვითამც გეაზრებია.

ესე იგი, თუმცა არ მიცნობ, მაგრამ გინა-  
ხავარ, თუკი როგორმე აზრად მოგდი-  
ვარ, გავონდებო. მაგრამ თუ — მცა ნა-  
წილაკმა მაინცადამაინც კავშირებითის  
ვაგება უნდა მოგვეცეს, მაშინ „თუ ვითა  
გეაზრებია“ დავეწეროთ.

10). 418,1—2. დავყავ ხანი მას წინაშე,  
სიტყვანიცა ტკბილი ვთქვენით,  
ვქამეთ ამო ხილი რამე,  
ერთმანერთსა ვეუბნით.

„სიტყვანიცა“-ცა ნაწილაკი გვიჩვე-  
ნებს, რომ ნესტანსა და ტარიელს, ტკბი-  
ლი სიტყვების თქმის გარდა, სხვა სასი-  
ამოვნო რამეც გაუყეთებიათ, მაგრამ ეს  
მანამდის უნდა თქმულიყო. ორი ხელნა-  
წერი მართებულიად ასწორებს:  
დავყავ ხანი მას წინაშე,

ერთმანერთსა ვეუბნით,  
ვქამეთ ამო ხილი რამე, სიტყვანიცა  
ტკბილი ვთქვენით.

ახლა ყველაფერი რიგზეა: გემრიელ  
ხილს შევექეცით და სიტყვებიც ტკბილი  
ვუთხარით ერთმანეთსო.

11). 424,2. ტარიელი ხატაეთს გაემარ-  
თა საომრად. გზაში რამაზის მოციქული  
„ემთხვია“: უბრძოლველად დაგნებდე-  
ბით, ოღონდო „მოგყვენ ცოტანი სპა-  
ნია“. ტარიელმა თათბირი გამართა:

გვერდსა დავისხენ ვაზირნი, ვიუბნეთ,  
გავიზრახენით;  
მითხრეს, თუ: „ხარო ყმაწვილი.

ბრძენნი მით გკადრებთ, გლახ, ენით“.  
როგორ? ინდოეთის ამირბარს, ვისაც  
„აქვს ამირ-სპასალარობა“, მჩრეველნი  
ეუბნებიან, შენ ახალგაზრდა ხარ, ჩვენ  
კი ბრძენნი! აქ დაპირისპირებულია  
ბრძენი და ყმაწვილი და ამიტომ ასეთ  
კონტექსტში ყმაწვილი უმეცარს, რეგ-  
ვენს უტოლდება. ტარიელს ეს არ დაუმ-  
სახურებია და ვერც ჰკადრებდნენ. უნდა  
იყოს „ბერნი“.

12). 436,4. რამაზის მოციქულებს  
„ერთი კაცი უკმორესწყა“ და ტარიელს  
ამცნო, რამაზ მეფე გლალატობს, სპა  
ჰყავს ჩასაფრებული, „ფათერაკსა შეგას-

წრობენო“. ტარიელმა მადლობა გადაუხადა, ჯილდოს შეჰპირდა და შეჰთვია:

თუ დაგივიწყო, უთუოდ მემცა ვარ  
განაკილია.

საქვეო ჩანს „უთუოდ“. ჯერ ერთი, „უთუოდ“ პოემაში ამის მეტად არ იხმარება. ცნობილ ქართულ ძეგლებშიც (რუსთველამდე) ეს სიტყვა არ მეგულება. საგულისხმოა ისიც, რომ სულხან-საბასაც არ შეუტანია იგი ლექსიკონში. რა თქმა უნდა, პოეტს შეეძლო ცოცხალი მეტყველებიდან აეღო ეს სიტყვა (საქვეო კია) ან არადა თვითონ ეწარმოებინა. მაგრამ სჭიროდა კი? განა თავისი ლექსიკონისათვის ჩვეულ სიტყვას „უცილოდ“ ვერ იხმარდა? ეს ერთი, მთავარი კი ის არის, რომ „ვეფხისტყაოსანში“ როგორც ზმნის გაეკიდება (განაპირდება, გაეცლება, გაერდება, მოშორდება), ისე მისი ნამყო დროის მიმღობის განაკილის ხმარებისას აღნიშნულია ან იგულისხმება, თუ რას შორდებიან, რისგან ნაპირდებიან: „იგი ველი გაირბინა, ლაშქართაგან გაეკიდა“ 172,1; „უგულო კაცი ვერ კაცობს, კაცთაგან განაკილიან“ 848,3. ასევეა „ვისრამიანში“: „თუალთა მისთაგან ძილი კიდე-ქმნილ იყო“ 72,24; „შენ ესე გიჯობს, რომელ გულისაგან კიდევან-ქმნა ეგე საქმე“ 77,32; „სამოთხისაგან კიდევან ვიქმნები“ 83,32; „სსუათა სიყუარულისაგან კიდევანი და აბეზარი ვარ“ 191,4 (უნებლიეთ გვაგონდება რუსთველის „იგი სადმე გაღარიბდეს, სამყოფთაგან იაბეზროს“); „ქილილა და დამანაში“: „პირი ყოლე არ ვასტებო, წესთა ექმნა განაკილად“ 52,25; „ამისი ყურის მიუპყრობლობა ქუქვისა მოსწავლეთაგან შორედ განაკილია“ 153,13.<sup>2</sup>

ტარიელის ფიცი კი არა ჩანს, თუ ვისგან ან რისგან იქნება იგი განაკილი, უკეთუ თავის კეთილსმყოფელს დაივიწყებს. ერთ ხელნაწერში, ნაცვლად სიტყვისა „უთუოდ“, იკითხება „ღვთისაცა“. სწორედ ეს ვარიანტი გამოდგება აქ.

ტარიელი ეფიცება, თუ დაგივიწყო, ღმრთისაგან განრიდებული ვიქნე, „პირისაგან ღმრთისა მოვისპოო“ (ასევე ნათქვამი ერთ აპოკრიფში). მაშ, ასე:

თუ დაგივიწყო, ღმრთისაგან მემცა  
ვარ განაკილია.

13). 483,4. ხატაეთზე გამარჯვების აღსანიშნავად მეფემ ნადიმი გამართა. „შეიქმნა სმა და პურობა“, მეფე ლხინის ეშხზე მოვიდა. არა, აქ ინდოთა მეფე აღარ არის, აქ ქართველი კაცია, ქართველი მასპინძელი „გულითა მზიარულითა“: არვისი ბრძანა მეფემან არცა გაშვება მთრვალისა.

გაჭირვებულა მასპინძელი! მაგრამ ეს „არცა გაშვება მთრვალისა“ რაღაა? არავინ, არც ფხიზელი და არც მთვრალი არ წავიდესო? მაგრამ სანამ? უსათუოდ უნდა გასწორდეს:

არვისი ბრძანა მეფემან გაშვება  
დაუმთრვალისა.

ფხიზელი არვინ გაუშვათო.

14). 518,4. ნესტანს ათხოვებენ. მან ასმათის მონის პირით იხმო ტარიელი. ამირბარს ასმათი შეეგება. ნამტირალევი იყო. ტარიელი გვიამბობს:

დამიმძიმდა, არა ვჰკითხე; ჩემი  
სჭირდა მისლვა ნდომით.

რა არ ჰკითხა? არა ჩანს, ცხადია, ჰკითხავდა — რა დაგემართაო. აქ კი ასე გამოდის — დამიმძიმდა, არაფერი არ ვკითხეო. ტარიელი რომ ნამტირალევი ასმათის ხილვამ შეაწუხა, ეს მომდევნო სტროფის პირველი ტეპიდან ჩანს: „იგი ვნახე დაღრვჯილი, ესე მეტად დამიმძიმდა“. კარგად გავითვალისწინოთ საქმის ვითარება: წინა სტროფი მთავრდება ასე: „დამიმძიმდა, არა ვჰკითხე; ჩემი სჭირდა მისლვა ნდომით“; მომდევნო სტროფი იწყება ასე: „იგი ვნახე დაღრვჯილი, ესე მეტად დამიმძიმდა“. უნდა დავუჭეროთ ორ ხელნაწერს:

რა უმძიმდა, არა ვჰკითხე; ჩემი  
სჭირდა მისლვა ნდომით.

15). 521,3. ასმათმა ტარიელი კოშკში შეიყვანა და აქ ტარიელს პირველად ეჩვენა სატრფო იმ სახით, რამაც მას შემდგომში ვეფხის ტყავი ჩააცმევინა —

<sup>1</sup> ვისრამიანი, ა. გვახარაის და მ. თოდუას გამოც., თბილისი, 1962.

<sup>2</sup> სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. II, თბილისი, 1962.

„ქვე წვა, ვით კლდისა ნაპარლსა ვეფხე პირ-გამეხებული... ებურა მოშლით პირ-ოქრო რიდე, მე მივეც რომელი, მითვე მწვანითა უებრო მიწოლით ტანტსა მჯდომელი“. რას ნიშნავს „მწვანითა უებრო“? ეს „მწვანე“ ის ტანსაცმელია, ნესტანს მიჯნურთან პირველად პირის-პირ შეყრის დროს რომ ემოსა: „გამოჩნდა მთვარე ნათლითა გარე შუქ-მონავანითა, ფარდაგსა შიგან მჯდომარე შესამოსლითა მწვანითა“ 408. ამიტომ უნდა იყოს:

მითვე მწვანითა მოხილი მიწოლით  
ტანტსა მჯდომელი.

16). 529,3. აწ დავკარგე; რად არ გიკვირს, რად ცოცხალ ვარ, რად ვარ რეტად? — ეუბნება ტარიელი ავთანდილს. კაცს უბედურება დაატყდა თავს და მეგობარს შესჩივის, რატომ არ გიკვირს, ცოცხალი რომ ვარო. ბუნებრივია! მაგრამ განა ჰკითხავს, რატომ არ გიკვირს, რეტდასხმული რომ ვარო? კარგად დავუკვირდეთ და შევადაროთ ერთმანეთს ეს ორი გამოთქმა: ა) საშინელ განსაცდელში ჩავვარდი, მაინც ცოცხალი ვარ, არ გიკვირს? ბ) ასეთი უბედურების შემსწრე რეტდასხმული ვარ, არ გიკვირს? ტაეპი ასე უნდა გაიმიართოს:

აწ დავკარგე; რად არ გიკვირს, რად  
ცოცხალ ვარ, თუცა რეტად?

17). 589,4. დაკარგული ნესტანი ერთ წელიწადს ეძება ტარიელმა ზღვა-ზღვა, შემდეგ ხმელზე გამოვიდა. მსლებლები შემოეცალნენ.

ყველაკაი დამეფანტა, დაპრჩომოდა  
რაცა ჭირსა.

კაცსა ღმერთი არ გასწირავს, ასრე  
მისგან განაწირსა!

ვისგან განაწირს არ გასწირავს ღმერთი? ცოტა ზევით ტარიელი ამბობს, ნესტანისა ვერაფერი გავიგეო და დასძენს: „რომე სრულად მომიძულვა, ღმერთსა თურე ასრე ვსძაღვი“ 587,4. მაგრამ მომღვენო სტროფში იგი გამოისყიდის ამ შეცოდებას: „ვთქვი, თუ: „ღმერთსა ვერას ვკადრებ, რაცა სწადდეს, აგრე ვყოცა“. თუ ამ ადგილებს გავითვალისწინებთ, საცილობელი ტაეპის აზრი ასეთია: ღმერთი არ გასწირავს მისგანვე

განწირულ კაცს, ესე იგი კიდევაც გასწირავს და არც გასწირავს. უცნაურია!

ამ ტაეპს შეეხო მ. მახათაძე (მწვანული ნები „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი დაზიანებული და დამახინჯებული ადგილის შესახებ, „მნათობი“, № 11, 1959 წ., გვ. 165). მისი აზრით, „უნდა იყოს: „ასრე თვისგან განაწირსა“, რაც ნიშნავს: „ასე, როგორც მე გამწირა ღმერთმა, ის არ გასწირავს თავმობეზრებულ ადამიანსაც“. ჯერ ერთი „თვისგან“ და, საერთოდ, ძველქართული თვისი უცხოა პოემისათვის (როგორც ნაცვალსახელი). შოთსთვის ნორმაა თავის (ერთხელ თავისაგან). მეორეც, მ. მახათაძის მხედველობიდან გამოჰპარვია, რომ რუსთველი მის ნაცვალსახელს ხშირად ხმარობს თავისი-ს ნაცვლად (ამის თაობაზე იხ. არნ. ჩიქობავა, დიალექტიზმების საკითხისათვის „ვეფხისტყაოსანში“, ენიმკის მოამბე, 1938, III, გვ. 212). ასეთივე მდგომარეობაა აქაც. თვისგან -გან თანდებულიანი უკუქცევითი თავ ნაცვალსახელია და ამ ტაეპში რომ ჩავვსვა ნაცვლად მისგან-ისა, აზრი იგივე დარჩებოდა — ღმერთზე მიუთითებდა და იმიტომ (ღმერთია ქვემდებარე!).

ჩვენი აზრით, რვა ხელნაწერს უნდა ვერწმუნოთ და ტაეპი ასე გავმართოთ: კაცსა ღმერთი არ გასწირავს,

სოფლისაგან განაწირსა!

სოფლის სამღურავი ბევრგან გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“. ცრუ და მუხთალ, ბინდისგვარ, უხანო სოფელს უპირისპირდება ღმერთი, რომელიც „კარგსა მოავლინებს და ბოროტსა არ დაბადებს“, „ავსა წამ-ერთ შეამოკლებს, კარგსა ხანგრძლად გააკვლადებს“ 1492. ამა-საც ნუ დავივიწყებთ: „ნუ გეშის, ღმერთი უხვია, თუცა სოფელი ძვირია“ 931,3; „მაგრა ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგან (სოფელი!) განაწირსა“ 951,4.

18). 591,2. ფრიდონთან შეხვედრის ამბავს ტარიელი ასე იწყებს:

ღამით მევლო, მოვიდოდი, ზღვისა  
პირსა აჩნდეს ბაღნი;

შგვანდეს ქალაქს, ვეახლენით,

ცალ-კერძ იყვენს კლდეთა ნაღნი.



რა ჰგავდა ქალაქს? ბაღები? მერედა, რით ჰგავს ბაღი ქალაქს? ან იქნებ იმას ნიშნავს, რომ ეს იყო ქალაქი-ბაღი და ტარიელი მივიდა ამ ქალაქში? მაგრამ ტარიელი და მისი მხლებლები ქალაქში არ მისულან—აქი ამბობს ფრიდონი: „მულაზანზარის ქალაქი, ახლოს მე მაქვს რომელი“. ცოტად თუ ბევრად, ფრიდონის ქალაქი დაშორებულია ამ ბაღებს, სადაც ტარიელი გარდახდა, რადგან „არ ეამის კაცთა ნახვა“ (აი კიდევ ერთი საბუთი, რომ ტარიელი ქალაქში არ შესულა). ასე რომ, ამ კონტექსტში „ვეახლენით“ ნიშნავს არა მისვლას, არამედ მიახლოებას. ეს სიტყვა მისვლის მნიშვნელობითაც გვხვდება პოემის სხვა ადგილას. ის როგორაა აღწერილი ავთანდილის მიხედვით გულანზაროს: „ზღვა გაიარა ავთანდილ, მივა ტანითა მჭევრითა, ნახეს ქალაქი მოცული გარე ბაღისა ტევრითა“... „მათ ბაღთა პირსა დააბეს ნავი საბლითა სამითა“... „მოვიდა მისი მებაღე, ბაღსა ეახლნეს რომელსა“. შეიძლება გვითხრან, მულაზანზარი და გულანზარო ორივე ზღვისპირა ქალაქია, ბაღებით გარემოცული და ერთმანეთს ჰგვანანო. მაგრამ ტექსტში გარკვევით ჩანს: ავთანდილის ბაღში მისვლა ქალაქში მისვლაც იყო, ხოლო ტარიელმა ქალაქიდან მოშორებით „მიიძინა ხეთა ძირსა“. ჩვენი აზრით, მართებული უნდა იყოს წაკითხვა:

**ჰგვანდა, ქალაქს ვეახლენით, ცალკერძ იყენეს კლდეთა ნაღნი.**

ჩანდა, ეტყობოდა ქალაქს მივუახლოვდითო (თქმა და შემთხვევა რომ ერთდროულად ხდებოდეს, მაშინ ასე იტყოდა: „ჰგავს, ქალაქს ვეახლენით“). ჰგავს (ჰგვანდა) ბევრგან იხმარება პოემაში ჩანს (ჩანდა), ეტყობა (ეტყობოდა)-ს მნიშვნელობით.

19). 630-1—2. ესე ჩემგან გაუკვირდა ფრიდონს, მეტად ეუცხოვა, მაგრა მეტად შევებრაღე, ტირილითა მესათხოვა.

ორი „მეტად“ ზედიზედ, როცა არავითარ მხატვრულ ფუნქციას არ ასრულებს! ვანა არ აჯობებს, პირველი ტაეპი ასე გაიმართოს:

ესე ჩემგან გაუკვირდა ფრიდონს, **უცხოად ეუცხოვა,** შეადარე: „ბოლოდ ყოვლი დამოკლებლი საქმე ცხადად გამოცხადდეს“ 939,4.

20). 633,4. როცა ფრიდონმა ტარიელის თავგადასავალი მოისმინა, ასე ანუ გემა:

...ვისცა ღმერთი საროს მორჩსა ტანად უხებს, მას ლახვარსა მოაშორებებს, თუცა პირველ გულსა უხებს, იგი მოგვეცემს წყალობასა მისსა, ზეცით მონაქუხებებს, ჭირსა ლხინად შეგვიცვალებს, **არაოდეს** შეგვაწუხებს.

როგორ თუ არაოდეს შეგვაწუხებებს! ვანა აქვე არაა ნათქვამი, პირველად გულს ლახვარს გვეკრავსო. ამაზე მეტი შეწუხება რაღა იქნება! ხელნაწერების ჩვენებაც რომ არა, ისეც ადვილი და უცბილია ამის გასწორება:

ჭირსა ლხინად შეგვიცვალებს, **არაოდენ** შეგვაწუხებებს.

ესე იგი, არა მხოლოდ ავს მოგვაგებს, საბოლოოდ ბედნიერებას მოგვანიჭებს, კეთილი სძლევს ბოროტსო.

21). 700,3. ავთანდილი „წვრილად“ უამბობს თინათინს (მეორედ, მაგრამ ამჯერად მხოლოდ მას) ველად გაჭირილი მიჯნურის ამბავს და, სხვათა შორის, ამბობს: „ქალი ახლავს სასურველად, სულთა დგმადა და ჭირთა თმენად“. ეს ნათქვამია ასმათზე. რას ნიშნავს სასურველად ხლება? სასურველია ის, რაც ან ვინც გესურს, გვინდა, სანდომი, სანუკვარია. ეს სიტყვა ვითარებით ბრუნვაში, ამ ადგილის გარდა, ორგან გვხვდება: „ფატმანს უთხრა (ავთანდილმა): „საყვარელო, კმა ხარ ჩემთვის სასურველად“ 1245,1; შემოსცინა ფატმანმა საჭაბუკო ტანსაცმელში გამოწყობილ ავთანდილს: „აგრე სჯობსო შენთვის ხელთა სასურველად“. ეს ნიშნავს სურვილის ასაშლელად. ამას ვერ ვიტყვით ასმათზე. უნდა გასწორდეს:

ქალი ახლავს **საყვარლისა** სულთა დგმად და ჭირთა თმენად.

ეს ტაეპი განმეორება იმისა, რაც მანამდის მეფესა და დიდებულებს უთხრა

ავთანდილმა: „საყვარელისა მისისა ქალი ჰყავს თანა ნახლები... (690,2).

22). 789,3. მე სიტყვასა ერთსა გკადრებ, პლატონისგან სწავლა-თქმულსა.

„სწავლა-თქმული“ გაუგებარი კომპოზიტია. რვა ხელნაწერში წერია „სწავლებულსა“. ეს სიტყვა სხვაგანაც უხმარია შოთას: „ვიქმ საქმესა, მამისაგან სწავლებულსა“ 53,3. ამიტომ შეიძლება ასეც: „პლატონისგან სწავლებულსა“ და მაინც, ვგონებ, აჯობებს: „სწავლად თქმულსა“, ესე იგი სასწავლად თქმულსო.

23). 826,4. ავთანდილის გაპარვა რომ შეიტყო, როსტევანმა დიდებულებს შემოსტირნა: „სპანი, მისგან დაჭირულნი, ვინმეცა ვით დაგვიჭირნა?“ — ჩვენს ლაშქარს, რომელიც ავთანდილს მტკიცედ ეჭირა ხელში, ვინდა იყოლიებს მორჩილებასო. როსტევანი მორბეული, ლაშქარმრავალი მეფეა, მისი სახელმწიფო მტკიცეა, ძლიერი, შინათაშლილობის არავითარი ნიშანი არ ემჩნევა, არც ის არის ნათქვამი, რომ როქის სპა (დაჭირავებული ჯარი) ჰყოლოდეს. ესეც არ იყოს, განა მეფე ამას ეტყოდა დიდებულებს? თუ მას საფრთხე მოელოდა, უბირველეს ყოვლისა, სწორედ დიდებულთაგან. ამ ადგილს სწორად კითხულობს ორი ხელნაწერი:

მტერნი, მისგან დაჭირულნი,

ვინმეცა ვით დაგვიჭირნა?

24) 833,4. სჯობს, საყვარელსა მოყვარე რაზომც არ დაუძაბუნდეს.

ამ გამოცემამდე ყოველთვის იბეჭდებოდა ისე, როგორც ყველა ხელნაწერშია: „რაზომცა დაუძაბუნდეს“. კონიექტურა ეკუთვნის აკადემიკოს აკაკი შანიძეს. „ვეფხისტყაოსნის“ სიმფონიისათვის დართულ ნაშრომში „ვეფხისტყაოსნის ენის საკითხები“ იგი წერს: „სჯობს საყვარელსა მოყვარე რაზომცა დაუძაბუნდეს. ჯერ ერთი: პირველი სიტყვის შემდეგ მძიმე უნდა (სჯობს, საყვარელსა...), თორემ ისე გამოდის, თითქოს საყვარელს მოყვარე სჯობდეს („სჯობს საყვარელსა მოყვარე“). მეორე: ეს რასა ჰგავს, თითქო ის სჯობდეს, რომ საყვა-

რელს მოყვარე დაუძაბუნდეს რამდენადაც კი შეიძლება? არა, შოთას ვერ შეეძლო აგრე ეთქვა. მან რაღაც სხვა რამე და ეს მისი ნათქვამი დაბნელებულა გადამწერლების ხელში. ჩვენ მოვალენი ვართ შოთას ნათქვამი აღვადგინოთ. ამას დასტორდება ხულ მცირეოდენი ოპერაცია.

სჯობს, საყვარელსა მოყვარე რაზომც არ დაუძაბუნდეს“.

მძიმეზე არაფერი გვეთქმის, სხვა მხრივ კი ვერ დავეთანხმებით ჩვენს სახელოვან მეცნიერს. „მცირეოდენი ოპერაციით“ „ვეფხისტყაოსანში“ ბევრი რამის გადაკეთება შეიძლება, მაგრამ ამას შეუვალი დასაბუთება დასტორდება.

პოემაში „დაძაბუნება“ რამდენჯერმეა ნახმარი: „დაძაბუნდეს, სიმრავლე მე მათი არ გამვიდოდო“ 603,3, — ამბობს ფრიდონი თავის ბიძაშვილებზე — დაჯაბუნებული მყავდნენ, ამიტომ მათს სიმრავლეს არაფრად ვაგდებდით (1957 წლის გამოცემაში წერია „დაძაბუნდეს“ — ეს შეცდომაა. ხელნაწერებზე დამყარებით მართებულად ასწორებს პავლე ინგოროყვა): „ქალი ომსა რაგვარ მაწვევს, აგრე ვითა დაეძაბუნდი“ 556,3 — ისე როგორ ვავლანდით, რომ ქალი საომრად მაქებებსო; „ვერ ვეცრუვები, ვერ ვუზამ საქმესა საქაბუნოსა“ 797,3 — ვერ მოვატყუებ, ლაჩრის შესაფერ საქმეს ვერ ჩავიდენო.

კარგად გაუსწორებიათო, შეიძლება იტიქროს მკითხველმა. ნუ ავჩქარდებით. უველოაფერს წყვეტს კონტექსტი — ვინ ამბობს ამას და რა კონტარებაში. ავთანდილი ტარიელის დასახმარებლად, საშველად გაემგზავრა. მიდის, მაგრამ ვაი ამ წასვლას: „მივა და მიტირს გულმდულრად; რა მიეახლის დაბნედად, ვერ ხელჰყვის დაძრვად ენისად... რა გაემართის, არ იცის, მას თუ არბევდის ცხენი ხად“. და ამას მოსდევს სტროფი:

თქვა: „ჩემო, შენი შორს-მყოფი

კრულია, ვინცა დაღუმდეს,

რათვან შენ დაგრაჩა გონება, გული

შენკენვე დაბრუნდეს,

თვალთა მტირალთა შეხედვა შენივე

სწაღდეს და უნდეს.

სჯობს, საყვარელსა მოყვარე

**რაზომცა დაუძაბუნდეს!**

ავთანდილის გონება თინათინს დარჩენია, გული მისკენვე ბრუნდება, თვალებს, რომელთაც დიჯლის (ტიგროსის) დენის მსგავსად სდის ცრემლი, მისივე შეხედვა უნდა. მომდევნო სტროფში ავთანდილი განაგრძობს ტირილს და ვაეზას — „თავსა მოვიკლავ, მე თუცა შენგან არ ვეპვედ წყენასა“. ამაზე მეტი დაძაბუნება იქნება?! მაგრამ არა, ავთანდილი ლაჩარია, ჯაბანი არ გამხდარა — იგი ძაბუნია, უძლურია მხოლოდ თინათინის მიმართ, იგი მონა-მორჩილი თავისი დიდი გრძნობისა. განა შოთაც არ ამბობს: „დათმოს (მიჯნურმა) წყრომა მოყვრისაგან, მისი ჰქონდეს შიში, კრძალვა“ 27,4; განა არ ამართლებს თავისი გმირების გაუთავებელ ტირილსა და ცრემლთა დენას: „თუ მოყვარე მოყვრისათვის ტირს, ტირილსა ემართლებს“ 31,1; ან „ვისრამიანში“ ჩაიხედოთ: „ნდომისა კელსა ქუეშე გული ძაბუნია“ 251,32. („ვისრამიანი“ რა მოსატანია? — „ნუ ეპვ მიჯნურად მათებრსა ნუცა ზუ რამინს და ვისსა“ 1543,4. ეს თინათინსა და ავთანდილზეა ნათქვამი). განა შოთას ნათქვამი არ არის: „საბრალოა, სიყვარული კაცსა შეიქმს გულ-მოკლულად“ 41,4.

სწორად ესმის ეს ადგილი თემიურაზ ბაგრატიონს: „უმჯობესი არის, რომ თავის საყვარელს, ესე იგი ვისაც ერთი მეორე უყვარს, იმას თავისი თავი დაუზაბუნოს, ესე იგი თავი დაუძაბუნოს კაცმა ანუ სრულიად დაემონოს. ერთმან უკვე მეორე რომ ძალით არის თუ ნებით, რომ დაიმორჩილოს და თავის ნებას ქვეშე ასრეთის სახით შეიყვანოს, რომ სრულიად არაფერი თავისის დამმორჩილებელის წინააღმდეგი არღარა შეეძლოს რა — დაზაბუნება მას ნიშნავს“.

ოლონდ „ვეფხისტყაოსანშია“: მხოლოდ ნებაყოფლობით მორჩილება და მართლოდენ ურთიერთმორჩილება მიჯნურთა! საკმარისი იყო, ნესტანს ეპვი შეჰპარვოდა ტარიელის ერთგულებაში, რომ ასეთი მრისხანე სიტყვები ეთქვა: „რათგან დამთმე, მეცა დავთმობ, ვინძი უფრო დაზიანდეს!“ შოთას ქალ-ვაჟთა

შორის (ფატმანის გამოკლებით) გამოირცხულია ცალმხრივი საყვარული, მათ „სჭირს ერთმანერთის მონება“ 6,4. მაგრამ ეს მონება, მორჩილება (და ამ სადავო სტროფში სწორედ ამ აზრით არის ნახმარი დაძაბუნება) სრულიადაც არ ნიშნავს დლაჩრებას, ვაჟკაცობის დაკარგვას. ამიტომ მხოლოდ ეს იქნება მართებული წაკითხვა:

სჯობს, საყვარელსა მოყვარე

**რაზომცა დაუძაბუნდეს!**

25). 903,4. ბედი, ცდა და...

გამარჯვება, ღმერთსა უნდეს,  
მოცაგხვდების.

მანამდე ეს ტაეპი ასე იბეჭდებოდა: „ბედი, ცდა და გამარჯვება, ღმერთსა უნდეს, მოცაგხვდების“. ე. ი. ბედი, ცდა და გამარჯვება, თუ ღმერთს უნდა, მოგეცემო. გამარჯვებაზე ეს შეიძლება ითქვას, რადგან იგი „ღმრთის ნებით იქმნების“: „ბოლოდ ღმერთი გაუმარჯვებს ყოვლსა, პირველ შენაზარსა“ 1389,4; „ღმერთმან ქმნას და გაგმარჯვდეს, მორჭმულმცა ჩემ კერძ ირე“ 414,2. ასევე ბედზეც (ამ შემთხვევაში კარგ ბედზე), მაგრამ ცდაზე ვერ ვიტყვი — ცდა პიროვნების ნებელობითი აქტია. ეცდები (და კიდევაც უნდა ეცადო) და შეიძლება გაიმარჯვო, შეიძლება არა. სწორედ ამიტომ დაუსვამთ მრავალწერტლო: ჩვენ ჩვენსა ვეცადოთ და გამარჯვება ღმრთის საქმეაო. მაგრამ ამ ტაეპის ასე გამართვას ორი რამ უშლის ხელს: ჯერ ერთი, ბედიც ისევეა დამოკიდებული ღმერთზე, როგორც გამარჯვება — „ბედი ღმრთისაგან მიჯობსლა ამას რომელი“ (636,1) და მეორეც, რუსთველის სტილს არ შეეფერება ასეთი კონსტრუქცია ფრაზისა.

როგორც ვხედავთ, არც ტრადიციული წაკითხვა ვარგა და არც ახალი. ზოგი ხელნაწერის ჩვენების თანახმად ეს ტაეპი ასე უნდა გასწორდეს:

**ბედი ცდაა, გამარჯვება, ღმერთსა  
უნდეს, მოცაგხვდების.**

„განგებასა ვერვინ შესცვლის, არსაქმნელი არ იქმნების“ 190,4; „არ გარდავა გარდუვალად მომავალი საქმე ზენა... არვის ძალუც ხორციელსა განგებისა გარდავუნა“ 795. ადამიანის ბედი წინას-

წარ გადაწყვეტილია ღმრთისაგან, მაგრამ იგი მაინც თავისას უნდა ეცადოს — „ვეცადო რას, ნუთუ ღმერთმან მომარბოს ჩემსა მტერსა“. 1191,2.

ბედი ცდა... თავისებური განმეორება ქართული თქმისა: ცდა ბედის მონახევრეაო.

### კონიექტურა

26). 187,4. უცხო მოყმის საქებრად წასული ავთანდილი სამ წელიწადში უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ ამ ძებნაში „წელიწადი სამი სამ თვედ მიიყარა“. ავთანდილს „საგონებელი შეექმნა“ — ხელმოცარული თუ დავბრუნდი, რა ვუთხრა თინათინს, არადა „თუ არ დავბრუნდე“, „ღრო გარდაუწყდეს შერმადინს... მივიდეს ჰკადრნეს მეფესა საქმენი დასაგვანანი, ... უამბოს ჩემი სიკვდილი, მერმე მივიდე ცოცხალი“, რას ემგვანებოდა ეს. დასაგვანი ნიშნავს დასამსგავსებელს, შესადარებელს, შესადარს, მსგავსს: „ესე წიგნი მართთვო ქალსა, მზისა დასაგვანსა“ 1276,2; შესაფერისს, ჯეროვანს, სათანადოს — „სჯობს გამოჩევა, აზრობა საქმისა დასაგვანისა“ 863,3. ზემოხსენებულ ტაეპში კი დასაგვანი უადგილოა: ვანა კარგი იქნებოდა, შერმადინს თინათინისა და როსტევენისათვის ავთანდილის სიკვდილი ეცნობებინა, ხოლო შემდეგ იგი ცოცხალი დაბრუნებულიყო?!

ვგონებ, ჩვენი კონიექტურა საცილობელი არ გახდება:

მივიდეს, ჰკადრნეს მეფესა საქმენი დაუგვანანი.

„დაუგვანი“ ცნობილია პოემით. ავთანდილი აღუთქვამს ასმათს, წავალ, თინათინსა და როსტევენს ვნახავ, ტარიელის ამბავს ვეტყვი და დავბრუნდებიო: „აქათორ თვე არ მოვიდე, ვიქმ საქმესა დაუგვანსა“ (671,3) — დღეიდან ორ თვეში თუ არ დავბრუნდი, უმსგავსო საქმის მოქმედი ვიქნებო, ხოლო „უმსგავსო საქმე ყოველი მოკლეა, მით ოხერია“ 1090,3.

აღსანიშნავია, რომ ტაეპი: „აქათორ თვე არ მოვიდე, ვიქმ საქმესა დაუგვან-

სა“ სხვა თოთხმეტ ხელნაწერში მცხადრად იკითხვის: „დასაგვანსა“. ესე რომ, „დაუგვანისა“ და „დასაგვანისა“ ფაქტია.

27). 334,4. მამა მომიკვდა, მოვიდა დღე სიკვდილისა მისისა; ქმნა გაუცუდლა ფარსადანს ნიშატისა და ნიშისა;

მათ გაეხარნეს, ვის ზარი დაღვედის მისგან შიშისა; ერთგულთა შექმნეს ვაება, მტერთა — ხსენება იშისა.

დაბალი შაირია, რითმა სამმარცვლოვანი უნდა იყოს — იშისა, პირველ ტაეპში კი გვაქვს — ისისა. დიდი ცოდვა არ იქნებოდა, კლაუზულეებში შ ბგერა რომ არ ღომინანტობდეს. „მისისა“ ნაცვლად უნდა „ვიშისა“. მართალია, ვიშ შორისდებული არ გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“, მაგრამ თუ დღესაც გვაქვს, რატომ არ უნდა ყოფილიყო შოთას დროსაც (იგი ხომ რაიმე შემდეგდროინდელი საგნის, მოვლენის სახელი არ არის). ყოველ შემთხვევაში დ. გურამიშვილი ხმაობს მას:

მეფეო, ღმერთმან ნუ მოგცეს  
წუხილი, ჭმუნვა, ვიშობა,  
ნუ მოვიშალოს ნადიმი, მუღამ-დღეთ  
სულ მეჭლიშობა.

(დავითიანი, გვ. 151, 1955 წ. თბილისი).  
თუ ჩვენი გასწორება მისაღებია, პირველი ტაეპი ასე გაიმართება:

მამა მომიკვდა, მოვიდა დღე  
სიკვდილისა, ვიშისა.

28) 585,2. ასმათმა ნესტანის დაკარგვის ამბავი აცნობა ტარიელს. ეს უკანასკნელი ავთანდილს ასე უხატავს თავის მაშინდელ მდგომარეობას:

მეტმან ზარმან გამაშმაგა, მომივიდა  
ცხრო და თრთოლა;  
გულსა ვუთხარ: „ნუ მოჰკვდები, არას  
გარგებს ცული წოლა.

აქ ორი შეუსაბამობაა: ჯერ ერთი, როგორ შეიძლება გულის წოლა, თუნდაც ტროპულად, შეორეც, თუ „წოლა“ აქ უმოქმედობას, სიმშვიდეს ნიშნავს, ტარიელი ამას ვერ უსაყვედურებდა თავის გულს (გაშმაგებულსა და ათრთოლე-



ბულს), ხოლო თუ აქ ის აზრია, რომ ჯობია საქმეს (ნესტანის ძეზნას) შევუდგეთ, ფაქტობრივად არ არის სწორი — ტარიელმა ამ საზარელი ამბის გაგებისთანავე გადაწყვიტა და წინა სტროფში კიდევაც ამბობს: „აჲ თავსა მისად საძებრად მივსცემ, სად კლდე და წყალია“. ტარიელს ის უნდა ესაყვედურებინა თავისი გულისათვის, რაც მას მართლაც სჭირდა. თანაც: „თუ გული „წევს“, დამშვიდებულია, რადღა უნდა გამხნევება — ნუ მოკვდებიო. ჩვენი კონიექტურა ასეთია:

გულსა ვუთხარ: „ნუ მოჰკვდები, არას გარგებს ცუდი ძრწოლა.

29). 85,1. ეს გასწორება არც ვარიანტების არჩევას გულისხმობს და არც კონიექტურაა. საქმე ეხება მძიმეს (ა), რომელიც აზრს აუკუღმართებს.

მას ტანსა კაბა ემოსა, გარე-თმა ვეფხის ტყავისა.

ორგვარად შეიძლება ამ ტაეპის გაგება: ა) ტარიელს აცვია კაბა და ვეფხის ტყავის გარე-თმა და ბ) ტარიელს აცვია კაბა და ეს კაბა ვეფხის ტყავის გარე-

თმა (ამ შემთხვევაში მძიმის მაგვრად ტირე აჯობებდა). ცხადია, არც სწორი და არც მეორე: ტარიელს ვეფხის ტყავის კაბა აცვია: „რომე ვეფხი მშვენიერი სახედ მისად დამისახავს, ამაღ მიყვარს ტყავი მისი, კაბად ჩემად მომი-ნახავს“ 657; „ვეფხისა ტყავი აცვია, ცუდად უჩნს სტავრა-ნახლები“ 690,3. მას ვეფხის ტყავი უბრალოდ წამოსხმული როდი აქვს—აცვია, იგი უნდა შეიკეროს: „ესე ქალი შემიკერავს, ზოგჯერ სულთქვამს, ზოგჯერ ახავს“ 657,3. სინტაგმაში „გარე-თმა ვეფხის ტყავისა“ განსაზღვრებაა არა „ვეფხის ტყავისა“, არამედ „გარე-თმა“. ამას ეჭვშეუვალად ამტკიცებს 204-ე სტროფის მესამე ტაეპი: „თავსა და ტანსა ემოსა გარე-თმა ვეფხის ტყავია“. არა „ვეფხის ტყავის გარე-თმა“, არამედ „გარე-თმიანი ვეფხის ტყავის კაბა“. ტარიელს ისე ეცვა ვეფხის ტყავი, რომ ბეწვი გარეთ ჰქონდა. მძიმე უნდა მოიშალოს:

მას ტანსა კაბა ემოსა გარე-თმა ვეფხის ტყავისა.



ნანა ლვინუაძე

## პედალი გუგუთი

ჩანახატი

არ დამავიწყდება: ჩემი პირველი სტუდენტური და მოკრძალებული წერილები დამაწერინა სწორედ დიმიტრი ალექსიძის დადგემებმა.

შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტის მესამეკურსელებს მან მაქსიმ გორკის „მზის შვილები“ მოამზადებინა.

როგორ გადასხვანაირდნენ ჩემი მეგობრები და ამხანაგები იმ პირველსავე წარმოდგენაში! კარგად მახსოვს რამაზ ჩხიკვაძის ჩეპუტნოი, ლამზირა ჩხეიძის ლიზა, გურამ სალარაძის ვაგინი.

ყოველი მათი გარდასახვა უპირველესად დ. ალექსიძის მაძიებელი სულისა და ფიქრის კეთილი ზეგავლენით ხდებოდა.

დიმიტრი (დოდო) ალექსიძე სამსახიობო და სარეჟისორო ფაკულტეტის სტუდენტთა „კუთვნილება“ იყო, მაგრამ ჩვენთვისაც, თეატრმცოდნეებისთვისაც მოიცლიდა ხოლმე.

თავისი სურვილით გვიკითხავდა ერთხანს მსახიობის ოსტატობას. გატაცებით ვვესაუბრებოდა სტანისლავსკის სისტემაზე. სურდა, ყოველ ჩვენგანს ისევე შეეგრძნო იმ სისტემის არსი, როგორადაც თვითონ გრძნობდა დიდი რეჟისორის

სულს. შინაარსიანიც იყო ის ლექციები და საოცრად არტიტულიც!

უხაროდა, როდესაც ცნობილ ჭეშმარიტებას ჩვენებურად გადავთარგმნიდით.

უხაროდა, პირველ თეატრალურ წერილებს რომ ვწერდით.

უხაროდა, როდესაც მის რეპეტიციებს ვესწრებოდით.

სადმე, მოშორებით მივიყუჩებოდით, მოგვძებნიდა და ახლოს დავგვამადა. რეპეტიციის მსვლელობისას ანაზღეულად აყვირდებოდა ხოლმე. შევეკრებოდით. მალე გაიღიმებდა. შევეჩვიეთ მის ფორიაქს. რეპეტიციები გვიანამდე გრძელდებოდა, მისატოვებლად მიინც არ გვემეტებოდა.

იმეორებდა და ამეორებინებდა მსახიობებს ერთიდაიმავე მონაკვეთს.

...ზურგშექცეული სკამი, ჩამწვარი პაპიროსები; დიმილშერჩენილი, გარინდული დოდო და... უეცრად აფთქება:

— თავიდან!

და, ვინ იცის, მერამდენედ მეორდებოდა „თამაში“, მეორდებოდა, ვიდრე მსახიობი სცენურ სიმართლეს არ მიაღწევდა.

ისევ საუბარი ბუნებრივობაზე, წარმოსახვა გვირის ამა თუ იმ მოძრაობისა,

ისევე ზურგმუქეული სკამი და ხმამაღალი შენიშვნები, რომელსაც დროდადრო ნათელი, კმაყოფილების გამომხატველი ღიმილი ცვლიდა. ფერფლადქეული პაპიროსები, განცდებივით დაფერფლილი და თითქოს იმ ფერფლიდან ფასკუნჯივით გაცოცხლებული „ღრმა ფესვები“ და „პირველი ნაბიჯი“, „სხვისი ჩრდილი“ და „ოჯახი“, „ღონ სეზარ დე ბაზანი“ და „ვისა ყელეზნოვა“, „პეპო“, „ქორწინება“, „გლახის ნაამბობი“.

ეს მხოლოდ მონაკვეთია გრძელი და ძნელი გზისა სოფოკლეს „ოიდიპოს მეფემდე“.

„ოიდიპოს მეფე“, „ბახტრონი“, „ფიროსმანი“... ამ სამი წარმოდგენით ჩვენს თვალწინ გამოიკვეთა რეჟისორი, დაფიქრებული, ღრმა ბუნების ხელოვანი. ცხადი გახდა, ის დრამები, თავდაპირველად და შემდეგ, სამამულო ომის მძიმე წლებში რომ გამოერია მის შემოქმედებაში, ცხოვრებასთან პირისპირ შეჯახების შედეგი იყო და არა უბრალოდ ვალის მოხდა რუსთაველის თეატრის „ხასიათისკ“ გამო.

თუ ახალგაზრდა რეჟისორი იცინოდა და აცინებდა მაყურებელს, როცა დგამდა გოლდონის კომედიებს, სკრიბის „ჭიქა წყალს“, ლოპე დე-ვეგას „სხვისთვის სულელსა“ და ს. კლდიაშვილის „გრაფის ქვრივს“, სამაგიეროდ, აღელვებდა და აღიტაცებდა იმავე მაყურებელს ს. ვანშიაშვილის „კრწანისის გმირებით“, ვოლფის „პროფესორ მამლოკით“.

ოცდაათი წლის წინათ მოსკოვის ლუნაჩარსკის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულმა დ. ალექსიძემ თბილისში დადგა თავისი საგამოცდო წარმოდგენა „ბატონი ოფიცერი“.

ოფიცერთა სახლში წარმოდგენილი მისი ეს პირველი ნამუშევარი რუსთაველებზე მითანეს ყველაზე ახლოს გულთან და თვით ახმეტელმა დალოცა ახალგაზრდა რეჟისორი. იგი მარჯანიშვილის სახელობის თეატრში იყო განაწილებული, მაგრამ აკაკი ზორავამ „წაართვა“ მათ ნიჭიერი ახალგაზრდა და რუსთაველის სახელობის თეატრში მიიწვია.

ორიოდე კომედიის შემდეგ გ. მღვივანის „ალკაზარის“ განხორციელება იმის საწინდარი გახლდათ, რომ რუსთაველის თეატრში მისულმა ახალგაზრდა შემოქმედმა იწამა რუსთაველელთა გმირულ-რომანტიკული აღმადგენა.

თეატრმა აიტაცა გმირული ესპანეთის თავგანწირული შეძახილი: „ისინი ვერ შემოვლენ!“ — აიტაცა და ესპანელი ხალხის, მისი პოეტის გარსია ლორკას ტრაგიკული ხვედრით აღელვა ქართველი მაყურებელი.

ცეცხლით მოცულ ესპანეთში დეპეშაც აფრინეს:

— ხოზე დიას, დოლორეს იბარის...

საპასუხოდ ესპანეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი დიდ მადლობას უძღვნიდა ქართველებს „ალკაზარისათვის“.

მადრიდის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე კი იწერებოდა იმის შესახებ, თუ რა ძვირფასი აღმოჩნდა სამოქალაქო ომის იმ მძაფრ დღეებში ესპანელი ხალხისათვის შორეული საქართველოს მხარდაჭერა: „ეს შეგვმატებს ძალას ჩვენს ბრძოლაში ფაშიზმის წინააღმდეგ და ხელს შეგვიწყობს მივალწიით გამარჯვებას და ვიყოთ ჩვენი ხალხის იდეალთა ღირსნი; იმ იდეალთა ღირსნიც, რაც გამოთქმულია პიესაში და რაც აღელვებს მაყურებელს“.

ასეთი დიდი გამოძახილი ჰპოვა დ. ალექსიძის ერთ-ერთმა პირველმა დადგამამ.

იმ დადგამაში დ. ალექსიძემ გამოამყვანა პუბლიცისტური ალღო, რაც მკაფიოდ ემჩნევა მის შემდგომ დადგმებსაც; იქნება ეს ბ. ლავრენევის „ამერიკის ხმა“ თუ რამდენიმე წლის წინათ ორ თეატრში — კიევსა და თბილისში განხორციელებული გ. მღვივანის პიესა „ტერეზას დაბადების დღე“, რომელიც გმირი კუბელი ხალხის დღევანდელ ცხოვრებაზე მოგვითხრობს.

მაინც, თავდაპირველი სასინჯი ქვა დ. ალექსიძისა კომედია იყო; მიუხედავად ამისა, იგი არ დარჩა ცალმხრივ გატაცებათა რკალში.

დიდი რომანტიული სულის ხელოვანად

წარმოგვიდა დ. ალექსიძე, ტოდესაც ვაცოცხლა სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“ და შექმნა ჭეშმარიტად ანტიკური წარმოდგენა.

რეჟისორმა ღრმად ჩაიხედა ოიდიპოს მეფის სულში და მისი ფიქრი გაამდიდრა იმ ოთხმა ოიდიპოსმა (აკაკი ხორავას მეთაურობით), იმ ხუთმა იოკასტამ (ნინო ლაფაჩის და თამარ ჭავჭავაძის დედოფლობით), რომელთა სხვადასხვაობაში ყველაზე მკაფიოდ გამოჩნდა დ. ალექსიძის რეჟისორული ჩანაფიქრის სითამამე, ხელოვანის სიმწიფე. საბოლოოდ სცენაზე სამი ოიდიპოსი დამკვიდრდა.

„ოიდიპოს მეფემ“ დიდად გვასახელა 1958 წელს მოსკოვში გამართულ ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადაზე. ერთ დღეს, 30 მარტს, სამივე ოიდიპოსი და სამი იოკასტა გაიცნო მოსკოველმა მაყურებელმა ცნობილი მსახიობების მიერ ხორცშესხმულ: დილის წარმოდგენაში ეროსი მანჯგალაძე და თამარ თარხნიშვილი მონაწილეობდნენ, ნაშუადღევს — სერგო ზაქარიაძე და თამარ ბაქრაძე, ხოლო საღამოს — აკაკი ხორავა და ნინო ლაფაჩი.

ქოროს მონაწილეთ კი მთელი დღის განმავლობაში არ ჰყოლიათ შემცვლელი და მაინც ოდნავ არ შენელებულა მათი ზარის ძალა.

გაცოცხლებული ქანდაკებებივით დადიოდნენ ვახტანგოვის თეატრის შენობაში ბერძნულ ხიტონებში გამოწყობილი მსახიობები და ის დღე იყო გრძელი და საზეიმო.

ყველა ერთხმად აღიარებდა, რომ დ. ალექსიძის ეს დადგმა იყო მოვლენა თეატრალურ ცხოვრებაში, რომ ბედნიერია ერი, შემქმნელი ხელოვნების ასეთი მაღალი ნიმუშისა.

„დ. ალექსიძის დადგმა უპრეცედენტო მოვლენაა საბჭოთა თეატრის ისტორიაში. მისმა ტრიუმფალურმა წარმატებამ საბჭოთა სცენას დაუბრუნა ანტიკური ტრადიცია“, — წერდა ცნობილი თეატრალური მოღვაწე ს. მაკულსკი.

საღლა არ მიიწვიეს იმის შემდეგ ნი-

ჭიერი რეჟისორი! ვერც ერთი ხელოვანი, ვერც ერთი მაყურებელი ვერ უყურებდა გულგრილად მის ახალ ქმნილებებს.

დ. ალექსიძემ ჩაუტანა მოსკოვის სახელგანთქმულ სამხატვრო თეატრს ქართული მზე. თუ რა დიდ შემოქმედებით აღმაფრენას აზიარა ნოდარ ღუმბაძის ნაწარმოებზე („მე ვხედავ მზეს“) მუშაობამ რუსული თეატრის ოსტატები, ამაზე მეტყველებს ის უამრავი ბარათი, რომლებიც მიუღია დ. ალექსიძეს მაღლიერი მსახიობებისა თუ რეჟისორებისაგან. ბევრი მათგანი მასწავლებლადაც კი თვლის ქართველ ხელოვანს, ბევრი მეგობრად და ახლობლად. ყოველივე ეს კი იმითაა გამოწვეული, რომ დღოთ ალექსიძე მეტად გულთბილია ადამიანების მიმართ, მით უფრო, თუ შეამჩნია მათში შემოქმედებითი ნაპერწკალი.

ნაპერწკლის გაღვივება კი ყველას როდი ძალუძს.

რეჟისორი ყოველთვის როდი შეესწრება თავისი ნაღვანის წარმატებას; ხშირად მსახიობთა ამარა ტოვებს იმას, რაც გულით და გონებით შეუქმნია. და თუ მონაწილეთ ჭეშმარიტად უყვართ ის წარმოდგენა, არც აგრძნობინებენ მაყურებელს, რომ რეჟისორი კულისებში არ ელით და არ ღელავს...

ასე იყო მაშინაც, როცა ლენინგრადში გასტროლებზე ჩასულ სამხატვრო თეატრს ვაკყვა „მე ვხედავ მზის“ რეპეტიციების განწყობილება.

და რაკი ყველა ჭეშმარიტი შემოქმედელი იზიარებს სტანისლავსკის აზრს, რომ არ არსებობს მცირე და დიდი როლები, სამხატვრო თეატრის მსახიობი ნ. პოპოვიც სიყვარულით მოჰკიდებია ფოსტალიონის როლის განსახიერებას.

ნ. პოპოვი შორიდან გაესაუბრა საყვარელ რეჟისორს: „ლენინგრადში თქვენთან ერთად დავდივარ და ვფიქრობ. ვუყურებ ქლაქ-მუზეუმს და მაინც თქვენზე ვფიქრობ... თქვენ გამიგებთ, როგორც დიდი მხატვარი, რომელიც ძალზე ფაქიზად აღიქვამს მეტად ლამაზს.

გთხოვთ, რეპეტიციებზე ბევრს ნუ

ეწევით, გაუფრთხილდით თავს. თქვენ ესაჭიროებით ხელოვნებას. გაუფრთხილდით თქვენ რეჟისორული ოცნებებისათვის. მე მსურს, „მხატვის“ სცენიდან მაყურებელმა დაინახოს მზე. მჯერა, ეს ასე იქნება.

თქვენთან შეხვედრამ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა. თქვენ მიმითითებ გზებზე, იმ გზებზე, რომლებიც ჩემს საყვარელ კოწიასთან მიმიყვანს. მე ის უკვე შევიყვარე. თქვენ შემაყვარეთ, თქვენ მაძიულეთ ვიარო კოწიას ფიქრით.

როლი პატარაა, მაგრამ „მაგარი“... მე მგონია, კოწია ისეთი აღამაინია, ეზოში შესულს ძაღლიც არ შეუყვებს“...

ასე ახლოს მიიტანა ქართველი კაცის ფიქრი რუს მსახიობებთან დ. ალექსიძემ, ასე დაასახლა რუსულ სცენაზე ქართული მზე!

ვკითხულობ ცნობილი არტისტის ა. ტოპჩიევის ბარათსაც, დაწერილს ორი წლის წინათ და მინდა ისიც გავაცნო მკითხველს: „ძვირფასო დიმიტრი ალექსის ძევ, მინდა გითხრათ, რომ თქვენთან მუშაობით განვიცადე ნამდვილი შემოქმედებითი წვა, ბედნიერება. თქვენ ჰკვიანი, ნიჭიერი და მგზნებარე მხატვარი ხართ. თქვენთან მუშაობამ გამამდიდრა. ეს იყო ახალი საფეხური ჩემს შემოქმედებით ცხოვრებაში. უთქვენოდ სულიერ სიცარიელეს განვიციდი. მაკლია თქვენი რეპეტიციები, რომლებიც აღაზნებენ და აძიულბენ მსახიობს იცხოვროს დამაბული შემოქმედებითი ცხოვრებით. მჯერა, ჩვენი შემოქმედებითი კავშირი გაგრძელდება“.

...ამჯერად დ. ალექსიძე კიევის ფრანკოს სახელობის დრამატულ თეატრში მოღვაწეობს და იმ თეატრს ამდიდრებს თავისი დიდი ოცნებით.

ჯერ კიდევ არ გამქარა ის დიდი გამოძახილი, რაც მოჰყვა დ. ალექსიძის მიერ ანტიკურ ტრაგედიასთან მეორედ შეჭიდებას. კვლავ დიდი გამარჯვებით დაგვირგვინდა ეს შეჭიდება.

სოფოკლეს „ანტიგონე“ გახდა დღესდღეობით ფრანკოს სახელობის თეატრის აღორძინების მიზეზი. რუსეთისა და

უკრაინის პრესა (რომ აღარაფერი ვთქვით ქართულზე) გულითადად გამოეხმავათ ამ საინტერესო ამბავს.

და, რაც მთავარია, ყველა გააოცა იმ შესმატებულებამ, რაც სუფევს სპექტაკლის მონაწილეთა შორის, პლასტიკამ, რაც ასე დამახასიათებელია დ. ალექსიძის დადგმებისათვის; აღმოჩენებმა, რაც მოახდინა ქართველმა რეჟისორმა ახალგაზრდა უკრაინელ მსახიობთა არჩევანში. გაზეთში „პრავდა უკრაინი“ დაიბეჭდა ვრცელი წერილი „თარგმანი, პიესა, სპექტაკლი, მაყურებელი“; აი რეცენზენტის სიტყვებიც:

„ანტიგონე“ რეჟისორული სპექტაკლია. ეს იგრძნობა ყველაფერში — დრამატული მასალის გააზრებაში, მსახიობთა შესრულებაში, ქოროს მოქმედებაში, მხატვრულ გაფორმებასა და მუსიკაში... სპექტაკლში ყველაფერი დიადი, მონუმენტური და ეპიური. ასე მოქმედებენ გმირები, ასე გამოდის ქორო, რომელიც ზოგჯერ მიზანსცენებში ისე მოჩანს, თითქოს ძველი ფრესკები გაცოცხლებულან“. ესოდენ მაღალ შეფასებას აძლევს ი. კისელევი დოდო ალექსიძის ნამუშევარს.

ჩვეული სითამამით მოეკიდა საქმეს თავის ახალ საასპარეზოზე დ. ალექსიძე. თუნდაც იმ ნაწყვეტიდან, ტელეეკრანების მეოხებით რომ მოგვცვდა, აშკარაა, თუ როგორ ცდილობს რეჟისორი აამაღლოს ფრანკოს სახელობის დრამატული თეატრი იმ გმირულ-რომანტიკული სულისკვეთებით, რაც ვაჰყვა მას თავისი საყვარელი თეატრიდან, რუსთაველის სახელს რომ ატარებს...

მის ამ მისწრაფებას ფრთები შეასხა „ანტიგონეს“ ლაპიაშვილისეულმა მხატვრობამ და დიდებულმა მუსიკალურმა სულმა, რაიც შთაბერა წარმოდგენას ოთარ თაქთაქიშვილმა.

შენ ხარ ვენახი,

ახლად აღვავებულნი...

ეს დიდებული ქართული საგალობელია ჩაქსოვილი ანტიკურ პიესაში და ორი შორეული მარგალიტი საოცრად უახლოვდება ერთმანეთს განწყობილებით.

და ნუ გაგივირდებათ, თუ არანაკლებ საინტერესო იქნება დ. ალექსიძის ახალი და ახალი დადგმები. თუნდაც უკრანელი კლასიკოსის კულიშის ტრაგედია „პათეტიკური სონატა“, რომელსაც დ. ალექსიძემ დაუბრუნა სიცოცხლე უკრანულ სცენაზე. ანდა „ურიელ აკოსტა“, რომლითაც მალე გაახარებს რეჟისორი კიეველ მაყურებელს.

მთავრდება კეთილშობილი მავრის ტრაგედია და იგივე კიეველები აღტაცებული არიან, რომ მათი საოპერო თეატრის სცენა გაამდიდრა დ. ალექსიძის მიერ დადგმულმა ვერდის „ოტელომ“.

„ოტელოზე“ დ. ალექსიძესთან ერთად მუშაობდა მისი დადგმების განუყრელი თანამგზავრი, მისი პოეტური სულის თანაზიარი მხატვარი ფარნაოზ ლაპიაშვილი.

...იგი ოცნებობს, იმავე სცენაზე აამღეროს ქართული ოპერა!

მას იწვევენ ტაშკენტში შექსპირის „მეფე ლირის“ დასადგმელად, თხოვენ კიშინიოვში, მინსკა და ისევ მოსკოვში.

ყველაზე ამაღლვებელია მიწვევა ბულგარეთში; მათ სურთ ქართველმა რეჟისორმა „პრომეთე“ ააჯანყოს სოფიის დრამატული თეატრის სცენაზე. პრომეთეს ქართველ ორეულთან — ამირანთან შებმა (როდესაც რუსთაველის თეატრის სცენაზე დადგა დ. გაჩეჩილაძის „ამირანი“), ახალი „ბრძოლის“ კეთილად დაგვირგვინების საწინდარია.

გულთან ახლოს მიაქვს ალექსიძის ნათელი, დახვეწილი შემოქმედება ყველას.

ვისაც სულის სიღრმემდე უყვარს და სწამს თეატრი, ვისაც კი უნახავს მისი თუნდაც ერთი წარმოდგენა. ორმა მთავანმა მთელი საქართველო მოიარა.

მარჯანიშვილი ოცნებობდა სპექტაკლებზე ღია ცისქვეშ...

ამ ნატვრას დ. ალექსიძემ შეასხა ფრთები—მან დაუბრუნა ანტიკურ ტრაგედიას პირვანდელი უმაღლესი გუმბათი ცისა; დაუბრუნა და ეს არ იყო უცხო ქართული კულტურისათვის — აგერ ლამის 3.000 წელმა გადაიქუხა და კვლავაც არ წაშლილა კვალი კლდეში ნაკვეთი თეატრისა უფლისციხეში; და იგი არ იყო ერთადერთი.

ახლაც ღია ცისქვეშ გოდებდა ქორო და ბედისწერას ებრძოდა ოიდიპოსი.

ვაჟა-ფშაველას ლელა კი სწორედ იქ შეხვდა ანდარებს, სადაც ბახტრიონის გმირთა გმირობას დაედგა მაღალი სვეტი; და ხალხთან, ბახტრიონის ციხის ნანგრევებთან ერთად ზურგზე ცხრაკარა ეკლესია-სასახლე მოკიდებული მთაც უმზერდა გაცოცხლებულ რაინდებს!

ასე უბრუნებს ხელოვანი სიცოცხლეს წარსულს...

ასე ადის კვარცხლბეკზე თანამედროვეობა და დიდხანს, დიდხანს ცოცხლობს სცენაზე.

ამ სიცოცხლის მომნიჭებელი კი ის შემოქმედი, ვინც დიდ ოცნებად სახავს თეატრს...

...და სპექტაკლს აგებს, როგორც დიდ ტაძარს!





მიხეილ სვანიძე

## საქართველო იყო მისი საოცნებო სახელი!

პართველი ძალი — დიპლომატი

1612 წელს სტამბოლში ქართველი დიპლომატი ქალის აქტიური მონაწილეობით ოსმალეთსა და ირანს შორის ზავი დაიდო.

ვინ იყო ეს ქართველი ქალი და ან რატომ იბრძოდა იგი ასე ენერგიულად ოსმალეთსა და ირანს შორის ზავის დასადებად?

ქართულ წყაროებში ამ დიპლომატ ქალზე არავითარი ცნობა არ მოიპოვება. ეს, უპირველეს ყოვლისა, აიხსნება იმით, რომ უამთა სიავის გამო იმდროინდელმა ქართულმა ნარატულმა წყაროებმა ჩვენამდე ვერ მოაღწია. აღმოსავლურ და ევროპულ წყაროებში კი აქა-იქაა გაბნეული ცნობები მის შესახებ. ამ წყაროების კრიტიკული ანალიზის შედეგად შევეცადეთ დაგვედგინა ვინაობა ქართველი ქალისა, რომლის დიპლომატიური საქმიანობაც მკვიდროდ იყო დაკავშირებული იმდროინდელი მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო მდგომარეობასთან.

1578 წელს ოსმალეთმა ირანის წინააღმდეგ ომი დაიწყო. ომი ოსმალეთის უპირატესობით მიმდინარეობდა. ოსმალეთმა დაიპყრო ამიერკავკასიის ქვეყნების დიდი ნაწილი და ირანის დასავლეთი რაიონები. 1590 წელს შაჰ-აბასი იძ-

ულებული შეიქნა ოსმალეთთან ზავი დაედო.

ირან-ოსმალეთის ომში საქართველო ირანის მოკავშირე იყო. ქართველი ხალხის ბრძოლას ოსმალ-დამპყრობლებს წინააღმდეგ ქართლის მეფე, სიმონ I მეთაურობდა.

ოსმალეთთან შეიარაღებული ბრძოლის გარდა, სიმონ I დიპლომატიური საშუალებებითაც ცდილობდა დამპყრობლების საქართველოდან განდევნას.

1590 წელს, ოსმალეთთან ზავის დადების შემდეგ, შაჰ-აბას I შეუდგა ახალი ომისათვის მზადებას.

ქართველებს თანაბრად სძულდათ ოსმალ და ირანელი დამპყრობლები, მაგრამ ახლა ქვეყანას საფრთხე უშუალოდ ოსმალეთის მხრიდან ემუქრებოდა და ისინი ოსმალეების წინააღმდეგ ბრძოლაში ირანს დაუკავშირდნენ.

1595 წელს სიმონ ქართლის მეფემ, ალექსანდრე კახთა მეფემ და შაჰ-აბასმა კავშირი შეკრეს. მათ რომის პაპსა და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების მეფეებს წერილები დაუგზავნეს, მოუწოდეს, მონაწილეობა მიეღოთ ამ კავშირში და ოსმალეთის საბოლოოდ განადგურების მიზნით საერთო ძალებით დაეწყათ შეტევა აღმოსავლეთიდან და

დასავლეთიდან (ვ. ვაბაშვილი — „ქართული დიპლომატიის ისტორიიდან“, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. 31, თბილისი, 1954, გვ. 90—101).

ანტიოსმალური კოალიციის მონაწილეებმა თავიანთი ვეგმის განსახორციელებლად გარკვეული ნაბიჯი გადადგეს: 1598 წელს სიმონ მეფემ ოსმალეთთან ომი განაახლა, ხოლო ალექსანდრე კახთა მეფემ ოსმალეთს ხარკის გადახდა შეუწყვიტა. თავის მხრივ შაჰ-აბასმა ოზბეგები დაამარცხა და თავრიზის მახლობლად თავისი ძალების დათვალიერება მოაწყო.

1599 წელს სიმონ მეფემ ხანგრძლივი ალყის შემდეგ გაათავისუფლა ქალაქი გორი, რომელიც ქართლში ოსმალთა ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენი იყო. გორის ციხის აღება სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა ჩვენში ოსმალთა ბატონობას. ამასთანავე შესაძლებელი იყო სიმონ მეფის მაგალითისათვის ამიერკავკასიის სხვა ქვეყნებსაც მიეზბაძათ.

ოსმალეთის სულთანმა გადაწყვიტა, სასწრაფო ზომები მიეღო. მან სიმონ მეფის წინააღმდეგ გამოგზავნა თავრიზისა და ვანის ბეგლარბეგი ჯაფარ ფაშა. ქართველებისა და ჯაფარ ფაშას ლაშქარს შორის ცხარე ბრძოლა გაიმართა. მტრის ლაშქრის სიმრავლისა და შინაური ფეოდალების დაღატაკის წყალობით ქართველები დამარცხდნენ, ხოლო სიმონ მეფე ტყვედ ჩაუვარდა ოსმალებს.

სიმონ მეფის დატყვევება ოსმალთა წინააღმდეგ მებრძოლი ძალების მძიმე მარცხი იყო. „სულთანმა, — წერს სომეხი ისტორიკოსი არაქელ თავრიზელი, — როდესაც სიმონ მეფის დატყვევების ამბავი შეიტყო, ბრძანა მთელი თავისი იმპერიის ქალაქებში ქუჩები მოერთოთ და სამი დღე და ღამის განმავლობაში ეუქმათ და ემხიარულათ“.<sup>1</sup>

ქართველი ხალხის ბრძოლას ოსმალე-

ბის წინააღმდეგ თანაუგრძნობდნენ არა მარტო ამიერკავკასიის ხალხები, არამედ ანატოლიაში აჯანყებული გლეხებიც, რომლებიც ისტორიაში ჯალალთა სახელით არიან ცნობილი. როდესაც დატყვევებული სიმონ მეფე სტამბოლში მიჰყავდნენ, აჯანყებულ გლეხთა ხელმძღვანელმა ყარა-იაზიჯიმ გადაწყვიტა სიმონ მეფე ტყვეობიდან დაეხსნა. „მან (ყარა-იაზიჯიმ — მ. ს.) უბრძანა თავის თანამებრძოლებს სიმონი მოენახათ, მცველებისაგან მოეტაცათ და მასთან მიეყვანათ“.<sup>2</sup> მართალია, სიმონ მეფის გათავისუფლების ეს ცდა უშედეგოდ დამთავრდა, მაგრამ თვით ფაქტი მეტად საყურადღებოა.

1600 წლის ზაფხულში სიმონ მეფე სტამბოლში ჩაიყვანეს და იედი კულეს (შვიდგუმბათიან) ციხეში მოათავსეს.

ქართველებმა ენერგიული ზომები მიიღეს სიმონ მეფის დასახსნელად. „ქართველთა დაუწყეს ხონთქარს ხვეწნა და მეფის სვიმონის გამოშვებას ეაჯნეს. მრავალი ძვირფასი თვალმარვალისი და (sic) გაუგზავნეს და ვიორგი მეფის შვილი დავით მძევლად მიჰგვარეს, რომ სვიმონ წამოიყვანონ“ (ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ს. კაკაბაძის რედაქციით, „საისტორიო მოამბე“, ნაწ. II, თბილისი, 1926, გვ. 16).

სტამბოლში ჩასულ უფლისწულ დავითზე საყურადღებო ცნობებს გვაწვდის სტამბოლში მყოფი საფრანგეთის ელჩი (დავით ბატონიშვილის სტამბოლში ყოფნასთან დაკავშირებით იხ. ჩვენი წერილი — „ერთი ფურცელი საქართველოთურქეთის ისტორიიდან“, „ციცკარი“, 1965, № 3).

შაჰ-აბასის ისტორიკოსის ისკანდერ მუნშის ცნობით, ოსმალეთის მიერ სიმონ მეფის დატყვევების შემდეგ სტამბოლში გაგზავნეს „ქართველი ქალი სახელად გულჩარა, რომელიც მისი აღმატებულება შაჰის (შაჰ-თამაზ I — მ. ს.) კარზე იმყოფებოდა და ოჯახის (დინასტიის) ნათესავთაგანი იყო და მომხდარი ამბების (სიმონ მეფის ტყვეობიდან გათავისუფლების — მ. ს.) შემდეგ სიმონ

<sup>1</sup> Collection d'historien Arméniens, traduit par M. Brosset პეტერბურგი, 1874, გვ. 562.

<sup>2</sup> იქვე.

მეფესთან ერთად საქართველოში დაბრუნდა და როდესაც სიმონ მეფე, როგორც ამაზე ზემოთ გვქონდა საუბარი, ოსმალთა ტყვე გახდა და იგი სტამბოლში წაიყვანეს, იმ გვარის (დინასტიის) ქალებმა ზემოხსენებული ქალბატონი სტამბოლში გაგზავნეს, რათა მას მომსახურება და ზრუნვა აღმოეჩინა. გულჩარა დაუახლოვდა სულთან მეჰმედის პატივცემულ დედას, რომელსაც იმ ოჯახში დიდი გავლენა ჰქონდა, და მოხერხებული ქცევით და წესიერი სამსახურით მისი ნდობა მოიპოვა და რამდენიმე ხანს სტამბოლში დაჰყო“ (ისკანდერ ბეგ თურქმანი „თარიხ-ი ალემ არა-ი აბასი“ ტ. 1, თეირანი, 1956, გვ. 720).

ცნობა საყურადღებოა იმ მხრივ, რომ ისკანდერ მუნში ირანში მყოფ სიმონ მეფის ნათესავთა შორის ასახელებს გულჩარას, რომელიც, როგორც ჩანს, მეტად დაახლოებული ყოფილა სიმონ მეფესთან.

საყურადღებო ცნობას გვაწვდის აგრეთვე შაჰ-აბასის კარზე მყოფი პორტუგალიის ელჩი ანტონიო გოვეა. მისი გადმოცემით, სტამბოლში ჩავიდა ქართველი ქალი გულჩარა (გულკარა) და სულთნის დედის ნდობა დაიმსახურა. ანტონიო გოვეა გულჩარას შეცდომით სიმონ მეფის მეუღლეც თვლის.<sup>1</sup> როგორც ქართული წყაროებიდანაც ცნობილი, სიმონს ცოლად ჰყავდა ლევან კახთა მეფის ქალიშვილი ნესტან-დარეჯანი.

ბ. გიორგაძე, რომელიც ეყრდნობა ა. გოვეას ამ ცნობას, გამოთქვამს მოსაზრებას, რომ გულჩარა სიმონ მეფის ხარკა უნდა ყოფილიყო (ბ. გიორგაძე — „უცხოელი მწერალი საქართველოს შესახებ“, „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1953, 16—18/VI).

პროფესორ ვ. ვაბაშვილის აზრით, გულჩარა სიმონის მახლობელი ქართველი მანდილოსანი ქალი იყო (ვ. ვაბაშვილი „სათათრო გამოსაღები“ გვიანფორდალურ საქართველოში“, „მიმოხილველი“, ტ. III, 1953, გვ. 153).

შევეცადოთ დავადგინოთ, ვინ იყო ეს ქართველი ქალი, რომელიც ესოდენ ენერგიულად იბრძოდა სიმონ მეფის განთავისუფლებისა და ირან-ოსმალეთს შორის ზავის დადებისათვის.

გულჩარას ვინაობის გასარკვევად დიდი მნიშვნელობა აქვს იტალიურ და რუსულ წყაროებში დაცულ ცნობებს.

1603 წელს კონსტანტინოპოლში მყოფი ვენეციის ელჩის ავგუსტინო მანის ცნობით, სიმონ მეფემ ტყვეობიდან განთავისუფლების მიზნით თავისი ულამაზესი შვილიშვილი სერალში გაგზავნა და კიდევ მეორე შვილიშვილი, მაგრამ მის ამ ცდას წარმატება არ ჰქონდა.<sup>2</sup>

აქედან ირკვევა, რომ გიორგი მეთემ სიმონ მეფის დასახსნელად სტამბოლში გაგზავნა არა მარტო თავისი შვილი დავითი, როგორც ეს ქართული წყაროებითაა ცნობილი, არამედ თავისი უმშვენიერესი ქალიშვილიც.

სტამბოლში გიორგი მეფის შვილების (დავითისა და მისი დის) ყოფნა დასტურდება აგრეთვე რუსული დიპლომატიური საბუთებიდანაც. ასე, მაგალითად, გიორგი მეთემ რუსეთის ელჩს ერთ-ერთი საუბრის დროს განუცხადა:

«...за веру христианскую дед мой и отец стояли против турских и кизилбашских людей и голову свою отец мой за то дал, — и ныне в плену у турского и с ними дети мои» (С. А. Белокуров. Сношения России с Кавказом в 1578 — 1613 гг. Москва, 1889, გვ. 498).

გიორგის შვილებში უნდა ვიგულისხმოთ დავითი და მისი და, რომლის სახელი ჩვენთვის უცნობია. სტამბოლში ჩასულ უფლისწულ დავითზე, როგორც უკვე მივუთითეთ, საყურადღებო ცნობებს გვაწვდის სტამბოლში მყოფი საერანგეთის ელჩი. დავითის დის საქმიანობის შესახებ კი წყაროებში არავითარი ცნობა არ მოიპოვება. ჩვენი აზრით, სტა-

<sup>1</sup> Antonio de Gouvea, Relation des grandes guerres et victoire obtenues par le Chach abbas contre les empereurs de Mehmet et Ahmet... Rouen, 1646, p. 313.

<sup>2</sup> Barozzi e Berchet. — Relation degli ambasciatori e baili Veneti a Constanti-nopoli Venezia. 1873, v. 1, p. 1, p. 33.

მბოლში ჩასული გულჩარა გიორგის ქალიშვილი უნდა იყოს.

ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს ის, რომ ერთ-ერთი იტალიური წყაროს მიხედვით, სიმონ მეფის შვილიშვილი, რომელმაც უარი თქვა გათურქებაზე, სულთნის წერილითა და ჩაუშის უმაღლესი ტიტულით ირანში გაიგზავნა.<sup>1</sup> ანტონიო გოვეასა და ისკანდერ მუნშის საისტორიო თხზულებებიდან კი ირკვევა, რომ ამგვარი დიპლომატიური დავლებით სულთანმა ირანში შაჰ-აბასთან გულჩარა გაგზავნა. ამგვარად, გულჩარა და სიმონის შვილიშვილი ერთი და იგივე პიროვნება ჩანს. ამასთანავე თუ გვითვალისწინებთ იმასაც, რომ ისკანდერ მუნშის გადმოცემით, გულჩარა სიმონ მეფის ნათესავია, მაშინ ეს მოსაზრება კიდევ უფრო დამაჯერებელი ხდება.

საქართველოდან სიმონ მეფის გათავისუფლების მიზნით დელეგაციის გამგზავრება ოსმალეთში 1600—1603 წლებში (ე. ი. სიმონ მეფის სტამბოლში ჩაყვანიდან ირან-ოსმალეთის ომის დაწყებამდე) უნდა მომხდარიყო. ამ მოსაზრებას ერთგვარად მხარს უჭერს თურქულ წყაროებში დაცული ცნობა: 1011 წელს ჰიჯ. — 1602/3 წელი) სტამბოლში ჩაიტანეს ალექსანდრე კახთა მეფისა და სიმონ მეფის შვილის — გიორგის ხარაჯა და ფეშქაში.<sup>2</sup>

თურქულ წყაროში ნახსენები ფეშქაში, ვფიქრობთ, სიმონ მეფის გასანთავისუფლებლად სულთანისათვის მისართმევი საჩუქარი უნდა ყოფილიყო.

სტამბოლში ქართველთა დელეგაციის ჩასვლის დროისათვის ოსმალეთის მდგომარეობა გართულდა. ოსმალეთისა და ირანის შორის ურთიერთობა უფრო მეტად დაიძაბა.

1603 წელს შაჰ-აბასმა ხანგრძლივი მომზადების შემდეგ ოსმალეთთან ომი

განაახლა. სპარსელებთან ერთად ოსმალეთის წინააღმდეგ ომში თავდასხმულ ქართველთა მეთაურთა შორის მართლ-კახეთის მეფეებმა (სულთნის მონაწილეობას. ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში სიმონ მეფის ტყვეობიდან განთავისუფლება მძევლებით თუ ძვირფასი საჩუქრებით, შეუძლებელი გახდა. მიუხედავად ამისა, სტამბოლში ჩასული ქართველები იმედს არ ჰკარგავდნენ და სხვადასხვა საშუალებებით ცდილობდნენ სიმონ მეფის დასახსნა.

ევროპული წყაროების მიხედვით, დავით ბატონიშვილი სტამბოლში შეხვდა საფრანგეთისა და ვენეციის რესპუბლიკის ელჩებს. საფიქრებელია, დავითი მათ თხოვდა დახმარებას სიმონ მეფის განთავისუფლების საქმეში, აგრეთვე ქართველები შეეცდებოდნენ დაკავშირებოდნენ სტამბოლში მყოფ ევროპის სხვა ქრისტიანული სახელმწიფოების წარმომადგენლებსაც და მათაც სთხოვდნენ დახმარებას.

როგორც ჩანს, ქართველებმა მათგან სასურველი დახმარება ვერ მიიღეს. ეს აიხსნება იმით, რომ ამ დროს ევროპის სახელმწიფოები დაინტერესებული იყვნენ ოსმალეთთან კარგი ურთიერთობით და თავიანთი სავაჭრო-ეკონომიური პოზიციის განმტკიცებით. ამავე დროს, ევროპის სახელმწიფოებს ხელს აძლევდა ირან-ოსმალეთის ომის გაჭინაურება. ამით დასუსტდებოდა ოსმალეთისა და ირანის. ასევე შესუსტდებოდა ოსმალეთის ექსპანსია ევროპის ქვეყნების მიმართ. ამრიგად, ევროპის სახელმწიფოების დახმარება არარეალური ჩანდა.

სიმონ მეფის გასანთავისუფლებლად საჭირო იყო სხვა გზების ძებნა.

1603 წლის 22 დეკემბერს გარდაიცვალა სულთანი მეჰმედ III და ტახტზე ავიდა 14 წლის აჰმედ I (1603-1617 წ.წ.). ამ დროს მთელ სახელმწიფო საქმეებს ფაქტიურად სულთნის დედა განაგებდა.

სინტერესოა აღინიშნოს, რომ აჰმედ პირველის ტახტზე ასვლიდან ორი კვირის შემდეგ სასახლის კარზე დაწინაურდა გურჯი (ქართველი) მეჰმედ ფაშა და იგი სასახლის აღად დანიშნეს. შემდგომ ამ მეჰმედ ფაშას ოსმალეთის სახელმწიფოში სხვადასხვა მალაღობა თანამდებობა ეკავა. მაგალითად, იგი სა-

<sup>1</sup> J. Hammer. Histoire de l'empire ottoman, Paris, 1841, v. 8, p. 59.

<sup>2</sup> J. H. Uzuçarsili Osmanli, tarihi, Ankara, 1954, c. 3, k. 2, s. 110.

მჭერ იყო დიდი ვეზირის მოვალეობის აღმსრულებელი (Mufassal Osmanli tarihi, ტ. IV, სტამბოლი, 1950, გვ. 1848). შესაძლებელია, გურჯა მეჰმედ ფაშამ გარკვეული დახმარება აღმოუჩინა სტამბოლში ჩასულ ქართველებს თავიანთი მიზნის განხორციელებაში.

ასეთ ვითარებაში გულჩარამ სცადა თავისი გეგმის განხორციელება. იგი დაუახლოვდა სულთნის დედას და მისი ნდობა დაიმსახურა.

ირანთან ომში ოსმალეთი მარცხდებოდა. ამავე დროს იგი ევროპაში ავსტრიის იმპერიას ეომებოდა. საკუთრივ ოსმალეთში კი კვლავ გლეხთა აჯანყებები გრძელდებოდა.

ოსმალეთის მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდებოდა ირანთან დაზავების შედეგად. სულთანმა და მისმა დედამ შაჰ-აბასთან მოლაპარაკება ტყვეობაში მყოფ ქართველ მეფეს სთხოვეს. შესაძლებელია, ეს იდეა, სიმონ მეფის მითითებით, თვით გულჩარამ შესთავაზა მათ. პორტუგალიის ელჩის ანტონიო გოვეას ცნობით, სიმონ მეფე განთავისუფლეს და იგი გულჩარასთან ერთად შაჰ-აბასთან მოსალაპარაკებლად გაემგზავრა (ა. გოვეას დასახელებული ნაშ. გვ. 313).

სულთნისა და მისი დედის ასეთი პოზიცია სავესებით გასაგებია: „ამ დროს მათთვის საჭიროა სიმონისთან გამოცდილი სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც ირანში თავის დროზე პატივისცემით იყო მიღებული და რომელსაც ირანულ პოლიტიკურ წრეებში გარკვეული წონა ჰქონდა“ (ს. ჯიქია, ეპიზოდი XVI საუკუნის ისტორიიდან, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. 31, თბილისი, 1953, გვ. 58).

სიმონ მეფის შუამავლობას იმ მხრივაც ჰქონდა მნიშვნელობა, რომ ამ ომში „გურჯისტანის საკითხი“ კვლავ ერთ-ერთი მთავარი საკითხი იყო და მისი გადაწყვეტა ბევრად გადავიდებოდა მოწინააღმდეგე მხარეების დაზავებას. ამასთანავე, ამ ომში გიორგი X სიმონის ძე — ქართლის მეფე და ალექსანდრე კახთა მეფე შაჰ-აბასის მოკავშირეები იყვნენ და შესაძლებელი იყო მათ გარკვეული ზეგავლენა მოეხდინათ შაჰზე. დაბოლოს, სი-

მონ მეფესა და შაჰ-აბასს შორის ნათესაური კავშირი არსებობდა, რაც, ალბათ, ერთგვარად გადავიდებოდა სიმონის მიმართ სიას.

თავის მხრივ, სიმონ მეფე დაინტერესებული იყო ირანსა და ოსმალეთს შორის ზავის დადებით: ამით შეწყდებოდა ირან-ოსმალეთის სისხლისმღვრელი ომი, რომლის ასპარეზი ამიერკავკასიის ქვეყნები და, კერძოდ, საქართველო იყო.

ერთი სიტყვით, შაჰ-აბასის ყოფილ მოკავშირეს, იმჟამად ოსმალეთის ტყვეს, სიმონ მეფეს შაჰისათვის ოსმალეთთან ზავის დადება უნდა ეთხოვა და ამ რთული დავალების შესრულებაში მას გულჩარა უნდა დახმარებოდა.

სულთანი ფრთხილად მოქმედებდა და სიმონ მეფის განთავისუფლების პირობად ირანთან ზავის დადებას მოითხოვდა.

სიმონ მეფე და გულჩარა კონსტანტინოპოლიდან ექვსი თუ შვიდი დღის გამგზავრებულები იყვნენ, როცა სულთანმა თავისი გადაწყვეტილება შეცვალა, სიმონ მეფე უკან დააბრუნა და შაჰ-აბასთან მხოლოდ მისი მეუღლე (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ა. გოვეა შეცდომით გულჩარას სიმონ მეფის მეუღლედ სთვლის — მ. ს.) გაგზავნა. (იხ. ა. გოვეას დასახელებული ნაშრომი, გვ. 313).

ამგვარად, ამ საპასუხისმგებლო მისიის შესრულება მთლიანად გულჩარას დაევალა.

რა იყო მიზეზი, რისთვის შეცვალა სულთანმა თავისი გადაწყვეტილება? ა. გოვეას აზრით, ამის მიზეზი იყო არა მარტო სულთნის შიში, რომ სიმონ მეფე არასოდეს აღარ დაბრუნდებოდა უკან, არამედ ისიც, რომ იგი შაჰს გააცნობდა თურქეთის იმპერიის ნამდვილ მდგომარეობას, იმ უმწეობასა და არეულობას, რაც კონსტანტინოპოლში სუფევდა. ამავე დროს, გულჩარა უფრო მეტი ენერჯითა და თავგამოდებით შეეცდებოდა ირანთან ზავის დადებას და ამ გზით შეძლებდა ტყვეობაში მყოფი ქმრის — სიმონის განთავისუფლებას.

ამ ცნობიდან ჩანს, რომ სულთანისათვის მეტად საშიში იყო ირანთან ზავის

დადებამდე სიმონ მეფის განთავისუფლება, რადგანაც ტყვეობიდან განთავისუფლების შემდეგ სიმონი არ იქნებოდა დაინტერესებული ირან-ოსმალეთს შორის ზავის დადებით.

გულჩარა მთელი ენერგიითა და მონღომებით შეუდგა ძნელი დიპლომატიური მისიის შესრულებას. უეჭველია, იგი გამოიყენებდა სიმონ მეფის ავტორიტეტს ირანის შაჰის კარზე. თუ როგორ ვაართვა მან თავი ამ რთულ ამოცანას, მოთხრობილია აღმოსავლურ და ევროპულ წყაროებში, სადაც აისახა ნიჭიერი, ენერგიული, დარბაისელი დიპლომატი ქალის როლი ირანსა და ოსმალეთს შორის ზავის დადების საქმეში.

1606 წლის ზაფხულში გულჩარა შაჰ-აბასთან მოსალაპარაკებლად გაემგზავრა. ოსმალეთის დიდმა ვეზირმა დერვიშ ფაშამ მას თან გააყოლა თურქი ჩაუში მურად ალა.

შაჰ-აბასმა დიდი პატივით მიიღო გულჩარა (ამ დროს შაჰი სევანის ტბის მიდამოებში იმყოფებოდა) და მასთან გამართულ მოლაპარაკებაში ომის შეწყვეტის პირობად 1555 წლის ირან-ოსმალეთის ზავის აღდგენა მოითხოვა (გოვეას ნაშრომი, გვ. 313, 314).

შაჰ-აბასი დათმობაზე არ მიდიოდა და 1555 წლის ზავის პირობებში რაიმე ცვლილებების შეტანას მიუღებლად თვლიდა. თავის მხრივ, არც ოსმალეთის მთავრობა აპირებდა მიღწეულის დათმობას და 1590 წლის ზავის შემდეგ 1555 წლის ზავის პირობების აღდგენას. მოლაპარაკებას შედეგი არ გამოუღია, მაგრამ იგი ამით არ შეწყვეტილა. იმდროინდელი წყაროებიდან ჩანს, რომ გულჩარა რამდენჯერმე გაემგზავრა შაჰ-აბასთან მოსალაპარაკებლად.

კონსტანტინოპოლში მყოფი საფრანგეთის ელჩი გონტო ბირონ ბარონ დე სალინიაკი 1609 წლის 5 სექტემბერს თავის მეფეს სწერდა: „ქალი, რომელიც სპარსეთის საზღვრებიდანაა, ქალი, რომელიც ამ საქმეში გამოცდილია და თავისუფლად ნახულობს ოსმალეთის სულთანსა და სპარსეთის შაჰს, აი სამი დღეა რაც ჩამოვიდა მათ შორის ზავის

დასაიდებად“.<sup>1</sup>

ეს ქალი, რომელიც სპარსეთიდან სტამბოლში ჩავიდა ზავის დასაიდებად, გულჩარა უნდა იყოს. ამასთანავე ირკვევა: გულჩარა განსაკუთრებული რწმუნებით ყოფილა უფლებამოსილი და თავისუფლად ხვდებოდა როგორც სულთანს, ისე შაჰს. ყოველივე ეს მოწმობს, რომ გულჩარა ოსმალეთისა და ირანის მონარქების დიდი ნდობით სარგებლობდა.

საფიქრებელია, ქართველი დიპლომატი ქალი გულჩარა, რომელიც სიმონ მეფის დავალებით ირან-ოსმალეთს შორის ზავის დადებისათვის იღწვოდა, შეეცდებოდა საზავო მოლაპარაკებისას საქართველოს ინტერესების დაცვასაც. ამის შესახებ წყაროებში პირდაპირი მითითება არ მოიპოვება, მაგრამ წყაროების ანალიზის შედეგად შესაძლებლად მიგვაჩინია ასეთი დასკვნის გამოტანა.

1610 წელს შაჰ-აბასმა ლუარსაბ მეფის მოთხოვნით თბილისის ციხიდან გაიყვანა ყიზილბაშთა გარნიზონი. (1606 წ. სპარსელებმა, ქართველების დახმარებით, თბილისიდან თურქები განდევნეს და ქალაქის ციხეში თავისი გარნიზონი ჩააყენეს). ეს იყო ქართველთა მნიშვნელოვანი გამარჯვება, საწინდარი ყიზილბაშთაგან ქართლის განთავისუფლებასა.

რითი აიხსნება თბილისიდან ყიზილბაშთა გარნიზონის გაყვანა და ციხის ლუარსაბ მეფისათვის დაბრუნება? რა თქმა უნდა, ეს შაჰ-აბასის ნებაყოფლობითი აქტი არ იყო (მოგვენათა შემდგომმა მსვლელობამ დაადასტურა შაჰ-აბასის აგრესიული ზრახვები საქართველოს მიმართ).

ისკანდერ მუნშის ცნობით, „თბილისის ციხე სიმონ მეფის კეთილმოსურნეობისა და ერთგულების საზღაურად მის შვილიშვილს, ლუარსაბ მეფეს ეწყალობა“.

ამგვარად, ისკანდერ მუნში შაჰ-აბასის ამ წყალობას სიმონ მეფის „კეთილმოსურნეობისა და ერთგულების“ საზღაურად

<sup>1</sup> Ambassade en Turquie de Jean de Gontaut Biron baron de Salignac 1605-1610 Paris, 1809, v. 2, p. 301.

რად მიიჩნევს. რაში გამოიხატებოდა ოს-  
მალთა ტყვეობაში მყოფი სიმონ მეფის  
„ერთგულება“ ირანის შაჰის მიმართ? სი-  
მონ მეფის „კეთილმოსურნეობა“ შაჰ-აბ-  
ასის მიმართ, ვფიქრობთ, აიხსნება მისი  
ღვაწლით ირან-ოსმალეთის საზავო მო-  
ლაპარაკებაში. ცხადია, რომ ამ მოლა-  
პარაკებისას სიმონ მეფე საქართველოს  
ინტერესებსაც არ ივიწყებდა. შაჰ-აბ-  
ასიც, სანამ ირან-ოსმალეთის ომი გრძე-  
ლდებოდა, იძულებული იყო ანგარიში  
გაეწია თავისი მოკავშირეებისათვის და  
გარკვეულ ვითარებაში დაეკმაყოფილე-  
ბინა სიმონის მოთხოვნა.

ერთი სიტყვით, ყიზილბაშთაგან თბი-  
ლისის განთავისუფლებაში ღვაწლი მი-  
უძღოდა სიმონ მეფეს და მისი მითითე-  
ბით მოქმედ გულჩარას.

1612 წლის სექტემბერში ირანის ელ-  
ჩი ყანდი ხანი ქართველ დიპლომატ ქალ-  
თან ერთად კონსტანტინოპოლში ჩავი-  
და. ოსმალეთის ისტორიის გამოჩენილი  
მკვლევარი, აესტრიელი ისტორიკოსი ე.  
ჰამერი მიუთითებს, რომ ეს ის დიპლო-  
მატი ქალია, რომელსაც ადრე ოსმალე-  
თის დიდმა ვეზირმა ირანთან ზავის და-  
დება დაავალა (ე. ჰამერი, დასახ. ნაშრო-  
მი, ტ. VIII, გვ. 182). აქედან ცხადი  
ხდება, რომ ეს ქართველი ქალი გულჩა-  
რაა. „საქართველოს ელჩმა... თავისი სი-  
ლამაზით, ბრწყინვალეობითა და მჭევრმე-  
ტყველებით კონსტანტინოპოლი განაც-  
ვიფრა“.<sup>1</sup>

სულთანმა მათ საზეიმო შეხვედრა გა-  
უმართა.

ე. ჰამერი წერს: „ეს მეორე შემთხვე-  
ვა იყო, როდესაც კონსტანტინოპოლში  
დიპლომატად ქალს აგზავნიდნენ. ქართ-  
ველი დიპლომატი ქალი ენერგიულად  
ებრძოდა ოზბეგების წარმომადგენლებს,  
რომლებიც სულთანს აქეზებდნენ გაეგრ-  
ძელებინა ომი ირანთან“ (დასახელებუ-  
ლი ნაშრომი, ტ. VIII, გვ. 182).

როგორც დავინახეთ, გულჩარამ არა

მარტო თავისი სილამაზით, ბრწყინე-  
ლებითა და მჭევრმეტყველებით მოხიბ-  
ლა კონსტანტინოპოლი. მისი ენერგიული  
წარმომადგენლების ზრახვები — ხელი  
შეეშალათ ირანსა და ოსმალეთს შორის  
ზავის დადებისათვის.

იმ დროს მეტად უჩვეულო შემთხვევა  
იყო ქალისათვის ესოდენ საპატიო საქმის  
დავალება. დღესაც კი მეტად იშვიათი-  
დიპლომატიურ სარბიელზე ქალის მოლ-  
ვაწეობა.

თუ გავითვალისწინებთ იმ მდგომარე-  
ობასაც, რომ უცხო ქვეყნების წარმომად-  
გენლები არცთუ ისეთი ხალისით ჩა-  
დიოდნენ იმდროინდელ ოსმალეთში, რა-  
დგან თურქები ზშირად არღვევდნენ სა-  
ერთაშორისო ნორმებს, უცხო სახელმ-  
წიფოების წარმომადგენლებს ციხეებში  
ამწყვდევენ და სიკვდილითაც კი სჯი-  
დნენ, მაშინ კიდევ უფრო დასაფასებე-  
ლი და მნიშვნელოვანი გახდება გულჩა-  
რას როლი საქართველო-ოსმალეთ-ირა-  
ნის რთული პოლიტიკური ურთიერთო-  
ბის მოწესრიგებაში.

1612 წლის 20 ნოემბერს სტამბოლში  
ოსმალეთსა და ირანს შორის ზავი დაი-  
დო. ე. ჰამერის „ოსმალეთის იმპერიის  
ისტორიაში“ აღნიშნულია, რომ „ქართ-  
ველმა ქალმა შეათანხმა ზავი ოსმალეთ-  
სა და ირანს შორის“ (დასახ. ნაშრომი,  
ტ. 15, გვ. 128).

ამგვარად, 1612 წელს ირან-ოსმალე-  
თის ზავის დადებაში დიდი ღვაწლი მი-  
უძღვის გულჩარა ბაგრატიონს. მისი ენ-  
ერგიული დიპლომატიური მოღვაწეობის  
შედეგად შეწყდა სისხლისმღვრელი ომი,  
რომელსაც მძიმედ განიცდიდნენ არა მა-  
რტო ირან-ოსმალეთის, არამედ ამიერკა-  
ვკასიის ქვეყნებიც და, კერძოდ, საქარ-  
თველო.

გულჩარა ბაგრატიონი იმ სახელოვან  
ქართველ ქალთა პლეადას ეკუთვნის,  
რომლებმაც თავიანთი საქმიანობით დი-  
დი წვლილი შეიტანეს სამშობლოს ინ-  
ტერესების დაცვისა და კეთილდღეობის  
საქმეში.

<sup>1</sup> A. Lamartine, Histoire de la Turquie,  
t. 5. Paris, 1855, p. 305.



## მერეა შონია

### მოგონება და სინაქსილი

ამ ნახევარი საუკუნის წინათ, საქართველოს რუსეთთან შეერთების ასი წლისთავის აღსანიშნავად, გამოვიდა ისტორიკოს ვ. პოტოს წიგნი „Фамилия Бучкиевых“. ეს წიგნი ახლა ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა. მისი სიძველისაგან შეყვითლებული, შემოცრეცილი ფურცლები ერეკლე II მინბაშის ივანე ბუჩქიაშვილის შთამომავალთა მამაცობაზე, ბრძოლაში თავგანწირვასა და ზღაპრულ ვაჟკაცობაზე მოუთხრობს მკითხველს.

ისტორიკოსი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ამ გვარის უკანასკნელ წარმომადგენელს, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტს ალექსანდრე ბუჩქიაშვილს. აშუქებს მისი ცხოვრების გზას, უმეტესად მისი საბრძოლო ცხოვრების გზას — თავისი სამხედრო სამსახურის 49 წლიდან 30 წელი ალ. ბუჩქიაშვილმა ლაშქრობებში გაატარა.

ვ. პოტო დეტალურად აღწერს ბრძოლებს, რომლებშიც ალ. ბუჩქიაშვილი მონაწილეობდა და ხატავს ნიჭიერი, განათლებული ადამიანისა და მამაცი მებრძოლის სახეს.

ალ. ბუჩქიაშვილის ბიოგრაფიანი არის ერთი მნიშვნელოვანი მომენტი, რომელიც არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა ოფიციალურ ისტორიკოსს. ვ. პოტოს წიგნის ამ ხარეზს, თუ შეიძლება ასე ითქვას, ავსებს ალ. ბუჩქიაშვილის შვილიშვილის რუსუდან

ბაგრატიონ-მუხრანელის ოჯახში დაცული ხელნაწერი. ესაა ალ. ბუჩქიაშვილის ქალიშვილის — ანა ალექსანდრეს ასულის, ნიკო ბაგრატიონ-მუხრანელის (ნიკო ბურის) მეუღლის მოგონება.

მოგონება ეხება უნგრეთის 1848 წლის რევოლუციას. ფაქტიურად აქ აღწერილია ერთი დღე, ფრიად მნიშვნელოვანი უნგრეთის რევოლუციისათვის. მოგონებაში გვხვდება საინტერესო ცნობა უნგრეთის რევოლუციის ბელადის ლაიოშ კოშუტის ცხოვრებიდან.

საყურადღებოა, რომ ამ ერთი დღის ამბავი ზუსტად აქვს აღწერილი ისტორიკოს ვ. პოტოს. მაგრამ ბუჩქიაშვილის ქალიშვილის მოგონებების მიხედვით, სულ სხვა აზრი და შინაარსი ეძლევა იმ დღეს მომხდარ ყველა წვრილმანს.

ისტორიკოსი პოტო ალ. ბუჩქიაშვილის ბიოგრაფიას იწყებს ბავშვობის წლების აღწერით, როცა იგი ვიმნაზიაში, ყოფილ კეთილშობილთა სასწავლებელში სწავლობდა.

გასული საუკუნის 30-იან წლებში იმპერატორ ნიკოლოზ I ბრძანებით დიდგვაროვან ქართველთა ოჯახებიდან შეკრიბეს და პეტერბურგში აღსაზრდელად გაგზავნეს 7-10 წლის ასაკის ორმოცდაათი ბავშვი — მათ შორის ალექსანდრე ბუჩქიაშვილიც.

იანვრის ერთ სუსხიან დღეს ანჩისხატის ტაძარში წირვის მოსმენისა და ლოცვა-კურთხევის მიღების შემდეგ დედისა და ძმების თანხლებით პატარა აღექსანდრე გაემართა ერევნის მოედნისაკენ. მოედანზე თეთრი ფარჩით მოჩარდახული უზარმაზარი ფურგონები გამწყრივებულიყო. ბავშვებს ჩააცვეს თბილი ქურქები, დახურეს ყურგობიანი ბუხრის ქუდები და ჩასხეს ფურგონებში. ქარავანი დაიძრა. მხოლოდ სამოვენახევრის შემდეგ მიალწიეს მათ პეტერბურგს. ბავშვები დაანაწილეს კორპუსებში. ალ. ბუჩქიაშვილი კადეტთა მეორე კორპუსში მოხვდა.

გვიდა შვიდი წელი. დადგა 1844 წლის 10 აგვისტო — გამოშვების დღე. ალ. ბუჩქიაშვილმა მიიღო არტილერიის ოფიცრის წოდება. როგორც ფრიდლანდი, იგი სანიმუშო ბატარეაში ჩაირიცხეს. ბატარეა ცარსკოე სელოში იდგა. ოთხი წლის შემდეგ ბუჩქიაშვილი ბესარაბიაში მყოფი მე-15 საარტილერიო ბრიგადის მე-6 ბატარეაში გადაიყვანეს.

დადგა 1848 წელი. რევოლუციის ხანძარმა მოიცვა ევროპა—პარიზიდან ბუდაპეშტამდე, ბერლინიდან პლერმომდე. რევოლუციის წინა პერიოდში ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში დაიწყო სახალხო მდღეობა. ირყეოდა ტახტები. ინგლისში გაცხოველდა ჩარტისტული მოძრაობა, გერმანიის მთელ რიგ ქალაქებში გახშირდა სტიქიური გამოსვლები. დელავდა პარიზის ქუჩები. რევოლუცია მეფე ლუი-ფილიპეს გადადგომამაც ვერ შეაჩერა. აჯანყებულებმა ტიუილის სასახლე აიღეს, მეფის ტახტი ქუჩაში გამოიტანეს და ბასტილიის მოედანზე კოცონზე დაწვეს. საფრანგეთში რესპუბლიკა გამოცხადდა.

ნიკოლოზ I-ლმა მოლაპარაკება დაიწყო ავსტრიისა და პრუსიის მთავრობებთან. მათ საფრანგეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ ერთობლივი სამხედრო გამოსვლა შესთავაზა, მაგრამ მისი გეგმები ჩაიშალა. ავსტრიაში, პრუსიასა და ევროპის სხვა სახელმწიფოებში მომხდარმა რევოლუციებმა შეცვალეს საერთაშორისო მდგომარეობა.

რევოლუციის ტალღა რუსეთს უახლოვდებოდა. რევოლუციამ უნგრეთშიც იფეთქა. ავსტრიის იმპერიასა და მთელ ცენტრალურ ევროპაში უნგრეთი ვახლა რევოლუციის მთავარი კერა. ავსტრიის ჯარები შეიჭრა უნგრეთში. უნგრელი ხალხი აოსდა ავსტრიელთა წინააღმდეგ საბრძოლველად. მტრის მიერ დაპყრობილ რაიონებში იქმნებოდა გლეხთა შეიარაღებული რაზმები, რომლებიც დიდ დახმარებას უწყევდნენ უნგრეთის რევოლუციურ არმიას.

ევროპაში ტახტების მსხვერვითი შეშფოთებულმა ნიკოლოზ I გადაწყვიტა, რევოლუ-

ციის ტალღა შეეჩერებინა და ჯარი დასძირა დასავლეთ საზღვრებისაკენ. არმიის მე-5 კორპუსმა, რომელშიც მე-15 საარტილერიო ბრიგადა შედიოდა, დუნაის სათავადაოებში დაიკავა. ალ. ბუჩქიაშვილის ბატარეა ვილახეთში, ქ. პლოეშტიში დაბანაკდა. ვ. პოტო დაწერილებით აღწერს ამ პერიოდის ამბებსა და ბუჩქიაშვილის საარტილერიო ბრიგადის მოძრაობას.

ავსტრიელები ზედიზედ მარცხდებოდნენ. უნგრელების მიერ დამარცხებულმა გენერალ პუნენერის კორპუსმა ვალახეთს შეაფარა თავი. ავსტრიის უკანდახეულმა ჯარებმა მოიტანეს ექვსი ზარბაზანი და რუსეთის ჯარს ჩააბარეს. ზარბაზნების მისაღებად მე-6 ბატარეის პორუჩიკი ალ. ბუჩქიაშვილი გაგზავნეს. მას ბატარეა უნდა ჩამოეყალიბებინა. რადგან ავსტრიის ზარბაზნებს მომსახურე პერსონალი არ ახლდა, ბუჩქიაშვილთან პრაივის ფეხსიანთა ლეგიონის რაზმი მიავლინეს. ბუჩქიაშვილს მათთვის საარტილერიო საქმე უნდა ესწავლებინა, ახლადჩამოყალიბებულ ბატარეით ტრანსილვანიის გზის მახლობლად მდებარე სინაის მონასტროს გავემარგებნა და რევოლუციონერთა ცალკეული ნაწილებისათვის მთის გადასასვლელები ჩაეკეტა. ბატარეისა და სინაის მონასტრის დასაცავად ფეხოსანთა მთელი ათასეული მოვიდა.

მოკლენები ელვისებურად ვითარდებოდა. 1849 წლის 14 აპრილს ქ. დებრენცეს ეროვნულმა კრებამ უნგრეთის დამოუკიდებლობა გამოაცხადა. უნგრეთის მმართველად აირჩიეს რევოლუციის ბელადი ლაიოშ კოშუტი. რევოლუციური ჯარები ავსტრიის საზღვარს უახლოვდებოდნენ. 2 მაისს რევოლუციურმა რაზმებმა აიღეს ბუდას სიმაგრე.

ავსტრიის იმპერატორმა ფრანც-იოსებმა დასმარებისათვის მეფის რუსეთს მიმართა. 21 მაისს „პრავიტელსტენი ვესტნიკიში“ გამოქვეყნდა ცნობა, რომ 18 წლის მონარქის ფრანც-იოსების თხოვნით, რუსეთის იმპერატორმა ბრძანა უნგრეთისკენ დაძრულიყვნენ ჯარები რევოლუციონერთა გასანადგურებლად, რომლებიც რუსეთის საზღვრების სიმშვილესაც ემუქრებოდნენ.

რუსული საზოგადოების მოწინავე წრეები მკაცრად აკრიტიკებდნენ ცარიზმის გამოსვლას რევოლუციური უნგრეთის წინააღმდეგ. ჩერნიშევსკი 1849 წელს თავის დღიურში თავის თავს „უნგრეთის მეგობარს“ უწოდებს და გამოთქვამს იმედს, რომ მეფის ჯარი და-მარცხდება, რაც ბიძგს მისცემს აჯანყებას რუსეთში მეფის თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის წინააღმდეგ (Всемирная история. Т. VI, გვ. 364).

1849 წლის მაისში ფელდმარშალ პასკევი-

ჩის მეთაურობით რუსეთის 100.000-იანმა არმიამ გადალახა კარპატები და უნგრეთში შეიჭრა. მეორე 40.000-იანი არმია კი ტრანსილვანიაში უნდა შესულიყო. ცალკეულ რაზმებად დანაწილებული რევოლუციური არმია ალყაში ექცეოდა. თუ რაზმები შეერთებას ვერ მოასწრებდნენ, უნგრეთის რევოლუციური არმიის აშკარა განადგურება ემუქრებოდა.

ტრანსილვანიაში მიმავალ რუსეთის ჯარს უნდა გვევლო სინაის მონასტერთან, სადაც ბუჩქიაშვილის ბატარია იდგა.

სინაის მონასტერი მართლმადიდებლური იყო, მაგრამ ლოცვა რუსებისათვის გაუგებარ ვალახურ ენაზე ტარდებოდა. ამიტომ ჯარისკაცები იმეფათად ესწრაფებოდნენ წირვას და უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ, რომ სამშობლოს მოწყვეტილი წირვა-ლოცვასაც მოკლებული იყვნენ.

ბუჩქიაშვილმა გადაწყვიტა, სლავურ ენაზე მოეწყო წირვა. მან კარგად იცოდა, თუ რას ნიშნავდა სამშობლოდან გადახვეწილი რუსი ჯარისკაცისათვის წირვა-ლოცვა.

ბუჩქიაშვილი კარგად ფლობდა ადგილობრივ კილოკავებს, რაც, პოტოს მოწმობით, ბესარაბიაში სამსახურის დროს შეესწავლა. მისთვის ძნელი არ იყო რუსულ ენაზე ვალახური ტრანსკრიფციით ლიტურგიის დაწერა. მან მოიწვია ერთი მღვდელ-მონაზონი, რომელიც დიდი ხეყნა-მუღარის შემდეგ დათანხმდა ზეპირად ესწავლა დაწერილი ლიტურგია და ეწირა მისთვის უცხო რუსულ ენაზე. მენტორობა თავს იღო ბუჩქიაშვილმა. ვაკვეთილები ყოველ დილა-საღამოს ტარდებოდა, მაგრამ პოტოს ცნობით, კინაღამ სულ ჩაიშალა ეს წამოწყება. ბერებს რატომღაც მოეჩვენათ რომ ვალახურ ტაძარში უცხო ენაზე წირვა შებღალავდა ლოცვის წმინდა აზრს, შეურაცხყოფდა მათ ქრისტიანულ ვაკვეთებს. მღვდელ-მონაზონმა შეწყვიტა ვაკვეთილებზე დასწრება. დიდი შრომა და ჯაფა დასჭირდა ბუჩქიაშვილს, რათა ბერები დაეთანხმებინა და განეხლებინა ვაკვეთილები.

ამასობაში დუნაის სათავადოებიდან ტრანსილვანიაში მიმავალი გენერალ ლიდერსის კორპუსი მოადგა სინაის მონასტერს. იღუმენი სრულ შესამოსელში, ჯვრით ხელში შეეგება გენერალ ლიდერსს და ვალაოთ — „უფლოა, შეიწყალე შენი მშოსავი“ შეუძღვა ტაძარში, სადაც მღვდელ-მონაზვნები შეუდგნენ წირვის აღსრულებას. ვალახეთის ძველი ტაძრის თაღებქვეშ პირველად გაისმა რუსული ვალაოა. ჯარისკაცებმა უნებურად მუხლი მოიდრეკეს.

წირვის დამთავრების შემდეგ ბუჩქიაშვილმა გენერალი ლიდერსი და მთელი შტაბი

სადილად მიიწვია. ხაზინადარმა ბუჩქიაშვილს მონასტრის მარანიდან ძველი, ძვირფასი ღვინოები გადასცა.

ჯარი დაბანაკდა. მონასტრის კედლებთან თავი მოიყარა მთავარმა ძალებმა. მხოლოდ მეორე დღეს დაადგა ტრანსილვანიის გზას ძლიერი ავანგარდი.

ახლა გადახედვით ბუჩქიაშვილის ქალიშვილის ანა ალექსანდრეს ასულის მოგონების ფურცლებს: „სწორად ბერმონაზონმა მეცადინეობის დროს მიიწვია მონასტრის წინამძღვარმა ბუჩქიაშვილი თავისთან ყავაზე — ვკითხულობთ მოგონებაში — აქ იგი წარუდგინეს ბერის ტანსაცმელში გადაცმულ ლაიოშ კოშუტს“.

ლაიოშ კოშუტმა პორუჩიკ ბუჩქიაშვილს აუხსნა ალყაში მოხვედრილი უნგრელების მიძიმე მდგომარეობა: ერთი მხრივ, მათ ავიწროვებდნენ პასკევიჩი და ავსტრიელები, რომელთაც მიემხრო მეოლატე ელანიჩი 30.000-იანი არმიით, მეორე მხრივ — დუნაის სათავადოებში დაბანაკებული გრაფ ლიდერსის მხედრობა, რომელიც მცირე ვალახეთიდან უნდა შემოსულიყო ტრანსილვანიაში. მდგომარეობა მიძიმე იყო და განადგურებით ემუქრებოდა რევოლუციური უნგრეთის ჯარებს. რევოლუციის გადასარჩენად საჭირო იყო ტრანსილვანიისაკენ მიმავალი ჯარების შეჩერება თუნდაც რამდენიმე საათით, რათა დაეწილებული არეოლუციური არმია შეერთებულიყო. ეს საკითხი უნდა მოეგვარებინა ლაიოშ კოშუტს. რადაც არ უნდა დაჯდომოდა, უნდა შეეჩერებინა ლიდერსის ჯარი და რევოლუციური რაზმებისათვის შეერთების საშუალება მიეცა. ამიტომ იმყოფებოდა მტრის ზურგში, მონასტრის სენაკში, ბერის ტანსაცმელში გადაცმული ბელადი რევოლუციისა.

მოგონებას არ შემოუნახავს ცნობა, თუ კოშუტი რა იმედებს აყარებდა ბუჩქიაშვილზე ან რატომ ჰქონდა კოშუტს ბუჩქიაშვილის დახმარების იმედი. შესაძლებელია კოშუტმა იცოდა რუსი ჯარისკაცების განწყობილება, თვით ბუჩქიაშვილის დამოკლებულედა რევოლუციისადმი, თორემ ისე თავს არ ჩაივლებდა საფრთხეში. უეჭველია ლაიოშ კოშუტისათვის ცნობილი იყო, რომ «В среде офицеров и солдат армии Паскевича также были люди, сочувствовавшие освободительной борьбе венгерского народа. Были даже случаи перехода солдат на сторону венгров (Всемирная история. т. VI. 33. 364).

კოშუტი მგზნებარედ ლაბარაკობდა. დეკაბრისტების ტრადიციებზე აღზრდილი ბუჩქიაშვილი ადევნა კოშუტის სიტყვებმა. გადაწყვიტა, დახმარებოდა ამ მამაც ხალხს.

ბუჩქიაშვილმა ლ. კოშუტს ჯარების მოძრაობის შესაჩერებლად უბრალო, მაგრამ მეტად კეთილსაიმედო საშუალება — წირვა შესთავაზა. კოშუტი დათანხმდა. წირვისათვის თითქმის ყველაფერი მზად იყო. მხოლოდ მგალობლები არ ჰყავდათ, მაგრამ პრალის ათასეულიდან მოვიდა ოდესღაც კარის კაპელაში ნამსახური ოფიცერი და ათასეულის მომღერალთაგან გუნდის შედგენა ითავა.

როგორც პოტოს წიგნშია აღწერილი, წირვა შედგა. გენერალი ლიდერსი ცერემონიით შეიყვანეს ტაძარში. ახლა ისიც გასაგები ხდება თუ რატომ განიხვნა ტრანსილვანიაში მიმავალი რუსეთის არმიის წინაშე ასე დაუშურებლად მონასტრის მარანის კარი. როგორც პოტოს წიგნიდანაც ჩანს, ჯარს აღარ გაუგრძელებია სვლა. მონასტრის კედლებთან დაბანაკებულა და როგორც ზემოთ იყო


ნათქვამი, მხოლოდ მეორე დღეს დადგომია ტრანსილვანიისკენ მიმავალ გზას.

მიზანი მიღწეული იყო. უნგრეთის ლუციის ხელმძღვანელი, რევოლუციური უნგრეთის პირველი პრეზიდენტი — ლაიოშ კოშუტი მადლობას უხდოდა ბუჩქიაშვილს.

საქართველოს შვილს, რუს დეკაბრისტთა ტრადიციებზე აღზრდილ ბუჩქიაშვილს წილად ხვდა დახმარებოდა უნგრეთის რევოლუციის ბელადს, რევოლუციურ არმიას, უნგრელი და ქართველი ხალხის მეგობრობის ისტორიაში ახალი ფურცელი ჩაეწერა.

ეს ეპიზოდი უნგრელი ისტორიკოსებისა და ლაიოშ კოშუტის ბიოგრაფებისათვისაც არ უნდა იყოს ცნობილი.

ვინ იცის, იქნებ თვით სინაის მონასტრის ანალებში ან ხალხში იყოს შემორჩენილი რაიმე ცნობა ან თქმულება იმ პერიოდის ამბებზე და პირადად ბუჩქიაშვილის შესახებ!



# წიგნების საქყროვი



## ოსტაჯის რთველი

სიმონ ჩიქოვანის ახალი ლექსები

შუა გაზაფხული იყო, როდესაც გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნდა სიმონ ჩიქოვანის ლირიკული ლექსების ციკლი „შემოდგომის დღეები აჭარაში“. მცირე ხნის დუმილის შემდეგ კვლავ აელვარდა დიდი პოეტის საოცარი ფერადები, ამეტყველდა განუმეორებელი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ხმა... ოსტატმა შუა გაზაფხულზე გამოამზეურა თავისი შემოდგომის რთველის ნაყოფი და ხალხს ჩვეული გულუხვობით უბოძა „სოფლის სასწოროზე“ აწონილი სიტყვის აკიდოები.

ლექსების ციკლში „შემოდგომის დღეები აჭარაში“ ოსტატურად არის შერწყმული ბუნებისა და ცხოვრების ღრმა ფილოსოფიური ჰერეტიკა და უაღრესად სათუთი ლირიკული ინტონაციები, ინტიმური და საზოგადოებრივი მოტივები. პოეტი, რომელმაც ცხოვრების დიდი და რთული გზა გაიარა, აღლევებული გასცქერის წარსულს, წუთისოფლის სასწოროზე წონის მის ავ-კარგს და თუმცა ზოგჯერ ეჭვიც შეაკრთობს, მაინც იმედით შეჰყურებს მომავალს; „კიდევ შევიძლებ ვიყო მთესელი“, — წერს იგი და დასძენს:

ჯერ არ მივერძენია მუხლებში დაღლა,  
ჯერ არ გამჭარალა სიყრმის ნუგეში,  
და საზრუნავი მეტი მაქვს ახლა,  
ვიდრე მქონია სიბაბუკეში.

მკითხველმა იცის, რომ აჭარული ციკლის ლექსები იქმნებოდა მაშინ, როდესაც ს. ჩიქოვანი ჯანმრთელობისა და სულის სიმხნევისათვის „სამკურნალო ბალახის“ სათიბად იყო ჩასული „ზღვის მომიჯნავე მამულის“ კუთხეში. და მისთვის გასაგებია, რომ პოეტი სწორედ ბუნების წიაღში, მშობლიური ქვეყნის ტრამალებში ეძებს ამ „ბალახს“.

ბუნებაში ეძებს თავისი ახალგაზრდობის „ბაჯაღლო შუადღეს“. „შენი სიმრთელე მქონდეს ნეტავიო“ — შენატრის იგი მშობლიურ მთებს. მუდმივი ახალგაზრდობის სურვილი, უდიდესი სიყვარული სიცოცხლისადმი სიმონ ჩიქოვანს ისევ და ისევ ხალხის, ქვეყნის სამსახურისათვის სწავლია. მას უკმარობის განცდა აწუხებს, არ მიაჩნია თავისი ვალი ამოწურულად და ამიტომაც მიმართავს მამულს:

მწყურვალე ვარ და მიავეაროზე,  
ნუ დამიტოვებ სურას ცარიელს,  
მე უკვდავების წმინდა წყაროზე  
ჯერ ერთი პეშვი წყალი დაველიე.  
სულში ყირმიზი ბუჩქი მინთიო,  
ეზოს ჭიშკარი წუთით მიგკეტბ,  
მინდა აჭარის გავხდე მინდია  
და მთის ფერდობზე ვთესო სიკეთე.

მიუხედავად იმისა, რომ აჭარული ციკლი სულ ათიოდე ლექსს აერთიანებს, იგი მაინც უაღრესად მრავალმხრივი და

ბევრის მომცველია. გარდა გამოსახვის საშუალებათა დიდი სიახლისა, ამ ლექსებისათვის დამახასიათებელია ლირიკული გმირის მდიდარი, სრულიად ახლებურად გახსნილი ღრმა შინაგანი სამყარო. სწორედ ეს მრავალმხრივობა, მრავლისმომცველობაა მიზეზი იმისა, რომ სიმონ ჩიქოვანის ახალ ლექსებში ხშირად ერთდროულად გვხვდება როგორც მგზნებარე მოქალაქეობრივი სულისკვეთებით გამსჭვალული სტრიქონები, ისე წმინდა სუბიექტური ხილვა მოვლენისა თუ ნივთისა ანდა — რთული, ფილოსოფიური განზოგადებანი. მაგალითების მოყვანა უხვად შეიძლება. ავიღოთ თუნდაც ლექსი „მიდის და მიდის წუთისოფელი“... აქ ისეა ერთმანეთში შეწყნული, ერთი მხრივ, დროის წარმავლობის, წუთისოფლის სიმოკლის ე. წ. „მარადიული თქმა“ და, მეორის მხრივ, პოეტის ბიოგრაფია, მისი დღევანდელი დღის განწყობილება, რომ მკითხველი გაცხებული რჩება: ამ პატარა ლექსს რამდენის თქმა შეძლებიაო... ამას დავძინოთ აგრეთვე, რომ „მიდის და მიდის წუთისოფელი“ გაუღწეულია დიდი მამულიშვილური გრძნობით, სტრიქონებს შორის ყველა ადვილად ამოიკითხავს სიცოცხლის მარადიულობის, თაობათა უწყვეტი კავშირისა და სამშობლოსადმი ადამიანის მოვალეობათა ავტორისეულ გაგებას.

და მაინც, იტყვის ზოგიერთი, ძალიან სევდიანიაო ეს ლექსი. სევდიანია... მაგრამ განა სევდა ღრმა ადამიანური გრძნობა არ არის?! ძნელია სიტყვით გამოხატო ამ ლექსის სითბო, მისი შინაგანი მღელვარება, მისი რიტმის ნერვიული ცახცახი. სჯობს თვითონ პოეტს მღვუსმინოთ:

სიცოცხლევ, მწუხრის ხმაზე მიმღერე,  
ჩემთვის ჰალარა არ დაიშურე.  
ეგებ მეწევა მთაში სიბერე  
ცაცხვის ფურცლებით მომარბიშურე.  
მთა გავითბე და ქარს მიაკეს თვია,  
დამკენარა ნაზი ჩემი პირიმზე.  
შორს ფართო-ფართო ფოთლები ცვივა  
და მთით ვეშვები ვიწრო ბილიკზე.  
როგორც მწუხარე ჰანგი შოპენის,  
მე შემოდგომის შრიალი მესმის.  
მიდის და მიდის წუთისოფელი

და მაინც დროა მეორე თესვის. ხსოვნას შემორჩა ფიქრი რჩეული, სათესლე ყანის ხორბალი წმინდა. ფოთლები ჰრელი თუ ჰირვეული გამოხუნდა თუ სულ დაიბინდა? ზღვის გადაყურებ ნისლით აღობილს, გზაზე მეხვევა ცაცხვის ფესვები. რტოზე მწიფდება ცხარე ნაყოფი და ანუღზე მე ვარ მთესველი. მწვდება სიცოცხლის მიმწუხრის ჰანგი, თუ შემოდგომის სიმღერას ვისმენ, და მიინდა სულის მადლი და ჰვანგი მწუხრის მოსვლამდე გადაეცე ვისმე. გადავცე ბაღის გრძნობა უცვლელი. როგორ ვკურნავდი მშობლის იარებს. მაინც რად დაჰქრის ცაცხვის ფურცელი, ზღვა, როგორც ნეშო, რატომ შრიალეს?

მიუხედავად იმისა, რომ „მიდის და მიდის წუთისოფელი“ ერთი შეხედვით ზოგადი აღქმებით და ასოციაციებით არის გადატვირთული, იგი მაინც საოცრად მკვირვალაა შეკრული და არათუ რაიმე ზედმეტი სტრიქონი, ზედმეტი სიტყვაც კი არ ხვდება ყურს — დანახვის მრავალფეროვნება განცდის მრავალფეროვნებას იწვევს, ლექსის კითხვისას იგრძნობა დიდი სივრცე, უსაზღვროება და, რაც მთავარია, პოეტის მღელვარე სული...

პოეზია ადამიანური, მეტისმეტად ადამიანური მოვლენაა, ამიტომ იგი სხვა არა არის რა, თუ არა სიყვარული ან სიძულვილი, — უფრო კი სიყვარული, ისევე, როგორც ცხოვრებაში.

სიმონ ჩიქოვანის პოეზია — სიყვარულის პოეზიაა. პოეტის სიყვარული უპირველესად მამულს ეკუთვნის, შემდეგ მის სათაყვანებელ ქალს და ახლობელ მეგობრებს.

აქარულ ციკლში პოეტს ცხოვრების თანამგზავრისადმი მიძღვნილი აქვს ორი ლექსი: „ზღვის პირას“ და „ცხოვრების გზაზე“. განსაკუთრებით წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს „ზღვის პირას“. შეიძლება ჩვენზე განსაკუთრებით იმიტომ მოქმედებს ეს ლექსი, რომ ვიცით სიმონ ჩიქოვანის ბიოგრაფია, მაგრამ ამ ლექსს ზეპირად იმეორებს არა ერთი ადამიანი, რომელსაც თვალითაც არ უნახავს პოეტი და მხოლოდ მის შემოქმედებას იცნობს.

ლექსში „ცხოვრების გზაზე“ მკვეთრად არის გამოხატული სიმონ ჩიქოვანის ლირიკის საერთო დამახასიათებელი თვისება: სამშობლო და პიროვნება გამოსახულია როგორც ერთი მთლიანი სხეული. პოეტს უყვარს იგი და მისი სიყვარული განუყოფელია; ალბათ ამიტომ არის, რომ ლექსებში, სადაც სამშობლოს ტრფიალზეა საუბარი, ყოველთვის ტრიალებს ლანდი საყვარელი ქალისა.

აჭარული ციკლი ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს ერთი ამოსუნთქვით დაიწერა თავისი კერძო განწყობილებითა და ხასიათით ესოდენ განსხვავებული ათამდე ლექსი.

„შემოდგომის დღეები აჭარაში“ უაღრესად მდიდარია სიმონ ჩიქოვანისათვის საერთოდ დამახასიათებელი მოულოდნელი მხატვრული სახეებით, ფრაზის უჩვეულო მოქცევით, გვიხლავს აზრისა და განცდის უშუალოდ. პოეტს შეუძლია სრულიად მოულოდნელად თქვას:

მალა აწულ ჭილის ქუდებით  
მოგონებები მხედებიან გზაზე.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სიმონ ჩიქოვანის პოეტური სახე ყოველთვის ლექსის საერთო განწყობილებით კოლორიტის, ადგილის, დროის დამახასიათებელი ნიშნებით გამოირჩევა: მეტაფორა, რომელიც ზემოთ მოვიტანეთ, შეიძლება როდესაც შექმნილიყო სწორედ აჭარაში, სადაც ფერდობებზე შეფენილ პლანტაციებში განთიადიდან დაღამებამდე ტრიალებენ ჭილისქუდებიანი ჩაის მკრეფავი ქალიშვილები...

„ს უ ლ შ ი ფ ო თ ლ ე ბ ი ს ქ ა რ ი შ ხ ა ლ ი ა...“ უჩვეულოა თითქოს, მაგრამ რამდენად ნათელი, მრავლისმეტყველი გამოთქმა. შეიძლება ვერც დაასაბუთო, თუ რატომ მოგწონს, მაგრამ სიტყვები რა საჭიროა. მისი ერთადერთი დასაბუთება თვითონ ლექსია თავისი მთლიანობით, განწყობილებით, სულისკვეთებით...

ერთი სიტყვით, „შემოდგომის დღეები აჭარაში“ უაღრესად საყურადღებო მოვლენა ჩვენი დღეების ქართულ პოეზიაში და რაც დრო გავა, მით უფრო მეტ

სიყვარულსა და პოპულარობას მოიხვეჭს სიმონ ჩიქოვანის მთელ შემოქმედებასთან ერთად.

\* \* \*

გარდა აჭარული ციკლის ლექსებისა, უქანასკნელ ხანებში სიმონ ჩიქოვანმა ჟურნალ „მნათობში“ გამოაქვეყნა ორი ნაწილისაგან შემდგარი ვრცელი ნაწარმოები „განჯის დღიური“, რომელშიც გაერთიანებულია ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფიის ყველაზე ტრაგიკული მონაკვეთის ამსახველი ლექსები. ეს ის პერიოდია, როდესაც ბარათაშვილი იძულებული გახდა განჯაში გადასულიყო სამუშაოდ. სიმონ ჩიქოვანმა „განჯის დღიურში“ ლირიკულ ფორმებში გადმოსცა დიდი მგოსნის სულიერი ტკივილები, მისი ფიქრები, სურვილები, მისი სწრაფვა მამულისადმი, მშობლიური მიწა-წყლისა და ხალხისადმი.

სამშობლოს მოწყვეტილი ადამიანის განცდები, ბედის ტრაგიკულობა და ერთგვარი გაორება სიმონ ჩიქოვანმა ადრეც გამოხატა პოემაში „სიმღერა დავით გურამიშვილზე“, მაგრამ ეს პოემა მონუმენტური, მრავალპლანიანი ნაწარმოებია; „განჯის დღიური“ კი უფრო ლირიკული და ამიტომ მასში კონკრეტული, მკაფიო ასახვა ჰპოვა ამ თავისთავად უაღრესად საინტერესო თემამ.

განჯაში გადახვეწილი ნიკოლოზ ბარათაშვილის მძიმე განცდების გადმოცემას სიმონ ჩიქოვანი, როგორც მხატვრული სიტყვის ჭეშმარიტი ოსტატი, სულ ორიოდვე სტრიქონით ახერხებს და მკითხველისათვის უმალვე ცხადი ხდება დუხჭირი ბედის მქონე, სამშობლოს მოწყვეტილი ადამიანის სულიერი ტრაგედიის მთელი სიმძიმე:

გული გაპოხილი ორ ცალად გაიყო  
და ერთ ცალს დავათრევ უმწეოდ განჯაში.

აი, კიდევ ორი სტრიქონი, რომლებშიც უფრო მკვეთრად, უფრო ხატოვნადაა გადმოცემული ეს გრძნობა:

როგორც მთვარე სოფლის ჭაში ჩახედული  
მეც ორად ვარ გაყოფილი.

ბარათაშვილის ნატყრა: „ნეტავი მტკვრის პირას ჩინარად მამყოფათ“ — კიდევ მეტად ამძაფრებს ამ ისედაც ელეგიურ განწყობილებას და ეს გასაგებია. ავტორს, სურს, რომ მკითხველმა რაც შეიძლება სრულად განიცადოს სიმწარე იმ ხედრისა, რომელიც გენიალურ პოეტს არგუნეს — ნიკოლოზ ბარათაშვილი ხომ ქართული სიტყვიტ, ქართული სიმღერით, ქართული მთაწმინდით, ყაბახით, მტკვრით ცოცხლობდა და სუნთქავდა და მისი სამშობლოდან დაცილება სიკვდილს უდრიდა. აქი კიდევაც განჯაში დალია საქართველოს ლაყვარლებზე შეყვარებულმა მგოსანმა სული.

პოეტის ტანჯვას აორკვეცებდა უიღბლო სიყვარული. „განჯის დღიურში“ თითქმის ყოველ ლექსში გაისმის მოთქმა დალილი, გაწამებული ადამიანისა, რომელიც ერთ დროს შეუპოვრად ერკინებოდა ბედს, უსაზღვრო სივრცეებში მიჰქნებდა დაუღალავ, ყოველგვარი სიძნელის გადამლახველ მერანს და ახლა კი იძულებულია თქვას:

ყველას დავეიწყად, მარტო ვარ განჯაში,  
ვერ ვპოვე სადავე ატეხილ ვნებათა,  
გული გაიწურა ცხოვრების დარჯაჭოი,  
დავკარგე ცისფერი, რაც სიყრმეს ებაღა.

მიუხედავად ამისა, „განჯის დღიურის“ ვმირს თითქმის არ დაცდენია საყვედური თავისი სატრფოს მიმართ. პირიქით, ლექსები, რომლებშიც კატინკას მიმართავს, ამბობს, წმინდა, მარადიული სულისა და სხეულის სილამაზის ქებათა-ქებას წარმოადგენს („პირველი ბართი სატრფოსადმი მიწერილი“, „შენს სავარძელზე ზის პოეზია...“, „სიყვარულის სიმღერა“). თუმცა, როგორ არა, საყვედურიც არის, მაგრამ როგორ შეფარვით, როგორ გადაკრულად თქმული:

ცხენზე ჯდები, უნდა იწავარდო,  
ჩემს ტყვიულზე ჩუმად გადირბინო.

ბევრი შესანიშნავი ლექსია „განჯის დღიურში“, მაგრამ განსაკუთრებით გულში ჩამწვდომი და ძლიერია ისინი, რომლებიც ნიკოლოზ ბარათაშვილის სიყვარულს შეეხება. ფრანგები პოეტებს

ტყუილად კი არ უწოდებდნენ არტიტებს. მგოსნის ხელოვნება საოცრად ჰგავს მსახიობისას — ოღონდ პერფორმანსადამიანის სულიერ სამყაროს უფრო წარმოსახვენ, ისიც არა პლასტიკურად, არამედ სიტყვიერად და ამიტომაც გაცილებით რთულია მათი ამოცანა. ლექსებში „პირველი ბართი სატრფოსადმი მიწერილი“, „შენს სავარძელზე ზის პოეზია“, „სიყვარულის სიმღერა“ — სიმონ ჩიქოვანმა საოცარ გარდასახვას მიაღწია. ისე უბრალოდ, ისე უშუალოდ „შეასრულა“ ტატოს „როლი“, რომ მკითხველი ერთი წამითაც ვერ გრძნობს ხელოვნურობას: განა შეიძლება, რომ ეკატერინეს ტატოს გარდა, სხვა ვინმეც მიმართავდეს ამ სიტყვებით:

...მწუხრში გბაძედა ვერხვი შრიალით,  
ჩამწვდა და მინდა გზებზე ვირბინო,  
წამწამებით და თმის აპრიალით  
შეიპყარ ჩემი თეთრი მიმიხიო.  
სტვენიტ მონუსხე ლალი სუმბული,  
ცისფრად შეღებე თვალი წყლიანი.  
შეჯახებია ბულბულს ბულბული,  
შეხარბებიათ შენი წკრაილი.  
შენებრ გალობენ ფშანში შაშვები,  
დაყურე და ცრემლი ასხურე.  
სიმღერით ჩემს სულს ეთამაშები,  
როგორც თავის ჩრდილს შენი საყურე.  
შენ ხარ ვენახი, ალაზნის ვაზი,  
არც სიცხით ჰქნები და არც სიცივით.  
ბალახში მესმის ჩურჩული ნაზი  
და წყლის ჩხრიალში შენი სიცილი...

„განჯის დღიურში“ შესული ყოველი ლექსი ნიკოლოზ ბარათაშვილთან არის დაკავშირებული, თუნდაც ის სხვას ეხებოდეს. ავტორი იმიტომ ამხავილებს ყურადღებას, მაგალითად, მეთუნეზე, რომ კონტრასტების გზით უფრო სრულად, უფრო თვალსაჩინოდ გადმოსცეს მთავარი ლირიკული გმირის სულიერი მდგომარეობა, მისი ფიქრი თუ განწყობილება. ლექსში „მონსენებითი ბართი მეთუნის დაღუპვის გამო“ პარალელი გავლებული, ერთი მხრივ, ხალხის წიაღიდან გამოსულ ოსტატსა, რომელმაც „მთიდან თიხა ისესხა თუ იყიდა და გამოწვა თავმომწონე დოქები“, და, მეორე მხრივ, მეოცნებე პოეტს შორის, რომელსაც მასავით „მთის გადღმა გადაფრე-

ნა ეწადა“, მაგრამ „ვერ აფრინდა“, „ვერ გაკრა კამარა“, ამიტომაც ამბობს სინა-ნულით ლექსის გმირი:

მეც ვარ თურმე მეთუნე და მძერწავი,  
მხრებზე მაწევს წუთისოფლის კირთებუ.

მსგავსი დაპირისპირების მიზანს ემსახურება აგრეთვე ლექსები „ნიზამი“ და „გონა-ბეგუმის სიმღერა“.

„განჯის დღიური“, როგორც ერთი მთლიანი ნაწარმოები, თითქმის უნაკლოა, მაგრამ მასშიც გვხვდება ცალკეული ნაკლებად ძლიერი და მაღალსტატუსი, ყოველმხრივ სრულყოფილი ლექსები. ამ უქანასკნელთა გაანალიზება და შეფასება შორს წაგვიყვანდა, მაგრამ არ შეიძლება ზოგიერთი მათგანი უბრალოდ მაინც არ დავასახელოთ. უკვე აღნიშნულთა გარდა, ასეთებია: „ოცნება თბილისზე“, „დასჯილი“, „წუხელ მესიზმრა“, „გამოთხოვება“...

ფანტაზიის ცხოველყოფილობითა და სიმდიდრით, აზრის სიმძაფრით, პოეტური გაქანებით ყურადღებას იპყრობს ლექსები, რომლებშიც ტატოს უქანასკნელი დღეებია აღწერილი; როდესაც მკითხველი უკვე გრძნობს, რომ ახლოვდება აღსასრული, მართლაც ლოდივით მძიმედ ხვდება გულზე სტრიქონები: „მხარი ასწია საფლავის ლოდმა და შექოალო ოთახის კარი“.

დაბოლოს, რექვიემივით მწუხარედ იღვრება ეპილოგი:

მუდამ ფიქრში და მუდამ გარჯაში,  
ვათანგული და მტკვარს შეჩვეული,  
საფლავში ჩუმად ჩაწვა განჯაში  
და დავეტოვა ლექსთა რვეული.



თავისი ფორმით, არქიტექტონიკით „განჯის დღიური“ ისევ „დავით გურამი-შვილს“ მოგვაგონებს, მაგრამ ეს მსგავსება, ცხადია, მხოლოდ გარეგნულია. ისევე, როგორც „გურამიშვილი“, „განჯის დღიურიც“ თემატურად გაერთიანებული ლექსების ციკლია; ყოველი ცალკეული ლირიკული ლექსი, თითქოს დიდო ნაწარმოების ცალკე თავს წარმოადგენს და, ამავე დროს, ეს ლექსები (თუ თავები) უაღრესად შეკრულია, კანონზომიერად ვითარდება თხრობის ელემენტი და სიუჟეტი. ამიტომ ხომ არ იქნებოდა მიზანშეწონილი, რომ „განჯის დღიურისთვისაც“ პოემა გვეწოდებინა, მიუხედავად იმისა, რომ ავტორი ქანობრივ განსაზღვრას არ აძლევს მას?!

თუმცა, ეს არც არის არსებითი. მთავარია, რომ სამოც წელს გადაცილებული პოეტი კვლავ ჭაბუკური შემართებით რანდავს პოეტურ სახეებს, ოქრომჭედლის გულმოდგინებით არჩევს ქართული სიტყვის მარგალიტებს და მაშინაც კი, როდესაც უკვე „შემოდგომის შრიალი ესმის“, ქმნის ისეთ შედეგებს, როგორიცაა „შემოდგომის დღეები აჭარაში“ და „განჯის დღიური“.

ფაზა ციცინაშვილი

## ქარგი საბავშვო ნაწარმოები

ბ. ბაზარაშვილი — „ნამინახარი“, ბამონც. „ნაპალული“

საბავშვო ლიტერატურა და პედაგოგიკა ახალგაზრდობის აღზრდა-განათლების საერთო ამოცანებს ემსახურება. „საბავშვო ლიტერატურა თავისი საბოლოო მიზნებით არ განირჩევა აღზრდის მეცნიერების — პედაგოგიკისაგან. ყოველმხრივი — გონებრივი, ზნეობრივი,

ესთეტიკური და ფიზიკური განვითარების ამოცანა აერთიანებს კულტურის ამ ორ დარგს. მხოლოდ ამ ამოცანის მიღწევის გზები და ფორმები ასხვავებს მათ ერთმანეთისაგან“ (გ. თავიშვილი — „საბავშვო ლიტერატურის საკითხები“). დროთა ვითარებაში პედაგოგიურ შრო-

მეგზში დიდი ადგილი დაიკავა ლიტერატურის შესახებ გამოთქმულმა თეორიულმა მოსაზრებებმა, რამაც განაპირობა საბავშვო წიგნისადმი პედაგოგიური მოთხოვნის წარმოშობა.

პედაგოგიურ მოთხოვნათა ერთი ჯგუფი ეხება საბავშვო ნაწარმოებების საზოგადოებრივ დანიშნულებას, მის სოციალურ ფუნქციას. თანამედროვე ბავშვს უნდა მიეწოდოს ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც შეაყვარებს მას სამშობლოს, მის ახალ ადამიანებს, მარტივი ფორმით გააცნობს სწავლისა და შრომის სიდიადეს. სწორედ ამ თვალსაზრისით გვინდა განვიხილოთ მწერალი ქალის ნინო ბეზარაშვილის „ნავენახარი“.

მოთხრობა ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში ავტორი გვიამბობს თორმეტი წლის ბიჭუნას მალხაზ ბერიტაშვილის სკოლაში გატარებულ დღეებზე, მის მძიმე ოჯახურ პირობებზე, დედის გარდაცვალებაზე, რის შემდეგაც მალხაზს გული უცრუდებოდა სწავლაზე, ტოვებს უფროს დას ნელის, თბილისში გადადის საცხოვრებლად, სადაც გზასაცდენილ ყმაწვილთა წრეში ხვდება. მოთხრობის მეორე ნაწილში ვრცელდება ნაჩვენები ამ გზასაცდენილ ყმაწვილთა ცხოვრება, მალხაზის განცდები, ქურდბაცაცათა დაპატიმრება, მალხაზის ვადარჩენა და სოფელში დაბრუნება. მერე მუშაობის დაწყება კოლმეურნეობაში, ნავენახარი ნაკვეთის მიღება.

როგორც ვხედავთ, მოთხრობის თემა მეტად აქტუალურია. იგი ეხება მოზარდის სულიერი ზრდისა და მისი ხასიათის ჩამოყალიბების რთულ პროცესს. ბავშვს აინტერესებს თანატოლების ცხოვრება შინ და სკოლაში. ბავშვი — მკითხველი, რომლისთვისაც განკუთვნილია ეს წიგნი, ბუნებით მიმზამველია. მასზე დიდ გავლენას ახდენენ წიგნის გმირები, განსაკუთრებით თანატოლები. ბავშვი თანაუგრძნობს დადებით გმირს, გულთან ახლოს მიაქვს მისი სიხარულიცა და მწუხარებაც, ბაძვს მას. ხოლო უარყოფით გმირს კრიტიკულად უყურებს.

პატარა გმირის ფაქიზი ბუნების ასახვა საბავშვო მწერალს გარკვეულ მოთხოვნებს უყენებს და მხატვრული სახეობის პრობლემის სათანადოდ გადაწყვეტის საპირობებაზე ლაპარაკობს. ვფიქრობთ, ნინო ბეზარაშვილმა თავი კარგად გაართვა ამ ძნელ ამოცანას.

სოფელში დის ანაბარად დარჩენილმა ბიჭმა გული აიკრუა სწავლაზე. რამდენიმე უსიამოვნო ინციდენტმა სკოლაში და ნინო მასწავლებლის სტუმრობამ სახელში პატარა ბიჭუნას სწავლაზე ხელი ააღებინა. ავტორი მეტად ფრთხილად, მოკლედ და სხარტად ახასიათებს იმ ეპიზოდებს, რომლებმაც ბიჭუნას ცხოვრებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა. პირველ პირობა თხრობა ხელს უწყობს ავტორს უფრო უშუალოდ დაასურათოს გმირის სულიერი განცდები. მწერალი უყურადღებოდ არ ტოვებს გადაწყვეტილების მიღების დროს პატარა გმირის ყოყმანის მომენტებსაც. აი მაგალითად, ყმაწვილებისაკენ მიმავალ მალხაზს ახსენდება პაპიდას სიტყვები: „ამ ბიჭებს არსად არ გაჰყვებ, არ ენდო“. და ბავშვი ფიქრობს: „როცა მითხრა, მაშინ ყურიც არ ვათხოვე, ახლა რამ გამახსენა, რა ვიცი. თუმცა ბიჭებს არსადაც არ გაგყოლივარ, მე თვითონ მოვედი აქ“.

მკითხველი აქაც შინაგანად ეთანხმება ავტორს და ბუნებრივად ესახება გმირის გარდაქმნის ეს მნიშვნელოვანი მომენტიც. მართალია, მალხაზი ასცდა სწავლისა და შრომის ჭეშმარიტ გზას, მაგრამ მას ყოველთვის თან სდევს სინდისის ქენჯნა და სინანული. ხშირად აგონდება თავისი სოფელი, ამხანაგები. განსაკუთრებით კი უფროსი და — ნელი. ერთი გოგონას გაძარცვის დროს მალხაზს ახსენდება ნელი. „ჭინკა იგინებოდა, იფურთხებოდა, მე კი შინისაკენ მიმავალ ჰკავდა. მასავით გამხდარი, ფერკრთალი იყო და ნაღვლიანი თვალები ჰქონდა. ვინ იცის, იქნებ ომში წასულ ძმებზე ან მამაზე დარღობდა? ვთქვათ, ნელისაც ასე გადაუდგენ წინ და უდაწნაშულოდ ჩასცხეს თავში, — გავიფიქ-

რე ჩემთვის. უცბად შემეზიზნა ჩემი თავი და ამ წუთს ჭინკას დანახვაც არ მიწოდოდა“ (გვ. 86).

განსაკუთრებით მწვავედ გრძნობს მალხაზი სინდისის ქენჯნას მას შემდეგ, რაც საბოლოოდ სოფელში დაბრუნდა. ბიჭუნას გულს ტკენს მეზობლის მიერ ჩურჩხელების ქურდობის დაბრალება, მაგრამ გადაწყვეტ გავლენას ისევ ხალხი ახდენს. „ხანდახან ვიფიქრებ ხოლმე, — ამბობს გმირი, — ავღებები და მეც ვიმუშავებ, იქნებ ხალხმა თავი დამანებოს-მეთქი, მაგრამ სად? ჯერ ერთი, უსწავლელი ვარ, მეორეც ის, რომ ასე სახელგატეხილ ბიჭს სამუშაოს ვინ მომიცემს?“ ... ბოლოს კოლმეურნეობაში მომუშავე ამხანაგებმა, ხალხმა ხელი გაუწოდეს მალხაზს და იგი ისევ წესიერ ცხოვრებას დაუბრუნეს. მხატვრულად ძალზე დამაჯერებელია მოთხრობის ფინალი.

მოთხრობა სავსებით უპასუხებს თანამედროვე ახალგაზრდობის აღზრდის საჭირობოტოტო საკითხებს. მასში დიდი სიფრთხილითაა გამოკვეთილი აღზრდელიობითი მოტივები. წიგნის გვერდები მკითხველებს აცნობს ცხოვრების რთულ მოვლენებს, მოზარდთა ურთიერთდამოკიდებულების საინტერესო ეპიზოდებს. მწერალი აცდა მშრალ, მორალურ დარიგებებს და „შიშველ სენტენციებს“, რომელიც ხშირად ახლავს ხოლმე ამ ტიპის ნაწარმოებებს.

მოთხრობის სიუჟეტური ქარგა და აქტუალური თემატიკა სავსებით აკმაყოფილებს იმ პედაგოგიურ მოთხოვნილებებს, რომლებიც ეხება საბავშვო წიგნის საზოგადოებრივ დანიშნულებას და მის მაღალიდეურობას.

პედაგოგიური მოთხოვნების მეორე ჯგუფი ეხება საბავშვო წიგნის ფორმას. საბავშვო წიგნი უნდა იყოს მაღალმხატვრული, ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეებში მხატვრული გემოვნების გამოუმუშავებასა და ვალდრმეებას. ბავშვმა უნდა იგრძნოს მშვენიერების მაგიური ძალა. მხატვრული სახეები, ემოციური სტრიქონები სამუდამოდ რჩება პატარა

მკითხველის მესხიერებაში. კონკრეტულობა, სისადავე, ემოციურობა, ენის მხატვრულობა და ლაკონურობა მის ძირითადი ნიშნები, რომლებიც საბავშვო ლიტერატურის ფორმის თავისებურებას განსაზღვრავენ. ამასთან დაკავშირებით ი. გოგებაშვილი აღნიშნავდა: „საბავშვო მწერლის ენა უნდა იყოს ხალხური, მარტივი, მსუბუქი, კეთილხმოვანი, სურათოვანი და მდიდარი“.

იბადება კითხვა: ფორმის როგორი თავისებურებებით ხასიათდება მოთხრობა „ნავენახარი“ და აკმაყოფილებს თუ არა მეორე ჯგუფის ძირითად პედაგოგიურ მოთხოვნებს.

მოთხრობა დაწერილია მარტივი, მსუბუქი, კეთილხმოვანი და სურათოვანი ენით. მთავარი გმირის სულიერი განცდების გადმოცემის დროს ავტორი ხშირად მიმართავს მხატვრულ შედარებებს, ხატოვან გამოთქმებს: „პატარა ნავთის ლამპა საკმარისად ვერ ანათებს. ოთახის კუთხეები ჩაბნელებულია. სკამებისა და კარადის ჩრდილები კედელზეა აშოტილი და როცა ლამპის პაწია ალი შეიჩხევა, ჩრდილებიც ირხევიან, ცახცახებენ. მეშინია და რაღაც მახსენდება... თითქოს მაშინაც ასე ცახცახებდნენ ჩრდილები. თუმცა არა, მაშინ უფრო... კი, უფრო ძალიან ცახცახებდნენ“ (გვ. 13). მოგონებით გამოწვეულ სევდას შესატყვისება გარემოს პოეტური ხატი.

მაღალმხატვრული საბავშვო ნაწარმოებების სიუჟეტები მოქმედების სწრაფი ცვლის გამომხატველი უნდა იყოს. „ნავენახარი“ ამ მხრივაც საყურადღებოა. მალხაზის გზასაცდენილი ამხანაგების დაპატიმრების სცენა ჭალაში ავტორმა დაგვიხატა დინამიურ და დაძაბულ ვითარებაში. ნაჭირავებ ოთახში იყვნენ ბიჭები, იყვნენ მშვიდად, მაგრამ უცბად შეიცვალა ყველაფერი, „ავფორიაქდით, წამოვხტით, ერთმანეთს დავეჩახეთ, ზოგი ტანტის ქვეშ შევძვარი, რომ ფეხსაცმელი გამოგვედო, ზოგი ოთახის მეორე კუთხეს ეცა“ (გვ. 96).

მოთხრობის მთავარი სახე-პერსონაჟი მთლიან მხატვრულ ტილოზე კარგი

ოსტატის ფუნჯითაა შესრულებული. მწერალი ქალი უდავოდ ფლობს პატარა გმირის სულიერი ზრდისა და მომწიფების, გარდატეხის დამაჯერებელი და ბუნებრივი აღწერის რთულ ხელოვნებას. არა ნაკლებ ძლიერია იგი მეორეხარისხოვან პერსონაჟთა პორტრეტულ წარმოსახვაში. მკითხველს დიდხანს დაამახსოვრდება სუსტი ნებისყოფის მქონე, მოსიყვარულე, ფაქიზი ნელი, რომლის პიროვნული თვისებები მწერალმა ძმასთან — მალხაზთან ურთიერთობაში გამოხატა. მწერალი კარგად იყენებს ტიპების გამოკვეთის პორტრეტულ ხერხს.

გვინდა წიგნის ზოგი ნაკლიც აღვნიშნოთ. დღეს ახალგაზრდობის აღზრდაში ოჯახთან ერთად უდიდეს როლს თამაშობს სკოლა. აქ კი რამდენადმე არადამაჯერებლადაა მოცემული სკოლის როლი მალხაზის ბედისა და ცხოვრების წარმართვაში. რამ აიძულა ნინო მასწავლებელი მიეღო ასეთი მტკიცე გადაწყვეტილება მალხაზის საბავშვო სახლში გაზავებისა? ნუთუ იმან, რომ ერთხელ მალხაზმა გაკვეთილი არ იცოდა, ერთხელ ამხანაგ ვაჟებს წაეჩხუბა? აი ეს სწავლაზე გულის აცრუების მომენტი შედარებით უფრო ფერმკრთალადაა გამოკვეთილი, ვიდრე სხვა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების შემცველი ადგილები. ვფიქრობ, ამის მიზეზია სწორედ სკოლის კოლექტივის როლის მინიმუმამდე დაყვანა. მწერალმა შეიძლება გვიპასუხოს, რომ იგი გვერდს უხვევს ამგვარ მოთხ-

რობებში შერჩეულ შაბლონურ გზებს. ჩვენ ამაში დავეთანხმებით მას, მაგრამ სამაგიეროდ მოვიტოვებთ მოზარდის ცდებთან დაკავშირებით უფრო მეტ დამაჯერებელ ფსიქოლოგიურ მოტივირებას.

მოთხრობაში აქა-იქ გვხვდება საბავშვო წიგნისათვის შეუფერებელი და გაუგებარი სიტყვები. მაგალითად, ორჯერ გვხვდება სიტყვა „შე ვ უ ბ უ ხ უ ნ ე“: „რავიცი, დამანებე თავი! — შეევუბუხუნე, ჩანთა ფანჯრის რაფაზე მივაგდე და ისევ გარეთ გავედი“ (გვ. 13). ჩ ა ვ ჳ ყ უ ნ ვ ი ლ ი ყ ა ვ ი: „რომ ავმდგარიყავი და ხალხში ჩაგვყუწვილიყავი, ფანჯრიდან ძეგლს ვერ დავინახავდი“ (გვ. 31). „ლოყების კანი დაბლა მქონდა ჩამოწეილი“ (გვ. 34). ჩ ა ბ ჟ ე ნ ი ლ ი: „ერთი კაკალი ტყვიით ქონდა ჩაბეწვნილი“. ჩ ა მ ი ჳ ყ უ ნ ა: „წერილი ხელში ჩამიჭყუნა და გაბრუნდა“ (გვ. 117).

ნ. ბეზარაშვილის მოთხრობა „ნავენახარი“ სავსებით აკმაყოფილებს იმ პედაგოგიურ მოთხოვნებს, რომლებიც საბჭოთა პერიოდის საბავშვო წიგნს წაეყენება. დიდი პედაგოგის უშინსკის სიტყვებით რომ ვთქვათ, ამდაგვარ მოთხრობას „ჩვენ უნდა ვუყურებდეთ როგორც ფანჯარას, საიდანაც შეგვიძლია დავანახოთ ბავშვებს ხალხის ცხოვრების ესა თუ ის მხარე, მაგრამ არც ის კმარა, რომ ბავშვებმა გაიგონ ამგვარი ნაწარმოები, საჭიროა კიდევ, რომ მათ იგრძნონ იგი“.

ვლისო კაკაბაძე.

## პოეზიის აღმართვა

ნ. ზუმრეიძე — „ლექსები“. ბანოვც. „საბოთო საპროფილო“.

ორმოციანი წლების მიწურულს ჩვენი სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე გამოჩნდა უცნობი სახელი: ნოდარ გურეშიძე. ეს იყო არა მარტო ახალი სახელი, — ნოდარ გურეშიძის პირ-

ველსავე ლექსებს თან ახლდა ახალი ინტონაცია, რომელიც მერმისის დამოუკიდებელ პოეტურ ხმად უნდა ქცეულიყო.

მას შემდეგ თხუთმეტ წელზე მეტი გა-

ვიდა. დროს ეს მონაკვეთი მაინცადამაინც დიდი როლია. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ამ ხნის მანძილზე მსოფლიოში მომხდარ განდიოზულ მოვლენებს, მეცნიერებისა და ტექნიკის ფანტასტიკურად სწრაფ განვითარებას და, რაც მთავარია, თვალსაჩინო ცვლილებებს ადამიანის ფსიქიკაში, აღმოჩნდება, რომ უკანასკნელი თხუთმეტი წელი კაცობრიობის ისტორიაში უმაგალითოდ რთული დრო იყო. ცხადია, ყოველივე ამას სათანადო გავლენა უნდა მოეხდინა ახალგაზრდა პოეტის შემოქმედებაზე. პოეტი ხომ თავისი ეპოქის დვიძლი შვილი და პირველი მესიტყვეა.

ნოდარ გურუშიძის პოეზიაშიც სწორედ ჩვენი ეპოქის მძაფრი სუნთქვა ისმის. მისი ლექსების გმირია თანამედროვე ადამიანი — მუდამ საბრძოლოდ მზად მყოფი, მუდამ დამუხტული... მან იცის სიკეთის, მშვიდობის ფასი. მან, ჯერ კიდევ ყმაწვილმა, გამოსცადა თავის თავზე ომის საშინელებანი. შემდეგ — შრომობდა თავგამეტებით, თან დახმარების ხელს უწყვილიდა უცხოელ ძმებს, ყველგან მშვიდობას თესავდა... და ახლა,

როცა სამყაროს  
ეს მშფოთვარე ამბები უვლის,  
ყოველდღიურად  
იმის ასე მღელვარე ხმები,  
არ გაგივირდეთ —  
ასე რატომ მიჩქროლავს გული,  
ან ნაადრევი  
ჭირხლით რატომ გამეცსო თმები.

„ავტობიოგრაფია“ ეწოდება ამ ლექსს, და იგი ნოდარ გურუშიძის თაობის ბიოგრაფიაცაა.

ნ. გურუშიძის პოეზიის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია მოქალაქეობრივი პათოსი, ვაჟკაცური შემართება. პოეტს ყოველ წუთს ახსოვს, თუ რაოდენ პასუხისმგებელია მწერალი თავისი ხალხის, და არა მარტო თავისი ხალხის, მთელი კაცობრიობის წინაშეც.

ჩვენი საუკუნე დიდი და მღელვარე საუკუნეა. და როცა ხედავს, რომ სადაც კვლავ „დაძრწიან ომის გრიგალები“, „როცა ვარდს თელავს ტანკი უხეში და ბალახებზე იღვრება სისხლი“,

„როცა მშვიერი დატანტლებს ობოლ ბავშვი“, — პოეტი იმაღლებს ხმას ომისა და უსამართლობის წინააღმდეგ. მაგრამ „როცა იღვიძებს ლამაზი დილა“ და ადამიანთა გულში სიცოცხლის სიხარული ისადგურებს, პოეტის ხმაც ნაზი და ალერსიანია:

...ამ ჩვენს შფოთთან, ამ ჩვენს ლამაზ საუკუნეში.  
ჩვენი ლექსები ხან ნაზია და ხან უხეში.

(„ჩვენი საუკუნე“).

მგზნებარე პოეტური პუბლიცისტიკის ნიმუშებია „დედამიწის გეოგრაფია“, „ეს შემართება“, „ნახტომი ცაში“, „ვარსკვლავები“. ამ ლექსებში მძლავრად ეღერს ადამიანის ყოვლისშემძლე შემოქმედებითი ძალის რწმენა:

ადამიანის აზროვნება  
ისე მძაფრია,  
ჩვენ შეეცვლით  
მთელი დედამიწის გეოგრაფიას.

კაცობრიობის ისტორიაში დაიწყო ახალი ერა. თანდათან ეხდება ფარდა კოსმოსის საიდუმლოებებს. ნოდარ გურუშიძეს არა ერთი ადფრთოვანებული სტრიქონი აქვს მიძღვნილი საბჭოთა კოსმონავტების სწორუპოვარი გმირობისადმი, უცნობ სამყაროსაკენ დედამიწის შვილთა დაუოკებელი ლტოლვისადმი:

სხვა სივრცეები ვაგხსენით ახლა,  
საზღვარი არ აქვს ოცნებებს ჩვენთა,  
ვარსკვლავებისკენ მივფრინავთ მაღლა —  
ჩვენი თვალუფუნა დებთან და ძმებთან.

(„ვარსკვლავები“)

ნ. გურუშიძეს უმოგზაურია უცხოეთის გზებზეც. იქ მისი გულისყური ვარგნულ ბრწყინვალეობას როდი წარუტაცუნია. პოეტს ადვილობრივ მკვიდრთა სულიერი ცხოვრება, მათი ყოფა აინტერესებს. რამდენიმე მეტყველი შტრიხითაა დახატული ლექსში „კაბარე“ ბურჯუაზიული საზოგადოების გახრწნა-გადაგვარების სურათები. და უცებ, თითქოს სულისშემზუთავი სარდაფიდან ამოვიდაო, მკითხველი შევებით ამოისუნთქავს, როცა პოეტს იგი გერმანელი მუშის ოჯახში შეჰყავს, სადაც გულლია მასპინძელი ქართული ჩაით უმასპინძლდება სტუმარს:

ფართო ოთახში მოისმოდა ჭიქის წყარუნნი,  
ძმურად ვხუმრობდით, ვიცინოდით, ვსევამდით  
და მერე...

მე ვიგონებდი სიამაყით და სიყვარულით  
ოჩხამურელ და ლაითურელ ქალების ხელებს.

ცნობილია, რომ უცხო ქვეყანაში სა-  
ოცრად უმძაფრდება კაცს სამშობლოს  
სიყვარული. ეს გრძნობა ახლებურადაა  
ამეტყველებული ლექსში „შინ და გა-  
რეთ“:

დაღიხარ, ფიქრობ,  
ხარობ და სწუხხარ,  
თუ ლექსად ჰქუხხარ,  
ხარ თავაწვდილი,  
შენს ხალხში თუ ხარ,  
შენს სახლში თუ ხარ,  
ხარ შენი ქვეყნის მცირე ნაწილი.

მაგრამ, როცა „სტუმრად მიდიხარ  
უცხო მხარეში“ —

იგრძნობ, სულით და ხორციით მოლიანად,  
მამულზე ზრუნვით უნდა ათენო,  
იგრძნობ, რომ მართო კაცი ვი არა,  
შენ ხარ ქვეყანა, ხარ საქართველო.

საერთოდ სამშობლო, ნოდარ გურეში-  
ძის პოეზიის დაუშრეტელი ენერჯის  
წყაროა. მაგრამ სამშობლოს, მშობელი  
ერის ტრფიალი აქ ორგანულად ექსოვე-  
ბა სხვა ერების, სხვა ხალხებისადმი გუ-  
ლურფელ სიმპათიას.

ნ. გურეშიძე უპირატესად ომახიანი  
ხმის პოეტია. ამ ხმას უშუალოდ ერწყ-  
მის ხოლმე ლირიული კილოც. „ერთი  
გოგონა მიყვარდა“, „მზის ამოსვლის  
წუთები“, „თიანეთი და მთები“, „თეთ-  
რი ბაკურიანი“, „სიმღერა მეთხილამუ-  
რე ქალიშვილზე“, „ბიჭვინთა“ სწორედ  
ნახ, ლირიულ კილოზე ამღერებული  
ლექსებია. ერთ-ერთი. მშვენიერი ლექ-  
სია „ფოთოლთა ცვენა“, რომლის სტრი-  
ქონებს შემოდგომის სევდანარევი სურ-  
ნელება ასდის.

ორიგინალური და ხალხური პოეზიის  
ოსტატური სინთეზის ნიმუშია სიმღე-  
რადქვეული „იმერული მგზავრული“. მსუბუქი,  
ხალისიანი იუმორი და ექსპრე-  
სიული რიტმი ძალზე ემოციურს ხდის  
ამ ლექსს.


შუკა-შუკა,  
შარა-შარა,  
ჩქარა,  
ჩქარა,  
ჩქარა,  
ჩქარა,  
ჩქარა,  
მხედება გზები და სოფლები,  
მოყვრები და მეზობლები.



ნოდარ გურეშიძე არასოდეს აპყო-  
ლია ფორმალისტურ ცთუნებებს, არ გა-  
მოჰკიდებია თვითმიზნურ სახეებს, ლექ-  
სის ბრჭყვიალა საშაულებს. მისი ყოვე-  
ლი ლექსი ლოგიკურად ვითარდება და  
ერთ მთლიანობას წარმოადგენს. ყველა-  
ფერი ემორჩილება მიზანს: რაც შეიძლე-  
ბა საღად, ნათლად ითქვას ნაფიქრ-ნაგრ-  
ძნობი და სათანადოდ განაწყოს მკითხ-  
ველი; ამავე დროს კონკრეტულ მოვლე-  
ნასა თუ საგანს განზოგადებული სახე  
მისცეს. რა თქმა უნდა, ამ მიზანს ვერც  
ერთი პოეტი ვერ მიაღწევს, თუ მან უგუ-  
ლებელყო ლექსის აუცილებელი კომპო-  
ნენტები. ნ. გურეშიძის ლექსები სწო-  
რედ ამ კომპონენტთა ძალდაუტანებელი  
ურთიერთშეხამებით ახდენს შთაბეჭდი-  
ლებას.

შედარებით სუსტი ლექსებია „დიდი  
სიმაღლე“ და „მთამსვლელები“. ისინი  
მკითხველის სულსა და გულს ახალს არა-  
ფერს ჰმატებენ. წიგნში ალაგ-ალაგ  
გვხვდება ბლაგვი, მოშვებული სტრიქო-  
ნები: „და ჩვენც ბავშვობაში, როს ვიმტ-  
კრევდით თითებს“, „ვამჯობინებდი მის  
მწველ თვალებს უცხო ცის მზესა“,  
„მზის მჭრელი შუბით მთლად დაისრუ-  
ლი“ (შუბზე არ ითქმის „მჭრელიაო“,  
არც „შუბით დაისრულია“ სწორი თქმა).  
საბედნიეროდ, ნ. გურეშიძის ლექსებში  
ასეთი „ცოდვები“ შემთხვევითი ხასია-  
თისაა.

როგორც ფრილოებს შეჭიდებულ  
მთამსვლელი, ნოდარ გურეშიძე მოზომი-  
ლი, დინჯი ნაბიჯით ადის მაღლა — პოე-  
ზიის თვალუწვდენელ, ციკაბო აღმართ-  
ზე. მისი ლექსების რჩეული, რომელიც  
ახლახან მიიღო მკითხველმა, თხუთმეტი  
წლის შთაგონებული შრომის ნაყოფი და  
შემდგომი შემოქმედებითი ზრდის უტ-  
ყუარი საწინდარიცაა.



## აუშ

### „სულელთა ხომალდი“

ამერიკის შეერთებული შტატების ეკრანებზე გამოვიდა ცნობილი კინორეჟისორის — სტენლი კრაშერის ფილმი „სულელთა ხომალდი“, რომლის სცენარი კეტრინ ენ პარკერის ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით შეიქმნა. რეჟისორი პრესა სურათს თავს დაესხა. „აქ მეტიმეტად ბევრი სოციალური პრობლემა დგას“, — უკმაყოფილოდ აცხადებდა „ტაიპისი“. „ეკრანზე გამოათრეს დიდი ხნის მობეზრებული საკითხები“ — კვერს უკრავდა „დეილი ნიუსი“.

კრიტიკოსთა აზრით, ახალი ფილმი რამდენადმე აგრძელებს და განავითარებს იმ თემას, რომელიც კრაშერის მეორე ცნობილ ანტიფაშისტურ ფილმში — „ნიურნბერგის პროცესში“ იყო წამოჭრილი.

„სულელთა ხომალდი“ მონაწილეობას იღებენ ცნობილი მსახიობები: ელისაბეთ ეშლი, უორტ სეგალი, ვივიენ ლი, სიმონა სინიორი და სხვები.

## ბღრ

### მშვიდლოვის პრემიის ლაურეატთა ანთოლოგია

ბერლინის გამომცემლობა „ფოლკ უნდ ველტ-მა“ გამოსცა მშვიდლოვის მსოფლიო პრემიისა და „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატთა რჩეული ნაწარმოებების ანთოლოგია.

ანთოლოგიაში, რომელსაც „ნიმუშები“ ეწოდება, შევიდა სხვადასხვა ავტორთა ლექსები, მოთხრობები, ნაწყვეტები რომანებიდან და ესეებიდან. აქ წარმოდგენილია: პ. ნერუდა, ი. ფურცი, ნ. ჰიქმეთი, უ. ამაღუ, ი. ერენბურგი, ნ. ტიხონოვი, ა. კორნეიჩუკი, პ. ელუარი, ლ. არაგონი, მუსულ რაჟ ანანდი, ნ. ვაპაროვი, პ. ლაქსნესი, ლ. კრუჩკოვსკი, ნ. გილიენი, ნ. კაჟანძაკი, კ. ვარნალისი, ა. ლუნდკვისტი, მ. სალოვიჩი, ფ. ა. ვაიხი, ა. ზეგერსი, ი. ბებერი, ბ. ბრეტტი, ა. ცვაიგი. კრებულში შეტანილია აგრეთვე პაბლო პიკასოს ნამუშევრებისა და ცი ბაი-შის ფერადგრაფიურების რეპროდუქციები.

## საზრანგათი

### „ბრომეთი ანუ ბალზაჰის ცნობრება“

ასე ეწოდება ანდრე მორუას წიგნს, რომელიც აშტის გამომცემლობამ გამოაქვეყნა.

ყოველკვირული ორგანოს „ექსპრესის“ რეცენზენტის აზრით, ესაა „დიდი რომანისტი ყველაზე დაწვრილებითი და ყველაზე ზუსტი ბიოგრაფია“. მორუა ფრიალ დელიკატურად მოკვდა ბალზაჰისა და მისი შემოქმედებისადმი მიძღვნილ მრავალრიცხოვან შრომებს, გამოყენა დაგადრმვა მათში წარმოდგენილი მთელი მასალა, წერს რეცენზენტს, — მორუა ბალზაჰს მხატვრის თვლით ხედავს... იგი დიდ მწერალს ვერჩვენებს მისი დროის, მისი გარემოცვის ჩარჩოებში და თითქოს ამ გენიოსს ჩვენს წინაშე „აცოცხლებს“.

„წიგნში არ არის არც ერთი ისეთი თავი, რომელიც არ ხსნის ბალზაჰის შემოქმედებით აზროვნების თუნდაც ერთ საოცარ საიდუმლოებას მაინც“, — ასკვებს რეცენზენტი.

## ჰოლანდია

### „მგლური ხანა ანუ სიცოცხლე სიყვარულით სავსეა“

საბჭოთა მკითხველი კარგად იცნობს ტონ დე ფრისის რუსულად გამოცემულ რომანს „ულალთიანი ქალიშვილი“, რომელშიც გამოყვანილია ჰოლანდიელი ზოია კოსმოდეშინასკია. ეს წიგნი შედის ავტორის მიერ დიდი ხნის წინათ ჩაფიქრებულ ციკლში „დროის ფუგა“.

ამჟამად ამსტერდამის გამომცემლობა „პეგასუსმა“ გამოსცა ამ ციკლის ახალი წიგნი — „მგლური ხანა ანუ სიცოცხლე სიყვარულით სავსეა“, რომელიც გერმანელი ფაშისტების მიერ ჰოლანდიის ოკუპაციის შესახებ მოგვითხრობს. მოვლენათა ცენტრში კვლავ ახალგაზრდა ქალია, მაგრამ ახალი რომანის გმირი ქალი — მოზის ზეიფინი — სავსებით უპირისპირდება პარტოზან ქალს, რომელმაც სამშობლოს შესწირა თავი და ეროვნულ გმირად იქცა.

მოზის ეხსენებოდა საყვარელი ხდება, ვაცემს ახლობლებს, მათ შორის საკუთარ ძმას. იგი ყველას თავს შეაზიზღებს და განთავისუფლების დღეებში ხსნას კანადელ სერჟანტთან კავშირში ეძებს. საბოლოოდ გალოთებული, მისი მიზეზით დაღუპულ ადამიანთა მოჩვენებების მიერ დევნილი მოზის თვითონ წარადგება მართლმსაჯულების წინაშე, მაგრამ ციხის კედლებს მიღმაც ვერ გადაურჩა ტანჯვას და თავი მოიწამლა.

რომანის პირველი გამოცემა ზუთ კვირაში გაიყიდა. ამას წინათ „პეგასუსმა“ წიგნი მეორედ გამოსცა.

# უიწყაჟსი

## უიქარიბი ხეამელა

აგიგოთ თოჟაჟე — ჟჟარო მჩამჟარბე...	8 გვ.
რეჟაჟ ჟჟარბიჟე — ვინ არ არის კახაბერი	7 გვ.

## რეანი ჟოჟი ქალები

ნია აბესაჟე — ორი ლეჟსი	15 გვ.
რჟთა ბერიჟე — ორი ლეჟსი	17 გვ.
ნელი ბაბერიჟიჟე — ოთხი ლეჟსი	18 გვ.
ანა იგიღიჟე — ქალის ხმა კოსმოსიდან (ლეჟსი)	20 გვ.
ნუნუ კეჟესალიჟე — ჟნორბი (ლეჟსი)	21 გვ.
ლილი ნუცუბიჟე — ორი ლეჟსი	21 გვ.
იჟა ორჟონიჟიჟე — ორი ლეჟსი	22 გვ.
ლიდა სბვილია — სჟრბთი (ლეჟსი)	28 გვ.
ირინე უჟვირიჟე — ორი ლეჟსი	28 გვ.

## პროჟა და ჟოჟიჟი

რეჟაჟ ინანიჟვილი — დაბრუნებული ღიმილი (მოთხრობები)	24 გვ.
ლაღო სულაბერიჟე — ბაუხუნარი ჟერიბი (ლეჟსები)	41 გვ.
სოლომონ დეჟურხანიჟვილი — ბივის დაბადება (მოთხრობა)	44 გვ.
ნიკოლოჟ ჩაჩაჟა — ორი ლეჟსი	51 გვ.
ოთარ ჟალაბერიჟე — ჟერიცვალაბა (ლირიკული პოემა)	52 გვ.

## ახალი თარიჟმენები

ალექსანდრა გლეჟარი — სამი ლეჟსი (თარგმნეს ე. კვიტაიჟვილიჟა, დ. იჟარღეჟაჟი, ბ. მინღაქეჟი)	57 გვ.
ოლეს გონჩარი — ღაჟ, ანათოს ჟუჟჟრბ (მოთხრობა. თარგმნა ი. ქაჟვარაქეჟი)	61 გვ.

## ლიტერატურული ქრიჟიჟე

მირაჟ ბერიჟე — ახალბაჟრღა ოსტაბიბი	88 გვ.
როსტომ ბეჟანიჟვილი — ვინ არის სანდრო ცხომიჟე?	97 გვ.
ალექსი ბინჟარაჟული — დოლი და დოლი	108 გვ.

# რუსთაველის ნაკვალავი



სარგის ცანიფილი — ოლივიერ უორდეროვის წიგნილი „ვიფსისტუტოსანაში“ . . . . . 122 გვ.  
 არჩილ რუგოშვილი — ტკბილის სიტყვითა გავმართოთ... . . . . . 122 გვ.

## ხელოვნება

ნანა ღვინევაძე — მაღალი გუმბათი (ჩანახატი) . . . . . 132 გვ.

## მორეული წარსულიდან

მიხეილ სვანიძე — საბრძოლველ იყო მისი სოცდემო სახელი . . . . . 137 გვ.  
 მედეა ჟონია — მოგონება და სინამდვილე . . . . . 144 გვ.

## წიგნების სპეკროში

ფაზა ციციანოვილი — ოსტატის რთველი . . . . . 148 გვ.  
 ელისო კაკაბაძე — კარგი საბავშვო ნაწარმოები . . . . . 152 გვ.  
 სვიმონ შამჭრინანი — პოეზიის ალმარატი . . . . . 155 გვ.

## ყოველი მხრიდან

. . . . . 158 გვ.



გარეკანი და ტიტული ელგუჯა ამაშუკელისა . . . . . ქურნალი გააფორმა თენგიზ სამსონაძემ  
 ტექნიკური ხელმძღვანელი ს. გოდერაძე

რედაქციაში შემოსული მასალები, მოცულობით ერთ თაბახანაშვილს, ავტორებს  
 არ დაუბრუნდება

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლესანოვის პროსპ. № 91.  
 ტელეფონები: რედაქციის — 5-08-85, პ/მ მდივნის — 5-08-86, განყოფილებების:  
 პოეზიისა და პროზის, კრიტიკისა და გიგლიშვილის — 5-08-85, კულტურისა და  
 ხელოვნების 5-08-75

ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/111. 66 წ. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით  
 ფორმათა რაოდენობა 13,7. შეკვ. № 539. უე 02970. ქალაქის ზომა 70 X 108. ტირაჟი 11 500.

საქ. კვ ც-ის გამოცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14  
 Полиграфкомбинат издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.

ფანი 60 კაპ.

ბ 106/92

  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-  
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

**«ЦИСКАРИ»**

Издательство  
«ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА»

ИНДЕКС 76236